

ქვირის პალიტრა

4 აპრილს  
საათზე  
მგლები 4

მონა მანუჩიძის წიგნის  
პრეზენტაცია!



N14 (40  
311-911)

საბი ბი ტი



მორიბი  
„ქართული  
ბოგები“

რაზე დაითანხმა  
ანრი ჯოხაძემ  
ეკა კვალთაძე

წყვილს გიჟური სიყვარულისთვის  
მხოლოდ ოთხი დღე ჰქონდა

მოგვარების ძიება — კრიმინალი  
თუ ნებადართული სიყვარული



„ყოფარულ სიყვარულის  
პერ წარმოვიდგინდი,  
რომ მოგვარებები ვიქნებოდით“



რაგომ ბარბაქაძემ სწოებილი  
ქართულები აქლიბიკაუი

აგვისტოსური პროგრამები და განაცხადები

ISSN 1987 - 5029



ჯადოსნური წიგნი და ნაჩუქარი პარსკვლავი ცაში...

# საბა SABA

სამზარეულოები იტალიაში



MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.



 **BERLONI**

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანთელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info@saba.ge  (+995 32) 38 44 54

# მზის გზის გზნილები


ჟურნალი ჟურნალი



№14 (408)  
3 - 9 აპრილი, 2008 წ.  
ფასი 80 თეთრი



იმ აღმოსავლეთს  
ცხოვრებას, ვინც  
ვიყვანს, ისევე მოილოდნე,  
მოვიტოვებ იმ აღმოსავლეთს სიყვარულით,  
მოძილიანსაც ცხოვრებში.



უკანსუხო  
ხითხვეები



ფობობასტი



გზავნილ-სტუდია

39-70

## ბიური სემული სანუქრად

„ჩემს წიგნებში სხვადასხვა ფოკუსის ახსნა და ბევრი საიდუმლო აღწერილი ამ ყველაფრით, დამწყებ ილუზიონისტებს ფოკუსების „ანა-ბანას“ ვასწავლი. გარდა ამისა, ეს წიგნები თაღლითებს ფოკუსების გაკეთებაში ხელს უშლის“.



21

## ზვიო პოლიტიკაში მიღის



„ამჯერად უმუშევარი ვარ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, საპარლამენტო არჩევნებში ხაზურის მაკორიგარ დეპუტატად კენჭისყრას ვაპირებ. რაგომ გგონია, ვხუმრობ? პარლამენტგარობაა ცუდი თუ მე ვიქნები ცუდი დეპუტატი?“

24

### მინიატიურები

- პოლიტიკური პირველადილობა ანუ „მეშორიბარი ეშმაკები და ანბელოზები“ 5
- შაქტი და კომენტარი „არ მხსმის, რატომ იბქივებენ აუბქივარ თავს?“ 6
- პრეკვიანი „მთავარი, ბრძოლაში ჩაება, დანარჩენი მერა გამორღება“... 8
- პრტიანი სპარტიველო „მავა გამისინჯა და აღმონდა, რომ სოსხალი ვიყავი“ 9
- ჟურნალისმის როლოზი ორი სმობილი ფოტოხელოვანი პრტიმანეთის პირისპირ 12
- პოლიტიკა ნინაღმღამობები ნამოსკენ მიმავალ გზაზე და სპარაბისტთა განყოფილებაები 14
- თემა მოგვარებაის ჟორნება – კრიბინალი თუ ნებაღართული სიყვარული... 18
- პრეკვიანთა სიური სხელი სარეპრად და საროსებათა სარეპრო ერთ ნიგნო 21
- სსოვნა „მიმანინა, რომ დედა ნამღვილი თბილისელი იყო“ 22
- პრეკვიანი ზვიო პოლიტიკაში მიღის 24
- ანემო, შოგილი ნარსულინაბან... მივიწყებული გვირგვინოსანი ანუ გენოფონის გაღამრგინელი მუჟა გიორგი VII 26
- რეპორტაჟი გლანა პარტიველები, დანაკოლი რინელები და „მოღალაბა სოლი“ ანუ „რას გვიხვრება ეს მთავრობა?“ 28

გეგმიბემ მუსგად ასე დასაჯა ერთი პიროვნება, რომელიც სასამართლოს მის წინააღმდეგ აბლევდა ჩვენებას. ეს თბილისში, ერთ-ერთი სასამართლოს წინ მოხდა.



– კეთილი... ამოლი ჩემთან. ახლავე განვიხილოთ ყველაფერი, – უპასუხა სამსახურის უფროსმა და გელეფონი გათიშა.  
– ეს ომი მაინც მენ წააგე, ვალერი!.. სისხლი – სისხლის წილ!.. მედარი თუ ცოცხალი, ის მაინც შეასრულებს თავის სიგყვას, – ჩაილაპარაკა რიბკინმა, მებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით შევიდა შენობაში.

82

<b>■ თინეიჯერული პონება</b>	
✓თაყვანისმსახურებანიან ჩაღნილი საგვირო სპეციალური და ნახევი „აკაკო“	30
✓სიკვდილის სურვილმა უამრავი ნიარავი დაეიტოვა ხელჯანს და სულხიმს	32
<b>■ ანტიღაერესანები</b>	34
<b>■ მსოვრების ნანი</b>	
განსარჯა, დანსარჯა და მოერია!	34
<b>■ ჯანმრთელობა</b>	
როგორ ვაქმნოთ ნეალი „ჯადოსნურად“	37
<b>■ ჟურნალი ჟურნალი</b>	
გზანვილები	39-70
<b>■ ემიგრანტი</b>	
ნარგაბაბული სპორტსმანი, როგორც გოგონებთან „ვირ ურთიერთობს“	71
<b>■ საუკუნის გოლი</b>	
100 წლის იუბილარი, როგორც ლეჟი ალვიკას და სტრიქონები უნიზგრაბა	72
<b>■ როგანი</b>	
სვაბა კვარასხელია. ქარის სანიღვლო... (გაბრქაღება)	74
<b>■ ტაიმ-აუტი</b>	78
<b>■ საკითხავი ქალბანთვის</b>	
✓რითი სჯობს ქალი მამაკას	80
✓სახის უნიქლოგია	81
<b>■ გუნტსაღარი</b>	
გოგა მანელიძე. გგლები 4 (ღანასაღარი)	82
<b>■ ჩემი მსოვრების გზა</b>	
„ჩემი მრავალწერი, სწორად მას ვეჩენი მამურებულს“...	88
<b>■ ვარსკვლავები</b>	
✓„A-სტუდიოს“ სოლისტის გიქური სიქვარული	90
✓ალსუს ახალი „ქალჯა უირაღული“ ალგოვი	90
✓ქიბ მოსი თსოვღება!	91
✓ღემი გურის ახალი გაბაღება	91
<b>■ გეღალი</b>	
მხარტომთავარი სტალინი (გაბრქაღება)	94
<b>■ ტაქარი</b>	
„ღეთის შენენით მიცხა ურიაღ ღვანსა“...	96
<b>■ ქალაქი-მუქავი</b>	
მღიღრული სიღნალი, მთიერი სიღნაღელები ანუ „უჯომოდ მომთმანი, მარგამ უგაგონო ქვეყანა“	97
<b>■ ქვალი</b>	
ას ჩვენი გოლო სარქვარი	99
<b>■ საქმე</b>	
ქანა ქალაქა ქართულ ექონომიქავი მანსგაბურ ინეანტინიან ღებს	100
<b>■ სანიქო</b>	
„ექსკლუვიური“ და ღეღინსარტა სანიქო	100
<b>■ ავტო</b>	102
<b>■ სარგმოვი</b>	103
<b>■ სანსოკოლი</b>	104
<b>■ ტანტი</b>	105
<b>■ ქალიღოსქოვი</b>	106

**გარეკანა: ირმა ღვიარტალიანის კოლაჟი**

საჯომგაღოვგარეკან-კოლიტიქოვი უშრნაღი „გზა“ გამოდის კვირაში მრთხელ, სუთგაბათოპით გავქმე „კვირის პალიტრის“ ღამატგვა ურნალი ხელმღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაღლა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე მთ. რედაქტორის მოღველეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია მენეჯერი: მათე კვილაძე

**მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49**  
**ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com**  
**რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.**

**„ღეღა ნეღვილი თბილისელი იყო“**



„ის იყო შემოქმედი, ქალი, ღეღა და საუკეთესო ღიასხლისი. საერ-თოდ, მიმანია, რომ ღეღა ნამღ-ვილი თბილისელი, ქალაქელი ქალი იყო. ეს კი ვფიქრობ, უკვე ბევრს ნიშნავს, რადგანაც თბი-ლისელობა უკვე წოდებაა. რადაც სხეანაირი თბილი, მხიარული პი-როვნება იყო.“

22

**გიქური სიქვარული**

ვიღეორ გოლს ძალბე ლამაზი, რომანტიკული ფინალი აქეს: ქეთა თოფურის გმირს სერგეი ამორალოვის პერ-სონაჟის ამბორი გადაარჩენს...



90

**100 წლის იუბილარი**



„მინდა გითხრათ, რომ ღამით ლექსი მადვიებებს, სტრიქონები მესიმრება, სიბნეღეში ფანქარს ვპოუ-ლობ და სიგყვები რვეულ-ში გადამაქეს ისე, რომ სი-ნათლეს არც კი ვანთებ. ასე წერას უმუქობის წლებში შევეჩვიე...“

72

ვინ თქვა, კოცნას სუ-რნელი არა აქვსო?! მთე-ლი საღამო ბექას კოცნის სურნელი არ მომშორებია,



მისი გუჩების სიგკოსაც ვგრძნობდი ამავღროუ-ღად. არც მივანშია და არც ჩაი დამიღეგია, სარკე-სთან მოკალათებული, კმაყოფიღებით ვილოკავ-ნი ბაგეებს, თან ზეღა გუჩს ცხვირს მივეშვერდი, რომ უფრო შემეგრძნო და ღიღხანს გამყოლოღა იმ კოცნის სუნი და გემო.

74



# პოლიტიკური პირველპრილობა ანუ „მაჟორიტარი ემპაყენი და ანგელოზები“

დადგა აპრილი და პოლიტიკური პირველპრილობაც მთელი სიმძლავრით გაჩაღდა, მით უმეტეს, რომ საპარლამენტო არჩევნები მაისში ჩატარდება და საქართველოს სიყვარულში „სოციალისტური შეჯიბრებისთვის“ აპრილი საუკეთესო დროა. ჰოდა, წამოვიდა პარტიებისა და მათი დაპირებების ადიდებული მდინარე სწორედ ისე, როგორც აპრილს შეეფერება.

გაზაფხულს იმითაც ჰგვანან ჩვენი პოლიტიკოსები, რომ კვირტებით იმოსებიან და ყვავილებს შლიან, რომ უფრო მოხიბლონ ამომრჩეველი. მოკლედ, ამაზეა ნამღერი:

*„გაზაფხულდა, აყვავილდა შალვა,  
ილიმება ლურჯთვალეა გია,  
მიშა ისე შემოიჭრა სულში,  
თითქოს ჯონდი დამრჩენია ღია“...*

განაცხადების მიღებას ვეღარ აუდის ცენტრალური საარჩევნო კომისია. მოდიან და მოდიან თუ პარტიები და თუ მაჟორიტარები. როგორც ამბობენ, 60-მდე პარტია გაივლის რეგისტრაციას და როგორ გინდა, მათ შორის საუკეთესოს მისცე ხმა, როცა ყველა საუკეთესოა. მაინც მიკვირს, საიდან მოგროვდა საქართველოში 60 პარტია, როცა 60 პარტიის კი არა, 60 კარგი, პროფესიონალი პოლიტიკოსის დეფიციტია. ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ არჩევნებზე მისულებს ბიულეტენში, სხვა ცნობილ პარტიებთან ერთად, „შაბიაშინის ახალი პარტია“, მარლენ ლი-პარტია ან დავით აქუ-პარტია დაგვხვდება...

აქვე ისიც საგულისხმოა, რომ პარტიული სიით გასული დეპუტატებისთვის სულ 100 ადგილია ახალ პარლამენტში და ყველა პარტია რომ მოხვდეს, ზოგს — 2, დანარჩენს კი თითო დეპუტატი ეყოლება პარლამენტში. აი, ერთსულოვნება და მუშაობის ეფექტურობა მერე ნახეთ თქვენ...

პარტიულ სიებს თავი დავანებოთ, აქ მაჟორიტარული არჩევნების პრინციპია ფრიად საინტერესო: ტიგრან გულოიანის არ იყოს, — მე ვერაფერი გავიგე, მაგრამ ჯიგარი ხარ, ძია ისიდორეო! — ისეა საქმე. საარჩევნო უბნებსა და ოლქებში მაჟორიტარი კანდიდატები, თუ არ ვცდები, პარტიებიდან დამოუკიდებლად იქნებიან წარდგენილი და თუ აქამდე მაჟორიტარი კანდიდატი პარტიულ სიაშიც იყო ჩანერილი და მაჟორიტარად ვერგასვლის შემთხვევაში, სიით შეეძლო პარლამენტში შესვლა, ახლა — ნურას უკაცრავად. როგორც გავიგე, ასეა და თუ ასე არაა, ხომ ვთქვი, ჯიგარი ხარ, ძია ისიდორე-მეთქი?!

ასეა თუ ისეა, ამან ძალიან ბევრ ადამიანს აღუძრა დეპუტატობის მადა და ვისაც აქამდე არც ჰქონია რაიმე შეხება პოლიტიკურ პარტიასთან და საერთოდ, პოლიტიკასთან, პარლამენტში მოსახვედრად ემზადება — ხომ გითხარით, აპრილია და კვირტ-ყვავილებით იმოსებიან-მეთქი... ბევრი კანდიდატურა უკვე ოფიციალურად დასახელდა და მათი გამარჯვების შემთხვევაში იმდენი სამშენებლო კომპანია, ღვინის მწარმოებელი ფირმა თუ ბანკი რჩება პირველი პირების გარეშე, რომ გაგიკვირდებათ, რატომ ურჩევნიათ ამ ადამიანებს ასეთ

დიდშემოსავლიან ბიზნესს ოთხი წლით პარლამენტში ყოფნა. მაგრამ ალბათ, ურჩევნიათ და იმიტომ მიდიან ან არ ურჩევნიათ და სწორედ ამიტომაც მიდიან პარლამენტში... არ ვიცი, ხომ ვთქვი, ჯიგარი ხარ, ძია ისიდორე-მეთქი?!

თავისი მაჟორიტარი კანდიდატების ვინაობა უკვე გამოამზურა ბატონმა შალვამ და თავისი „400-ათასკაციანი“ პარტიიდან ხუთივე ადამიანი, ვინც ტელევიზორში გვინახავს, სხვადასხვა რაიონში იყრის კენჭს. თვითონ კი მშობლიურ დუშეთის რაიონში იბრძობლებს, რადგან ბოიკოტს უცხადებდა არჩევნებს, მაგრამ ფუძის ანგელოზმა დაუძახა და რა ექნა?! აქვე ისიც აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ემპაყულ კანდიდატებს ზურგი უნდა ვაქციოთ და ლეიბორისტი მაჟორიტარები შემოვხაზოთ. აი, რა მარტივად „გააიასნა“ ყველაფერი: ლეიბორისტები — ანგელოზები, „ნაციონალები“ — ჯოჯოხეთის შავ-ბნელი ძალები“ — უკვე იცი, ვის უნდა მისცე ხმა!..

საქართველო პატარა ქვეყანაა და ნათქვამია: ორმა იცის, პროვოკატორმაც იცისო. ჰოდა, თურმე, შოუბიზნესის ბევრი ცნობილი სახეც აპირებს პარლამენტში შესვლას. რატომაც არა?! სპორტსმენები, რეჟისორები და მწერალ-პოეტები თუ იყვნენ და არიან, ამათ რა დააშავს?! მით უმეტეს, შოუ-ბიზნესი ახალგაუსვენებელ მკვდარს ჰგავს და იქნებ, ეს ხალხი პოლიტიკაში უფრო წარმატებული აღმოჩნდეს. მაგალითად, ბატონი ზვიო, რომელიც წლების წინ თავისი შიდაქართლური დიალექტით მოვიდა შოუბიზნესში და ერბოს რეკლამის გავლით „ტაქსის“ მძღოლობამდეც მიაღწია. ოლონდ, არ მკითხოთ, რომელ რაიონში იყრის კენჭსო! რა თქმა უნდა, ხაშურში.

რატომ გაგიკვირდათ? დუშეთში თუა ფუძის ანგელოზი და ნათელაშვილს ეძახის, ხაშურში არ იქნება?! ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ ზვიოს დეპუტატად ვიხილავთ, ბოლო-ბოლო, პარლამენტის სხდომა უფრო მხიარული სანახავე გახდება, ოპონენტს რომ დაუყვირებს, — რას მიპარჭყავ ხელეზსაო!..

იმავეს ამბობენ პრეზიდენტის ორეულ ლომავილზეც. ეგ უნდათ კიდევ ოპოზიციის ლიდერებს, ერთი სააკაშვილი პრეზიდენტად არ ჰყოფნით, მეორე რომ პარლამენტში არ წამოუსკუადეთ?! ისე, რა გეჩქარება, ჯერ ბავშვი ხარ, პარლამენტისთვის „იფუჭებ“ თავს? დაიცადე ნ წელიც და ბარემ, პირდაპირ „პრეზიდენტ სააკაშვილად“ მოხვალ, მესამე ვადით...

- P.S. ლეიბორისტული პარტიის შტაბში:*
- ბატონო შალვა, თუ შეიძლება, ერთი კვირით გამათავისუფლეთ, სოფელში მივდივარ.
  - ყოჩაღ, შენც ფუძის ანგელოზი გეძახის, ხომ?
  - არა, ბაბუაჩემი მეძახის, უკანასკნელ დღეში ყოფილა.
  - ჰოდა, თუ უკანასკნელ დღეშია, სვალ-ზეგ ანგელოზი იქნება და ბარემ, კენჭიც იყარე...

პროვოკატორი

# „არ მესმის, რაზომ იზაქივაზენ აუზაქივარ თავს?“

## „ბიზნესმენები ხელისუფლებამ აიძულა, ასეთი ნაბიჭი გადაედგათ“

გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოების ნაწილს საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება მიაჩნია, ზოგიერთ მათგანს კი პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს და კლაუს ტოპიოლერის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო აღფრთოვანებას ვერ მალავს. კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე საუბრის გარდა, გამვლელებს შემდეგი სახის შეკითხვაც დავუსვით: რა აზრის ხართ მაჟორიტარი დეპუტატობის იმ კანდიდატებზე, რომლებიც „ნაციონალებმა“ წამოაყენეს?

### ნათია ქვიციანი

**სალომე აზრაიშვილი, პედაგოგი, 58 წლის:**  
 — ყველაზე მეტად იმ ფაქტმა ამაღელვა, რომ ამერიკის პრეზიდენტი ნატოში საქართველოს შესვლას დაჟინებით მოითხოვს. თუ ნატოში მართლაც გავწევრდებით, იმედია მაქვს, ეს ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ წაადგება. ღმერთმა ნუ ქნას, ნატოში შესვლით ამერიკამ რუსეთივით, ჩვენი გამოყენება დაიწყოს. ამბობენ: მიხეილ სააკაშვილმა ამერიკელებს ნატოში შესვლის პროცესი არჩევნების გამო დააჩქარებინაო. არც ესაა გამორიცხული, რადგან ამ შემთხვევაში, სააკაშვილის პარტია ნამდვილად, მეტ ხმას დააგროვებს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას მაჟორიტარი დეპუტატების თაობაზე, ვფიქრობ, რომ როცა ადამიანი წარმატებული ბიზნესმენია, ის პოლიტიკაში აუცილებლად უნდა მოვიდეს, რადგან ფულს დახარბებულნი არ იქნება და თავის მოვალეობას კორუფციის გარეშე, პირნათლად შეასრულებს. სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი მომწონს და გული მწყდება, ისანი-სამგორის რაიონის მცხოვრები რომ არ ვარ, თორემ აუცილებლად მას მივცემდი ხმას. მთელმა საქართველომ იცის, რომ ეს ქალბატონი დიდი ქველმოქმედი და ყველა ადამიანის გაჭირვება გულთან ახლოს მიაქვს. ჩვენს ქვეყანას ასეთი პარლამენტარები ნამდვილად სჭირდება.

**ავთანდილ ბაბრიჩიძე, ინჟინერი, 38 წლის:**  
 — ძალიან სასაცილოა, ირინა სარიშვილმა არჩევნებს ბოიკოტი რომ გამოუცხადა. მართალია, ამბობს, — ეს ბინძური თამაშია და ამ პროცესში ამიტომაც არ ვმონაწილეობო, მაგრამ სინამდვილეში, კარგად იცის, რომ როგორც საპრეზიდენტო არჩევნებში შერცხვა, ახლაც ისევე შერცხვება — 2 პროცენტზე მეტ ხმას ვერ დააგროვებს და ამიტომაც გამოეთიშა არჩევნებს. მისი მხრიდან, ეს ჭკვიანური გადაწყვეტილებაა. საერთოდაც, ქალბატონი ირინას ადგილი პოლიტიკაში ნამდვილად არაა. ჯერ არ მინახავს ადამიანი, რომელიც მის პარტიას უჭერს მხარს... ძალიან გამიხარდა, რუსთავითილისის მიმართულებით ავტობუსები რომ დაინიშნა და ისიც კარგია, მგზავრობა 40 თეთრი რომ ეღირება (მე რუსთავში ვცხოვრობ, მაგრამ თბილისში ვმუშაობ და ამ ფაქტმა ამიტომაც გამახარა)... მაჟორიტარ დეპუტატებზეც გადასარევი აზრის ვარ. ვფიქრობ, პოლიტიკაში აუცილებლად ბიზნესმენები უნდა მოვიდნენ და მათ ქვეყანა თავიანთი ბიზნესის მსგავსად უნდა ააყვავონ. აბა, ჩემნაირ გალღეტილ კაცს პარლამენტში რა უნდა?!

**ბამისარდა, კლაუს ტოპიოლერი საქართველოს ნაპრპრის მთავარი მწკრივის თანამდებობიდან რომ გაათავისუფლეს**

**მარინა ლანჩავა, ეკონომისტი, 57 წლის:**  
 — ჩვენთვის დიდი სირცხვილია, ყველა ქვეყანაში ქართველ დამნაშავეებს რომ იჭერენ. ეგვიპტის საზღვარზე, 13 ქართველი საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის რომ დააკავეს, ეგ კიდევ გასაგებია, რადგან ყველამ ვიცით, თუ როგორ ჭირს საქართველოში ცხოვრება და ხალხს იმის საშუალება არა აქვს, რომ საზღვარგარეთ, პურის ფულის საშოვნელად ლეგალურად წავიდეს, მაგრამ ამ ყველაფერს მთელი მსოფლიო რომ გაიგებს, ხომ შერცხვებით?! ამას კიდევ არა უშავს, მაგრამ იმავე დღეს ავსტრიაში, 7 ქართველი დააპატიმრეს, რომლებიც თურმე, ბინებს ძარცვავდნენ. მოკლედ, ყველგან გაგვიფუჭდა სახელი და ამიტომაც ხდება, რომ თუ საელჩოში საქმეს არ ჩააწყობ, კონსული ვიზას არ მოგცემს. მოკლედ, ქართველებს ვერაფერი გამოგვასწორებს... „ნაციონალების“ მიერ წარმოდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებზე ცუდი აზრის ნამდვილად არ ვარ. მადლობა ვთქვათ, ბოკერია და ნადირაძე რომ არ აპირებენ დეპუტატობას, თორემ არჩილ გეგენავა



და რუსუდან კერვალიშვილი კარგი ადამიანები არიან. იმედი მაქვს, როცა დეპუტატები გახდებიან, ესენიც არ შეიცვლიან ხასიათს და ნადირაძესა და ბოკერიას არ დაემსგავსებიან. ღმერთმა დაგვიფაროს...

**ელგუჯა პაპაშვილი,**  
პენსიონერი, 73 წლის:

— ყველაზე მნიშვნელოვანი — წინასაარჩევნო სამზადისია. სიმართლე გითხრათ, დავიღალეთ ამდენი არჩევნებით და ერთმანეთის „ჭამით“. რა თქმა უნდა, ამ არჩევნებსაც „ნაციონალები“ მოიგებენ (მნიშვნელობა არ აქვს, გაყალბებით თუ გაუყალბებლად) და ოპოზიციის წარმომადგენლები ისევ აქციებს გამართავენ. ჰოდა, თავიდან დაიწყება ის ყველაფერი, რაც ნოემბრიდან აქამდე გამოვიარეთ. ქართველ ხალხს მშვიდი ცხოვრება მოგვინატრა. არავის მხარესაც არ ვარ და არჩევნებსაც ბოიკოტს ვუცხადებ. ხმას არავის მივცემ, რადგან ვიცი, მაინც ისე გადავანდილდებოდა ადგილები, როგორც ხელისუფლებას აწყობს და ჩემი ხმა არაფერს ნიშნავს. მაჟორიტარ დეპუტატებად კარგი ხალხი კი შეარჩიეს და ალბათ, გაიმარჯვებენ კიდევ, მაგრამ ამ ბიზნესმენების არაფერი მესმის: აწყობილი აქვთ საქმე, ფული მაგათ არ აკლიათ და სასმელ-საჭმელი. ჰოდა, რატომ იტყვივენ აუტორიტარ თავს? რა უნდათ პარლამენტში? ალბათ, ეს ყველაფერი მათ ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული, თორემ სულელები ხომ არ არიან? ვფიქრობ, ბიზნესმენები ხელისუფლებამ აიძულა, ასეთი ნაბიჯი გადაედგათ და ისინიც მზად არიან, გარკვეული მიზეზების გამო ემსახურონ მას. დასახელებული კანდიდატებიდან განსაკუთრებით, რუსუდან კერვალიშვილი მომწონს. როცა პროექტი — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ გადიოდა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ქალბატონი რუსუდანი საკმაოდ გულისხმიერი და ნამდვილად ქველმოქმედი ადამიანია. საბურთალოზე რომ იყრიდეს კენჭს, მის გამო არჩევნებზე აუცილებლად წავიდოდი და ხმასაც მივცემდი...

**ვფიქრობ, პოლიტიკაში აუსილაბლად ბიზნესმენები უნდა მოვიდნენ და მათ ქვეყანა თავიანთი ბიზნესის მსგავსად უნდა ააყვავონ**

დათო ლოჯანიძე, სტუდენტი, 21 წლის:

— ძალიან გამიხარდა, კლაუს ტომ-მიოლერი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან რომ გაათავისუფლეს. ის ადრეც უნდა გაემუშავთ საქართვე-



ლოდან. არაფრის გამკეთებელი იყო. საქართველოს ნაკრები ისეთი სუსტი არასოდეს ყოფილა, როგორც ამ ბოლო წლების განმავლობაში იყო. ფეხბურთის ფედერაციამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ძალიან მაგარი მწვრთნელი მოძებნოს და ქართული ფეხბურთი მსოფლიოში ისევ საუკეთესო გახდეს. რაც შეეხება პოლიტიკას, ამ საკითხში ნამდვილად ვერ ვერკვევი და განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვი. ისიც კი არ ვიცი, მაჟორიტარ დეპუტატებად ვინ არიან წარდგენილნი?.. რუსუდან კერვალიშვილი მათა რჩეულიშვილის დაა? რჩეულიშვილი ვიცი, ვინც არის, მისი და კი არ მახსენდება. მოკლედ, რაც არ ვიცი, არ ვიცი. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება მაჟორიტარი დეპუტატი და ვინ — საქართველოს პრეზიდენტი. არჩევნებზე არასოდეს ვყოფილვარ და არც ვაპირებ, ოდესმე წავიდე. პარლამენტარები უჩემოდ მიხედავენ თავიანთ საქმეს...

**გიორგი კიკნაძე,** იურისტი, 37 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ ფეხბურთელი კახა კალაძე საქართველოში დიდ ბიზნესს იწყებს. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი იმდენად სერიოზულია, რომ მის კომპანიაში ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ნოღაიდელი და ყოფილი ფინანსთა მინისტრი — ლევან ალექსიშვილიც იმუშავენ. არა მგონია, კახი დიდად განათლებული ადამიანი იყოს, მაგრამ მოედანზე ბურთის გორებით იმდენი ფული იშოვავს, რომ რამდენიმე სახის ბიზნესი წამოიწყოს. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, მაჟორიტარ დეპუტატობაზე უარი რომ თქვა. არადა, მახსოვს, იქადაბოდა: ქართულ პოლიტიკაშიც აუცილებლად მოვალ. როგორც ჩანს, სანამ შეეძლება, ფეხბურთის ითამაშებს, მერე კი არც ის დაგვამადლის პოლიტიკოსობას... მოკლედ, ვინც ბევრ ფულს იშოვის, მისთვის განათლება საჭირო არაა, ისედაც ყველაფერს მიაღწევს. ჩვენ რა ვქნათ, ვისაც შინ ორ-ორი დიპლომი გვაქვს, მაგრამ შეილები რომ დავაპუროთ, ხან „ტაქსაობა“ გვინევს და ხანაც — მშენებლობაზე მუშაობა?!

**ანრი ჯოხაძე, მომღერალი:**

— თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ და იცით, რა მომწონს „გზაში“? — ნაკლები „სიჟვითლე“ რომ აქვს და ეს, იმ ჟურნალების ფონზე, რაც ჩვენში არსებობს, ნამდვილად თვალში საცემია. თქვენთან ისეთი ინტელექტუალური სტატიები იბეჭდება, რომ მისი კითხვისას ადამიანი მართლაც ისვენებს. რაც მთავარია, ჟოველთვის იცავთ ზომიერებას. ეს დღეს მომგებიანი პოზიციაა, რადგანაც ხალხი დაიღალა არაფრის მთქმელი, ვითომ სკანდალური მასალებით — ისეთ სათაურებს უკეთებენ, შეიძლება გაგიჟდეს და მერე, სასწრაფოდ გადაშლი იქნება, დაიწყებს მასალის კითხვას, მაგრამ იქ საწინააღმდეგო რაღაცები წერია. მიმაჩნია, რომ ადამიანისთვის ღირსება ყველაზე კარგი ქონებაა. ეს თქვენ ნამდვილად გაქვთ! გისურვებთ „გზის“ ხარისხის გაუმჯობესებას. ვიცი, ჟურნალს პოლიგრაფიულად მაღალი ხარისხი რომ ჰქონდეს, ეს ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, მაგრამ გისურვებთ, ისე გამდიდრებულიყავით, რომ ეს პრობლემა მოგეგვარებინოთ.





ჩემმა გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა

### ივა ტუხიაშვილი

— ჩემმა გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა: თუ მსახიობი ხარ, საკანონმდებლო ორგანოში რა გინდაო? პოლიტიკაში მოსვლის უფლებას ჩემი პროფესია მაცდევს. მანამ, სანამ საზოგადოება გამიცნობდა, როგორც მსახიობსა და პაროდისტს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ვთანამშრომლობდი. არსებობს საერთაშორისო, საარჩევნო მენეჯერების აკადემია „აირაი“, სადაც ტრენინგი გავიარე. საერთაშორისო ორგანიზაცია „აი-ფიესში“ სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროგრამის ტრენერი ვიყავი. თბილისის აგრალურ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრიც ვიყავი. ჩემს მეგობრებთან ერთად შევექმენი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა“ და ვმუშაობდით ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. ასეთი სტარტის შემდეგ, ყველას ეგონა, რომ ჩემს პროფესიონალურ საქმიანობას პოლიტიკას დაუკავშირებდი, ამიტომ გაკვირვებულები დარჩნენ, როდესაც მოულოდნელად, მსახიობისა და პაროდისტის ამპლუაში მიხილეს. ვფიქრობ, ახლა დადგა ის ეტაპი, როდესაც სერიოზული პროფესიული ნაბიჯი უნდა გადავდგა, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, მონაწილეობა მივიღო საპარლამენტო არჩევნებში. რატომაც არა?! ეს ჩემი კონსტიტუციური უფლებაა. ყველამ იცის, რომ სუფთა ვარ და ჩემი სახელი არაფრითაა გასვრილი.

— მასსოვს, ადრეც გქონდა შემოთავაზება, პოლიტიკაში წასულიყავი. მაშინ რატომ თქვი უარი პოლიტიკურ კარიერაზე?

— რამდენიმე წლის წინ, თბილისის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა შემომთავაზეს, მაგრამ მაშინ პოლიტიკის მიღმა დარჩენა ვარჩიე. ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება, სწორედ ახლა დადგა ის ეტაპი, როდესაც ჩემი ხალხის სამსახურში უნდა ჩავდგე. ვაცნობიერებ, რომ დეპუტატობა დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომაც კენჭს ვიყრი რაიონში, სადაც დავიზადა და გავიზარდე,

აშკარაა, რომ მომავალი საპარლამენტო შემადგენლობა მეტი-მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება. მსახიობმა და პაროდისტმა მამშუპა ლომაშვილმა დაგვიდასტურა, რომ არჩევნებში გლდანის რაიონის დეპუტატობისთვის იბრძოლებს. ჯერ არ იცის, რომელი პარტიის სახელით წარდგება ამომრჩეველთა წინაშე, მაგრამ დროს უქმად არ კარგავს და საარჩევნო პროგრამაზე მუშაობს.

# „მთავარია, ბრძოლაში ჩაება, დანარჩენი მერე გამოჩნდება“...

სადაც ვცხოვრობ და რომელსაც კარგად ვიცნობ. გლდანის რაიონში ყველა მიცნობს, ეს კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს, ამიტომ მცირე შეცდომაც რომ მომივიდეს, ხალხი არ მაპატიებს.

— უკვე იცო, ვინ იქნებიან შენ კონკურენტები გლდანის რაიონში?

— არ მიყვარს სიტყვა „კონკურენტი“. პირობას ვდებ — ვინც ამ არჩევნებში გაიმარჯვებს, მას პირველად მე დაუფრეკავ და მიფულოცავ. ძალიან ცუდი რამ ხდება დღეს ქართულ პოლიტიკაში. ერთმანეთისადმი ასეთი ღვაძლიანი დამოკიდებულებით ვერაფერს მივალწვეთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხალხს თავისუფალი არჩევანის უფლება მივცეს. ჯერ ისევ მიმდინარეობს კონსულტაციები, თუ რომელი პოლიტიკური პარტია დამასახელებს, როგორც დეპუტატობის კანდიდატს. მოგესხენებათ, რომ თუ ადრე, საინიციატივო ჯგუფს შეეძლო წარედგინა არჩევნებზე დეპუტატობის კანდიდატი, კანონმდებლობაში შესული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, ახლა ამის უფლება პოლიტიკურ პარტიას ან გაერთიანება-ბლოკს ენიჭება...

— შესაძლებელია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარგადგინოს გლდანის მაჟორიტარო?

— პარტიაში რომ წარმადგინოს, ეს ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალებაა, ხოლო რომელი პარტია იქნება ეს, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის. რომელიმე პოლიტიკური პარტიის სახელი არ უნდა იყოს გაიგივებული სალანძღავ სიტყვასთან. დაიღალა ხალხი ერთმანეთისადმი ასეთი დამოკიდებულებით. ჩვენში ძალიან გამძაფრებულია „მოზიციან“-ოპოზიციის ცნება, არადა, ყველამ ვიცით, რომ ერთ მხარესაც არიან კარგი ადამიანები და მეორე მხარესაც. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ შემართებით, სიმართლით, სიაღალითა და პრინციპულიობითა შესაძლებელი ხალხისათვის სასიკეთო საქმის კეთება.

— წინასაარჩევნო კამპანია ფაქტობრივად, დაწყებული გაქვს...

— საარჩევნო კამპანიის ფარგლებში

შევხვედები ამომრჩევლებს, ვიქნები მათთან აბსოლუტურად გულწრფელი. როდესაც ადამიანი ტყუის, ეს ძალიან ადვილად შესამჩვევია. შევთავაზებ მათ ჩემს კანდიდატურას, დასკვნები კი თავად გამოიტანონ. მეგობრებთან ერთად ვმუშაობ საარჩევნო პროგრამაზე. გლდანი დიდი და სპეციფიკური რაიონია, ის ფაქტობრივად, ერთი პატარა ქალაქია, სადაც ყველა უბანს თავისი პრობლემა აქვს. სოფელ გლდანში მოუნესრიგებელია წყლის სისტემა, მუხიანის აგარაკებზე წყლისა და საკანალიზაციო მილებია მისახედი, მუხიანის სამხედრო დასახლებაში გზა გასაკვალი და დასაგებია. სხვა სახის პრობლემებიც არსებობს გლდანში, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია — ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა. უნდა მოხდეს რაიონში არსებული რესურსების შესწავლა და გამოყენება. გლდანს დიდი პოტენციალი აქვს, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ამომრჩეველთან ერთად, საინტერესო რაღაცების გაკეთებას შევძლებ. ერთ საინტერესო დეტალს გაგიხვლით ჩემი საარჩევნო პროგრამიდან: იმისათვის, რომ ჩემი, როგორც დეპუტატის მუშაობა უფრო ეფექტური იყოს, უნდა შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, სადაც გლდანის განვითარების ფონდის წევრები გაერთიანდებიან. ესენი იქნებიან ჩვეულებრივი გლდანელები, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი ადამიანები და მათთან ერთად მოხდება ყველა არსებული პრობლემის განხილვა.

— როგორ ფიქრობ — პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობისას, პრეზიდენტთან მსგავსება დაგეზმარება თუ პირიქით, შესაძლოა, ხელის შემშლელი აღმოჩნდეს?

— ვინ იცის? ზოგმა შესაძლოა, ეს დადებით მხარედ ჩამითვალოს, ზოგმაც — უარყოფითად. პრეზიდენტთან მსგავსების გამო, ბევრი დაუშმსახურებელი კრიტიკა ამიტანია, როგორმე ახლაც ავიტან. ერთი კი ვიცი: როგორი მამუჯაც აქამდე ვიყავი, ისეთივე დავრჩები დეპუტატად არჩევის შემთხვევაში. დასასრულს, ნაპოლეონის სიტყვებს მოვიშველებ: „მთავარია, ბრძოლაში ჩაება, დანარჩენი მერე გამოჩნდება“...



# „მაჯა გამისინჯა და აღმოჩნდა, რომ ცოცხალი ვიყავი“...

„თავზე მსხვილი ქალი დაეხსა... უფსზე ვეღარ ავლავი“...

„მ აპრილის დამეს ქალაქ თბილისში, მთავრობის სახლის მოედანზე, ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი, სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიგიდან. წარმოქმნილი ქყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი“, — ასე შეფასდა 19 წლის წინ, რუსი სამხედროების მიერ დარბეული საპროტესტო აქცია, რომელზეც ადამიანები საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. დღეს 9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა ერთადერთი საკითხია, რომელზეც ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები არასოდეს დაობენ და ერთმნიშვნელოვან პოზიციას აფიქსირებენ. ამ დღესთან დაკავშირებულ მოვლენებზე სასაუბროდ, ეროვნული მოძრაობის ის წარმომადგენლები მოვიწვიეთ, რომლებსაც დღევანდელ პოლიტიკაში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები და ინტერესები აქვთ.



## ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ირაკლი, როგორც 9 აპრილის აქციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და დაზარალებული, როგორ გაისწვებთ ამ დღეს? **ირაკლი გათიასვილი:**

— 9 აპრილს გამართული საპროტესტო აქციის ორგანიზატორები, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად, მე და ირაკლი წერეთელიც ვიყავით. როდესაც მიტინგის დარბევა დაიწყო, მე ხალხში ვიყავი გასული. ვხედავდი, რომ რუსი სამხედროები ხალხს ბალახივით ცელავდნენ. ჩემ გარშემო ქალები იდგნენ და თავს გაქცევის უფლება

ვერ მივეცი. როდესაც ჯარისკაცები მომიხლოვდნენ, ჯერ თავში მირტყეს ხელკეტები, მერე დაბლა დამაგდეს და ისე მცემეს. შემოდან სხვა დაჭრილი და გულწასული ადამიანებიც დამეცნენ და გონიც დავკარგე... როდესაც აზრზე მოვედი, უკვე მედუნიქტში ვიყავი (რომელიც იქვე, „ცისფერ გალერეაში“ იყო გახსნილი). დღეს ცოცხალი რომ ვარ, ცხონებული მიშა კრიხელის დამსახურებაა. თურმე, როცა რუსი სამხედროები მოედანს ასუფთავებდნენ და გვამებს ცალკე აწყობდნენ, მეც გარდაცვლილებს შორის მომათავსეს. როდესაც ბატონმა მიშამ დამინახა, შემთხვევით მაჯა გამისინჯა და აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი... მართალია, ამ დღეს უდიდესი ტრაგედია მოხდა და 21 უდანაშაულო ქართველი მოგვიკლეს, მაგრამ სანაცვლოდ, უდიდესი პოლიტიკური და მორალური გამარჯვება მოვიპოვეთ. საქართველოში სწორედ ამ მოვლენის შემდეგ გახდა შეუქცევადი, კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

— **საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ 9 აპრილის აქცია აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას მოჰყვა.** თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— კრემლის პროვოცირებით, აფხაზმა სეპარატისტებ-

მა სოფელ ლიხნში ყრილობა ჩაატარეს და ანტიქართული რეზოლუცია მიიღეს. მაშინ აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო ადღეიბა, რომელიც კრემლისა და საბჭოთა უშიშროების დავალებებს უშუალოდ ასრულებდა. მე და ირაკლი წერეთელი აფხაზეთში ჩავედით და მიტინგები გავმართეთ. ამის პარალელურად, თბილისშიც დაიწყო ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები. ჩვენი ერთობლივი მოთხოვნა — სეპარატისტებისა და მათი წამქეზებლების დასჯა იყო. კომუნისტური ხელისუფლება საპროტესტო აქციების მსვლელობას ხელს არ უშლიდა. მას აფხაზებისა და ქართველების ურთიერთდაპირისპირება წინასწარ ჰქონდა განზრახული. იმედოვნებდნენ, რომ საქართველოში ყარაბაღის მსგავსი პროცესები დაიწყებოდა და ჩვენ მსოფლიოს წინაშე ეთნიკური წმენდის მცდელობაში დაგვადანაშაულებდნენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა გადაწყვიტეთ, რომ აქციების მიმართულება შეგვეცვალა და მთავარ ღონისძიებად გამოვიტანეთ — „ძირს საბჭოთა იმპერია!“, „მოვიტხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას!“ თუმცა აფხაზეთის პრობლემას აქტუალობა არ დაუკარგავს.

— **დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორ ფიქრობთ — გამართლებული იყო სეპარატისტებთან ასეთი მეთოდებით დაპირისპირება?**

— ჩვენ მიერ აღებული გეზი სრულიად გამართლებული იყო. ამ აქციების წყალობით, მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველო



9 აპრილს გამართული საპროტესტო აქციის ორგანიზატორები, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად, მე და ირაკლი წერეთელიც ვიყავით

9 აპრილის შემდეგ ყველა შიმშილობამ კომიკური ხასიათი მიიღო



რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული და ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა.

**ირაკლი წერეთელი:**

— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ამბობდნენ, რომ საჭირო იყო გარდამავალი პერიოდი და მიიჩნევდნენ, რომ საქართველო, რუსეთთან ერთად, კონფედერაციაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ 9 აპრილმა საერთოდ დაამსხვრია ყოველგვარი კონფედერაციის გეგმა და სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეამ გაიმარჯვა. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია და ვამაყობ, რომ 9 აპრილს მოვლენების ცენტრში ვიყავი.

**— აქციის დარბევის დროს სად იმყოფებოდით?**

— როდესაც დარბევა დაიწყო, სხვებთან ერთად, უკან დავიხიე. ხელკეტებისა და ნიჩბებისათვის თავი ნამდვილად არ შემიშვერია. მახსოვს, რომ თავზე ერთი მსხვილი ქალი დამეცა, მისი გადანევა მოვარხერხე, მაგრამ ფეხზე ველარ ავდექი. სხვათა შორის, ზედახორიდან რუსმა ჯარისკაცმა ამოიყვანა. როგორც ჩანს, მათ შორისაც იყვნენ ადამიანები.

**— დარბევის დანებებამდე, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ აქციის დაშლისაკენ მოგიწოდათ. ხომ არ ნანობთ, რომ არ დაუჯერეთ?**

— არა. უწმინდესსა და უნეტარესს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ ბრძოლის დროს, ეპისკოპოსებსა და პატრიარქებს კი არა, სარდლებსა და ლიდერებს უჯერებენ. მღვდელს ეკლესიაში უნდა დავუჯეროთ... მაშინ ჩვენ ეროვნული თავისუფლებისათვის ვი-

ბრძოდით და ხალხმა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი ბათიაშვილს და თქვენს მეგობარს, ირაკლი წერეთელს დაუჯერა...

**— მაშინ თქვენ შორის აზრობა სხვადასხვაობა თუ იყო?**

— არა, მაშინ მთელი ერთი კონსოლიდირებული იყო. ასეთი ერთიანი საქართველო იმის შემდეგ აღარასოდეს ყოფილა.

**— არც შარშან 7 ნოემბერს?**

— არც 7 ნოემბერს. ერისათვის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე დაიდი მიზანი არ არსებობს. საქართველო რომ დამოუკიდებელი

**— 7 ნოემბერს თქვენც ეროვნულ საბჭოსთან ერთად იყავით.**

— ეროვნულ საბჭოსთან კი არა, სამართლიანობისათვის მეტბრძოლ ქართველ ერთან ერთან ვიყავი. ეროვნულ საბჭოში სახალხო მოძრაობის წარმომადგენლები არიან, მე — ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ვარ და არასოდეს გავხდები სახალხო მოძრაობის წევრი. ჩემთვის ხალხი ბრბოა, ერთი კი — იდეალი, რომლის გულისთვისაც სიცოცხლეს გავწირავ.

**— ეროვნული საბჭოს წევრების მიერ გამართულ შიმშილობის აქციაზე რას იტყვიან?**

**ბრძოლის დროს, ეპისკოპოსებსა და პატრიარქებს კი არა, სარდლებსა და ლიდერებს უჯერებენ**

ქვეყანაა, ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამსახურებაა. დღევანდელი აქციების მიზანი არც დამოუკიდებლობის მოპოვებაა და არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აქ ლაპარაკია დღევანდელი უფარგისი ხელისუფლების უკეთესით შეცვლაზე. ესეც კარგი მიზანია, მაგრამ ამ მოვლენების შედარება ისევე არ შეიძლება, როგორც ღმერთისა და ეშმაკისა.

— 9 აპრილის შემდეგ ყველა შიმშილობამ კომიკური ხასიათი მიიღო (შემდგომ შიმშილობებსაც ასე ვაფასებ). არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ შიმშილობა ღირსეულად დამთავრებულიყოს ანუ — ვინმე მომკვდარიყოს.

**— შიმშილობის შედეგად არც 9 აპრილს მომკვდარა ვინმე...**

— მართალია, მაგრამ ჩვენ მიზანს მივაღწიეთ და საქართველოს დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ.

**— შარშან, სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნითაც შიმშილობდით, მაგრამ არ გადადგა. აქცია რატომ შეწყვიტეთ?**

— იმიტომ, რომ საზოგადოებამ სოლიდარობა არ გამოიქცხადა. შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით სამჯერ ვიშმშილე, მაგრამ არავინ გამოემხმაურა. ძალიან ადვილია შიმშილობა, როდესაც რუსთაველის გამზირზე ხარ „ნამოპლაკული“ და ხან ჟურნალისტები გაკითხავენ, ხან პატრიარქი მოდის. როდესაც ციხეში ხარ გამომწყვდეული და კაციშვილი არაა შენი მომკითხავი, მაშინ უნდა ჩაატარო ასეთი აქცია. დოდო გუგუშაშვილმა 20 დღე უწყლოდ იშმშილა. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან გამიხარდა, ეროვნული საბჭოს წევრებმა პატრიარქს რომ დაუჯერეს და სააკაშვილს თავი არ შეაკლეს. ეს ბიჭები სასიკვდილოდ ნამდვილად არ მემეტებიან. ძიდიგური სკოლის მერხიდან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ზვიად გამსახურდიასაც



1988 წლის ნოემბრის შიმშილობა

ამ აქციების წყალობით, მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველო რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული



ბოლომდე უერთგულა. გია თორთლაძე ჯომოლუნგმაზე ავიდა და ქართველები გვასახელა. გოგა ხაინდრავამ მერე მიქარა რაღაცები, თორემ იცით, რა ვაჟუცურად იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის?!

**დოდო გუგუაშვილი:**

— 1989 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახლდით და ძირითადად, დასავლეთ საქართვე-

საპროტესტო აქციას ვმართავდით, ჩვენს მახლობლად, ბათუმიდან მომავალი, სამხედრო ტექნიკით დატვირთული რამდენიმე მანქანა ჩამოდგა. გაჩერების მიზეზი ვკითხეთ და გვიპასუხეს, — რაღაც დაგვიზიანდა, შევაკეთებთ და დავიძვრებითო. ეს „შეკეთება“ საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. არა მგონია, ეს უბრალო დამთხვევა ყოფილიყო... მეორე

## შეგარდნაძის გადადგომის მოთხოვნით სამჯერ ვიშიმშილე, მაგრამ არავინ გამომეხმარა

ლოში, აჭარა-გურიის ბიუროში მიწევდა მუშაობა. საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია გვექონდა. თბილისში დაწყებული საპროტესტო აქციების პარალელურად, ლანჩხუთში ვმართავდით მიტინგებს. ერთხელ, მიტინგის შემდეგ, ქობულეთისაკენ გავემართეთ. შესასვლელთან ჩვენი მეგობარი დაგხვდა და გვითხრა, — მთელ ქობულეთში შუქი გამორთეს, მეგაფონები ჩამოგვართვეს და აქციის ჩატარების უფლებას არ გვაძლევდნენო. უკან მაინც არ დავიხიეთ, ბიჭებმა შავი „გაზ 24“-ის სასურავზე შემსვეს და მიტინგი იქიდან წარმართე. მისი დასრულებისთანავე დამიჭირეს. ამის შესახებ გაიგო თუ არა კობა ხაბაშმა (ის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო), მაშინვე მილიციაში მოვიდა და სხვა ეროვნულ ლიდერებთან ერთად, ჩემი გათავისუფლება მოითხოვა. სამი დღის შემდეგ მართლაც, გამათავისუფლეს... 9 აპრილს ლანჩხუთის ცენტრში

დღით ანუ 10 აპრილს, თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია მივიღეთ და აქცია შევწყვიტეთ. მართალია, თითოეული ჩვენგანის თავზე ძალიან ბევრმა ქარიშხალმა გადაიარა, მაგრამ ის დღეები ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს, იმიტომ, რომ მთელი ქართველი ერი ერთ მუშტად შეკრული ვიყავით.

### ლუკან გაიპაატაშვილს!

ჩემო პატარა ლუკან, გილოცავ დაბადების დღეს, სამშობლო საქართველოდან გაიღვინი უამრავ სიკეთეს. ღმერთმა გაკურთხოს, ბებია, იყავ დღეგრძელი მარადის, გაიზარდე და იმრავლე, ღმერთი გფარავდეს მარადის.

შენი საყვარელი ბებიის თამარი

### — მშრალი შიმშილობა რა მიზეზით დაიწყო?

— ეს მოგვიანებით იყო. 1995 წელს დამიჭირეს და ეს ფაქტი გავაპროტესტე. პირველი დღიდანვე მშრალი შიმშილობა გამოვაცხადე. სხეული ერთიანად დამისივდა, კანი გამომიშრა და დამისკდა. როდესაც ჩემმა ადვოკატმა, გულიკო გაბაიძემ დამინახა, ცრემლები წამოუვიდა... მეოცე დღეს წვეთოვანი დამიდგეს და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ მომათავსეს, რომლებიც ზენარს ასველებდნენ და სხეულზე მახვევდნენ, იმისათვის, რომ კანის ზედა შრიდან ორგანიზმში სინესტეს შეეღწეო.

### — ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება რამ მიგაღებინათ?

— ისეთი ცხოვრება მაქვს გამოვლილი, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ჩემთვის ძნელი სულაც არ ყოფილა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჯერ კიდევ მაშინ ჩავები, როდესაც ქართული ენის არსებობას საფრთხე დამეუქრა. ამ აქციაში ჩემი ორსული რძალიც ჩაება. მახსოვს, ერთმა ქალბატონმა შინ წასვლა ურჩია, მან კი ასეთი პასუხი გასცა: მე მუცლით ქართველ ბავშვს ვატარებ და მინდა, ქართველად გაიზარდოს. ჩემს შვილს „დედაენა“ ქართულად უნდა შევასწავლოო. საოცარი პერიოდი იყო, ჩვენ შორის სრული ერთიანობა და თანხმობა სუფევდა. ერთიანი ვიყავით, როდესაც ვითხოვდით, რომ ქართველ ბიჭებს რუსეთის საოკუპაციო ჯარში არ ემსახურათ, რომ ქართველ პატიმრებს სასჯელი საქართველოს ციხეებში მოეხადათ. გულწრფელებიც ვიყავით. დღევანდელი აქციის მონაწილეებისაგან გასხვავებით, ჩვენ არავინ გვაფინანსებდა. პირიქით, მიტინგებისთვის საჭირო ატრიბუტიკას სახლიდან მოტანილი ფულით ვყიდულობდით. პირადად მე, რამდენიმე ოქროს ბეჭედი გავყიდე იმისათვის, რომ მეგაფონი შეგვეძინა.



სოფო ჭონიძე

ქართული სტილი - ზოგა ჩანაღირი რესპონდენტი - ირმა შარიძაძე

— ირმა, როგორ ხარ, თავს როგორ გრძნობ?

— არაჩვეულებრივად. ძალიან ბედნიერი ვარ. რამდენიმე დღეა, რაც ბაკურიანიდან დავბრუნდი, სადაც ბევრი ვისრიალე, კარგი დრო გავატარე. ამას დაემატა ისიც, რომ 29 მარტს სერიოზული პერსონალური გამოფენა გავხსენი.

— მართლაც, საინტერესო გამოფენა გამოგივიდა. შენ საუკეთესო სტუდიური ფოტოგრაფი ხარ, ამ სფეროში პირადად მე, დამკვიდრება ვერ შევძელი.

— დიდი მადლობა. ამ გამოფენისთვის დიდი ხანი ვემზადებოდი. მინდა, ყველა იმ ადამიანს, ვინც პროექტის წარმატებით განხორციელებაში დამეხმარა, მადლობა გადავუხადო. პირველ რიგში, მერიის კულტურის სამსახურსა და ჩემს მეგობრებს ვგულისხმობ. გამოფენაზე წარმოვადგინე კოლაჟები, სერია მხატვრებთან, ტილოზე დაბეჭდილი ფოტოები, რომლებზეც სამმა მხატვარმა იმუშავა. უახლოეს მომავალში, სწორედ ამ თემაზე ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას და ამით ქართულ ფოტოგრაფიაში განსხვავებულ სიტყვას ვიტყვი. ამავე გამოფენაზე ჩემი პერსონალური საიტის პრეზენტაციაც შედგა.

— ქალი და ფოტოგრაფია, შენი აზრით, ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს?

— მიმაჩნია, რომ ქალს და მამაკაცს სამყაროს აღქმის განსხვავებული უნარი აქვთ. ქალი საინტერესო ჰარმონიაშია როგორც ფოტოგრაფიასთან, ასევე — კინემატოგრაფიასთან. სხვათა შორის, მომავალში სწორედ ამ სფეროში ვაპირებ ძალების მოსინჯვას.

— ანუ კინორეჟისორობა გადაწყვიტე?

— დიახ. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ვიმსახიობებ. მსახიობობა და რეჟისორობა ჩემი ბავშვობის ოცნებაა.

— ისე ლაპარაკობ, რომ დარწმუნებული ვარ, საოცნებო როლიც გაქნება?

— საოცნებო როლი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი ის, თუ რა თემაზე უნდა გადავიღო ფილმი. ეს იქნება დედისა და შვილის ურთიერთობა...

— ირმა, შენს ფოტოებში ქალ პერსონაჟს დიდი ადგილი უჭირავს. ამას რითი ახსნი?

— მიმაჩნია, რომ ქალში არის რაღაც საინტერესო და იდუმალი. ქალი ამოუწურავი ფენომენია. ფოტოგადა-

# ორი სწოხილი ფოტოსალონი ერთმანეთის პირისპირ

რამდენიმე დღის წინ, ფოტოსალონებში ირმა შარიძაძემ პერსონალური გამოფენა მოაწყო, სადაც ძირითადად, შვეთური და ფერადი ფოტოკოლაჟები, ასევე — ექსპერიმენტული სერია წარმოადგინა. ქალბატონი ირმა „შურნალისტიკის როლში“ ფოტოსალონის გოგა ჩანაღირს შეეხვედრეთ, რომელიც აფრიკული მოგზაურობიდან სულ ახლახან დაბრუნდა. ფოტოსალონებში ინტერვიუს ბოლოს აღნიშნეს, რომ მათთვის შურნალისტიკის როლში ყოფნა ძალზე საინტერესო იყო.



# ანუ რაუი მდგომარეობს ფოტოს გალაზის სილუა

ლებებისას მისი გარეგნული, ესთეტიკური ფორმა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. არ არის აუცილებელი, ქალი ახალგაზრდა იყოს. მთავარია, ჰქონდეს ისეთი სიბილი, რომ მისი შინაგანი სამყაროს გახსნის სურვილი გამიჩნდეს.

— შენი ჩაცმულობით თუ ვიმსჯელებთ, 50-60-იანი წლების მოდა მოგწონს. რამდენადაც ვიცი, სტუდიური გადაღებების დროს, ბევრი კოსტიუმის ავტორი თავად ხარ. დიზაინერობასაც ხომ არ აპირებ?

— ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია, მაგრამ ჩემს გარდერობში საკუთარი დიზაინით შექმნილი კოსტიუმები ჭარბობს. ვერ წარმომიდგენია, მთელი კვირა ჯინსით და ბოტასებით როგორ უნდა ვიარო. თუმცა, არ უარვყოფ, რომ გადაღებების დროს, ასეთი ჩაცმულობა ძალიან კომფორტულია. ქალი ყოველთვის ლამაზად და მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს. სამწუხაროდ, ქართველი ქალების უმრავლესობა ამაზე დიდად არ ზრუნავს. იმისთვის, რომ თავი კომფორტულად ვიგრძნო, მთავარია, კარგად გამოვიყურებოდე.

— თავის მოვლას დიდ დროს უთმობ?

— საკმაოდ. ჩემთვის უპირველესი საქმე ეს არის.

— ისე, ძალიან მზარული და დარდიმანდი ადამიანი ხარ...

— კი, ნამდვილად ასეა. მაგრამ მაქვს პერიოდები, როცა სულ ძილი მინდა, ზოგჯერ კი ისიც შემიძლია, დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე ვიმუშაო და ეს 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდეს.

— რამდენიმე წლის წინ, ანა ჯაკს კლიპი გადაუღე. შენმა ექსპერიმენტმა გაამართლა. ამის შემდეგ, გადაღებები რატომ არ გააგრძელებ?

— ამ საქმის გაგრძელებას ვაპირებ, მაგრამ ამისთვის დრო მჭირდება. მე მაქსიმალისტი ვარ და რასაც გავაკეთებ, მინდა, ხარისხიანი იყოს.

ქართული სტილი - ირმა შარიძაძე რესპონდენტი - ზოგა ჩანაღირი

— გოგა, შენი ნახვა ძალიან მისარია. ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ და კარგი მეგობრებიც ვართ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მრავალმხრივ განათლებული ადამიანი ხარ. მუშაობისას საკუთარ თავს არ ზოგავ. ვიცი, ახლახან აფრიკიდან დაბრუნდი. მოდი, შენი

**მოგზაურობის შესახებ მოგიყვები.**

— მადლობა იმისთვის, რომ ამდენი კომპლიმენტი მიმხარია. მეც ძალიან მიყვარხარ და დიდ პატივს გცემ, როგორც ნიჭიერ შემოქმედს. შენ ის ადამიანი ხარ, რომელსაც აფრიკაში გადაღებულ ფოტოებს პირველს, სიამოვნებით ვუჩვენებდი. აფრიკის ფლორამ, ფაუნამ, მზემ, ცამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. იქ ისეთი სილამაზეა, ფოტოგრაფიც რომ არ იყო, მაინც კარგ სურათებს გადაიღებ. გარდა იმისა, რომ ამ ქვეყანაში შესანიშნავი გარემოა, საინტერესო ხალხიც ცხოვრობს. აფრიკის 4 ქვეყანაში ვიმოგზაურე. ამჯერად, ისეთი ქვეყნები ვნახე, სადაც არასდროს ვყოფილვარ. ამ მოგზაურობისას ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ კენიაში, ადგილობრივი მოსახლეობა ფოტოს გადაღებაში ფულს მთხოვდა.

**— მაინც, რა თანხას ითხოვენ?**

— თითო ფოტოში, ლარებში რომ გადავიყვანოთ, დაახლოებით, 70-80 თეთრს. ფული მხოლოდ 4-5 ადამიანს გადავუხადე და ისიც იმიტომ, რომ ძალიან ლამაზი, საუცხოო კოსტიუმები ეცვათ. როცა ფული ერთს გადავუხადე, ყველა დამესია და უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი (იციინის).

**— ღირსშესანიშნავი ადგილების გადაღებაც ფასიანი იყო?**

— არა, ამ შემთხვევაში ფულის გადახდა არ მიწევდა.

**— გოგა, აფრიკის სოფლებზე რას მეტყვი?**

— სწორედ სოფლებში დავდიოდი. მაინტერესებდა, იქაური ხალხი როგორ ცხოვრობს... მოსახლეობას ძალიან უჭირს. იქ სისუფთავეს პირველ ადგილზე აყენებენ და შესაბამისად, დანაგვიანებულ ტერიტორიებს ვერსად ნახავ.

**— მათი სამზარეულო თუ მოგეწონა?**

— იქაური კერძების გასინჯვას ძალიან ვერიდებოდი, რადგან წყლის პრობლემის გამო, ჰიგიენის ნორმების დაცვას სათანადოდ ვერ ახერხებენ.

**— აბა, რას ქამდი, მშვიერი ხომ არ იყავი?**

— რესტორნებში შევდიოდი, სადაც ზღვის პროდუქტების დიდი ასორტიმენტი იყო. მათი ტრადიციული კერძები, სიმართლე გითხრა, არ დამიგემოვნებია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთხელ, კუს ხორცის წვნიანი მივირთვი, რომელსაც ცუდი სუნის ჰქონდა, მაგრამ გემრიელი იყო. მისი

ფასი დაახლოებით, 8 დოლარი გახლდათ.

**— შენი მოგზაურობა ვინ დააფინანსა?**

— არავინ, საკუთარი თავი თავადვე დავაფინანსე.

**— იქ გადაღებულ ფოტოებს რა მიზნისთვის გამოიყენებ?**

— ჩემი აფრიკაში მოგზაურობის მთავარი მიზანი ის იყო, რომ შემოქმედებითად გავიზარდო და წინ წავიდე. ვმოგზაურობ იმიტომ, რომ მსოფლმხედველობა გავიფართოო. აფრიკის სოფლებში ენ. „ტრანსგალექით“ დავდიოდი, რომლის დილიდან საღამომდე ქირაობა საოცრად იაფი ღირდა. სიმართლე გითხრა, რაღაც რაღაცებზე გული დამწყდა. მაგალითად, იმაზე, რომ ჩვენგან განსხვავებით, იქაური მოსახლეობა ერთჯერად ცელოფანის პარკებსა და პლასტიკის ბოთლებს ქუჩაში არ ყრის.

**— აფრიკელი ფოტოგრაფები ხომ არ გაიცანი?**

— აფრიკელები არა, მაგრამ ბევრი უცხოელი ფოტოგრაფი მხედებოდა, თუმცა მათთან სასაუბროდ დრო ნამდვილად არ მქონდა. იქ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ საინტერესო არაფერი გამომჩნენოდა, სულ მობილიზებული ვიყავი.

**— გოგა, სამომავლოდ რას აპირებ?**

— უახლოეს მომავალში გამოფე-

აფრიკის ქვეყნებმა მოახდინა, მათ შორის კი ტანზანიას გამოვყოფდი. იქ დიდხანს ვიყავი და საოცარი ადგილები ვნახე. ვიყავი კუნძულ ზინგიბარიზე ანუ იქ, სადაც ფრედი მერკური დაიბადა. სხვათა შორის, ყველაზე საინტერესო ფოტოები სწორედ ამ კუნძულზე გადავიღე. ურთიერთობა მქონდა მასაის ტომთან.

**— მათ რომელ ენაზე ელაპარაკებოდით?**

— იქ ინგლისურად ლაპარაკი ყველას შეეძლო. ასე რომ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ მქონდა.

**— მათთან ლამეც ხომ არ გაგითვია?**

— არა, რადგან ეს შეუძლებელია და თანაც — სარისკოც. იქ უამრავი, მალარიის გადამტანი კოლოა, რომელიც ადგილობრივებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ უცხო ქვეყნიდან ჩასულებსთვის ამ მწერების კბენა ძალზე საშიშია. კოლოები ძირითადად, ღამე გამოდიან. ამიტომ, დაღამებამდე სასტუმროში უნდა ვყოფილიყავი. სხვათა შორის, აფრიკიდან დაბრუნებულმა სამედიცინო შემონმება გავიარე. საბედნიეროდ, ყველაფერი წესრიგში მაქვს.

**— მიხარია, რომ უფლებელი დაბრუნდი. რომელია შენთვის საყვარელი ფოტოუნარი?**

— ძალიან მიყვარს და მომწონს რეპორტაჟული ფოტოგრაფია. გადაღებული მაქვს უამრავი დოკუმენტური ფოტო, რომლებიც წლების შემდეგ, მეცნიერებსა და მკვლევრებს გამოადგებათ. ისე, ფოტოგრაფია ცოტა თავსებდური პროფესია — შეიძლება, ადამიანის ცხოვრებაში მას შინ შეიჭრას, როცა მას ეს ნამდვილად არ უნდა. ამ შემთხვევაში, პაპარაცულ ფოტოგრაფიას ვგულისხმობ.

**— პაპარაცული ფოტოები თუ გადაგიღია?**

— ნაკლებად. პაპარაცებს ვარსკვლავების, პოლიტიკოსების ინტიმური და ინტრიგანული ფოტოების გადაღება აინტერესებთ, რაც ხელოვნება კი არა, ბიზნესია.

**— რამდენიმე დღის წინ, შენ საინტერესო აქცია მოაწყვე...**

— სულ რაღაც 20-კაციანი ჯგუფი ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე ავედით და იქაურობა დავასუფთავეთ. 100 ტომარა ნაგავი მოვავროვეთ. ყველაფერი დაბინძურებული იყო, რაც პირადად მე, ძალიან მანუხებს, მაგრამ ვიცი, რომ ეს გამოუსწორებელი პრობლემაა.



მე მაქსიმალისტი ვარ და რააც გაგაკეთებ, მინდა, ხარისხიანი იყოს

ნის მოწყობა მინდა, იერუსალიმში მოგზაურობის თემაზე. იქ შარშან, აღდგომას გახლდით და უამრავი კარგი ფოტოც გადავიღე. ამის შემდეგ კი, აფრიკაში გადაღებული ფოტოების გამოფენასაც მოვანწყობ.

**— აფრიკაში სულ რამდენი ფოტო გადაიღე?**

— დაახლოებით, 2000.

**— გოგა, უამრავ ქვეყანაში ხარ ნამყოფი. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რომელმა მათგანმა მოახდინა?**

— ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება

# წინააღმდეგობაში წასვლა ნაპოვნი მიზანად გზაზე და სავანის სისტემა განწყობილობაში

ხათუნა ბახტურიძე  
ლალი კაკასკირი

„კარგა ხანია ხვდებიან, რომ გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლად იქცნენ“

**ზურაბ აბაშიძე**, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი:

— დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლება სიბეცეს არ გამოიჩინებს და საკუთარი ქვეყნისთვის თვითდამანგრეველ ნაბიჯს არ გადადგამს. სეპარატიზმი რუსეთისთვის არანაკლებ საშიში მოვლენაა, ვიდრე საქართველოსთვის. თითქმის დღე არ გავა, რომ ჩრდილო კავკასიაში რაიმე სერიოზული ინციდენტი არ მოხდეს. ჩვენთვის კონფლიქტი ჯერ ბოლომდე არ ჩამცხრალა. ამიტომ კავკასიის რომელიმე კუთხეში სეპარატიზმის წახალისება რეგიონის ყველა ქვეყნისთვის უალრესად სახიფათოა. კავკასია ერთი მთლიანი ორგანიზმია და რომელიმე წერტილში შეტანილი „ინფექცია“ ამ „სხეულის“ სხვა ნაწილებს უქვეყლად გადაედება. კრემლს 1992-93 წლებში აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერა ბუმერანგივით დაუბრუნდა — ჩვენთვის განვითარებული მოვლენების სახით. ახლაც იგივე მოხდება — ასეთი დასკვნის გამოსატანად, წიგნების კითხვა საჭირო არაა. ამიტომ ვფიქრობ, არსებულ საფრთხეებს კრემლში კარგად აცნობიერებენ და ხვდებიან, რომ მათი მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთს პერსპექტივაში, მძიმე შედეგებს მოუტანს. როგორც ჩანს, რუსეთი ამ თემით მანიპულირებს. ერთი მხრივ, გახლავთ პასუხი კოსოვოს მოვლენებზე, მეორე მხრივ — თვით აფხაზეთში გარკვეული პროცესების დაჩქარების მცდელობა.

— აფხაზეთის ეკონომიკურ ანექსიას გულისხმობთ?

— არა მარტო ეკონომიკურ ანექსიას. რუსეთში გარკვეული ძალები დიდი ხანია, ფიქრობენ აფხაზეთის დემოგრაფიულ „ათვისებაზე“, რაც ნესით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემამოფრთხილებელი უნდა იყოს.

— თუ მოსკოვი დე ფაქტო რესპუბლიკებს არ აღიარებს, იმდგაცრეფებული სეპარატისტები კრემლს ეკონომიკური და დემოგრაფიული ანექსირების საშუალებას მისცემენ?

— აფხაზეთმა და ოსებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რამდენად შეესაბამება ეს მათ ინტერესებს. ჩემი აზრით, ისინი კარგა ხანია ხვდებიან, რომ გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლად იქცნენ. მაგრამ ისიც ცხადაა, რომ მათ სხვა არჩევანის გაკეთება

ბუქარესტის სამიტი, საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ზე გადასვლის საკითხი, რუსეთის გააფთრებული ბრძოლა ევროატლანტიკური ალიანსის გაფართოების წინააღმდეგ, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პოზიციები და აფხაზეთისთვის მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული წინადადება — აი, ის თემები, რომლებიც ნატოს სამიტის წინააღმდეგ, ორ ქართველ პოლიტიკოლოგთან და მათ აფხაზ კოლეგასთან საუბრისას განვიხილეთ.



უჭირთ. აფხაზეთისთვის მთავარი — უსაფრთხოების გარანტიებია. ქართველებს ისინი არ ენდობიან, დასავლეთის ქვეყნებსაც ეჭვის თვალით უყურებენ. ამიტომ, რომ ძლიერ არიან დამოკიდებული რუსეთზე. ამავე დროს, აფხაზეთში ადგილობრივი მოსახლეობის დემოგრაფიული სურათი აფხაზეთის სასარგებლოდ არ იცვლება: რეგიონი ფაქტობრივად, დაცარიელებულია, ამიტომ იქ სხვა ხალხის გამოჩენა სულაც არ არის გამორიცხვად...

— ნუთუ რუსეთის სათათბიროს წევრები ვერ აცნობიერებენ რისკფაქტორებს, რომელსაც მათივე ქვეყნისთვის სეპარატიზმი შეიცავს?

— მათ გადაწყვეტილებაზე ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა: სეპარატისტთა ლობისტების ზენოლამ, კოსოვოს თემით გალიზიანებამ და ნატოში საქართველოს შესვლის პერსპექტივამ. ჩვენი რუსი კოლეგები ღიად აცხადებენ, რომ სათათბიროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე საპასუხო ნაბიჯია. მაგრამ ჩნდება კითხვა: რუსები დასავლეთის გადაწყვეტილებამ თუ გაანანყენა, საქართველო რაღა შუაშია? კოსოვოში ჩვენ ავურიეთ სიტუაცია თუ იუგოსლავია დავშალეთ?.. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, ახლა რუსეთში გარ-

დამავალი ეტაპია. არავინ იცის, თუ რა აქცენტებს გააკეთებს მედვედევი საგარეო პოლიტიკაში და კერძოდ, მეზობლების მიმართ. მე პირადად ვფიქრობ, რომ ცვლილებები რაღაც პერიოდის შემდეგ აუცილებლად იქნება, რადგან დასავლეთთან დაპირისპირების გაგრძელება რუსეთისთვის აშკარად კონტრპროდუქტიულია. შეიძლება, სოჭის ოლიმპიური თამაშების პერსპექტივამაც შეიტანოს რაიმე პოზიტიური დინამიკა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში, რადგან რუსეთს იქ არასტაბილურობა არ აძლევს ხელს. ყოველივე ამის გამო, სწორედ ასეთ გარდამავალ პერიოდში, რუსეთის პოლიტიკური ელიტის რადიკალური ძალები, აფხაზი და ოსი სეპარატისტები ცდილობენ, მაქსიმალურად ჩამოაშორონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს, რადგან მომავალში ვითარება შეიძლება შეიცვალოს.

— თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ არსებულ ვითარებაში რა ნაბიჯები უნდა გადადგას?

— რეაქცია უნდა იყოს მშვიდი და განონასწორებული. პრინციპში, ქართული მხარე ასეც მოიქცა და ეს სწორია. ამ „ნერვების თამაშში“ საქართველო ჯერჯერობით გამარჯვებული ჩანს საერთაშორისო საზოგადოების თვალში. ამას დასავლეთის მედიის შეფასებებიც ადასტურებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნერვებისა და ემოციების აყოლა. დუმის განცხადების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ნონასწორობიდან ჩვენი გამოყვანა იყო. ამით სურდათ, დაენახვებინათ მსოფლიოსთვის, რომ საქართველო არასტაბილური ქვეყანაა. ყველაფერი პრაგმატულად უნდა გავთვალთ.

— მოსკოვმა თუ მაინც აღიარა დე ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, დასავლეთის პოზიცია როგორ იქნება?

— ამ კითხვას ახლო მომავალში გაეცემა პასუხი.

— თქვენი ვარაუდით, ბუქარესტის სამიტზე, პუტინი რა საკითხებზე გააკეთებს აქცენტს?

— ვფიქრობ, მისი გამოსვლა, მიუნხენის ცნობილ ფორუმზე გაკეთებული განცხადებებისგან განსხვავებით, ნაკლებად იმპერატიული იქნება. მაგრამ პუტინი კიდევ ერთხელ მოახდენს იმის დემონსტრირებას, რომ რუსეთი გაძლიერდა და უალრესად ან-

გარიშგასანევი ქვეყანაა. ის დასავლეთთან კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობისთვის მზად არის, მაგრამ თავის პრინციპულ პოზიციებს არ დათმობს. მისთვის მიუღებელია ევროპაში შეიარაღების ბალანსის დარღვევა, ნატოს შემდგომი გაფართოება, კერძოდ, ალიანსში უკრაინისა და საქართველოს განწევრება — ალბათ ასეთი იქნება პუტინის განცხადების მთავარი თეზისები. მოგეხსენებათ, რომ ბუქარესტის შემდეგ იგეგმება პუტინის შესვედრა პრეზიდენტ ბუშთან სოჭში, სადაც შესაძლებელია, ხელი მოეწეროს ორი წარმავალი პრეზიდენტის ერთობლივ განცხადებას. ალბათ მხარეები შეეცდებიან მოერიდონ სიტუაციის დრამატიზებას და რაც შეიძლება პოზიტიურ ტონალობაში დაამთავრონ აშშ-რუსეთის ურთიერთობათა ეს ეტაპი.

**„პროაფხაზური ბანაკი უკმაყოფილოა რუსეთის პოზიციით“...**

**გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტოლოგი:**

— დავიწყობ იმით, რომ MAP-სა IPAP-ს შორის შუალედური პროგრამა არ არსებობს. თუკი საქართველოსთვის გამოწვევის დაუშვებენ და შუალედურ პროგრამაზე გადაიყვანენ, ეს პროგრესი კი არა, შედეგითი იქნება და იმედი მაქვს, საქართველოს ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის. ამერიკის პრეზიდენტის სურვილის მიუხედავად, არა მგონია, ბუქარესტის სამიტზე საქართველოს საკითხი განიხილონ. ნატოში ჩვენი განწევრების წინააღმდეგ გამოსულ ევროპულ ქვეყნებს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურთ, ამის მიზეზი კი — საგარეო ვაჭრობა, ინვესტიციები და ენერჯეტიკაა. გარდა ამისა, რუსეთში ახლა გარდამავალი პერიოდი ანუ ერთი პრეზიდენტი უკვე წასულია თანამდებობიდან, მეორეს კი მოვალეობის შესრულება ჯერ არ დაუწყია და ამ ქვეყნებს არ სურთ, რუსეთის ახალ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა ცუდად დაიწყოს. თუ საქართველომ თავისი პოლიტიკა სწორად არ წარმართა, ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას უკვე ახალი ლიდერი განაგრძობს. რუსეთის ფაქტორი მართლაც, მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაფრის მისთვის დაბრალბაც არ შეიძლება. მიზნის მიღწევაში მას საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესებიც „ნახებარა“: რომ არა 7 ნოემბერი, შესაძლოა, საქართველოსთვის MAP-ი მიეცათ. ასეა თუ ისე, წლის ბოლომდე, ეს საკითხი რეალურად დადგება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საპარლამენტო არჩევნები ობიექტურად ჩატარდება. რაც შეეხება რუსეთს, — ის იმიტომ შფოთავს, რომ ნატოს გაფართოება მასთან შეუთანხმებლად მიმდინარეობს. საქართველო ვაჭრის ერთ-ერთი რგოლია. მოსკოვი ცდილობს, დაგსაჯოს და სება-

რატისტული რეგიონების რუსეთში ინტეგრაცია დააჩქაროს. ამით არჩევანის წინაშე გვაყენებს: გვიღირს ნატოში განწევრება, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის ფასად? თუმცა ცხადია, რომ რუსეთი იმ რეგიონებს ასე ხელალებით ვერ აღიარებს.

**— თქვენ მადრიდში აფხაზური პოლიტიკის მთავარ იდეოლოგებს შეხვდით, კონკრეტულად ვისთან გქონდათ საუბარი და როგორია მათი პოზიცია?**

— იქ იყვნენ აფხაზური პოლიტიკის მთავარი იდეოლოგები: ნათელა აკაბა, ვიჩესლავ ჩირიკა, ადა ინალიფა, ლიანა კვანცელია და რამდენიმე, ნაკლებად ცნობილი ადამიანი. მათთან შესვედრის მერე მივხვდი, რომ აფხაზეთში ორი ძირითადი პოლიტიკური ბანაკი არსებობს. ერთი — რუსეთთან ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის, მეორე კი — დამოუკიდებელ აფხაზეთზე ოცნებობს. „მესამე ბანაკი“ — ანუ ქართველებთან თანაცხოვრების მსურველები არ არსებობენ. შესაძლოა, არსებობენ, მაგრამ ჩუმად არიან... ყველაზე აქტიური — პროაფხაზური ბანაკია. მისი წარმომადგენლები უკმაყოფილო არიან რუსეთის პოზიციით. რაც შეეხება პრორუსულ ძალებს, — ისინი ცდილობენ, რუსეთის პოლიტიკა გაამართლონ: ამ ეტაპზე, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ გამოდის, მაგრამ ასეთი განცხადებები მაინც სერიოზული ბიძგაო. თავის მხრივ, რუსეთიც ყველანაირად ცდილობს, აფხაზები თავის „კეთილ განზრახვაში“ დაარწმუნოს. სინამდვილეში, დიდი ბრძოლა მიმდინარეობს იმისთვის, რომ როგორმე აფხაზებს დამოუკიდებლობაზე უარი ათქმევინონ. ისინი ამას ეწინააღმდეგებიან: დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით და არა რუსეთთან შესაერთებლადო!.. რუსეთი ჯერ-ჯერობით ახერხებს, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი „ხელში ჰყავდეს“ — იზოლაციაში მოგატყვევო და საქართველოსთან პირისპირ მართო დარჩებით.

**— მიხელ სააკაშვილმა სუპარატისტებს ახალი წინადადებით მიმართა — გაფართოებული ავტონომია და თავისუფალი ეკონომიკური ზონა შესთავაზა, რაც სოჭის ოლიმპიადის ეკონომიკური ალტერნატივა უნდა გახდეს.**

— მართალია, აფხაზი სუპარატისტები დაინტერესებული არიან აფხაზეთის განვითარებით, მაგრამ ახლა ამ პროგრამის

განხორციელება გამორიცხულია, მიზეზი — საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობაა. რუსეთმა ევროპული ქვეყნები განაწყობა ჩვენ წინააღმდეგ და არც სუპარატისტების „მობილიზება“ გაუჭირდება. ამ ეტაპზე სააკაშვილმა აფხაზებს რომ უთხრას, — გამგებლებიც თქვენ იყავით, საპარლამენტო უმრავლესობაც და ქვეყნის დედაქალაქი სოხუმი იყოსო, — მაინც უარს იტყვიან, რადგან რუსეთის ზენოლა ძლიერია. თუმცა ზენოლის მიუხედავად, ისინი გამორიცხავენ რუსეთში ინტეგრაციას, ამბობენ, რომ ევროინტეგრაცია აფხაზეთისთვის ყველაზე მისაღებია.

**— ცნობილია, რომ სოჭის ოლიმპიადის მშენებლობა სუპარატისტებს უზუ-შეგრობის პრობლემას უგვარებს, მაგრამ ამავე დროს, საფრთხეცაც შეიქცა.**


— დიას, რუსეთი ჰპირდება, რომ აფხაზეთში სამუშაო ადგილები შეიქმნება და მოსახლეობას ლუკმაპურის საშოვნელად, სახლ-კარის დატოვება არ მოუწევს. ეს პერსპექტივა მიმზიდველია. თუ ოლიმპიადამდე საქართველომ ნატოში „შეასწრო“, შეიძლება, ფსოუს საზღვარი ოფიციალურად დაიკეტოს, რაც რუსეთისთვის მიუღებელია. აფხაზეთში რუსული ძალების მიერ მართულ ეკონომიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, მოსკოვს სოჭის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო მასალა „კაპიკებად“ გააქვს აფხაზეთიდან, რის გამოც, აფხაზები აღშფოთებული არიან. რუსეთს ქვიშა, ხრეში, ქვა და სხვა საშენი მასალა მხოლოდ სიმბოლურ ფასად გააქვს, რაც სანაპირო ზოლის მოშლას გამოიწვევს. ეს კი ტურისტულ ბიზნესს სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენებს.

**„რუსეთისთვის ცნობილია, რომ აფხაზეთს აქვს ერთადერთი მიზანი — დამოუკიდებელი სახელმწიფო“**

**ნათელა აკაბა, აფხაზი პოლიტოლოგი:**

— ქალბატონო ნათელა, როგორ შეხვდნენ აფხაზეთში პრეზიდენტ სააკაშვილის შეთავაზებას?

— უფრო მართებული იქნებოდა, „საქართველოს პრეზიდენტის“ რომ გეთქვათ... დავიწყობ იმით, რომ იმედი გვქონდა, კოსოვოს დამოუკიდებლობის შემდეგ, აფხაზეთის აღიარების საკითხიც დადგებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, რუსეთმა ისევ დასავლეთს გაუწვია ანგარიში და პატარა ქვეყნის საკითხი უკანა პლანზე გადასწვინა... დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას გზა ეხსნებოდა და ამ შანსს ყველანაირად გამოვიყენებდით. თუმცა ამით ყველაფერი არ დასრულდებოდა. საქართველოს პრეზიდენტის წინადადების პასუხად, აფხაზეთის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს და ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისთვის ნორმალური პირობები შექმნას. მიხელო სააკაშვილი გალსა და



ოჩამჩირეში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას გვთავაზობს, მაგრამ აფხაზეთში ჯერ კიდევ წლების წინ რამდენიმე ქვეყანამ საკმაოდ დიდი ინვესტიციები ჩადო.

— მაგრამ ეს გალსა და ოჩამჩირეს არ ესება: ამ რეგიონებში შესვლას აფხაზებზე კი ეროდებიან...

— დიას, ამ რეგიონებს თავის დროზე, ქართველი პარტიზანები აკონტროლებდნენ და მოსახლეობაში იმ დროიდან შიშა შემორჩენილი. თუმცა, თანდათან მათი დანარჩენ აფხაზეთში ინტეგრირება მანც დინამიკურად მიმდინარეობს. გალში, პრიმორსკოეში ერთ-ერთი თურქული კომპანია სანაპიროს აკეთებს. კეთდება გზებიც. რაც შეეხება დანარჩენ აფხაზეთს, — ინვესტორთა დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით, აქ მუშაობენ თურქები, უკრაინელები და სომხები. აღარაფერს ვამბობ რუსულ კამპიტალზე, რომელიც ქართულ მხარეს ასე აღიზიანებს... მსგავსი პროგრამა ქართულმა მხარემ რამდენიმე წლის წინაც შემოგვთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი.

— ჩემი ინფორმაციით, აფხაზეთის ხელმძღვანელობა თავად სთავაზობდა ასეთ პროგრამას, ოღონდ ერთი პირობით — ქართულ მხარეს აფხაზეთისთვის რუსეთი უნდა ჩამოეშორებინა...

— მსგავსი არაფერი ყოფილა, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შევთავაზეთ — კეთილშეობილი ურთიერთობა, რომლის პირობებშიც, თანამშროლობა და ბიზნესპარტნიორობაც მისაღები იქნებოდა. რუსეთის ჩამოშორება ამ ეტაპზე ხელს არ გვაძლევს, თუმცა არ დაგიმალავთ და მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ, რუსეთთან ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა უფრო დაოუკიდებელი გახდება. ამავდროულად, ჩვენ რუსეთთან ჯანსაღ და ახლო ურთიერთობას შევინარჩუნებთ. პატარა, დამოუკიდებელ ქვეყანას დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერა ყოველთვის სჭირდება.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ენ. აფხაზეთი ფულის მოჭრასაც აპირებთ. თქვენი აზრით, ეს რუსეთს მოეწონება?..

— ამ საკითხზე ჯერჯერობით მხოლოდ მსჯელობა მიმდინარეობს. პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ეს დამოუკიდებლობის აღიარებამდე უნდა მოხდეს, მეორე ნაწილი კი მართებულად მიიჩნევს, რომ ეროვნული ვალუტა მას შემდეგ შემოვიღოთ, რაც აფხაზეთი სრულფასოვანი სახელმწიფო გახდება. ამასთანავე, აფხაზეთში მიმოქცევაში იქნება რუსული რუბლიც, რათა იქაური კაპიტალის შემოდინება თავისუფლად მოხდეს. რუსეთისთვის ცნობილია, რომ აფხაზეთს აქვს ერთადერთი მიზანი — დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ევროინტეგრაციისკენ მიისწრაფვის. შესაძლოა, ჩვენი გეგმა ვილაცისთვის არასერიოზულიც იყოს, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, მსოფლიოში პოლიტიკური შესხედულებები იცვლება და ეს უნდა გამოვიყენოთ.

# "ვიმინდი, სანამ ვიმინდი..." ახლა სიმართლე უნდა ვიმინდი"

## დედინაცვალე გერს ძარცვასა და სეკსუალურ ძალადობაში ადანაზაულას

27 წლის მალხაზ ხარაიშვილს რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, პროკურატურასთან ერთად, საკუთარი ოჯახის წევრც ადანაშაულებს. ქალბატონი, რომელიც წესით, ბრალდებულის მხარეს უნდა წარმოადგენდეს, საქმის მასალებში მიხედვით, დაზარალებულია. ახალგაზრდა, რომელიც მალე მართლმსაჯულების წინაშე წარდგება, დაზარალებულის თქმით, საშიში დამნაშავეა და უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

მალხაზ ხარაიშვილი მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე საათში, საკუთარ სახლში დააკავეს. იქვე გახლდათ დაზარალებულიც, რომელმაც მას პოლიციელების წინაშე, ძარცვასა და სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი. დაკავებულმა განაცხადა, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. ბრალი მან არც დაკითხვისას აღიარა.

ბრალდებული დაზარალებულის გერია. დედინაცვალე ამბობს, რომ გერის ძალადობის მსხვერპლი არავითხელ გამხდარა, მაგრამ ამჯერად მან ყველა ზღვარს გადაბიჯა... საქმის მასალების ხედვით, წარსულში ნარკოტიკებისთვის ნასამართლევი ხარაიშვილი ღამის საათებში, სამსახურიდან შინ მიმავალ დედინაცვალს — რაისა ქავთარაძეს კორპუსთან ახლოს, ბნელ კუთხეში ჩაუსაფრდა; როცა სახლისკენ ფეხით მიმავალი ქავთარაძე შენიშნა, მოულოდნელად მას თავს დაესხა, თავში მიიმე საგანი ჩაარტყა და ნაქცეული ქალი გაძარცვა. ბრალდების თანახმად, წააძრო სამკაულები და მოსტაცა ხელჩანთა, რომელშიც მობილური ტელეფონი და ნაფჭრი თანსა — დაახლოებით 230 ლარი იდო. გატაცებული ნივთები გადაამალა, რის შემდეგაც, ეჭვების გაქარვებისა და ალიბის შექმნის მიზნით, შინ დაბრუნდა. ბინაში დედინაცვალე დაახლოებით 2 საათის შემდეგ, პოლიციის თანხლებით მივიდა...

რანის ძამთარაძე, დაზარალებული:

— ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც გამოძიების მასალებში წერია. ჩემს ჩვენებას სასამართლოშიც გავიმეორებ და სიმართლეს ვიტყვი. ის ჩემი ოჯახის წევრია, მაგრამ რაც ჩაიდინა, არ ვაპატიებ და ხელს არ დავაფარებ. იმ კვირაში ჩემი მუხლები შინ არ იმყოფებოდა, რაიონში გახლდათ წასული. მანაც ამ მომენტით ისარგებლა და როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული განზრახვა შესასრულა. იმასაც

ვეჭვობ, რომ მართო არ მოქმედებდა. საღამოს მეტროს სადგურიდან გამოვედი თუ არა, ვიგრძენი, რომ უკან ვილაც მომყვებოდა. მართალია, იქ ხალხმრავლობაა, მაგრამ ინტუიციით მანც ვიგრძენი, რომ ვილაც სწორედ მე ამედევნა. შიშით, კარგა ხანს, უკანაც ვერ მივიხედე. მერე გავბედე და მალალი, ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა დავინახე. რაღაცნაირად შეცბა და უცებ, ყურთან ტელეფონი მიიტანა. მერე სადღაც შეუხვია. ვეჭვობ, რომ ჩემმა გერმა ის საქმეში სპეციალურად გარია. მე ვერ ვიცნობდი და ამიტომაც, თავიდან ის მომიჩინა, რათა მისგან ინფორმაცია მიეღო. როგორც ჩანს, ის უცნობი, გარეგნობით მიცნობდა. როცა შევამჩნიე, რომ უცნობი გაქრა, ცოტა დავმშვიდდი. ნაბიჯს ავუჩქარე, მინდოდა, რაც შეიძლება მალე მივსულიყავი შინ. უეცრად, უცნიდან ვილაცა დამეტაკა, თავში საშინელი სიმძიმე ვიგრძენი და მომენტალურად, თვალთ დამიბნენდა. მასსოვს, ოდნავ გრძნობა რომ დამიბრუნდა, ვილაცა სხეულზე ხელებს მიფათურებდა. ბოლოს გვერდში წიხლი ჩამარტყა და საშინლად, ბინძურად შემეგინა. მის ხმას მილიონ ხმაში გამოვარჩევდი. ბნელოდა, მაგრამ მისი სილუეტი კარგად დავინახე. გვერდში წიხლი ჩამარტყა და გაიცა. ამ ყველაფრის გასაზრებლად, რამდენიმე წამი დამჭირდა. დავიყვირე — მიშველეთ-მეთქი! არავინ ჩანდა. რადგან სიარული შემეძლო, გადავწყვიტე, მაშინვე განყოფილებაში მივსულიყავი და მომხდარის შესახებ განმეცხადებინა. პოლიციის განყოფილება იქვეა, კორპუსიდან მეორე შესახვევში...

— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია მასში ასეთი აგრესია? რატომ დაგესხათ თავს?

— ბოლო დროს ფულს არც მე, არც მამამისი არ ვამლევიდით. ამის გამო, ბინიდან ნივთების გატანა და გაყიდვა დაიწყე. რა თქმა უნდა, ვუსაყვედურე. თავისი რომ არ დაიშალა, სახლიდან გავაგდე. მანც შემოგვირიგდა, მაგრამ დათვრებოდა თუ არა, ოჯახში სკანდალს აწყობდა. განსაკუთრებით, მამას იგდებდა აბუჩად. პატივს არ სცემდა და ჩხუბისას, მისკენ ინვედა კიდევ. ამის მოწმენი მეზობლებიც არიან. ყოველდღე მთვრალი იყო, პირიდან მუდამ სპორტის სუნი ამოსდიოდა. ცუდ წრეში რომ იყო გარეული, ყველამ ვიცოდით. ადრე ნარკოტიკებისთვის დააკავეს. ჯიბეში უპოვეს ოპიუმისანი შპრიცი. რა არ გავაკეთე იმისთვის, რომ ციხიდან როგორმე გამომეხსნა? მე რომ არ დავხმარებოდი, იმ დანაშაულისთვის, აქამდე იქ იქნებოდა და



ცხადია, ამ საშინელებასაც გადავურჩებოდი. მისგან ჩემზე თავდასხმა პირველი შემთხვევა არ იყო. ერთხელ ბინაში მოვარდა, ჩხუბი დამიწყო, — აქ შენი არაფერია და წადიო! მერე ცემაზე გადმოვიდა, ტანსაცმელი შემომახია და გაუპატიურებით დამემუქრა. ქვედა მეზობელი ყვირილზე ამოვარდა, ის რომ არ მომშველებოდა, ალბათ ეს ყველაფერი უბედურებით დასრულდებოდა.

— მაშინ რატომ არ მიმართეთ პოლიციას?

— პირველ რიგში, ჩემს მეუღლეს ვერ იდებოდი. ავადმყოფი კაცია, ისედაც ნერვიულობდა შვილის გამო და არ მინდოდა, ჩემი მიზეზით, მისთვის ცხოვრება გამემწარებინა. ვითმენდი, სანამ შემეძლო. ახლა კი სიმართლის თქმა გადავწყვიტე, რადგან თუ გაწუმდი, არავინ იცის, მერე რა უბედურება დატრიალდება. ჩემი გაძარცვის გარდა, მან ყველა იმ ძალადობისთვის უნდა აგოს პასუხი, რომელიც ჩემ მიმართ ჩაიდინა.

დაზარალებულის სიტყვებს ბრალდებულის ჩვენება ეწინააღმდეგება. ადვოკატის თქმით, გამოძიებას არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია და ხარაიშვილი მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე დააკავს. „ეს დაუშვებელია. მხოლოდ ერთი ადამიანის სიტყვაზე, ახალგაზრდა კაცი ციხეში არ უნდა აღმოჩნდეს. ამისთვის არც მხოლოდ წარსულში ნასამართლობა უნდა იყოს საკმარისი. არ არსებობს არც ნივთმტკიცება და არც რეალური მოწმე, რომელიც დაზარალებულის მიერ ნათქვამ, თუნდაც ერთ სიტყვას დაადასტურებს. ის ქალი ცნობილი აფერისტი და თაღლითია. ამის თაობაზე პოლიციამ და პროკუ-

რატორამ შესანიშნავად იციან. არსებობს ოფიციალური მასალები, რომლებითაც დასტურდება, რომ ის 2001 წელს დაკავებული, თაღლითური ჯგუფის წევრი და დანაშაულების თანამონაწილე იყო. პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევა რომ მოახერხა, მისთვის ჩვეული ხრიკებითა და მეთოდებით, არავის უნდა უკვირდეს. საქმე ისე მოაგვარა, რომ სასამართლოს წინაშე არც წარმდგარა. ოქმებიდან მისი გვარი გაქრა, მართალია, დაზარალებულებმა ის არაერთხელ ახსენეს პროცესზე, მაგრამ ამას ყურადღება, როგორც ჩანს, არავინ მიაქცია. თავად განსასჯელები დანაშაულს არ აღიარებდნენ და ცხადია, ისიც არ დაასახელეს. საქმე დიდი ოდენობით ფულის, უძრავი ქონების მითვისებასა და ყალბი საბუთების დამზადებას ეხებოდა. ხარაიშვილების ქონებას ამ გზით მიითვისა. ადრე ამ ოჯახის კუთვნილი ბინაც და ავტომანქანაც თავის სახელზე გადააფორმა. იმ მანქანას დღეს მისი ქმარი მინდობილობით მართავს. ამ ყველაფრის ატანა, ბუნებრივია, შვილისთვის, მით უმეტეს — ახალგაზრდა ბიჭისთვის, რომელსაც მომავლის მოწყობა და ოჯახისგან მხარდაჭერა სჭირდება, ძალიან ძნელი აღმოჩნდა. პროტესტის ნიშნად, სახლიდან წავიდა კიდევ, მაგრამ ნაცნობის ბინაში როდემდე იცხოვრებდა?! იძულებული გახდა, ისევ შინ დაბრუნებულიყო. დედინაცვალს კი მის დაბრუნებას ისტერიკით შეხვდა. აშკარად ავიწროებდა და მის იქ ცხოვრებას აუტანელს ხდიდა. შვილი მამას ადანაშაულებდა, რადგან მისგან მხარდაჭერას არ გრძნობდა. ეჩხუბებოდა, მაგრამ არასდროს უცემია. არც დედინაცვლის მიმართ გამოუჩენია ძალადობა, მით უმეტეს

— სექსუალური ხასიათის; ეს აბსურდია და ბინძური ტყუილია“, — აღნიშნავს ადვოკატი. დაცვის მხარე გამოძიების წინაშე აპირებს დააყენოს შუამდგომლობა — იმ მოწმეების დაკითხვის თაობაზე, რომლებიც დედინაცვლის მიერ გერის შევიწროებას დაადასტურებენ. დაზარალებული კი თავის მხრივ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და მასში დაფიქსირებულ დანიშნულებებზე ლაპარაკობს. დაცვის მხარე ამ დოკუმენტებს ეჭვქვეშ აყენებს და გამოძიების მასალებში არსებულ წინამდებებზე ამახვილებს ყურადღებას.

„ამ ოჯახში 15 წელია ვცხოვრობ და გუშინ არ შევსულვარ, რომ სხვისი ქონება მიმესაკუთრებინა. ამ წლების მანძილზე უამრავი შრომა და ხარჯი გავილე, რათა მიტოვებული ოჯახი ფეხზე დამეყენებინა. ყველა ნივთი ჩემი შეძენილია და მე მისი კანონიერი მესაკუთრე ვარ ისევე, როგორც ჩემი მეუღლე“, — აცხადებს რაისა ქავთარაძე. მისი თქმით, ოჯახი ხარაიშვილის დედამ წლების წინ მიატოვა და პოლიციის მიერ წავიდა. „მასთან ჩემს ქმარს ხელიც არ ჰქონდა მოწერილი. ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც ის ოდესმე კანონიერ ქორწინებაში ყოფილა, მე ვარ“, — ამბობს დაზარალებული. რაც შეეხება ადვოკატის მიერ მონოდებულ ინფორმაციას — თაღლითური ჯგუფში მისი მონაწილეობის შესახებ, — ამას დაზარალებული ცილისწამებას უწოდებს.

დავა მხარეებს შორის უახლოეს მონავალში, სასამართლო დარბაზში გადაინაცვლებს. თავიანთი სიმართლის დამტკიცებას ისინი უკვე პროცესზე შეეცდებიან.

## ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელების გვარები მჟღავნდება

კიდევ ერთი ცნობილი ჟურნალისტის — ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმე ამ დღეებში ისევ აქტიურად გახდა. შეგახსენებთ, რომ რუსი ჟურნალისტი, „ნოვია გაზეტას“ პოლიტიკური მიმომხილველი 2006 წლის 7 ოქტომბერს, მოსკოვში, საკუთარი სახლის სადარბაზოში პისტოლეტით ჩაცხრილეს. გვაში მობინადრეებმა ლიფტთან იპოვეს. ის, რომ მკვლელობა პოლიტკოვსკაიას ჟურნალისტური საქმიანობის გამო მოხდა, უკვე დადგინდა. ჟურნალისტი ჩიჩნეთისა და ჩრდილო კავკასიის პრობლემებზე წერდა და რუსეთის ხელისუფლებასაც საკმაოდ ხშირად და მკაცრად აკრიტიკებდა. 2007 წლის მინურულს, რუსეთის გენპროკურატორამ რამდენიმე ეჭვმიტანილის აყვანის შესახებ განაცხადა. მათ შორის იყვნენ მკვლელობის უშუალო შემსრულებლები, დამკვეთები, ორგანიზატორები და შუამავლები. ისინი მალაჩჩინოსნები, პოლკოვნიკები, შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები აღმოჩნდნენ. ბრალი სულ 9 პირს ნაუყენეს, მათ შორის გახლავთ

სამი ჩიჩენი ძმაც, რომელთაც გამოძიება მკვლელობის დაკვეთის შესრულებაში ადანაშაულებს. აქამდე გვარები მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციებში ქვეყნდებოდა, ოფიციალურად კი პროკურატურა ამას არ ადასტურებდა. ამ დღეებში სიტუაცია შეიცვალა და სამართალდამცველებმა ამ ადამიანების მკვლელობაში მონაწილეობა თავად გაამჟღავნეს. ბრალდების თანახმად, დანაშაულს ჩიჩენი რუსტამ მაჰმედოვი „კურირება“ (ის ასევე ეჭვმიტანილების — იბრაგიმ და ტამერლან მაჰმედოვების ძმა გახლავთ) მკვლელობის ორგანიზატორი და დამკვეთი — აჩხა-მართანოვის რაიონის ყოფილი გამგებელი შამილ ბურაევი იყო; მოდპოლკოვნიკი პავლე რიაგუზოვი და შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები — სერგეი ჰაჯიყურბანოვი



ანა პოლიტკოვსკაია

და მაჰმუდ დემილხანოვი თანამონაწილეები გახლდნენ. მათ მკვლელობის ორგანიზების გარდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაც ედებათ ბრალად. საქმეში კიდევ ორი ჩიჩენის გვარი ფიგურირებს, რომლებზეც ძებნა გამოცხადებულია.

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 92

# მოგვარების ჟონინება

## - ჩრდილოეთი თუ ნახალართული სიყვარული...

ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო. ახოვანმა, პერსპექტიულმა ახალგაზრდა კაცმა ქორწილში ცისფერთვალეობა, ლამაზი ქალიშვილი დაინახა. საცეკვაოდ გაიწვია, ქათინაურებით აავსო და თავბრუ დაახვია. შემდეგ კი, შეზარხოშებულმა, მეგობრებს სთხოვა: მომატაცებინეთ, დღესვე უნდა შევიერთო ცოლადო. მანამდე ვერც ერთ მათგანს ვერ წარმოედგინა, თუ ერთი ნახვით შეყვარება შესაძლებელი იყო... ამ სიყვარულმა ბევრ გამოცდას გაუძლო. ალექო და ნატო დღეს უკვე 18 წლის ცოლ-ქმარია. სამი შვილი და ხუთი თვის შვილიშვილი ჰყავთ. მაგრამ შეუღლების პირველ დღეს უემოციოდ ახლაც ვერ იხსენებენ...



„აოგარულ სიზაროვი ვერ წარმოვიღგენდი, რომ მე და ალექო მოგვარები ვიქნებოდით“...

### ლელა ჭანოტაძე

#### ალექო:

— ნატო მანქანაში ჩავსვით და კახეთში, დეიდაჩემთან წავიყვანეთ. ძალიან ლამაზი იყო. ვარდისფერი კაბა ეცვა და ნამდვილ ფერიას ჰგავდა... დეიდაჩემმა რომ დაინახა, სიხარულით ცას ეწია. მასთან სამი დღე დავრჩით. დეიდამ სუფრა გაშალა და მეზობლებსაც დაუძახა. ნატოს კოცნიდა, ეფერებოდა, ამბობდა, რომ ჩემი არჩევანით კმაყოფილი იყო. ხოლო როდესაც თამადამ დაგვლოცა და მოულოდნელად იკითხა, — პატარძალი რა გვარის ქალიაო? — ნატომ უპასუხა: ქავთარაძეო. დეიდაჩემმა კითხვა გაუმეორა. ნატომ იგივე პასუხი გასცა... მახსოვს, ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ როცა დეიდაჩემის განწირული კვილი შემომესმა, მივხვდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა. დეიდა თავს ვერ იკავებდა, სახეში ხელებს იშენდა და კიოდა: მიშველეთ, დავიღუპე, ქვეყანა თავზე დამეხსოო!.. ნატო ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. მის შემინებულ და დაბნეულ თვალებს რა დამავიწყებს?!

#### ნატო:

— ყველაზე კომარულ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე და ალექო მოგვარები აღმოვჩნდებოდით. რატომღაც, აზრადაც არ მომსვლია, მისთვის გვარი მეკითხა, რადგანაც ძალიან მომეწონა და ბიჭებმა რომ მითხრეს: მოგიტაცეთ და ამ ბიჭს შენი ცოლად მოყვანა უნდაო, — ხმაც არ ამომიღია, ბედს დავმორჩილდი. რომ მცოდნოდა, ჩემი მოგვარე იყო, კვილით კახეთს ავიკლებდი. დარწმუნებული ვარ, არც თვითონ მოინდომებდა, მოგვარის ცოლად შერთვას... დეიდამისის სახლში ძალიან თბილად მიმიღეს, ყველა ცდილობდა, ჩემთვის ესია მოვნებინა. ახლა მიკვირს, ალექოს გვარის გაგება თავის დროზე რატომ არ მოვიინდომე, მაგრამ ალბათ, ეს იყო ჩვენ ბედი.

#### ალექო:

— რომ მცოდნოდა, მოგვარე იყო, გეფიცებით, დად მივიღებდი. რა მექნა, ლამაზი გოგო დაეინახე და მომეწონა. არ მიფიქრია, მისთვის გვარი მეკითხა. ხოლო როცა ფაქტის წინაშე დავდექი, დავიბენი. პირველი ორი საათი ნამდვილ შოკში ვიყავი. ნატო ტიროდა, მე კი ერთი სანუგეშო სიტყვაც ვერ ვუთხარი... თბილისში რომ დავბრუნდით, სახლში მისვლა ვეღარ გავბედე. ნატო მეგობართან მივიყვანე. მერე კი დედას დავურევე. ვიცოდი, დეიდაჩემი ტელეფონით ამ უსიამოვნო ფაქტს უკვე შეატყობინებდა. ჩემი ეჭვი გამართლდა. დეიდამ ყველაფერი იცოდა. მითხრა, რომ მისთვის მკვდარი ვიყავი და ჩემი ნახვა არ უნდოდა, მით უფრო — ნატოსი. იგივე მითხრეს ნატოს მშობლებმაც.

#### ნატო:

— ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მშობლები რას იტყოდნენ, მთავარი — ალექოს განწყობილება და სულიერი მდგომარეობა იყო. უხერხულია ამაზე საუბარი, მაგრამ მაინც მინდა გითხრათ: მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მოგვარები ვიყავით, საშინლად დაიბნა. ორი კვირის მანძილზე ჩემთვის ერთხელაც არ უკოცნია. ღამე გვერდიგვევრდ, გაბუტულებივით ვინექით... მივხვდი, რომ უნდა ნავსულიყავი და მისთვის მოსაფიქრებლად დრო მიმეცა. მისმა მეგობარმა შეგვიფარა. იმ ბიჭის დედას ლაურა ერქვა. ჩემი გულის ნადები მას გავანდე. ცხონებული, დამეთანხმა: ეს ერთადერთი სწორი ნაბიჯია, ბიჭი დაფიქრდება, ვითარებაში გაერკვევა და გადაწყვეტილებას მიიღებსო. მამაჩემის სახლში მან მიმიყვანა. მამას დიდხანს ელაპარაკა. ნასვლის წინ კი მითხრა: შეშინებული კაცის ცოლობას, მარტოობა გერჩივნოსო...

#### ალექო:

— ნატოს ნასვლას დღემდე ვამართლებ. მაშინ რომ არ ნასულიყო, მე არ მიგატოვებდი, მაგრამ მთელი ცხოვრება სანანებლად მექნებოდა, რომ მოგვარე შევიერთე, რადგან მსგავსი ქორწინების ახლაც კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. ნატოს ნასვლის შემდეგ ბევრ რამეზე დავფიქრდი. სხვა გოგოსთან რომანიც გავაჩაღე, მაგრამ გულს არავინ მიეკარა. მერე ნათესავებთან როსტოვში წავედი. იქ წელიწადი და რვა თვე ვცხოვრობდი. რუსი მეგობარი გოგონაც მყავდა, მაგრამ ყოველთვის ნატო მედგა თვალწინ.

#### ნატო:

— მე ფიქრი არ მჭირდებოდა. მოსაფიქრებელი რა მქონდა?! ალექო ჩემთვის პირველი მამაკაცი იყო, ქალებს კი პირველი სიყვარული არასდროს გვავიწყდება. ჩემთვის მის გვარს არ ჰქონდა მნიშვნელობა. მე ის მიყვარდა და მასთან ყოფნა მინდოდა. მით უმეტეს, რომ იმ სამი დაუვინყარი ღამის შემდეგ დაფხვხმძიმდი და გოგონა შემიძინა. ალექოს არც ერთი მეგობრისთვის ეს ამბავი არ გამიგებინებია. ბავშვით ვაჭრობას ხომ არ დავიწყებდი?! ერთ დღეს, მაშინ ევა უკვე სამი წლის ხდებოდა, მეტროში ვილაც ქალმა გამაჩერა და მკითხა: თქვენ ნატო ხომ არ ხართო? რომ დავაკვირდი, ალექოს

დეიდა შევიცანი. მის მიმართ გულში ბოლმა არ ჩამიდეია, ამიტომ თბილად მოვიკითხე, ჩემი შვილიც გავაცანი.

**ალეკო:**

— დეიდაჩემი კახეთიდან ჩემს სანახავად იყო ჩამოსული. წინააღმდეგ ჩამოვფრინდი როსტოვიდან და ორ დღეში უკან უნდა დავბრუნებულიყავი. ესეც ალბათ, ბედი იყო. სწორედ მან მითხრა: ნატო ვნახე, გათხოვილა და ულამაზესი შვილი ჰყავსო. ამ სიტყვების გაგონებაზე ლამის გული გამისკდა. ისეთი ფერი დამედო, რომ ყველა მიხვდა, შოკში ჩავვარდი. დეიდაჩემმა ჩაილაპარაკა: იმ გოგომ რა დააშავა, ჩემმა შვილმა გაურთულა ცხოვრება; მაძლობა ღმერთს, რომ სახლში არ დამიჯდა და აქ ცოდვის შვილები არ მომიმრავლაო. დეიდაჩემის სიტყვებმა სულ გადამრია. ვუთხარი: ცხოვრება მას კი არა, მე გამირთულდა, ვერ ხედავ, კაცად აღარ ვვარგავარ, მისი დავიწყება ვერ მოვახერხებ-მეთქი?! ვიკამათეთ, ვიჩხუბეთ და გაცეცხლებული, სახლიდან გამოვვარდი. მერე დავთვერი და მომინდა, რომ ნატო შორიდან მაინც დამენახა. მის ქუჩაზე რამდენჯერმე მანქანით ავიარჩავიარე. მერე მშაკაცი შემომიჩინდა: თუ ეგრე გიყვარს, მოიტაცე და როსტოვში წაიყვანე, მაგისმა ქმარმა ყურებზე ხახვი არ დაგაჭრასო!.. კიდევ დავლიეთ და ბოლოს ასე, მთვრალი და გაშმაგებული, მამამისს მივუვარდი: ან მეტყვი, სად ცხოვრობს, ან ახლავ მოგკლავ-მეთქი! ლამის ორი საათი იყო. მთელი სადარბაზო ფეხზე დადგა. ცხადია, თავისი ოთახიდან ნატოც გამოვარდა. ბავშვმა ტირილი დაიწყო და დედამის ფეხებზე შემოეხვია. იმ პატარა ანგლოზს რომ შევხედე, ენა ჩამივარდა. ბავშვი ჩემი „კოპიო“ იყო...

**ნატო:**

— ალექო გაოგნებული უყურებდა ეკას. მერე მუხლებზე დაეცა და ხარივით ბლავილი დაიწყო. მეც ვტიროდი, დეიდაჩემიც. ალექო კი მეკითხებოდა: რა დავაშავეთ მე და შენ, ასე რატომ დავისაჯეთო?! მამაჩემმა თქვა, განყო-

მითხრა: ვინ იცის, ჩვენი წინაპრები საფლავში გადაბრუნდნენ, მაგრამ მე მაინც გლოცავთ და ბედნიერებას გისურვებთო... ჩვენ დღემდე ერთად ვართ, ვცხოვრობთ ბედნიერად, დამიჯერეთ, სიკვდილამდე ასე იქნება.

*დამშვიდობებისას ბატონმა ალექომ ასეთი რამ მითხრა: ჩემი ამბავი ისე არ დაწეროთ, რომ ვინმეს თავისი მოგვარის მოყვანა ჭკუაში დაუჯდეს, ცუდია მოგვარების ქორწინება, ქართველებს მსგავსი რამ არ გვევატივობა...*

*საინტერესოა, ამის შესახებ ჩვენს წინაპრებს რა აზრი ჰქონდათ? მოიძებნება ჩვენს ისტორიაში მსგავსი მაგალითები? რომელი გვარია ისეთი,*

**რომ მცოდნოდა, ჩემი მოგვარე იყო, კვილით კახეთს ავიკლებდი**

*რომლის წარმომადგენლებსაც შეუძლებდა არ ევრძალებათ? გვესაუბრება ეთნოგრაფი ბიურჯი ცოცხანიძე.*

— ქვეყანაზე რამდენი ქავთარიც ცხოვრობდა, იმდენი ქავთარიც და ქავთარაძე შეიძლება არსებობდეს. საქართველოში „ქავთარი“ მამაკაცის გავრცელებული სახელი იყო. ამიტომაც არის, რომ ქავთარიშვილები პანკისელი ქისტები არიან, ქავთარიძეები — ალვანელი თუშები, ხოლო ქავთარაძეები — მთიულელები არიან, გურულებიც და იმერლებიც. ამიტომ მათ შორის ქორწინება დასაშვებია: მართალია, გვარი ერთი აქვთ, მაგრამ მათ შორის ნათესაური კავშირები არ არსებობს. იგივე ითქმის რაჭველ, მესხ, იმერელ და ალვანელ მაისურაძეებზეც. ყველა მათგანის წინაპარ მამაკაცს მაისურა ერქვა. სხვა კავშირი ამ გვარებს შორის არ არსებობს. მოგეხსენებათ, წყვილებს შორის ნათესაური კავშირი რაც უფრო შორეულია, შთამომავალიც უფრო ჯანსაღი გამოდის.

— ასევე გამართლებულია, ერთი ეთნოგრაფიული კუთხის წარმომად-

შთამომავლის მეხსიერება სწვდება. თუ მას ახსოვს, რომ თუნდაც ძალზე შორეული წინაპრები ნათესავეები იყვნენ, ასეთ ქორწინებას ერიდებიან, მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ერთი გვარის წარმომადგენლები არიან თუ — არა. ხოლო თუ გვარი ერთი ძირისგან მოდის, ქორწინება მთაში გამორიცხულია. თუმცა მთაშიც არსებობენ სხვადასხვა ძირისგან წამოსული მოგვარეები, მაგალითად — ბაკურიძეები. თუშეთში არიან ჩილოელი (ჩილო სოფელია) ბაკურიძეები და გოგროელი (გოგროც სოფელია) ბაკურიძეები. აბსოლუტურად სხვადასხვა შტოა და მათ შორის ქორწინება აკრძალული არ არის. არიან დანოელი (სოფე-

ლი დანო), ვესტომთელი (სოფელი ვესტომთა) და ომალოელი თავბერიძეები. მათ შორისაც ნათესაური კავშირი არ არსებობს, ამიტომ ქორწინება დაშვებულია, თუმცა მსგავსი შემთხვევა არ მახსენდება.

— შეიძლება, მაგალითად, ომალოელი თავბერიძეების ქორწინება?

— არა. ასეთი რამ გამორიცხულია. ისინი ერთი წინაპრის შთამომავლები არიან. მაგრამ თუ ომალოელი თავბერიძე ისეთი ყოჩაღი აღმოჩნდება, რომ სოფელ დანოდან თავბერიძის ულამაზეს ქალს მოიყვანს, ყველას ძალიან გაუხარდება. მთის სოფლებში ერთი წინაპრიდან მომდინარე გვარის გარდა, არსებობს ცნება „საგვარეულო თემი“. მას რელიგიური საფუძველი აქვს. საგვარეულო თემში ერთი ჯგირის ყმები არიან გაერთიანებული. ერთი ჯგირის ყმებს შეიძლება, სხვადასხვა გვარიც ჰქონოდათ, მაგრამ მათ შორის ქორწინება არ შეიძლებოდა. ასეა დღესაც. გამონაკლის შემთხვევაში, ასეთი წყვილის, საგვარეულოდან მოკვეთა ხდებოდა, ზოგჯერ — სიკვდილით დასჯაც. მთაში ბარისგან განსხვავებული სოციალური ურთიერთობები არსებობდა. იყვნენ როგორც სუსტი, ასევე ძლიერი საგვარეულოები. სუსტი საგვარეულოები შეერთდებოდნენ ხოლმე და ერთ ძლიერ საგვარეულოს ქმნიდნენ. ამას ფიცით შეკვრას ანუ „ხარით შეყრას“ ეძახდნენ. „ხარით შეყრის“ შორის ქორწინება წარმოუდგენელი იყო. ჩემს სოფელს ბუხურთა ჰქვია, იქ ორი გვარის ხალხი ცხოვრობს — ცოცანიძეები და აფთარაულები. ჩვენ საერთო წინაპრის შთამომავლები არა ვართ, მაგრამ ვართ „ხარით შეყრის“, ამიტომ ჩვენ შორის ქორწინება არ მოხდება. მოგეხსენებათ, ალუდა ქეთელაური თემმა მოიკვეთა და ის იძულებული

**მე და ჩემი ქმარი ქართველიშვილები ვართ, მაგრამ ჩვენ შორის ნათესაური კავშირი არ არსებობს**

ფილებში დარეკეთ, აქედან მიაბრძანონო, მაგრამ დეიდამ არ დაანება. უთხრა, — დილაზე მოვიცადოთ, ბიჭი გამოფხიზლდება, ყველანი დავწყნარდებით და გადაწყვეტილებას საღონებაზე მივიღებთო.

**ალეკო:**

— დილით ყველაზე ბედნიერი კაცი ვიყავი. ჩემმა სიმამრმა ასეთი რამ

**გენლების, კერძოდ, მოგვარეების ქორწინება?**

— ამ შემთხვევაშიც შეიძლება იყვნენ, როგორც ერთი, ასევე სხვადასხვა წინაპრიდან მომდინარე მოგვარეები. ქრისტიანული სარწმუნოება მეშვიდე თაობამდე აღიარებს ნათელ-მირონს და ნათესაობას. მთაში ასე არ არის. ნათესაობა გრძელდება მანამდე, სადამდეც



გახდა, ოჯახით სხვაგან წასულიყო. სადაც წავიდა, იქ იგი იყო „ამანათი“ — მოკვეთილი კაცი. „ამანათს“ სამი წლით იკვებებდა ხოლმე სუსტი საგვარეულო. სამი წლის შემდეგ, თუ მოენონებოდა, ჯვარზე მოხდებოდა „ხარით შეყრა“. სალოცავზე მოხარშავდნენ ლუდს, საერთო ხარჯებით ხარს შეიძენდნენ და ჯვარს შესწირავდნენ. ამ რიტუალით „ამანათს“ გვარში იღებდნენ. ამანათი საგვარეულოს წევრი ხდებოდა და იმ საგვარეულოს გვარს იღებდა. მაგალითად, ცნობილი ჯაო ბერიკაიძის მამა, ბერიკახესური „ხარით შეყრილი“ გახლდათ, რის შემდეგაც ის გათუშდა. აღარავინ იცის ხესურეთში, რა გვარით ცხოვრობდა. ის გახდა თუში და მიიღო თუშური გვარი. „ხარით შეყრილებში“ საქართველოში მოგვარების ქორწინება ნამდვილად იშვიათობას წარმოადგენს.

რამდენიმე ქალბატონს დაფუკავშირდი, რომლებიც წლების განმავლობაში ახალდაქორწინებულებს რეგისტრაციაში ატარებდნენ. ვკითხე: თუ შეეძლოთ იმ გვარების გახსენება, რომელთა წარმომადგენლებიც შეუღლდნენ? მსგავსი შემთხვევა წინო დარასელიამაც კი ვერ გაიხსენა. ის მამის ბიუროში 30 წლის განმავლობაში მუშაობდა. საზოგადოების დამოკიდებულება მსგავსი ფაქტის მიმართ რომ მკვეთრად უარყოფითია, ეს უდავოა. სწორედ ამის გამოა, რომ 30 წლის ცოლ-ქმარს დღემდე ვერ აპატიეს ახალგაზრდობაში დაშვებული, „მიუტევებელი შეცდომა“.

**მარან აბრთველიშვილი:**

— მე და ჩემი ქმარი ქართველიშვილები ვართ, მაგრამ ჩვენ შორის ნათესაური კავშირი არ არსებობს. მე აღმოსავლეთ საქართველოდან ვარ, ვახტანგი კი — დასავლეთ საქართველოდან. ჩვენი წინაპრები ნათესავები ნამდვილად არ ყოფილან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც დაქორწინდებოდით. იმდენი

ტანჯვა, დამცირება და შეურაცხყოფა გადავიტანეთ, რომ მომხდარს მგონი, ვნანობთ კიდევ.

**— იქნებ თქონია იქიდან დავიწყოთ, როდესაც გაიგეთ, რომ მოგვარები იყავით?**

— ჩვენ ეს თავიდანვე ვიცოდით. მე თბილისელი ვარ. ვახტანგი აქ სამტრედიიდან ჩამოვიდა. ერთმანეთი ჯგუფელებმა გაგვაცნეს. ორივე, ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდით. მაშინვე გავარკვიეთ ჩვენი წარმომავლობა და აღმოვაჩინეთ, რომ საერთო ძირი არ გვქონდა. მას მერე, რაც ცნობილი გახდა, რომ ნათესავები არ ვიყავით, ცხადია, გრძობებსაც მივეციტ გასაქანი. ჩემს ოჯახში იმის გარკვევა დაინდეს, თუ ვინ იყო სასიძო, როგორი ოჯახი ჰქონდა... ქართველებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. მახსოვს, მამაჩემს რომ ვუთხარი, — ჩემი შეყვარებულიც ქართველიშვილია-მეთქი, — სამინლად მცემა და წლების განმავლობაში ნანობდა, რომ მაშინ არ მომკლა. ამასთან, რა არ გააკეთა, რომ მე და ვახტანგი ერთმანეთს დავეცილებინეთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი მშობლები ჩვენ წინააღმდეგ ერთიანი ძალებით იბრძოდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

**— მშობლები როდის შეგიორცდნენ?**

— მამაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ მისგან პატიებას ვერ ველირსეთ. უფრო მეტიც, სიკვდილის წინ დედაჩემს პირობა ჩამოართვა, რომ მის დასატირებლადაც არ მიმიშვებდნენ. ეს ჩვენი დიდი სასჯელი იყო... დედა 30 წელია, არ მინახავს. ვფიქრობ, რომ მშობლები სასტიკად მომექცნენ.

22 წლის ულაშუხის გოგონა, მია ფალიაშვილმა სტუმრად ქუთაისში იყო ჩასული, იქ გაიცნო მომავალი ექიმი — გია შიუკაშვილი. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ. მათ ბედნიერებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, რომ არა ერთი გაუთვალისწინებელი რამ: გიას დედაც გვარად ფალიაშვილი იყო.

**მანია:**

— მე და გიას ერთმანეთი ისე შეგვიყვარდა, როგორც მხოლოდ რომანტიკულ ფილმებსა და მელოდრამებში ხდება. ორივენი გლდანელები ვიყავით, მაგრამ ერთმანეთი ქუთაისში გავიცანით. გია უკვე სამედ-ციანო ინსტიტუტს ამთავრებდა და მოსკოვში წასვლას გეგმავდა. ამიტომ, სწრაფად ვაპირებდით შეუღლებას. მე ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა და მხოლოდ მასთან ერთად წასვლაზე ვოცნებობდი. ჩუმად დაქორწინება არც ვაფიქრია. ვიცოდი, გია ჩემს

მშობლებს მოენონებოდათ. თვითონაც იმავეს ფიქრობდა. მაგრამ სანამ მშობლებს ჩვენს გადაწყვეტილებას ვაცნობდით, გიას დედამ სახლში დამპატიჟა. მივედი. მკითხა: რა გვარი ხარო? როცა პასუხი მიიღო, გულში ჩამიქინა, ახლობელი ყოფილხარო. ცუდად მენიშნა. მან კი საუბარი იმის შესახებ წამოიწყო, რომ ხალხმა ტრადიციები დაივიწყა და რომ მისმა ნაცნობმა რძლად სახლში დიდი ბუბის მოგვარე მიიღო, რომ თვითონ მსგავს რამეს არ დაუშვებდა და თუ გია რომელიმე წინაპრის მოგვარეს მოიყვანდა, სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევდა. მიხვდი, რომ ჩემს გასაგონად ლაპარაკობდა, მაგრამ რა უნდა მეთქვა?! ეს ამბავი გიას რომ ვუამბე, გაიცინა და მითხრა, — ნუ გეშინია, ბედს შეეგუება, აბა, რას იზამსო?! მაგრამ სადედამთილოს დაყოლიება იოლი არ აღმოჩნდა. ჩემი და გიას სიყვარულის ამბავი რომ გახმაურდა, მან აქტიურად დაიწყო ჩარევა. მირეკავდა, მლანძღავდა, მეუბნებოდა: ურჯულო ხარ, ნათესავს ცოლად მიჰყვები, შენი შვილები ღვთისგან დაწყველილები იქნებიანო. ერთი სიტყვით, სიცოცხლე გამიმწარა. მისმა აქტიურმა ჩარევამ კი გიაზეც უარყოფითად იმოქმედა. ერთხელ გამომიტყდა: მართლა მეშინია, ავადმყოფი შვილები არ გვეყოლოსო. ამას ექიმი კაცი მეუბნებოდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განაწინ გამოწინილი იყო... ერთად ყოფნა არ გვეწერა. თუმცა გიასთვის ამასთან შეგუება იოლი არ აღმოჩნდა. ექვსი წლის განმავლობაში ერთმანეთს ვხვდებოდით. მეხვეწებოდა: ცოლად გამომეყვიო. მე კი ვუბნებოდი: თუ დედაშენი ქორწინების ნებას მოგვცემს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგთანხმდები-მეთქი. ერთ საღამოს დედამისი გვესტუმრა. ყველანი დავიძახეთ. მან კი ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ავი ზრახვით არ იყო მოსული. მოულოდნელად ჩემი ბიძაშვილი, ნუკრი მოვიდა. ეს ვინ არისო? — იკითხა ჩემმა სადედამთილომ. როცა პასუხი მიიღო, დაამატა: ასეთი კარგი ბიძაშვილი გყოლია და ამას ვერ გაჰყვები ცოლად? ნათესაობა თქვენ არ იცით, შეუღლდით და მსგავსი ცოდვა ჩემს შვილს აარიდეთო... მის ამ ნათქვამს ჩხუბი მოჰყვა. მამაჩემმა მუშტი მოუღერა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ გიამ გამომიცხადა: როგორ გაბედეთ და დედაჩემს შეურაცხყოფა მიაყენეთო?! მიმატოვა და ჩემი ცხოვრებიდან გაუჩინარდა... მას შემდეგ 15 წელი გავიდა. წელს ორივეს, 37 წელი შეგვისრულდა. არც ის დაოჯახებულა და არც მე გავთხოვილვარ. არ ვიცი, დედამისის ადგილას მე როგორ მოვიქცეოდი, მაგრამ ჩვენ შორის ნათესაური კავშირი ნამდვილად არ ყოფილა, მხოლოდ მოგვარეები ვიყავით...





# სიუნი სხული სარუქნა და სოუსიახათა საყარო ერთ ნიგნუ

გასულ კვირას, ცნობილი ილუზიონისტის, ზურაბ ვადაჭკორიას ახალი, რიგით მეოთხე ნიგნის პრეზენტაცია შედგა, რომელსაც ბევრი ცნობილი ადამიანი დაესწრო. ამ დღის აღსანიშნავად, ერთ-ერთმა ფორმამ ილუზიონისტს ცაში ვარსკვლავიც კი აჩუქა, რომლის დამადასტურებელ საბუთსაც ხელს ასტროფიზიკოსი, ჯუმბერ ლომინაძე აწერს.

## ნათია ქვიციკა

**ზურაბ ვადაჭკორიას:**  
— ჩემი მეოთხე ნიგნი დანარჩენი სამისგან ფერადი ილუსტრაციით გამოირჩევა. ამ ილუსტრაციების მხატვარი კინაძე გახლავთ, ხოლო შავ-თეთრი ნახატები კარიკატურისტ ზალიკო სულაკაურს ეკუთვნის. ნიგნი გამოცემლობა „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც პრეზენტაციას დაესწრო.

**რატომ უნდა დაინტერესდეს მკითხველი თქვენ ნიგნით?**

— ეს ნიგნი იმით არის საინტერესო, რომ ფერადია. ილუზიის სამყარო, საოცრებათა სამყაროა. საოცრება კი უფროდ არ შეიძლება. ფერების გარეშე საოცრებას აზრი არ აქვს. შავ-თეთრი ფერები ხომ ცუდ ასოციაციას იწვევს? ვისაც ილუზიონისტობის შესწავლა სურს, ისინი ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებულ ნიგნს უფრო კარგად აღიქვამენ.

**გამოდის, რომ თქვენი ნიგნები დამწყები ილუზიონისტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოა?**

— ნამდვილად ასეა. ჩემს ნიგნებში სხვადასხვა ფოკუსის ახსნა და ბევრი საიდუმლო აღწერილი. ამ ყველაფრით, დამწყები ილუზიონისტებს ფოკუსების „ანა-ბანას“ ვასწავლი. გარდა ამისა, ეს ნიგნები თაღლითებს ფოკუსების გაკეთებაში ხელს უშლის. ვისაც მიაჩნია, რომ ილუზიონისტების სამყარო შავ ძალებთან არის დაკავშირებული, ისინი ჩემი ნიგნების მეშვეობით მიხვდებიან, რომ ეს ფოკუსები შავ მაგიავზე კი არა, ზოგადად ტექნიკაზე, ფიზიკასა და ქიმიკაზე ანყობილი. ილუზიონისტების ნიღაბს ამოფარებულ თაღლითებს კი ჩემი ნიგნი გამოაშვარავებს.

**რატომ გადანვიტეთ, რომ თქვენგული ფოკუსების ხელოვნება საზოგადოებისთვის გაგვიზარებინათ?**

— მინდა, რომ ილუზიონისტური ჟანრი განვითარდეს. როცა პატარა ვიყავი, ქართულ ენაზე გამოცემულ ფოკუსების ნიგნს ვეძებდი, მაგრამ მაშინ ასეთი რამ არ ასებობდა. როგორც კი ამ ჟანრში პროფესიონალური მუშაობა დავიწყე, მაშინვე საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ ნლეების მერე ქართულენოვან ნიგნს აუცილებლად გამოვცემდი, რადგან არ მინდოდა, რომ ამ პროფესიით დაინტერესებული ად-

ამიანები ჩემსავით განვალბულიყვნენ. კარგია, ამ საქმეში პიონერი რომ ვარ და ფოკუსების პირველი ნიგნი ჩემი გამოცემულია... ჩემს ნიგნებში აღწერილია, 1992 წელს თუ როგორ გავაკეთე დიდი შოუსპექტაკლი — „მაგიური შოუ“. ნიგნებში აგრეთვე შესულია ჩემი უამრავი ტრიუკი: „ჩინური წყლის სამყარობილი“, „მტკვრის ფოკუსი“, „3000-ვოლტიანი კაფსულა“ და ა.შ. სხვათა შორის, ჩემმა ნიგნებმა შედეგი გამოიღო: გასული წლის მარტში, „პირველი სტერეოს“ თანამშრომელმა გოგონებმა, ჩემი ნიგნის მიხედვით, ნარიყალაზე, დღისით-მზისით, „ქართვლის დედის“ ქანდაკება გააქრეს, მეჩურეებულს ვიქტორინა შესთავაზეს: გამოიცანით, ეს ფოკუსი სარკვებით გავაკეთეთ, ტელეფეკტით, ფარდებით თუ მონტაჟითო. გარდა ამისა, ვანო ჯავახიშვილმაც თავის შოუში თავისუფლებით ქანდაკების მაკეტი გააქრო, ნიკა ქავთარაძემ კი — სატელევიზიო ანდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემი ნიგნით ბევრი ადამიანი დაინტერესდა და ეს ძალიან მისხარია. რაც შეეხება ჩემს მოღვაწეობას, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ 2000 წელს, რეჟისორმა ანდრო ჭიაურელმა ფილმში „ფოკუსების ახსნა“ გადამიღო. კიდევ ორ ფილმში მაქვს მონაწილეობა მიღებული. „ილუზიონისტთა სამოს კატალოგი“ ერთადერთი ქართული ილუზიონისტი ვარ, ასახსნელი კიდევ ბევრი მაქვს, ამიტომ რამდენიმე ნიგნს კიდევ დავწერ...

**საქართველოში ერთერთი ყველაზე პოპულარული ილუზიონისტი თქვენ ბრძანდებით. ამის გამო, თქვენი ბოლო ნიგნის პრეზენტაციაზე დიდი საჩუქარიც მიიღეთ...**

— საქართველოში არსებობს ფორმა MY STAR (ჩემი ვარსკვლავი), რომელმაც ცაში ერთ-ერთ ვარსკვლავს ჩემი სახელი და გვარი დაარქვა. სპეციალური სერტიფიკატიც კი გადმომცეს და რაც ყველაზე მთავარია, იმ სერტიფიკატზე ასტროფიზიკოსისა და აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის ხელმოწერაა. ეს საჩუქარიც სწორედ ბატონმა ჯუმბერმა გადმომცა, თანაც შემპირდა, რომ აბასთუმნის ობსერვატორიიდან ამ ვარსკვლავს დამანახვებს კიდევ.

**უახლოესი მომავლისთვის ხომ არ გეგმავთ, რომ საზოგადოებას კიდევ ერთი ილუზიონისტური შოუ შესთავაზოთ?**

— რა თქმა უნდა, ამაზე ვფიქრობ

და იენისში მაყურებელს კიდევ ერთ შოუს შევთავაზებ. ამის გაკეთება აქამდეც მინდოდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა არეულობამ ხელი შემიშალა. პროექტი უკვე მოფიქრებული მაქვს, მაგრამ საერთოდ, ერთი რაღაცის გაკეთებას რომ ვგეგმავ, ორი სხვა ფოკუსი კიდევ მარაგში მაქვს ხოლმე, რაიმე ისე რომ ვერ გამომვიდეს, მაშინ იმ ორ სხვას გავაკეთებ...

**თქვენ მიერ გამოცემული ნიგნი ალბათ თქვენს შვილსაც გამოადგება, რადგან როგორც ვიცი, ისიც ილუზიონისტობით არის დაინტერესებული...**

— ჩემი ვაჟი პროგრამისტია და კომპიუტერულ ფორმაში მუშაობს, მაგრამ ილუზიონისტობითაც სერიოზულადაა დაინტერესებული. ხშირად ვარჯიშობს, ფოკუსებსაც აკეთებს, მაგრამ სულ მუშენება, არ მინდა, რომ შენი სახელით გავხდე პოპულარული, მინდა, ყველაფერს ჩემით მივალწიო. ამაში ვეთანხმები და ვეუბნები, რომ ბევრი იმუშაოს. ხშირად მოსულა ჩემთან, რაიმე ტრიუკი უჩვენებია და უთქვამს, ნახე, ეს გამოვიგონეო, მაგრამ სამწუხაროდ, ის ტრიუკები უკვე კარგა ხნის გამოგონილია და ბევრ ილუზიონისტსაც გაუკეთებია. სწორედ ამიტომ სჭირდება მას, რომ ჩემი ნიგნი გადაიკითხოს, სადაც წარსულის შესახებ გარკვეული ინფორმაცია არსებობს.

**საქართველოში თქვენი საქმიანობის ღირსეულ გამგრძელებლად ვინ მიგაჩნიათ?**

— საკმაოდ ბევრი კოლეგა მყავს: ზურაბ გვენცაძე, ილია გაბუნია, გიორგი ძნელაძე, ბადრი ცაავა და ა.შ. ბადრი რუსეთში მუშაობს, ზურა — პოლონეთში, გიორგი — უკრაინაში. ისინი მართლა პროფესიონალები არიან.

**თქვენ რატომ არ მოღვაწეობთ საზღვარგარეთ?**

— 38 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ყველგან ილუზიონისტური შოუ გავმართე. ამ ადამიანებით სხვა ქვეყანაში ვერ ვიმუშავებ, რადგან მათ უკრაინელი და რუსი ცოლები ჰყავთ, მე კი ქართული ცოლები მყავს და იმულბებული ვარ, საქართველოში ვიცხოვრო...



„მიმხნია, რომ  
ღერა ნამდვილი  
თბილისელი იყო“

მარტის დამლევს, კომპოზიტორი ეთერ ქელიძე 70 წლის გახდებოდა. ის ამ ქვეყნიდან უდროოდ, 48 წლის ასაკში წავიდა, რითიც ახლობლებსა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს დიდი ტკივილი დაუტოვა. კომპოზიტორმა შექმნა ლამაზი, თბილი, ლირიკული და გულში ჩამწვდომი მელიოდიები („ლურჯი აპრილი“, „იას სინაზე მოვსტაცე“, „ჭაღარა თბილისო“, „საყვარელ ქუჩებში“, „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს“, „მე მაინც მოვალ“, „მდინარე ხიდის ქვეშ“) — ეთერ ქელიძე რომ მდიდარი შემოქმედების პატრონია, ამაზე სიმღერების ეს ჩამონათვალიც მიანიშნებს.

**ეთერ ქელიძის გორა სიცოცხლე**

**ლალი შაბია**

— რა დროს და როგორ ქმნდა ქალბატონი ეთერი თავის არაჩვეულებრივ სიმღერებს?

**მინო ელვაძიძე, კომპოზიტორის ქალიშვილი:**

— სიმღერები სხვადასხვა დროსა და ადგილას იქმნებოდა: არა მარტო თბილისსა და სახლში, არამედ ინერებოდა ყველგან, ყოველთვის, იქ, სადაც დედას მუზა ესტუმრებოდა. ლიკანში ხშირად ვისვენებდით, სანატორიუმს ლამაზი ფოიე ჰქონდა, სადაც ინსტრუმენტიც იდგა. დედა მიუჯდებოდა როიალს და იქ უამრავი ცნობილი სიმღერა აქვს შექმნილი. სიმღერები შეუქმნია მეგობრებთან ყოფნისასაც. თუმცა მის შემოქმედებაში აღმოაჩნეთ მამინდელი ხელისუფლების შეკვეთით დაწერილ რამდენიმე სიმღერასაც, რომელიც კომუნისტური მმართველობისთვის გადახდილი ხარკი გახლდათ. ძირითადად კი მთელი მისი შემოქმედება სულისა და გულის ამოძახილია.

— რაც შეეხება პოეტებს, ვისთან თანამშრომლობდა, ვის ლექსებზე ქმნიდა სიმღერებს?

— პოეტები, რომელთა ლექსებზეც დედა სიმღერებს წერდა, მისი თანამედროვეები იყვნენ, თუმცა ერთხელ აკაკი წერეთლის ლექსი — „იას სინაზე მოვსტაცე“ გამოიყენა, რომელიც ხალხში ცნობილია სახელწოდებით — „ბუღბუღის ენით ჭიკჭიკებ“. დედა უმეტესად მაინც მორის ფოცხიშვილთან და ირაკლი აბაშიძესთან თანამშრომლობდა. ისინი მეგობრებიც იყვნენ. ბოლოს ნოდარ დუმბაძესთანაც იმუშავა, მის ლექსზეც შექმნა სიმღერა — „ქართულო მიწავ“ და ბატონ ნოდარსაც დაუმეგობრდა.

— ისინი, ვინც ქალბატონი ეთერის სიმღერებს მღეროდნენ, მისი რჩეული მომღერლები იყვნენ?

— ისე, ძირითადად თვითონ იყო ხოლმე თავისი სიმღერების შემსრულებელი, თუმცა სხვებიც მღეროდნენ, მაგალითად — ეთერ კაკულია, „ცისფერი ტრიო“, ჰამლეტ გონაშვილი, რომელთანაც არაჩვეულებრივი

დუეტი აქვს ჩაწერილი. იმ სიმღერის ჩანაწერი არსებობს... აქტიურად თანამშრომლობდა და მეგობრობდა მსახიობებთან. უყვარდა, სიმღერის თეატრალიზებული წარმოდგენა, რომლის შესრულებაშიც მსახიობები, მუსიკოსები იყვნენ ხოლმე დაკავებულები; ვთქვათ, როცა ვიღაც ლექსს კითხულობდა, პარალელურად ვიოლინო უკრავდა, გუნდი მღეროდა, თვითონ კი როიალთან იჯდა, ასეთი ექსპერიმენტები იმ პერიოდისთვის ცოტათი უცხო იყო. ეთერს კი ნოვატორობა ახასიათებდა.

— როგორ ცხოვრობდა შვილს, ოჯახს როგორ გვივლიდათ? თუ მთელ დროს თავის შემოქმედებას უთმობდა?

— მხოლოდ თავის საქმეში რომ ყოფილიყო ჩაფლული, ალბათ, მისთვის ცოტა რთულიც იქნებოდა. ის იყო შემოქმედი, ქალი, დედა და საუკეთესო დიასახლისი... საერთოდ, მიმაჩნია, რომ დედა ნამდვილი თბილისელი, ქალაქელი ქალი იყო. ეს კი ვფიქრობ, უკვე ბევრს ნიშნავს, რადგანაც თბილისელობა უკვე წოდებაა... რაღაც, სხვანაირი თბილი, მხიარული პიროვნება იყო. სხვათა შორის, სიმართლის მთქმელიც გახლდათ. რაც შეეხება იმას, თუ როგორი დედა იყო: ის მხოლოდ დედა არ ყოფილა, ჩემი მეგობარიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა ვიყავი, განებივრებული არ ვყოფილვარ. შენიშვნასაც ისე სხვანაირად მომცემდა, რომ შემრცხვებოდა. ხმას არასდროს უწევდა. მგონია, რომ ის ჩემი მეგობრების დედებისგან განსხვავდებოდა.

— თავად რამდენად შტავსართ დედას?

— ვგავარ გარეგნობით, ხასიათით, სიარულის მანერით, ლაპარაკით, ხმით...

— სიმღერებს წერთ და მასავით

მღერთ?

— არა, მაგრამ ბავშვობაში რაღაცას ვწერდი, ჩემთვის ვერთობოდი ხოლმე. ისე, დედას, ჩემთვის, არასდროს მოუხვევია თავს, რომ აუცილებლად მუსიკას გავეოლოდი. თუმცა მე მსახიობობა მინდოდა და ამ მიზნის მიღწევაში მან და ჩემმა მეუღლემ ხელი შემეშალეს. არ უნდოდათ ჩემი მსახიობობა, ექიმობას მირჩევდნენ. ბოლოს უნივერსიტეტი დავამთავრე, რუსული ფილოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები.

— ვინ იყვნენ ქალბატონი ეთერის უახლოესი მეგობრები?

— იმდროინდელი ცნობილი და დამსახურებული ადამიანები: პროფესორები, აკადემიკოსები: დავით ბოჭორიშვილი, თამარ დევანოსიძე, ძირითადად, ელიტური საზოგადოების წარმომადგენლები. ყოველი მისი დაბადების დღე ნამდვილი სასახობა იყო...

— აღნიშნეთ, დედა ნამდვილი თბილისელი იყო. კონკრეტულად რომელი უბნელი იყო?

— პლენანოველი, კამოს ქუჩაზე ცხოვრობდა. საკმაოდ კარგი ოჯახის შვილი გახლდათ. ბაბუაჩემი — ტარას ქელიძე „ემდეგეს“ მინისტრი იყო. ის სიმღერისა და მუსიკის მოყვარული კაცი ყოფილა. შესანიშნავად უკრავდა. საერთოდ, დედის



დედა უმეტესად მაინც მორის ფოცხიშვილთან თანამშრომლობდა

პირველი ნაბიჯები ასეთი იყო: ის თავის დასთან ერთად გამოვიდა საზოგადოების სამსჯავროზე და ცნობილი გახდა „დები ქელიძეების“ დუეტით. მათ დედა ადრე დაედუბათ, მერე და — ნათელა ქელიძე დაუდგა გვერდით და დედაჩემს ყველაფერი გაუკეთა, რაც კი შეიძლებოდა.

— როგორც ვიცი, ახლა თქვენ ქალიშვილი — ანი სირაძე აგრძელებს ქელიძეების ტრადიციას და მუსიკაში პირველ ნაბიჯებს დგამს...

— კი, ასე; ანიში გარკვეულ პოტენციალს ვხედავ და როგორც შემიძლია, ხელს ვუწყო.

**ანი სირაძე:**

— ბებიას მე პირადად არ ვიცნობდი, რადგანაც ის ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. მასზე დედაჩემისგან ბევრი რამ მსმენია; ნანახი მაქვს ბებიის ნამღერის ამსახველი სატელევიზიო ჩანაწერები. პირველად სცენაზე რომ გამოვიჩნდი, მასსოვს, როგორც ეთერ ქელიძის შვილიშვილი, ყველამ თბილად მიმიღო. მას მერე, სადაც მოვხვდებოდი, ყველგან სიყვარულით მხვდებოდნენ. აქედან გამომდინარე, მივხვდი, რომ საზოგადოება ბებიაჩემს დიდ პატივს სცემდა, რაც ჩემთვის უდიდესი სტიმული იყო და არის. ეს მე ბევრ რამეში დამეხმარა და დღესაც მეხმარება.

— ნინო, რას ნიშნავს თქვენთვის ცნობილი კომპოზიტორის შვილობა? ნინო ელვაძეძე:

— ვამაყობდი ამით. სასიამოვნოა, რომ ასეთი დედის შვილი ვარ, მაგრამ საკუთარ თავზე არასდროს შემქმნია დიდი წარმოდგენა — თითქოს, ვინმეზე რამით უკეთესი ვიყავი. უბრალოდ, ჩემი ოჯახის წყალობით, ძალიან დიდი სკოლა-აკადემია გავიარე, რადგანაც საოცარი ადამიანების გარემოცვაში გავიზარდე. ჩვენს ოჯახში არა მარტო დაბადების დღეები, სიმღერისა და პოეზიის საღამო-საღონები იმართებოდა, არამედ დედას არაერთი უცხოელი სტუმარი ჰყავდა ხოლმე: ზოგი — რუსეთიდან, ზოგი — მაშინდელი სოციალისტური რესპუბლიკებიდან. მაგალითად, ბულგარელი მომღერალი ლილი ივანოვა (მისი საუკეთესო მეგობარი იყო); ჩები მუსიკოსი — კარელ გოტი. მას ქართულ ენაზე აქვს შესრულებული დედის ერთ-ერთი სიმღერა — „მჯეროდა“, რომელიც ერთი კვირის წინ, ანრი ჯოხაძემ და ევა კვალიაშვილმა არაჩვეულებრივად ჩაწერეს...

დედამ ამ ქვეყნიდან თავისი უდროო წასვლით, დიდი ტკივილი და სევდა დამიტოვა... 20 წელი გავიდა და უმისობა მაინც ძალიან მიჭირს. მისი სახელი ჩემთვის სავიზიტო ბარათია, რადგანაც არსებობს მისი შესანიშნავი შემოქმედება... ამიტომ, ძალიან მინდა, რომ ჩემი შვილი, რომელმაც ეს გზა აირჩია, ბოლომდე გაჰყვეს და დედაჩემის საქმეების ღირსეული გამგრძელებელი იყოს. მიხარია, რომ დღეს ეთერის სიმღერებს თანამედროვე მომღერლები: ნუკრი კაპანაძე, ნატო მეტონიძე, თამარიკო ჭოხონელიძე და მისი დები, დათუნა სირბილაძე, სოფო გელოვანი ასრულებ



ნინო ელვაძეძე და ანი სირაძე

ბენ. მათ შორის ბატონი ნიკო ლევიშვილიცაა. 2 წლის წინ, კომპანია „ფორტუნა 97“-მა (ორგანიზატორები — ცაია ყიფიანი, მარინა ცხაკაია) დედის შემოქმედებითი საღამო მოაწყო, რომელზეც აბსოლუტურად ყველა წამყვანმა მომღერალმა ეთერის სიმღერა შეასრულა. თითოეულ მათგანს მადლობას ვუხდი, მაგრამ საგანგებოდ მინდა გამოვყო მომღერალი ანრი ჯოხაძე, არა იმიტომ, რომ ის ჩემი მეგობარია: მის მიერ შესრულებულმა ეთერის სიმღერამ — „მე მაინც მოვალ“, დედაჩემი თითქოს გააცოცხლა.

**ანრი ჯოხაძე:**

— საერთოდ, კარგი სიმღერა რომ შეიქმნება, ის მერე ორი საუკუნის შემდეგაც იმღერება, რადგანაც კარგია. თავიდან, როდესაც გადაწყვიტე, შემესრულებინა ეთერ ქელიძის სიმღერა — „მე მაინც მოვალ“, ის ზუსტად ისე დავინახე, როგორც შევასრულე. ამ სიმღერაში საოცარი დრა-



ახლახან, მე და ევა კვალიაშვილმა დაგამთავრეთ სიმღერის — „მჯეროდა“ ლუგში ჩაწერა

მატიზმია და ეს განსაკუთრებით მაშინ ჩანს, როდესაც მას მამაკაცი ასრულებს, რადგან უფრო ძლიერი მუსტიკა საჭირო. „მე მაინც მოვალ“ მიმაჩნია, რომ კაცის სათქმელია, ქალები ამ სიტყვებს ნაკლებად ამბობენ. ლექსის ავტორიც ხომ მორის ფოცხიშვილია...

— რა მოგიტანა ამ სიმღერამ?

— ეს ჩემს შემოქმედებაში ერთ-ერთი საეტაპო ნამუშევარია. ამ სიმღერით ყველა მცნობს, ყველა ადამიანამდე მივდი... ეთერ ქელიძის სოვენის საღამოზე, ჩემს დასთან ერთად, დუეტში კომპოზიტორის კიდევ ერთი პოპულარული სიმღერა — „მალლა, მალლა რომ დაფრინავ“ — შევასრულე... ხოლო ახლახან, მე და ევა კვალიაშვილმა დაგამთავრეთ სიმღერის — „მჯეროდა“ დუეტში ჩაწერა. და ზუსტად ორი წლის ჩემი ჩანაფიქრი, როგორც იქნა, განხორციელდა. სხვათა შორის, ამ სიმღერის ლექსიც პოეტ მორის ფოცხიშვილს ეკუთვნის. „მჯეროდა“ თურმე ქართულად ჩემ მომღერალს — კარელ გოტსაც უმღერია. მაგრამ ამ სიმღერის პირველ შემსრულებლად მაინც ეთერ კაკულია რჩება. მე და ევამ ამ ნამუშევარს თანამედროვე ინტერპრეტაცია შევძინეთ. მე ვარ არანჟირების ავტორი და შეიძლება ითქვას, ამ პროექტის პროდიუსერიც.

— ევა კვალიაშვილი ადვილად დაითანხმე?

— ევას ეს იდეა, ორი წლის წინ შევთავაზე: ვუთხარი, ეთერ ქელიძეს აქვს ერთი ასეთი ნამუშევარი, რომელიც დღეს არავის ახსოვს და მას ახალი სიცოცხლე შევძინოთ-მეთქი. უარი არ უთქვამს, უბრალოდ, სტუდიაში მისვლა ცოტათი დაგვიგვიანდა. მაგრამ ახლა რადგან ეს ჩანაფიქრი უკვე რეალობაა, ვამირებთ მის დღის სინათლეზე გამოტანას. ვფიქრობ, საინტერესო ნამუშევარი გამოგვივდა.

— ეს შენგან მორიგი „ბომბია“?

— ზოგისთვის ამის მოსმენა, შესაძლოა, მორალური „ბომბი“ აღმოჩნდეს, რადგანაც მავანს მოსმენისთანავე გახეთქავს და დანგრევს, მაგრამ ვისაც ქვემოთი მუსიკა ესმის და უყვარს, მისთვის ეს სიამოვნების მთელი ტალღა იქნება.

— აბირებთ, რომ მასზე მუსიკალური კლიპი გადაიღოთ?

— გამოირიცხული არაფერია... სულ ბოლოს, მინდა ვთქვა: ეთერ ქელიძე ძველი თაობის შემოქმედებიდან, ერთ-ერთი იმ კომპოზიტორთაგანია, რომლის სიმღერები, დარწმუნებული ვარ, რაც დრო გადის, კი არ ცვდება, ახალ სიცოცხლეს იძენს, დროს უსწრებს. ჯერ ერთი, საოცრად ღრმა, წრფელი და მელოდური. ვგიჟდები გულწრფელ შემოქმედებაზე. მთავარია, რომ მასში არც ერთი ნოტი ყალბი არ არის. მელოდია პირდაპირ გულში გირტყამს... ცოტა ხანში, ვაპირებ, მისი კიდევ ერთი სიმღერის — „შენ დაგიტოვე“ — ჩაწერას (ლექსის ავტორი ირაკლი აბაშიძეა). მიმაჩნია, თუ შემოქმედი ხარ, ისეთი ნამუშევრები უნდა შექმნა, როგორსაც ქალბატონი ეთერი ქმნიდა. ■

# ზვიო ზლოტიჩის მიღის

## რაზე ვერ ხაიფობს ზოზანი

### თამუნა კვინიკაძე

ზვიად ბლიაძე იგივე, ზვიო „ერუდიტი“ ჩასაწერად რედაქციაში გვესტუმრა. სანამ მასთან ჩვენი რუბრიკის ძირითად თემებზე საუბარს დავიწყებდი, მოვიკითხე.

— ზვიო, რა ხდება შენკენ ახალი? რა სამომავლო გეგმები გაქვს?

— ამჯერად უმუშევარი ვარ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, საპარლამენტო არჩევნებში ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას ვაპირებ.

— ხუმრობ?

— რატომ გგონია, ვხუმრობ? პარლამენტარობაა ცუდი თუ მე ვიქნები ცუდი დეპუტატი? ოღონდ ჯერ არ მომიფიქრებია, რომელ პარტიასთან ვითანამშრომლებ.

ზვიოს წარმატებები ვსურვე და ჩვენი რუბრიკის ძირითად თემაზე გადავედი. იგი უპირატესობას ფსიქოლოგიურ ლიტერატურას ანიჭებს. მოსწონს, როცა ნაწარმოებში მწერლის იუმორი იგრძნობა. ბავშვობაში სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურასთან ერთად მითოლოგიასაც აქტიურად ეცნობოდა. პოეზიას პროზა ურჩევნია. ამბობს, რომ ლექსებზე ვერ კაიფობს. მისთვის საყვარელი მწერალი აკუთვავაა. ნიგინ არასდროს მოუპარავს, მაგრამ ის კი ახსოვს, რომ ბავშვობაში ოსიაურის ბიბლიოთეკიდან გატანილი „მუჭანახევარა“ დღესაც არ დაუბრუნებია.

— რას შეეჯახა „ტიტანიკი“, რამაც ამ გემის ჩაძირვა გამოიწვია?

— აისბერგს.

— რომელი მსახიობი თამაშობს შვარცენგერის ტყუპისცალს ამერიკულ ფილმში „ტყუპები“?

— დენი დე ვიტო.

— რომელი სახელმწიფოა მეორე ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით?

— პირველ ადგილზე ჩინეთია, მეორეზე — ინდოეთი.

— ვინ იყო ბერძენთა ლაშქრის სარდალი ტროას ომში?

— აქილევსი.

— ცდება. ბერძენთა ლაშქარს აგამემნონი სარდლობდა. რას ნიშნავდა შუა საუკუნეების საქართველოში ზედწოდება „ალასტინელი“?

— (ფიქრობს), არ ვიცი.

— უფლისწულს. ალასტანი ჯავახეთში უფლისწულთა აღსაზრდელი ცენტრი იყო. იქ ლაშა-გიორგი აღიზარდა. როდის აღნიშნავენ ამერიკაში დამოუკიდებლობის დღეს?

— 4 ივლისს.

— რომელმა ქვეყანამ აჩუქა ამერიკას თავისუფლების ქანდაკება?

— საფრანგეთმა.

— დაასახელე ფარნავაზიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

— ვერ გიპასუხებ.

— ასფაგური. რომელ ქალაქში დაიბადა შიო მღვიმელი?

— აზერბაიჯანში? ზუსტი პასუხი არ ვიცი.

— შიო მღვიმელი ანტიოქიაში დაიბადა. რა სამხედრო ნოდება ჰქონდა კუტუზოვს?

— გენერალ-ფელდმარშალი იყო.

— ტორების პარტიის საფუძველზე, რომელი პარტია შეიქმნა დიდ ბრიტანეთში?

— (ფიქრობს).

— მიგანიშნებ, ასეთი პარტია ჩვენს ქვეყანაშიც არის.

— ლეიბორისტული პარტია.

— არა, კონსერვატიული პარტია. რა გვარის



წარმომადგენლები იყვნენ რუსეთის იმპერატორები?

— რომანოვები.

— რომელი ლითონისგან მზადდებოდა ძველი რუსული მონეტა „იმპერიალი“?

— ოქროსგან.

— შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში 1942 წელს გაიხსნა. ვინ არის ავტორი?

— ამაშუკელი ან ბერძენიშვილი.

— სწორი პასუხია კოტე მერაბიშვილი. ბავშვობაში გადატანილი ოპერაციის გამო, რომელ ფეხბურთელს ჰქონდა მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლე?

— გარინჩას.

— რა ეროვნების იყო ნოსტრადამუსი?

— ვერ გიპასუხებ.

— ებრაელი. ვის მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგი“?

— არ ვიცი.

— გოეთეს. რა გვარი იყო იეთიმ გურჯი?

— არ მახსოვს.

— დაბლიშვილი. ზოგიერთი ისტორიკოსის გადმოცემით, ამ ქალაქში უფრო მეტი ქანდაკება იყო, ვიდრე ცოცხალი ადამიანი. რომელ ქალაქზეა საუბარი?

— ქანდაკებების სიმრავლით ათენი გამოირჩეოდა.

— დაიას. 1878 წელს, ინგლისში საფეხბურთო მატჩის დროს, მსაჯმა სასტყენი პირველად გამოიყენა. როგორ აჩერებდნენ მატჩის მსვლელობას მანამდე?

— საინტერესო კითხვაა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვვარაუდობ, რომ მატჩის მსვლელობას გასროლით აჩერებდნენ.

— შენი ვარაუდი არ გამართლდა. მატჩის მსვლელობას არა გასროლით, არამედ ყვირილით აჩერებდნენ. როგორ ისჯებოდა სპარტაში აღმზრდელის მიერ დასმულ შეკითხვაზე დაუფიქრებელი პასუხის გაცემისთვის აღსაზრდელი?

— (ფიქრობს). ამ კითხვაზე პასუხს უნდა მიეხვედ თუ უნდა ვიცოდე?

— უნდა იცოდე.

— მაშინ, ვერ გიპასუხებ.

— აღმზრდელი მას ცერა თითზე ჰკბენდა. ამ ქართველი პოეტის დედა გრიგოლ ორბელიანის და და ერეკლე II-ს შვილიშვილი იყო.

— თუ შეგიძლია, კითხვა გამიმეორე (გამეორების შემდეგ), ნიკოლოზ ბარათაშვილი.

— ვინ არის დაკრძალული პარიზის ტრიუმფალური თაღის ქვეშ?

— არ ვიცი.

— ტრიუმფალური თაღის ქვეშ II მსოფლიო ომში დაღუპული უცნობი ჯარისკაცის ნეშტი განისვენებს. რა ჰქვია მამლების ორთაბრძოლას?

— ვიცი, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

— გალიერა. რას ნიშნავს „ზაზრუმა“?

— ზუსტად როგორ გითხრა, არ ვიცი. „მოკეტეს“ პონტშია, არა? მოკეტე, ნუ ლაპარაკობ (იციანის).

— არა. „ზაზრუმა“ სპარსული სიტყვაა და არგადორჩენას ნიშნავს. ეს ორი ადამიანი თანამედროვენი



იყენენ. მედიცინის მამა, ფილოსოფიის მამაზე 6 წლით უმცროსი იყო. დასახელებთ ისინი.

— ჰიპოკრატე და სოკრატე.

— ამ ამერიკელმა მწერალმა ლიტერატურული მოღვაწეობა პატივითა და დაცვით რომელ მწერალზეა საუბარი?

— ქართველია?

— არა. უკვე გითხარი, რომ ამერიკელია.

— არ ვიცი.

— ოპენიომ. ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ თავზე ოქროს გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, 3 დღეს ვედარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?

— ალბათ, მართონულ რბენაში.

— მან შეჯიბრება ღვინის სმაში მოაწყო. პეტრონონის მონასტერი ბიზანტიის პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ გროგოლ ბაჟურთანის ძემ დააარსა. რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს იგი?

— საბერძნეთში.

— ცდები. ბულგარეთის ტერიტორიაზეა, სოფელ ბაჩკოვოსთან. ამ ცხოველის შვილზე ამბობენ, გვარზე ხტისო.

— „კვიცი გვარზე ხტისო“. კვიცი ცხენის შვილია.

— რა ერქვა მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟს?

— არ მახსოვს.

— ფაეტონი. დასახელებ რომის იმპერატორი, რომელმაც საკუთარ ცხენს კონსულობა მიანიჭა.

— არ ვიცი.

— კალიგულა. რომელი ცხოველი და რატომ ჩამოასრწო ივანე მრისხანემ?

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— სპოლო, რადგან მეფის წინაშე მუხლი არ მოიდრეკა. აკაკი წერეთელი ცნობილ ლექსში „განთიადი“ ვის უწოდებს „რანდსა ურჩსა მტრისასა“?

— (ფიქრობს).

— მიგანიშნებ, ასე იმ პიროვნებას უწოდებს, ვისაც „განთიადი“ მიუძღვნა.

— არ ვიცი.

— დიმიტრი ყიფიანს. ვინ არის „მზანი ლამის“ ავტორი?

— ნოდარ დუმბაძე.

— მეფეთა ერთი ჯგუფი: ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონ ბონაპარტი, იულიუს კეისარი, ერეკლე II. მეორე ჯგუფი: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, პეტრე I. რა ნიშნის მიხედვით არიან დაჯგუფებული ეს მეფეები?

— პირველ ჯგუფში ტანდაბალი, მეორეში — ტანმადალი მეფეები შედიან.

— დიას. მას დიდხელება პიანისტს, თავმდაბალ მუსიკოსს და პატრიოტ ემიგრანტს უწოდებდნენ. რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს მუსიკოსად მიიჩნდათ. მან ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. მისი ყოველი გამოსვლა მილიონად ფასობდა. მიუხედავად ამისა, კონცერტებზე მუდამ ერთი და იგივე ფრაკი ეცვა. ვისზეა საუბარი?

— ჩაიკოვსკიზე?

— არა. იგი სერგეი რახმანინოვი გახლდათ. რომელ ქვეყანას უწოდებდნენ საბჭოთა კავშირის „საშაქრეს“?

— კუბას.

— რა ჰქვია ჯუჯა მცენარეების გამოყვანის ხელოვნებას?

— იკებანა.

— ცდები. უნდა გეთქვას ბონსაი. რა ჰქვია გეომეტრიის ნაწილს, რომელიც სწავლობს ფიგურებს სიბრტყეზე?

— ვაა!!! ეს ხომ სკოლაში ვისწავლე. ვერ ვისხენებ. რა ჰქვია?

— პლანიმეტრია. რამ შეუშალა ხელი ბარსელონაში 1940 წელს ოლიმპიური თამაშების ჩატარებას?

— მსოფლიო ომმა.

— რომელმა ცნობილმა მწერალმა შემოიღო პირველად მოკლე შარვალი, ენ. „შორტი“.

— არ ვიცი.

— ოსკარ უაილდმა. ამ ხელსაწყო სახელი ორი ლათინური სიტყვისგან წარმოიშვა. ეს სიტყვებია: „წყვილი თვალი“.

— „ბინოკლი“.

— ვინ იყო გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი?

— არ მახსოვს.

— ბისმარკი. „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზე რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაიხიროს და ხალხში არ შერცხვე“. ვის ეკუთვნის ეს გამონათქვამი?

— ეს იგივეა, რაც „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უქანო“.

— გამონათქვამის ავტორს ვერ იხსენებ?

— როგორ არა, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

— რომელ ნაწარმოებში ამბობს ამ სიტყვებს?

— ზუსტად არ მახსოვს, მგონი, „მგზავრის წერილებში“. არა?

— არა, ეს სიტყვები მის ნაწარმოებში „კაცია ადამიანი“?! გვხვდება. მტრედი, ყვავი, მწყერი, ბელურა — ამ ფრინველებიდან თბილ ქვეყნებში გამოსაზამთრებლად რომელი მიფრინავს?

— მწყერი.

— სადაურია ავტომწარმოებელი ფირმა — „ჰიუნდაი“, ინდური, იაპონური, კორეული თუ ჩინური?

— კორეული.

— რომელი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს კურორტი ბახმარო?

— გურიამი.

— გურიის რომელ რაიონში?

— ოზურგეთში, არა?

— ბახმარო ჩოხატაურის რაიონშია. ტუნისი, მონაკო, ლუქსემბურგი, ლისტენშტეინი — ამ სახელმწიფოებიდან რომლის დასახელება არ ემთხვევა დედაქალაქის სახელს?

— ტუნისი.

— ტუნისის დედაქალაქი ტუნისია. სწორი პასუხია ლისტენშტეინი, მისი დედაქალაქია ვადუზი. რომელმა ლიტერატურულმა გმირმა იმოგზაურა ლილიპუტების ქვეყანაში?

— გულივერმა.


— არტურ ლაისტმა რომელ მთას უწოდა საქართველოს მთების მეფე?

— მყინვარწვერს.

— ბოლოს, დასრულეთ ბერნეს ცნობილი გამონათქვამი „მძულვარების დამალვა და არგამოჩენა ადვილია, სიყვარულისა — ძნელი, გულგრილობის კი...“

— როგორც ვხვდები, გამონათქვამი შემდეგნაირად შეიძლება სრულდებოდეს — „...გულგრილობის კი შეუძლებელი“.

— „...გულგრილობის კი თითქმის შეუძლებელი“.



რაგომ გგონია, ეს უმრობე პარლამენტარობაა ცული თუ მე ვიქნები ცული დეპუტატი?

# მივიწყებული პვიპვიპოსანი

## ანუ პენოფონის პალაპჩინელი ეფუე პიოპი VII

ჩემმა რესონდენტმა დანანებით აღნიშნა: ქართველი რეჟისორები უფრო ხშირად უცხოელი ავტორებით, თუნდაც კლასიკოსებით ინტერესდებიან და მათ პიესებს დგამენ, არც მსუბუქ თემებს გაუბრძან, საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ეპოქის სცენაზე გადმოტანას კი ერიდებიანო. თუმცა მისი პიესა „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ ლევან წულაძემ წარმატებით განახორციელა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და დღემდე ძალიან პოპულარულია. აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი გურამ ქართველიშვილი რეჟისორ გიორგი შალუტაშვილთან ერთად, მალე ახალი ისტორიული პიესის „გიორგი VII“-ს რეჟეტიცივს დაიწყებს, ამჯერად — კინომსახიობთა თეატრში.



### ირმა ხარშილაძე

— რატომ აირჩიეთ პიესის თემად, მაინცდამაინც გიორგი VII-ს (1393-1407) მეფობის ხანა? ქართველებისთვის თითქმის უცნობია ამ მეფის ღვაწლი, ისტორიულ წყაროებში მის შესახებ მწირო ინფორმაცია მოგვეპოვება. თქვენ რა წყაროებს იყენებთ მასზე საუბრისას?

— ქართველისთვის ამ ეპოქის არცოდნა ნიშნავს, რომ ადამიანმა თავისი ხერხემალი არ იცოდეს. არც ერთ გეორგინოსან ბაგრატიონს ისეთი მტერი არ უნახავს (გგულისხმობ თემურლენგის მ ლაშქრობას საქართველოში), ჩვენს ქვეყანას არასდროს ჩაუბარებია გამოცდა ისე, როგორც გიორგი VII-ის მეფობისას — ანუ შეინარჩუნა ქრისტიანობა და თავისი ეროვნული სახე. ქართველები დღეს რომ ვართ, სწორედ ამ მეფის დამსახურებაა. სვეტიცხოველი შემოენგრა კაცს ხელში, მაგრამ გენოფონდი გადაარჩინა. დაუსრულებული შემოსევები იყო საქართველოში, საუკუნეწახევარი მუშები დუმდნენ, არავინ არაფერს წერდა, ხოლო რაც დაწერილი იყო, განადგურდა. დარჩა მხოლოდ სპარსული წყაროები, რაც ჩემთვის იქცა საყრდენად. თვითონ თემურლენგის ისტორიკოსები წერდნენ იმას, რაც პიესაშია გადმოცემული. ესპანური წყაროები გამოვიყენე. იმ ეპოქის თანამედროვე ერთი გერმანელი წერს მასზე, ორიც — ბიზანტიელი; წერენ სომხები, არაბები... პიესაში ყველაფერი ისტორიულია, ოღონდ — გამაბტვრულებული. იმასაც გეტყვით, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც თემურლენგთან ომში ჩება.

— რატომ იყო აქამდე, გიორგი VII-ს ეპოქა ჩვენთვის დასურული?

— თემურლენგი რუსეთისთვის მოკავ-

შირე იყო, რადგან მან ოქროს ურდო დაანგრია და გაანადგურა მისი ყველა — თოხთაიში (სხვათა შორის, გიორგი VII-ს მოკავშირე), მაგრამ ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მოკლედ, გიორგი VII-ს ღვაწლის წარმოჩენა საბჭოთა პერიოდში ისტორიოგრაფიაში არავის აძლევდა ხელს, ვინაიდან ის იყო ქართველი მეომარი მეფე, რომელიც დეუტაკა ტაშერლანს — შუა აზიის დავით აღმაშენებელს. შუა აზიას კი მაშინ რუსები კოჭს უგორებდნენ... აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩვენი ლექტორები ყოველთვის გვაფრთხილებდნენ: მიუხედავად იმისა, რომ თემურლენგს თავში ხმალი ჩვენ ჩავარტყით და მისი თავი-მუზარადი აგერ გვიდევს მუზეუმში, ამაზე ხმამაღლა ნუ ვილაპარაკებთო... გენბავთ, გააჩერეთ ქუჩაში ძალზე ნაკითხი და გახათლებული ქართველი და ჰკითხეთ, რა იცის გიორგი მეფედებზე?! ეს ის ეპოქაა, როდესაც თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალის მიერ წინ წამოწეული არისტოკრატია (ვინც ქვეყანას მართავდა — „ხმლის ხალხი“, რომელსაც ხმლით ეჭირა საქართველო) პირწმინდად ამოწყდა თემურლენგის შემოსევებისას, მაგრამ ამის შემდეგ გიორგი VII-მ მთავი გახიზნული მოსახლეობა გადაარჩინა. წამოვიდა ახალი გვარები, დაიბადა ახალი საქართველო, ჩვენ კი ბევრი რამ არ ვიცით. მტრისთვისაც ხომ მთავარი იყო, ქართველს თავისი წარსული დაევიწყებინა?! არადა, არ უნდა ვიცოდეთ, როგორ გვეჭირა დღემდე ეს მიწა, გზა-გასაყარი? დასავლურ კულტურაში კარგად ჩახედულ ქართველებს ხშირად ავიწყდებათ აღმოსავლეთი. კი, ბატონო, ევროპული კულტურის ნაწილი ვართ, ქრისტიანები, მაგრამ — შავი ზღვის გადმოღმევი ქრისტიანები, კავკასიაში პოლიტიკის მთავარი წარმმართველები — ეს უნდა დავკარგოთ?! ჩვენი საამაყო მიკროკულ-

ტურა უმეტესად, ხმაღს ხმარდებოდა, ხშირად კი — დიპლომატიას, მაგრამ როდესაც ცხენზე ამხედრებული მაიმუნი მოდის, უნაგირის ქვეშე კი უში ხორცი უდევს, რომელსაც ჯეჯეგავს და გლევს და ვაზის მომყვან, ბალ-ვენახების გამშენებელ ერს მასთან გაქვს საქმე, არ შეიძლება, შერიგება. იმას შენი მამულის საძოვრად გადაქცევა უნდა! ასეთი რამ ყველაზე მძაფრად, თემურლენგის შემოსევებისას დაგვეუქრა და ყოველ ოც წელიწადში ერთხელ გვეუქრებოდა, ამიტომ საომარ ყაიდაზე გვექონდა ქვეყანა მოწყობილი. რუსების ხელში კი ძალიან გაგნებვირდით. რუსმა გვითხრა, — პოლიტიკა თქვენი საქმე არ არის, ომს თავი დაანებეთო, — და გავმცონარდით. ჩვენი საქმე ყანნი და ტამ-ფანდური გახდა — „გავმსუბუქდით“ ვრი. ისეთებიც კი, სერიოზულ ადამიანებად რომ მიიჩნევ, ქვეყანაში გავლენა რომ აქვთ და ამინდს ქმნიან, ფიქრობენ: ჩვენ რა პოლიტიკის შემქმნელები ვართ? ყველა ჩვენზე კარგი მეომარიაო. არადა, თუ სანინაალმდეგოს არ ვირწმუნებთ, ამ მინას დავკარგავთ. ხომ ბევრჯერ გვექონდა ქართველებს მონოლითური სახელმწიფო! ესე იგი, ახლაც შეგვიძლია გვექონდეს, მაგრამ ამისთვის საკუთარ თავს, წარსულს კარგად უნდა ვიცნობდეთ. ჩვენი „ბიბლია“ — „ქართლის ცხოვრება“.

— გურამ, ნუთუ თქვენამდე არავის უცდია გიორგი VII-ს ცხოვრების გამომზეურება? ბევრი რამ აუკრძალავთ საბჭოთა წყობის დროს ქართველებისთვის, მაგრამ ხშირად სანინაალმდეგო მიუღიათ...

— ცოტანი ვიყავით აღმოსავლეთმცოდნეები უნივერსიტეტში და სწორედ ჩვენ ბევრ ისეთ რამეს გვასწავლიდნენ, ისეთ ინფორმაციას გვანვიდნენ, რომელიც ისტორიკოსებისთვისაც კი მიუწვდომელი იყო. ამიტომ თითოეულს ჩვენად გვეცა ენაზე კბილის დაჭერა, თუმცა ჩვენს საქმეს ყოველთვის ვაკუებდით. ხოლო საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას ისეთი ფორმით, რასაც სცენაზე გამოტანა ჰქვია, მწერალი სჭირდება. მე ბავშვობიდან ვწერდი, შესაბამისად, არ გამძნელებია ისტორიული ეპოქის გამაბტვრულება.

— თქვენი პიესის — „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ სცენაზე განხორციელება ძალიან წარმატებული აღმოჩნდა — სპექტაკლი, მგონი, დღემდე ანშლავით მიმდინარეობს მარჯანიშვილის თეატრში. ჩანს, საზოგადოება ითხოვს ისტორიულ, საგმირო თემატიკას და თანაც — ქართულს. ამჯერად, ახალი პიესის დადგმა რეჟისორ გიორგი შალუტაშვილთან ერთად, კინომსახიობთა თეატრის სცენაზე გადაწყვიტეთ. რატომ?

— კარგა ხანია, ქართველი რეჟისორები ისტორიულ თემას, მით უმეტეს —

ქართულს, დიდი გულმოდგინებით აღარ ეკიდებოდა, უფრო მსუბუქ თემებს ირჩევდა. მიუხედავად „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ ასეთი ნარმატებისა, იმავე მარჯანიშვილის თეატრში შეიძლება, 6-7 თვე დამჭირვებოდა ლოდინი, ვიდრე „გიორგი VII“ დაიდგებოდა. რუსთაველის თეატრში, ალბათ, საერთოდ ვერ ეღიბებოდა სცენას, რადგან ვგრძნობ, რატომღაც, ქართული ისტორიის თემა აშინებთ. ამიტომ გადავწყვიტე, გიორგი შალუტაშვილთან ერთად, მემუშავა. მას ძალიან კარგი ხედავა აქვს, თავმდაბალი კაცია და ნაღდი ქართველი — გიორგი ჩემთვის აღმოჩენა.

— გიორგი შალუტაშვილი მაყაშვილების შთამომავალია. მგონი, თქვენ ჩოლოყაშვილებს ენათესავენ...

— ჩემს გვარში შემორჩენილია ასეთი გადმოცემა: შაჰ-აბასის შემოსევებისას დასავლეთ საქართველოში გაიქცა ჩემი წინაპარი — ჩოლოყაშვილი. იმ პერიოდში, მიწების შემცირება-დაკარგვასთან ერთად, დასავლეთ საქართველოში ბევრი დიდგვაროვანი შეგროვდა. თითოეულს, გვარიდან გამომდინარე, სერიოზული ამბიცია ჰქონდა — ვთქვათ, ამილახვარს აზნაურობა არ სურდა და ასე შემდეგ. ჩემს წინაპარს გვარი შეუცვალეს და ქართველიშვილად დაწერეს, ჩააბარეს სამეფო სოფელი რაჭა-იმერეთის გადასავლელზე და 6-7 გვარი გამოგვყავდა ომში, ჩვენ თვითონ, აზნაურის ტიტულს ვატარებდით. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. საინტერესოა დასავლეთში ჩემი წინაპრების ცხოვრების ისტორია: მათ ხელი მოუწერიათ სოლომონ პირველის სიგელზე, სადაც წერია, რომ ტყვეების გამოყვანისთვის (საკუთარ ყმებს რომ ყიდდნენ თავადები) თვლები უნდა დაეთხარათ. საკმაოდ სერიოზული პოზიცია იყო ისეთი მეფის გვერდით დგომა, რომელმაც მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა ქვეყანაში და თურქეთს კუდით ქვა ასროლიდა...


— მოდი, ისევ პესას დავუბრუნდეთ. მგონი, როლები უკვე განაწილებულია. როდის იწყებთ რეპეტიციებს და ვინ მიიღებს მონაწილეობას ახალ სპექტაკლში?

— რეპეტიციებს მალე დავიწყებთ. კინომსახიობთა თეატრში ძალიან ნიჭიერი მსახიობები არიან, მიხეილ თუმანიშვილის სკოლა აქვთ გავლილი!.. ჯერჯერობით მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ

გიორგი VII-ს როლს გიორგი ნაკაშიძე შეასრულებს: კაცი, რომელშიც შინაგანი მენი იგრძნობა, ის გიორგი VII-ს ითამაშებს, თან გარეგნობაც ხელს უწყობს, ოღონდ ცოტათი უნდა გახდეს (იციან).

— მითხარო, დრამატურგი არ ვარო, თუმცა ამ საქმემ სერიოზულად გაგიტაცათ. ვიცი, მოთხრობებსაც წერთ...

— ჩემი მოთხრობები კრებულად არ გამოიცია, ანი ვაპირებ. სხვათა შორის, ახალ პიესაზეც ვმუშაობ, „თაობა“ ერქმევა, ჩემს თაობას მიეუძღვნე. მე და ჩემს მეგობრებს გზაგასაყარზე მოგვინია ცხოვრებამ და ბევრი რამ დაგვატყდა თავს. არ ვართ ჩვენ ხელნაწილკარავი თაობა. ახლა მიმეჩქარება 12 წლის ბავშვებთან — ლურჯ მონასტერთან, ან გარდაცვლილი ფოლკლორისტის, ედიშერ გარაყანიძის ვაჟმა სკოლა გახსნა. იმ ბავშვებს მე ვასწავლი ყველაფერს საქართველოს შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, რომ აქ მთავრდება დასავლეთი და იწყება აღმოსავლეთი; ორი სხვადასხვა ფერისა და რჯულის „გველუშაპის“ გასაყარზე მყოფი ერისთვის მეტი სიფიზილა საჭირო; რომ ბოლო მ საუკუნეა, „ვეფხისტყაოსნის“ სულით ვინახავთ საქართველოს — ის არის ჩვენი ქვეყნის „გადარჩენის კოდექსი“; თითოეული ბაგრატიონია მაგალიტი, როგორ უნდა მოუარო ქვეყანას — სადამდეც სწვდებოდათ საზანი, იქამდე უვლიდნენ, ოღონდ — სისხლის უკანასკნელ წვეთს არ იშურებდნენ ამისთვის. გიორგი VII და მისი ძმა კონსტანტინე — ორივე ომში მოკლეს. ასეთი რამ მართლა არ მომხდარა ჩვენს ისტორიაში — რომ ომში სუთი წლის განმავლობაში ორი მეფე მოკლათ! წარმოიდგინეთ, რა ქვა დუღს საქართველოში, რა გადავიტანეთ და როგორი იმუნიტეტის მქონე ვართ!.. მე იურტაში ნაცხოვრები კაცი ვარ, 15 წლის განმავლობაში ფეხით დამივლია ირანის კუთხე-კუნძულები, იქაურებთან სურნელი ვიცი და კარგად ვგრძნობ, რას ებრძოდნენ ჩემი წინაპრები. ვილაც ისტორიკოსი გიორგი VII-ს შლევს უწოდებს, — საქართველო დაანგრიაო და ავიწყდება, რომ საქართველო თემურმა დაანგრია, გიორგიმ კი ჩაღმა არ ჩამოგვამხო თავზე. ისიც მომიხვინია, უთქვამთ: რა მოხდა, მერე, დაგვეხურა ჩაღმა, რიცხოვრივად მეტი ვიწუნებოდითო. ასეთი შეხედულება საკუთარი თავის მიმართ, მაშინ, როცა სახელმწიფოებრივი აზროვნება დევს საპირნონზე!.. არც დღევანდელი დამოკიდებულება პოლიტიკოსებს შორის (ორივე მხარეს ვგულისხმობ) მოსაწონი. როდესაც ხედავ, რომ შენს ქვეყანას შეიძლება, ერთხელ და სამუდამოდ, ამ კომმარინდან გამოსვლა და დასავლეთის რალაც ორგანიზმში შელწევა ეღიბოს, არ უნდა ამწვავებდე ყველაფერს. ამან შეიძლება კავკასიურ ომამდე მიგვიყვანოს. მერე რას ვუბნებით ჩვენი შვილების თაობას? ამათაც „კალაშნიკოვი“ დავაჭვრინოთ ხელში და ერთმანეთი ვახოცვინოთ?! ორივე მხარეს სერიოზული ნაკლი აქვს, ასპარეზზე კი არ არის ის ხალხი, ვინც უნდა იყოს. ადამიანს



სპექტაკლი, მგონი, დღემდე ანშლავით მიმდინარეობს მარჯანიშვილის თეატრში

როდესაც შესაბამისი ინტელექტი არ აქვს, არ ესმის, რომელ ქვეყანას, რომელ რეგიონს ან რომელ უბანს მართავს და როდესაც მის ხელში ფასეულობა გადის, ადვილად სწირავს ამ ფასეულობას, რადგან არ იცის, ის რა არის. მერე მოლაღატის განცდა კი არა აქვს, ჰგონია, რომ საქმეს აკეთებს — ვერ ხვდება, რომ ბავშვს აყილებს ნაბან წყალს. ოქროს ტვინი და ოქროს ხელი სანამ არ დაფასდება, ჩვენთან საზოგადოება არ შედგება, მით უმეტეს, არ შედგება ელიტა და სახელმწიფო. ჯერ კიდევ ოჯახში ინარჩუნებენ რალაცას, თორემ ჩვენი საზოგადოება რითია დაკავებული? — ყველაზე მაგარი ის არის, ვინც დილით ტელეთერში გამოვა და კერძს გააკეთებს. ამით აღწევს ადამიანები პოპულარობას. თორემ სად გინახავთ დღეს, ასპარეზზე ჭკვიანი კაცი?.. მე ძალიან მესაკლავს. ეს ბაზრობის დონეზე დავიყვანს, თუნდაც იმ გადაცემებით, რომლებსაც ახალგაზრდებს ახვევენ თავს. წაწილის ქვეყანაში სექსი გვიკვირს?.. ქალის ფასიც კარგად იცოდა ქართველმა და მამაკაცისაც!

გურამ ქართველიშვილის პიესის „გიორგი VII-ს“ დასასრული გამახსენდა, რომის პაპის სიტყვები: „გაუსაძლის გაუძღეს ქართველებმა. ევ ხალხი თემურისგან დანგრეულ ქვეყანას ისევ ააშენებს, მაგრამ იცი, გული რაზე მწყდება?.. დღევანდელი საქრისტიანოს ყველაზე დიდი რაინდი მონარქი დანგრეულ ეკლესიაში (იგულისხმება თემურლენგისგან დანგრეული სვეტიცხოველი. — ავტ.) რომ დაიმარხა“.



„ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ სცენაზე განხორციელება ძალიან წარმატებული აღმოჩნდა

რამდენიმე დღის წინ თერჯოლაში გამგზავრება გადაწყვიტე და ამ მიზნით, დილაუთენია გავეშურე დიდუბის ავტოსადგურისკენ, სადაც საჭირო სამარშრუტო ტაქსის ძებნა არც კი დამჭირვებია, რადგან ე.წ. „ოკრიბასთან“ ჩავიარე თუ არა, უკან ვილაც კაცი ამეკიდა და მეძახდა: გოგონი, გოგონი, სად მიდიხარ? მოიცა, იაფად წაგიყვანო. უკან რომ არ მივიხედე, ყვირილი დაიწყო: რა იყო, შე ქალო, შენთვის კარგი მინდოდა; ნუ გეშინია, არ მოგიტაცებო. რადგან არ მომეშვა, მივუბრუნდი და ვუთხარი: თერჯოლაში მივდივარ-მეთქი. — მერე, მოდი, შე დალოცვილო, რატომ გარბოდი? ა, ამ „მარშრუტკაში“ ჩაჯექ და სულ იაფად ჩაგიყვანს თერჯოლაშიო, — მითხრა და ჩემი თავი მითითებული მიკროავტობუსის მძღოლს „ჩააბარა“.

# გლახა ქართველები, დასაყიდი ჩინელები და „მიტალაწე ცილი“ ანუ „რას გვიშვრებს ეს მთავრობა?“



## მარეზ ზონიშვილი

— მაინც, რამდენად წამიყვანთ? — დავინტერესდი.

— 10 ლარი გადამიხადე და სულ სიმღერ-სიმღერით ჩაგიყვან იმ შენს თერჯოლაში, — მითხრა მძღოლმა, რომელმაც ფული სასწრაფოდ გამომართვა და შემდეგ, თავისუფალი სავარძლისკენ მიმითითა, — იქ დაბრძანდიო. თან, დამამიძედა: — მაქსიმუმ 10 წუთში გავალთო. მისმა ნათქვამმა ერთ-ერთი ქალბატონი აღაშფოთა:

— მეც ეგრე მითხარი, მაგრამ უკვე ნახევარი საათია, აქ ვზივარ და გელოდები. ზუსტად თქვი, რომელ საათზე გადისარ.

— რას მეჩხუბები, ქალბატონო? თუ „მარშრუტკა“ არ გაივსო, მარტო შენ გამო ხომ ვერ წავალ?!

— მერე, რომ იტყუები, რას იტყუები? ადამიანს სიმართლე უნდა უთხრა და თუ აწყობს, დაგელოდება, თუ არა და, წავა თავის გზაზე..

ამ დროს „მარშრუტკაში“ ვილაც ქალმა შემოყო თავი და ჟურნალ-გაზეთები შემოგვთავაზა. წინა სავარძელზე მჯდომმა მანდილოსანმა მას რომელიღაც ჟურნალი გამოართვა და დიდხანს ფურცლა. გამყიდველმა უყურა, უყურა და ბოლოს, ფული მოსთხოვა.

— ფული რატომ უნდა მოგცე, როცა არ ვყიდულობ?

— აბა, თუ არ ყიდულობ, მომეცი აქ, მოცლილი კი არ ვარ! იქნებ, რამდენიმე მაინც გაყვიდო და პური მივიტანო შინ.

ამასობაში ორი ახალგაზრდა გოგო მოვიდა და „მარშრუტკაში“ შემოიხედა. მძღოლმა ერთ-ერთ მათგანს პატარა სკამი მიანოდა და მასზე დაჯდომა შესთავაზა.

— რას ამბობთ, ზესტაფონამდე ამ სკამზე უნდა ვიჯდე? — გააპროტესტა გოგონამ.

— შენ გეტყობა, არ გეჩქარება და იდექი აქ კიდევ ერთი საათი, — შეეპასუხა ერთ-ერთი მგზავრი.

— თუ კარგია, გამიცვალე ადგილი, მოდი, დაჯექი ამ სკამზე, — არც გოგო დარჩა ვალში. შემდეგ, მეგობარს ხელკავი გამოსდო და წავიდა.

როგორც იქნა, „მარშრუტკაში“ ყველა ადგილი შეივსო და დავიძარით კიდევ. თბილისს გავცდით თუ არა, ზოგმა გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო, ზოგი — ალაპარაკდა.

### მანანა ნაჭყვია, პარლამენტის წევრი:

— ქართული ბეჭდური მედიის დიდ ნაწილს, მით უფრო, ისეთ პოპულარულ გამოცემას, როგორც თქვენი ჟურნალია, სისტემატურად ვეცნობი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ „გზის“ ყველა ნომერი მაქვს და როგორი დადლილიც არ უნდა დავბრუნდე შინ, მაინც გამოვგნახავ ხოლმე დროს იმისათვის, რომ რამდენიმე საინტერესო სტატია წავიკითხო. პირველ რიგში, ვეცნობი პოლიტიკურ რუბრიკებს, შემდეგ კი სიამოვნებით ვკითხულობ აპოლიტიკურ წერილებს. განსაკუთრებით მომწონს ინტელექტუალური მასალები, რომლებიც თქვენთან სისტემატურად იბეჭდება. ასევე, ვკითხულობ ყველაფერს, რაც კულინარიას ეხება და მაინტერესებს ინტერვიუები, სადაც საინტერესო ადამიანები ცხოვრებისეულ გამოცდილებას გვიხიარებენ. ჩემი სურვილია, რომ „გზამ“ მეტი ადგილი დაუთმოს პოლიტიკურ წერილებს, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მიმოხილვას. მერწმუნეთ, ამით კიდევ უფრო მეტ მკითხველს შეიძენთ.



— ძალიან მენწყინა პატარაკაციშვილის სიკვდილი. ჩემმა შვილმა რომ დამირეკა და ეს ამბავი შემატყობინა, ლამის გული გამისკდა, — დაიწყო ერთ-ერთმა ქალბატონმა.

— გული არ გამსკდომია, მაგრამ მართლა ძალიან მენწყინა.

— აბა, რამდენი ფული ჰქონდა!.. მაგ თუ ოდესმე მოკვდებოდა, არ მეგონა.

— ფულიანი და უფულო არ იცის სიკვდილმა, ყველას ერთნაირად მოგვიკაუნებს კარზე.

— ახლა დაიწყება ლაპარაკი იმაზე, ოპოზიციას ვინდა დააფინანსებს, გრეჩხას ვალებს ვინდა გაუსტუმრებს...

— ნეტა, ოპოზიციას და „პოზიციას“ რომ ფული აქვს, იმდენი ჩვენ მოგვცა... ეჰ, ჩვენ ვიკითხოთ, გაჭირვებულმა ხალხმა, თორემ მაგათ რა უჭირთ?!

— თუ იცით, ებრაელები ორმოცს იხდიან? — დაინტერესდა ერთ-ერთი მგზავრი.

— მაგათ თავიანთი წესები აქვთ. როგორც ვიცი, ორმოცამდე, საქმელს დაჩოქილები ჭამენ, — აუხსნა გვერდით მჯდომმა ქალბატონმა.

— შენ საიდან იცი მაგათი წესები? — მის ნათქვამში ეჭვი შეეპარა ერთ-ერთ მგზავრს.

— ებრაელი მუშობელი მყავდა და როცა მამა გარდაეცვალა, „ებრაულად“ გაასვენეს...

— ნეტა, მართლა გული გაუსკდა? რალაც, ეჭვი მეპარება. კაცს ამდენი ფული ჰქონდა და გული რომ სტკენოდა, ექიმთან ვერ მივიდოდა?

— ყველას, ვინც ამ მთავრობას არ მოსწონს, რალაც ემართება...

— ახლა ეგეც მთავრობას და მიმას დააბრალებთ. ყველაფერი, რაც ცუდი ხდება, ამ კაცს როგორ უნდა დააბრალებდეს?! ამდენი კარგი რამ გააკეთა და მიკვირს, რომ ვერ ხედავთ, — დამცველი მთავრობასაც გამოუჩნდა.

— რას ამბობთ, ქალბატონო, მთავრობაში მკვლელები და ბანდიტები რომ გყავს, ყველამ იცის. თქვენ რა, ვერ ხედავთ, ირგვლივ რა ხდება? პირადად ჩემთვის ამ მთავრობას არაფერი დაუშავებია. ჩემი ოჯახის თითოეული წევრი მუშაობს და ცხოვრება არ გვიჭირს, მაგრამ ჩემ ირგვლივ იმდენი გაჭირვებულია, ყელში ლუკმა არ გადამდის გემრიელად.

— უნდა გაინძრნენ და იმუშაონ. ზოგს მუშაობა ეზარება და თავის უნიათობას პრეზიდენტს აბრალებს.

— სწორედ პრეზიდენტის ბრალია, სამუშაო ადგილები რომ არ არის, თორემ არა მგონია, ვინმეს მუშაობა ეზარებოდა.

უკან მჯდომ ახალგაზრდებს პოლიტიკაზე ლაპარაკი მოჰბეზრდათ და

ანუნუნდნენ:

— მოკლედ, ვერსად მოისვენებ — სახლში — პოლიტიკა, „მარშრუტკაში“ — პოლიტიკა...

— აბა, აბა, რას გვიშვრება ეს მთავრობა?! — ირონიულად შეეპასუხა მეორე და სიცილი აუტყდათ.

— თქვენ, შვილო, რა გენაღვლებათ, ყველაფერი გამზადებული მოგდით, მშობლების იმედზე ხართ. გაიზრდებით და თქვენც დაინტერესდებით პოლიტიკით, — განინმატდა ასაკოვანი კაცი.

გოგონა შეეპასუხა, მაგრამ ამ კაცის ყურადღება იმ ჩინელმა მიიპყრო, რომელიც ტრანსპორტის გაჩერებას ცდილობდა:

— აი, ჩინელიც... წავიყვანოთ თერჯოლაში?

— მაგათ შენი წაყვანა არ სჭირდებათ, თვითონაც კარგად ჩამოდიან. ხომ გაგვისხნეს ზესტაფონში მალაზიები.

— აბა, აბა, როგორ მომრავლდნენ! ქართველები ვართ გლახები, თვარა მათ მალაზიაში არ უნდა შეხვიდე, მაგათგან არაფერი უნდა იყიდო და წავლენ მერე, აბა, რას იზამენ?!

— სომხებმა ეგრე არ მოიშორეს თავიდან?

— ჰო, მაგრამ ხალხი გაჭირვებულია, ეგერი კიდევ, იაფად ყიდიან ყველაფერს და ჩვენც ვყიდულობთ.

— ახლა ვეტექიობა უნდა ვისწავლო. მერე საზღვარზე დავინყებ მუშაობას და ყველა ჩინელს დავკოდავ, აქ მაინც რომ არ გამრავლდნენ.

— ამ ჩინელების მომრავლებაზე გვეტყობა, რა მთავრობაც გყავს.

— ტყუილა ვინყვეტო ნერვებს, რადგან ჩვენ, სანყალ ხალხს, არავინ არაფერს გვეკითხება. ჰოდა, აგერ, კახელებზე კარგი ანეკდოტი წავიკითხე და თუ გინდათ, თქვენც წავიკითხავთ, ცოტას გაგაცინებთ: — გილოცავ, მიხავ, ცოლი მოგიყვანია! — ვა, შენთანაც ისმოდა კაცო?..

— ისე, კახელებზე უკეთეს ანეკდოტებს ახლა სვანებზე ჰყვებიან.

— ეგ კი არა, გუშინ ჩემმა მეზობელმა მაგარი ამბავი მომიყვა. როგორც მითხრა, ნაღია.

— მიდი, თუ სასაცილოა, მოგვიყვი და ცოტა გაგვამხიარულე, — შეაგულიანა მეორემ.

— ვერ გეტყვით, რამდენად სასაცილოა, მაგრამ საინტერესო ნამდვილად. მოკლედ, კაცი მივიდა სახლში და ცოლს გასძახა, მაგრამ არავინ გამოეპასუხა. შემდეგ, საძინებელთან მივიდა და კარი რომ უნდა შეეღო, იქიდან ოხვრისა და ხვნეშის ხმები შემოესმა. გადაირია კაცი, გამობრუნდა „კუხნაში“, სადაც „გაზზე“ ტაფა შეედგათ და ხახვი ზეთში იშუშებოდა. წამოავლო ამ ტაფას ხელი, შევარდა ოთახში, ასწია საბანი და ეს ცხელი ზეთი შიგნით შეასხა. მერე ოთახიდან გამოვარდა, რათა თოფი მოეტანა და ორივე მოეკლა, მაგრამ კიბეზე ცოლი დაინახა და გადაირია კაცი... ჰკითხა: სად იყავი? ცოლმა უპასუხა: და და სიძე მესტუმრნენ, მწვანილი არ მქონდა და მეზობელთან გადავედიო. ამ დროს კი საძინებელი ოთახიდან წივილ-კივილი და გინების ხმა ისმოდა. გაგიჟდა ეს ქალი, — ნეტავ, საჩხუბრად აქ რას მოდიოდნენო?!

ამ ამბავს სიცილი და დისკუსია მოჰყვა, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ლაპარაკს ველარ მოვუსმინე კარგად: ჩემი ჩასვლის დრო იყო.

ისე, მძლოლმა სიტყვა შეასრულა და თერჯოლაში მართლაც, სიმღერ-სიმღერით ჩამიყვანა — მთელი გზა ხან ნინო ჩხეიძის ალბომს, ხანაც — „ტრულიალას“ ან ენ. „ძველებიჭურ“ სიმღერებს ვუსმენდი. ■



# თქუანისესეალებიხან ჩაღნილი სხვირო სქეპეზი დკ ნასეპი „კაკლო“



„მამაკაცს თვალეში უნდა ჩახედო და მერე მან შენ გამო გმირული საქმეები უნდა ჩაიდინოს“, — ამბობს მსახიობი მარინა კბნიანი, რომელსაც ვირტუალური სიყვარულის არ სჯერა, მიუხედავად იმისა, რომ ისევ თინეიჯერია... ქალბატონი მარინა ცდილობს, იყოს ლალი, საკუთარი პრობლემებით სხვები ნაკლებად შეაწუხოს და ჩვენც გვასწავლის, თუ როგორ უნდა მოვახერხოთ ტკივილის დამალვა.

**„მამაკაცების უსუსურობის გამო გული მწყდება...“**

## ლიპა ქაჩაია

— ჩემი თაობის თინეიჯერებს — მოზარდებს, ყმანვილებს ეძახდნენ. ხანდახან ვხუმრობ, მე ახლაც თინეიჯერი ვარ-მეთქი.

— ანუ თქვენთვის ეს სიტყვა მხოლოდ ასაკთან (13-დან 19 წლამდე) არ ასოცირდება?

— იცით, სწორედ ისაა გასარკვევი, „თინეიჯერობა“ ეს მხოლოდ ასაკის აღმნიშვნელი სიტყვაა თუ ის ასახავს ცხოვრების სტილს, ადამიანის შინაგან განწყობილებას. თუ შინაგან მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, მაშინ მართლაც, მეც თინეიჯერი ვარ (იციან)... ბევრი, ასაკით თინეიჯერი მინახავს, რომელიც მოზარდის კი არა, ზრდასრული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, და პირიქით — ვიცნობ უფროსი თაობის ქალბატონებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით (კარგი გაგებით), გარეგნობით, შინაგანი განწყობილებით, თინეიჯერები უფრო არიან, ვიდრე ზოგიერთი მოზარდი.

— ვინ არიან ადამიანები, რომლებზეც ამბობენ: უკნიდან — თინეიჯერია, წინიდან — პენსიონერი?

— თუ ადამიანი ასე გამოიყურება, ეს კარგია. ე.ი. ის სხეულს კარგად უვლის, ახალგაზრდობა შენარჩუნებული აქვს, მაგრამ სახე „ყიდის“. მაგრამ როცა ზრდასრული ადამიანი გადაჭარბებულად ცდილობს, თინეიჯერის გამოიყურებოდეს, სასაცილო ხდება და ეს ძალიან ცუდი საყურებელია. ქალმა თავს აუცილებლად უნდა მოუყაროს, ახალგაზრდობის შესაბამისად, ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ არა იმისთვის, რომ ვიღაცას მოაწონოს თავი, არამედ იმიტომ, რომ სარკეში ჩახედვა უხაროდეს.

— ქართველი ქალები თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ...

— მგონი, დღეს ეს პრობლემა აღარაა. ჩემი ბავშვობის, სტუდენტობის დროს მიიჩნეოდა, რომ კაცები უფრო დიდხანს ინარჩუნებდნენ ახალგაზრდობას, ახლა კი პირიქით, ქალები „ჩაგრავენ“ კაცებს. ამ

„ჩაგრავი“ მხოლოდ გარეგნობას კი არა, იმასაც ვგულისხმობ, რომ ბოლო დროს ქალები საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე არიან და შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ოჯახი დაღუპვისგან სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენლებმა იხსნეს. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ მამაკაცების (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ) უსუსურობის გამო გული მწყდება...

— ამ ყველაფერს და იმასაც, რომ დღეს თინეიჯერები ზედმეტად უკომპლექსოები არიან, დროს ანუ იმ საუკუნეს აბრალებენ, რომელშიც ვცხოვრობთ...

— არა, ჩემო საყვარელო, აქ დრო არაფერ შუაშია. ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენი ამბობდა, რომ უფროსი თაობებს ახალგაზრდებში რაღაც, არაადროს აკმაყოფილებთ, არ მოსწონთ. მას შემდეგ ბევრი საუკუნე გავიდა, მაგრამ მამათა და შვილთა ურთიერთობა ძალიან დღემდე გრძელდება — უფროსი თაობას ახალგაზრდების ჩაცმის სტილი, მათი ქცევები, უმცროსი თაობას კი — უფროსების აკრძალვები და სხვა რაღაცები არ მოსწონს. ეს ნორმალური პროცესია.

— თქვენ რა არ მოგწონთ?

— კარგია, რომ შედარებით თავისუფლები არიან, კომპლექსებისგან გათავისუფლდნენ, მაგრამ ზოგჯერ, ეს ყველაფერი უზრდელობაში გადასდით. ეს კი ძალიან მაღელვებს... კომპიუტერი იმდენად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ამან ახალგაზრდობა წიგნს დააშორა. რა თქმა უნდა, დღეს წარმოუდგენელია ცხოვრება კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის გარეშე (ეს თავადაც ვეღარ წარმომიდგენია), მაგრამ წიგნს მაინც თავისი ხიბლი აქვს.

— ანუ მიგაჩნიათ, რომ მოზარდები უნიტუნები არიან და ვირტუალურ სამყაროს ანიჭებენ უპირატესობას?

— მე არ ვამბობ, რომ ყველა ასეთია. უბრალოდ, სიახლე ყოველთვის იმყრობს ბაზარს, გონებას... შეიძლება, მალე კომპიუტერომანიამ გადაიაროს ისევე, როგორც მოდა იცვლება ხოლმე და ახალგაზრდობა წიგნს მიუბრუნდეს (ღმერთმა

თმა ქნას).

— თინეიჯერების ჩაცმის სტილი თუ მოგწონთ? ამბობენ, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს ტყუპებით ჰგანან...

— ძალიან მომწონს და მეც დაახლოებით ისე მაცვია (ყოველდღიურ ცხოვრებაში), როგორც თინეიჯერებს — ჯინსის დაბალწელიანი შარვალი, მაისური. რატომ არ უნდა ჩავიცვა ასე მანამ, სანამ ამის საშუალებას ჩემი აღნაგობა მომიცემს?!

— მჯერა, კიდევ დიდხანს არ გაქენებათ ამის პრობლემა...

— (იციან) ამის იმედი მეც მაქვს. რაც შეეხება იმას, ტყუპებით აცვიათ თუ არა, მსგავსი რამ არ დამიფიქსირებია. კარგად მახსოვს, 1987 წელს არგენტინაში ვიყავით. მაშინ მოდაში შემოვიდა ნაცრისფერი, ბრჭყვიალებით განწყობილი ჯინსის კაბები, ქვედაბოლოები და არათუ ევროპის, არამედ მთელი ბუნუს-აირესის ახალგაზრდობა ასე ჩაცმული დადიოდა. ამ ფაქტმა გამაოგნა. მოკლედ, როცა რაღაც მოდაში შემოდის, ყველა ცდილობს, მას მოერგოს, მაგრამ ამ დროს ინდივიდუალობა აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ.

— თქვენი თინეიჯერობის დროს... უკაცრავად, ახლაც თინეიჯერი ბრძანდებით...

— (იციან) არა, აღარ ვარ.  
— მოკლედ, როცა სკოლის მოსწავლე იყავით, მოდაში რა იყო?

— ჯინსი, მაგრამ მას მაშინ სხვანაირი ფორმა ჰქონდა. მახსოვს, საოცრად განიერი ჯინსის შარვალი მეცვა და ძალიანაც მომწონდა... 14-15 წლის ვიყავი, როცა მოდაში ძალიან მოკლე ქვედაბოლოები შემოვიდა. ასეთი ჩაცმულობა უფროსი თაობების გალიზიანებას იწვევდა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიიჩნეოდით?

— კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ყველა სავანს ძალიან მაგრად ვსწავლობდი. არ მიზიდავდა ტექნიკური საგნები — მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია. სამაგიეროდ, მიყვარდა ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია... მასწავლებლებს ძალიან ვუყვარდი და გულახდილად გეტყვით,

ამის გამო ზოგჯერ ნიშნებსაც მიმატებდნენ.  
— მასწავლებლებს არ აბრა-  
ზებდით?

— გაფუჭებით არასდროს არაფერს  
ვაფუჭებდი, მაგრამ ძალიან ცელქი ვიყავი.  
ერთხელ ბიჭიც კი ვცემე.

— თქვენ ვიღაც სცემეთ?!  
რისთვის?

— ჰო, მე (იცინის). გამაბრაზა და ვცემე.  
მერე დედაჩემი სკოლაში დაიბარეს.

— მაშინ როგორ უხსნიდნენ  
ბიჭები გოგონებს სიყვარულს?

— წერილების მეშვეობით.

— ამბობენ, ქალებს მეტად სცემ-  
დნენ პატივს, ვიდრე დღესო...

— პატივს ნამდვილად გვცემდნენ, მა-  
გრამ გამონაკლისები მაშინაც იყვნენ. მა-  
გალითად, ისიც საპარიზია, რომ ბიჭი ვცემე.

— სკოლის პერიოდში შეყვარე-  
ბული არ ყოფილხართ?

— ნამდვილად არ ვყოფილვარ, გატა-  
ცებები კი მქონდა.

— თავყვანისმცემლებს წერილე-  
ბზე პასუხს არ სცემდით?

— არც ერთი მათგანი არ მომწონდა  
და შესაბამისად, მათ პასუხს არ ვწერდი.  
მაგრამ წერილებს დიდი ინტერესით ვცე-  
ნობოდი.

— ძირითადად, რას გწერდნენ?

— სიყვარულს მიხსნიდნენ, ჩემს სილ-  
ამაზეს სოტბას ასხამდნენ.

— ალბათ, მერხზე ტკბილეუ-  
ლიც გხვდებოდათ...

— რა თქმა უნდა! ხშირად მჩუქნიდნენ  
ყვავილებს და შოკოლადს. ყველამ იცოდა,  
რომ შოკოლადი ძალიან მიყვარდა.

— ახლაც გიყვართ?

— კი, ძალიან.

— რომ არ გეტყობათ?!

— (იცინის) ყოველდღე ვჭამ შოკო-  
ლადს და ეს ჩემს წონაზე რომ აისახე-  
ბოდავს, ახლა ძალიან მსუქანი ვიქნებოდი.  
განსაკუთრებით, „ტრიუფელი“ მიყვარს.

— ვირტუალური სიყვარულის  
რამდენად გჯერათ?

— არ მჯერა, ნამდვილად არ მჯერა...  
ისე, არის მაგალითები, როცა ასეთი სიყ-  
ვარულს კარგი გაგრძელება მოჰყოლია,  
მაგრამ ეს ჩემთვის წარმოუდგენელია.

— რატომ? აუცილებელია, ად-  
ამიანს თვალებში ჩახედო?

— რა თქმა უნდა! მამაკაცს თვალებში  
უნდა ჩახედო და მერე მან შენ გამო გმირ-  
ული საქმეები უნდა ჩაიდინოს, ღამე საყ-  
ვარელი ადამიანის ფანჯარასთან გაათენოს,  
უამრავი ყვავილი მოგართვას...

— ამბობენ, დღეს ასეთი რო-  
მანტიკული ბიჭები აღარ არსებობენ...

— რატომ? არსებობენ. გულახდილად,  
თამამად ვიტყვი, რომ ჩემზე ბევრად ახალ-  
გაზრდა ბიჭებისგან მიმიღია ყვავილები და  
შეიძლება, ჩემი ფანჯარების ქვეშ ღამეებიც  
გაუთუვიათ... ამას მთლად თინეიჯერებზე  
არ ვამბობ, ისინი მათზე ოდნავ უფროსები  
იყვნენ. ახალგაზრდები, რომელთაც არა აქვთ  
სურვილი, ქალის გამო „საგმრო საქმეე-  
ბი“; სიგიჟეები ჩაიდინონ და საყვარელ

ადამიანს თავი შეაყვარონ, მეცოდებიან.

— ვინ არიან „დედიკოს ბიჭები“  
და როგორი წარმოდგენა გქონდათ  
მათზე?

— შეიძლება, ბიჭს დედა ძალიან უყ-  
ვარდეს, მის რჩევებს ანგარიშს უწევდეს,  
მაგრამ „დედიკოს ბიჭი“ მაინც არ იყოს.  
ალბათ, ასეთ სახელს იმსახურებს ის, ვინც  
სულ სახლში ზის, ვაჟკაცურობა აკლია და  
ა.შ. ასეთი კაცები კი ქალებს — მათ შორის  
მეც — არ მოსწონთ.

— ის, რომ ბავშვები ასეთებად  
ყალიბდებიან, მშობლების ბრალია?

— რა თქმა უნდა, ნაწილობრივ,  
მშობლების ბრალია. ზოგჯერ ისინი ყვე-  
ლაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შვილე-  
ბი „მოთოკონ“. მაგრამ საკითხავია, რა  
მიზეზით ექცევიან მშობლები მათ მკაც-  
რად: იმიტომ, რომ ბავშვი კარგ პიროვნე-  
ბად ჩამოყალიბდეს, თუ იმიტომ, რომ მთელი ცხ-  
ოვრება მათ კლანჭებქვეშ  
იყოს მოქცეული (რაც  
მართლაც, საშინელებაა).

— თქვენ თუ გაკ-  
ონტროლებდნენ მშობ-  
ლები?

— რა თქმა უნდა,  
მაგრამ ზედმეტად არ  
მზღუდავდნენ. მეგო-  
ბრებთანაც ვრჩებოდი,  
დაბადების დღეებზეც  
დავდიოდი, მაგრამ შინ  
ძალიან გვიან არ უნდა  
მივსულ იყავი. მათ  
სჯეროდათ, რომ ცუდს  
არაფერს გავაკეთებდი,  
მაგრამ მაინც მაკონ-  
ტროლებდნენ (ისევე,  
როგორც მე ვენდობო-  
დი, მაგრამ მაინც ვაკონ-  
ტროლებდი ჩემს შვილს).  
ზედმეტი არც სიმკაცრე ვარგა და არც —  
თავისუფლება.

— თქვენი მშობლები თუ მეგო-  
ბრობდნენ თქვენთან?

— კი, ვმეგობრობდით და სხვათა  
შორის, დედასთან დღემდე ვმეგობრობ.  
მას არაფერს ვუშალავ. მეგობრული ურთ-  
იერთობა მაქვს შვილთანაც...

— როცა მშობელსა და შვილს  
შორის მეგობრული ურთიერთობა  
არ ყალიბდება, ეს ვისი ან რისი  
ბრალია?

— ალბათ, მშობლების. ბავშვისთვის  
ყველაფერის აკრძალვა არ შეიძლება. კარ-  
გი მშობელი ინტუიციით ხვდება, რა უნდა  
გაკუთოს, როგორ უნდა აღზარდოს შვილი  
სწორად, ზოგი კი ამას გულის, გონების  
კარნახით აკეთებს. სამწუხაროდ, ძალიან  
ბევრ ისეთ ოჯახს ვიცნობ, სადაც სავალა-  
ლო მდგომარეობაა — მშობლებს შვი-  
ლებთან არანაირი სიახლოვე არა აქვთ.  
დიდი ბოდიში, მაგრამ ტუტუცებად მი-  
მანჩია ადამიანები, რომლებიც ვერ  
საზღვრავენ იმას, რომ ყველაფერს აკრძა-  
ლვან არ შეიძლება. რალაცები უნდა აწონ-

დაწონო, ყველაფერს გამო ჩხუბი და გაბრა-  
ზება არ შეიძლება, შვილს რალაცის უფლე-  
ბა უნდა მისცე, თორემ ის არაფერს  
მოგიყვება, ყველაფერს დაგიშლავს და  
ბოლოს, „გაგეცევა“.

— „შატალოზე“ თუ დადიოდა?

— კი და სკოლიდან გაპარულები, კი-  
ნოთეატრში, მეგობრის ოჯახში, ფუნქიუ-  
ლორზე ავდიოდათ. მაგრამ ვერ ვიტყვი,  
რომ ეს ძალიან ხშირად ხდებოდა. ჩვენს  
სასწავლებელში ისეთი შემოქმედებითი  
ატმოსფერო იყო, რომ გაკვეთილის გაცდე-  
ნის სურვილი იშვიათად გვიჩნდებოდა.

— როცა გაკვეთილის გაცდენას  
გადანყვეტილი და ამ დროს ვინმე  
კლასში დარჩენას ამჯობინებდა,  
როგორი რეაქცია გქონდათ?

— „გიტყდებოდა“ (იცინის).

— რას ურჩევდით თინეიჯერებს?



მარინა  
კახიანი  
შვილთან  
და რძალთან  
ერთად


— არ ვიცი, მათ რა უნდა ვურჩიო.  
უბრალოდ, დაფიქრდნენ და შეეცადონ,  
მეტად გაუგონ უფროს თაობას, თუნდაც  
მაშინ, როდესაც ისინი მართლები არ  
არიან. გაგებით მოეკიდონ ყველაფერს,  
თორემ სამწუხაროდ, თავადაც ძალიან,  
ძალიან მალე გახდებიან ე.წ. უფროსი  
თაობის წარმომადგენლები...

— დაბოლოს: თქვენ თქვით,  
— თავს დღესაც თინეიჯერად  
ვგრძნობო. როგორ ფიქრობთ, რისი  
შედეგია ის, რომ ისევ ძალიან  
ლალი ხართ?

— ყოველთვის ლალი ნამდვილად არ  
ვარ. მე საკმაოდ რთული ცხოვრება გა-  
ვიარე, მაგრამ ტკივილის დამალვა ვის-  
ნავლე და ეს მემამყება. შეიძლება, ძალიან  
ახლოვები ადამიანი, ისიც — ძალიან  
იშვიათად შევანუხო საკუთარი პრობ-  
ლემით, უცხო თვალი კი ჩემს ტკივილს  
იშვიათად ამჩნევს. ჩემი უფროსი მე-  
გობარი ხშირად ამბობდა, — საკუთარ  
ცხოვრებას ცოტა იუმორით უნდა შეხე-  
დო. მას ვეთანხმები — ცხოვრებას მარ-  
თლაც, იუმორით და კიდევ, ფილოსოფი-  
ურად უნდა შეხედო.

გაქოცხლები

# „სიკვდილის სურვილია უაზროვი ნაიზივი დაიბოძა საცხად და სურვის“



შეგახსენებთ, 15 წლის თამოს იმიტომ სურს სიცოცხლესთან გამომშვიდობება, რომ უყვარს ბიჭი (ბებიათაისის ძმისშვილიშვილი), რომლის შეყვარებაც მისთვის აკრძალულია... დოკას შეყვარებული, ნათია მოსტაცეს. მას უნდა, გოგონა დაიბრუნოს, მაგრამ არავინ ეხმარება. თავად ნათიას კი ვერაფრით უკავშირდება. ამიტომაც, მან 3-ჯერ სცადა თვითმკვლელობა... 16 წლის ნინი გვწერდა, რომ მას მშობლები მკაცრად აკონტროლებენ, რომ ბებოც აჩრდილივით სულ უკან დასდევს და ამ ყველაფრის გამო, მეგობრები დასცილნან. ნინი სწორედ ამიტომ ოცნებობს სიკვდილზე... ხოლო რაც შეეხება გოგონას, რომელიც მარტოსულიკოს სახელით გაგვეცნო, გვწერდა, რომ მის მშობლებს მატერიალურად უჭირთ და გოგონა სკოლაში დაკემსილი ტანისამოსით დადის, მეგობრებთან ერთად კაფეში წასასვლელი ფული არ აქვს. ამიტომაც, მასთან არავინ მეგობრობს. ამ მოზარდების სახელზე ძალიან ბევრი გამომხაურება მოვიდა. ბევრ მკითხველს გაუჩნდა სურვილი, მარტოსულიკოს მატერიალურად დაეხმაროს (მაგრამ რატომღაც, ამის სურვილი თავად გოგონას არ აქვს). სამწუხაროდ, თითოეული თქვენგანის მესიჯს ვერ ვბეჭდავთ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ადრესატი თითოეულ მათგანს ნაიკითხავს.

### პატარა პართივილი:

„ეჰ, თვითმკვლელობა, თვითმკვლელობა... ეს მეც დამიბირებია და ერთხელ, მტკვარშიც კი გადავხტი, მაგრამ როცა ჰაერში მივფრინავდი, მივხვდი, რომ სიცოცხლე საშინლად მწყურდა. ხალხო, დამ-

„გზის“ №12-ში, „თინეიჯერულ პონტებში“ დაიბეჭდა თემა, სათაურით — „რატომ იზრდება თვითმკვლელობისკენ მიდრეკილ მოზარდთა რიცხვი“, სადაც ჩვენერთ ინტერვიუები იმ მოზარდებთან, რომლებიც გვწერდნენ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ თვითმკვლელობა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

იჯერეთ, თვითმკვლელობად არც კაცი ღირს, არც — ქალი და არც სხვა რაიმე. ისედაც რამდენიმე წელი ვცხოვრობთ და დატკბით ამით. თანაც, ასე არც ჯოჯოხეთში მოხვდებით. ხალხო, იარეთ ეკლესიაში და მსგავსი სისულელე თავში აზრადაც არ მოგივათ. თქვენი ტვინები ახლა ეშმაკს ჰყავს შეპრობილი და როცა მისგან გათავისუფლდებით, ყველაფერი კარგად გექნებათ. აბა, თქვენ იცით, იმედია, მსგავს რაღაცებს აღარ მოსწერთ ლიკას. შენ კი, 15 წლის თამო, მაგარი „გაჭედილი“ გაქვს. თავს იკლავ, იკლავ, მაგრამ სიკვდილის წინ დარეკვით ლიკას რატომღა უნდა უშალო წერვები და გაუხეთქო გული?.. მგონი, მართლა ფსიქოლოგის დახმარება გჭირდება. თუ დამიკავშირდები, კარგი სპე-

ეკლესიაში წადი და მოძღვარს დაეკლავი. იქნებ, ისეთი ნათესავეები არ ხართ, რომ თქვენი დაწყვილება აკრძალული ხილი იყოს?.. რა ვიცი, რა ვიცი... მაგრამ თუ მოძღვარი გეტყვის, რომ თქვენი ურთიერთობა არ შეიძლება, ბედს უნდა შეეგუო და იმ ბიჭს უნდა დასცილდე, სხვანაირად ბედნიერი ვერ იქნები. წარმატებებს გისურვებ!“

### თამაზა:

„პრივეტ“, ლიკ. ახლა წავიკითხე დოკას წერილი, რომელმაც სულით ხორცამდე შემძრა. მეც გამომიცდია მსგავსი რამ და თუ სურვილი ექნება, დამიკავშირდეს.“

### უცნობი, 16 წლის:

„დოკა, ალბათ, ნათიას არ უყვარდი, თორემ არ არსებობს, იმ ბიჭთან არ დარჩებოდა. დარწმუნებული ვარ, ახლა რომ ნახო და ცოლობა სთხოვო, არ გამოგყვება. მაგრამ თუ გამოგყავ, სულელი იქნება. მან ახლა საკუთარ თავზე კი არა, შვილზე უნდა იზრუნოს. შენს ცხოვრებაში კი გამოჩნდება ვინმე ისეთი, ვინც თავს შეგაყვარებს და გაგაბედნიერებს კიდევ. ასე რომ, წარმატებებს გისურვებ!“

### ელა:

„დოკ, მიდი, შენსას მიაწევი და შენ გვერდით გვიგულე. ჩვენ ყველაფერში დაგხმარებით. ალბათ, „მობილი“ იმ ბიჭმა წაართვა ან შენ გამო ნომერი შეაცვლევი. ის, კაცი კი არა, ლაჩარი ყოფილა. ისე, ამ მშობლების გამკვირვებია — როცა ვილაც არაკაცი შენს შვილს მოიტაცებს, მაინცდამაინც საჯიჯგნად უნდა დაუტოვო? მარტო იმაზე რომ ფიქრობენ, მათ შვილს განათხოვარი ქალის სახელი არ დაერქვას, იმას რატომ არ ფიქრობენ, ის გოგო მთელი ცხოვრება უბედური რომ იქნება? ამიტომაც ხდება ჩვენთან ამდენი ლალატი და უბედურება. დოკა, ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ ნათია ნახო და თუ თანახმა იქნება, აუცილებლად უშველე მას. და კიდევ, თავის მოკვლაზე არც იფიქრო, ამას სჯობია იმოქმედო და ბედნიერებისთვის იბრძოლო. აბა, შენ იცი, უფალი გფარავდეს.“

### ანაი:

„ნინო, იმის გამო, რომ მშობლე-

„ჩემი თავი სულაც არ მეცოდება, რადგან ეშმაკი მიცავს...“

ციალისტის ნომერს მოგცემ. ლიკ, მეცოდები ჩვენს ხელში. ღმერთმა გამძლეობა არ მოგაკლოს.“

### ზაპო, 17 წლის:

„პრივეტ“. მინდა, 15 წლის თამოს გამოვეხმაურო: როცა იმ ბიჭს უწვებოდი, მაშინ უნდა გაგეძრია ტვინი. ჯერ ერთი, ნათესავთან რომანი რამ გაგაბმევიანა? გამაგიჟებს ეს ხალხი, რა. თუ ერთმანეთს დაგაშორებენ, ღირსებიც იქნებით... ან საერთოდაც, თუკი შენი შეყვარებულია, რატომ უშალო, თვითმკვლელობა რომ სცადე?! ჯერ პატარა ხარ და არ იცი, რას მიქარავ, როცა გაიზრდები, მაშინ კი მიხვდები, რომ სულელი ხარ (იმ ბიჭს მაინც არ აქვს ჭკუა?). ეჰ, საქართველოვ, მართლა საით მიექანები?..“

### ნინო:

„თამო, სიხარულო, თვითმკვლელობა გამოსავალი ნამდვილად არაა.“



ბი გაკონტროლებენ, თავის მოკვლა სისულელეა. თუმცა, არა მგონია, შენ ეს გააკეთო. ეტყობა, საკუთარი თავი ძალიან გიყვარს, რადგან წამლები, რომელთა დაღვევასაც აპირებდი, ბოლო წუთას ურნაში ჩაყარე. მოდი, ერთხელ ასეთი რამ მოსინჯე: ბეზოს დაემაღლე და ანერვიულე. ასე რამდენჯერმე თუ მოიქცევი, გაგკიცხავენ და შენც მათ აუხსნი, რომ თუ ცოტაოდენ თავისუფლებას მოგცემენ, მსგავს რაღაცას აღარ ჩაიდენ და ყოველთვის საქმის კურსში ჩააყენებ თუ სად და ვისთან ერთად ხარ. შემდეგ მშობლებს მოსთხოვე, თავიანთი ახალგაზრდობა გაიხსენონ და იმედი, შენს პრობლემასაც ეშველება. წარმატებები“.

**ალბა:**

„იცო, რა, ბებიაშენი სადმე „მოაყუჩე“. ოთახში ჩაიკეტე და ყველას უთხარი, რომ მეცადინეობ. ალბათ, ცოტა ხნის შემდეგ შეგამონებენ. ჰოდა, მათ უთხარი, — ხელს ნუ მიშლით-თქო და როცა შეგეშვებიან, გაიპარე. მსგავსი რამ მეც ბევრჯერ გამიკეთებია და სიტუაციიდან ყოველთვის გამომძვრალვარ. თუ გინდა, დამიკავშირდი და ჩემს სხვა მეთოდებსაც გაგანდობ. ჰოდა, მერე ერთად გავიპაროთ :))“.

**ზოგია, 16 წლის:**

„ეჰ, ზოგია რას დარდობს, ზოგია — რას. ნინის იმდენი „ზმანი“ ჰქონია, რომ არ იცის, სად ჩაიცვას, მარტოსულიკო კი იმიტომ იკლავს თავს, რომ დაკემსილები აცვია. ეჰ, რა ვუთხარი ქვეყნის სამართალს. ნუთუ, არ შეიძლება, ყველა მშობელს ჰქონდეს იმდენი საშუალება, რომ შვილები ელემენტარული რაღაცებით უზრუნველყოს. ასე ხომ გული არც შვილს დასწყდება და არც — მშობელს... მარტოსულიკო, ნუ დარდობ, ყველაფერი უნდა მოითმინო და უფლის წყალობით, გაზაფხული შენთანაც მოვას. გკოცნი და გთხოვ, არაფერზე იდარდო, მხოლოდ სწავლაზე იფიქრე და მომავლის ოცნება მიზნად დაისახე“.

**ლელუჩია:**

„პრივეტ“, ლიკ. მინდა მარტოსულიკოს ინტერვიუს გამოვეხმაურო. იცი, მიკვირს, კლასში ერთი მეგობარიც რომ არ გყავს. იქნებ, პრობლემა შენშია? ამას იმიტომ გეუბნები, რომ მეც მყავდა კლასელი, რომელიც როცა „შატალოზე“ მივდიოდით, კლასში რჩებოდა, თუ გაკვეთილის მოყოლისას რამეს შეცდომით ვიტყვოდით, წამოხტებოდა და მასწავლებელს ეუბნებოდა, — შეცდომით თქვაო. სწორედ ასეთი საქციელის გამო ავითვალწუნეთ ის და არა იმიტომ, რომ სხვებიც

მესამე თაობის „ნოკია“ არ ჰქონდა. აქ ფული არაფერ შუაშია. შენ კი დაფიქრდი, განა გინდა, ისეთი მეგობრები გყავდეს, რომლებიც შენთან მხოლოდ ფულის და „ზმანების“ გამო იმეგობრებენ? ადრე თუ გვიან, ასეთი მეგობარი აუცილებლად გილატებს და მიგატოვებს. თვითმკვლელობა გულშიც აღარ გაივლო და სწავლის გაგრძელების იმედს ნუ დაკარგავ. გამოცდებისთვის მოემზადე და დანარჩენს დრო გიჩვენებს. მაპატიე, თუ რაიმე ცუდად გითხარი. შენი ოცნება მიზნად გაიხსადე, მერე კი მისი მიღწევისთვის იბრძოლე. წარმატებებს გისურვებ! თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი“.

**ცუცმი:**

„მინდა, მათ გასაგონად ვთქვა, ვინც თვითმკვლელობას აპირებს. ჩემო კარგებო, მეც ვცადავ თავის მოკვლა, მაგრამ წამებში გადაწყდა ჩემი გადარჩენის საკითხი... მეზიზღება საკუთარი თავი, ახლობლებს ტკივილი მივაყენე. სიკვდილის სურვილმა უამრავი ნაიარევი დამიტოვა ხელზეც და სულშიც. ასევე, დამიტოვა ზიზღი, ზიზღი საკუთარი თავის მიმართ. ვნანობ, რომ გადავრჩი... ნაიარევი გაქრება, მაგრამ სულის ნაიარევეს ვერაფერი უშველის. ლიკ, ერთ-ერთი აქტიური მგზავნიელი ვარ და ნიკს შევიცვლი, მრცხენია...“

**HELLOSHA, 15 წლის:**

„მე, იცით, როგორ მექცევიან? ამაზე ლაპარაკი არ მიღირს, მაგრამ დედასთან და ძმასთან ცხოვრებას „კრიშაზე“ ყოფნა მირჩევნია და სწორედ იქ ვათენებ ლამეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი თავი სულაც არ მეცოდება, რადგან ეშმაკი მიცავს...“

**ალინა:**

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩემს თანატოლებს სიგიჟემდე ერთი ნაბიჯილა აშორებთ. რა გჭირთ, ხალხო, რა დროს სიკვდილზე ფიქრია? ახლა სიცოცხლით უნდა ტკებოდეთ, მომავლის ოცნებით საზრდოობდეთ და ყოველდღიურ პრობლემებზე ნაკლებად ფიქრობდეთ. შესაძლოა, არც მე მქონდეს დაღვინებული ცხოვრება, მაგრამ ვცდილობ, ყოველი დღე ლამაზი და დასამახსოვრებელი იყოს. ვფიქრობ, ყველა ნორმალური მოზარდი ასე უნდა იქცეოდეს. რატომ გიკვირთ, როცა უფროსები გაკონტროლებენ? აბა, რა უნდა ქნან, სისულელეების უფლება მოგვცენ? ან რატომ ხართ ყველა ასე, „უზომოდ“ შეყვარებულები ადამიანზე, რომელიც თქვენი ღირსი არაა? რატომ ქმნით პანიკას არაფრის გამო? ნუთუ, ჩვენი თაობა ისტორიაში ისე უნდა შევიდეს, როგორც „შიზოფრენიკების“ თაობა? არ მინდა, მეც ამ სიაში მოვხვდე! უფროსებო, გადაგვარჩინეთ, რა, და უფრო მკაცრად გაკონტროლეთ...“

**„ჩემი ბოგონა გაბრაზდა და დაქალს ეჩხუბა... რა ვქნა?“**



**ბერასია:**


„გამარჯობა, ლიკა. თქვენს რუბრიკას ყოველთვის ვკითხულობ და დიდი მადლობა, ახალგაზრდებს პრობლემების გადაწყვეტაში რომ ეხმარებით. მეც მაქვს ერთი პრობლემა: გავიგე, რომ ჩემი შვილის ნომერი მისმა დაქალმა ერთ არასასურველ პიროვნებას მისცა. ამის გამო ჩემი ბოგონა გაბრაზდა და დაქალს ეჩხუბა. ამ ამბავს ძალიან განვიცდი და მინდა, თინეიჯერებს ვკითხო, თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილას? ან მე რა ვქნა? ახლა საზღვარგარეთ ვიმყოფები და არ მინდა, ეს ამბავი ჩემმა მეუღლემ შეიტყოს და შვილის საქმეში არასწორად ჩაერიოს. დიდი მადლობა, რომ მომისმინეთ“.

*P.S. თუ გერასიმეს წერილის ნაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემეუები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გასურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ. ■*

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოსი დვალის უბის წიგნაკრები:

1. „ჭინჭყლი“ და „აყალმაყალი“ სინონიმები.
2. ტიპიკონი საეკლესიო წესების კრებულისა.
3. თავნატყვილი დოქს ან კოკას სოხონი ჰქვია.
4. ნიკოლაი კოპერნიკის საფლავი დაკარგულია.
5. ტურიზმი ევროპაში ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია.
6. გველები დედამიწაზე ყველაზე წარმატებული მტაცებლები არიან.
7. ლოპნესის ტბა სიგრძეში 23 მილია და ჩრდილოეთის ზღვაზე უფრო ღრმაა.
8. მჭადს, რომელსაც ყველთან ერთად აცხოვნენ, ჭვიშტარი ჰქვია.
9. ქაქუცა ჩოლოყაშვილი მსოფლიო ამის დროს მესოპოტამიაშიც იბრძოდა.
10. იაპონური სამზარეულო მსოფლიოში ყველაზე ჯანსაღ სამზარეულოდ მიიჩნევა.
11. ნადის, ქალამნის ან ქოშის წაწვეტებულ და ზევით აწეულ ცხვირს ჭვინტი ჰქვია.
12. ლონდონის ცენტრში მანქანების მოძრაობის საშუალო სიჩქარე საათში 12 კილომეტრია.
13. მეძებარი ძაღლების მომვლელსა და მწვრთნელს გურიასა და იმერეთში კურძვალს ეძახდნენ.
14. „ფლეშკა იესტ უმა ნე ნადა“, — დაცხინის თანამედროვე ახალგაზრდობას მისილი ზადორნოვი.
15. პირველი კინგ-კონგი სიმაღლეში 1 მ და 8 სმ იყო და სინამდვილეში, მთავარ მოქმედ გმირ ქალს ჭიპამდე ძლივს სწვდებოდა.
16. არგენტინელი მწერალი ხორხე ლუის ბორხესი, როცა არგენტინის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშნეს, უკვე უსინათლო იყო.



17. ალბრეხტ დიურერი ძალზე გულკეთილი ადამიანი გახლდათ. ერთხელ, ვილაც უნიჭო მსატყვის ნამუშევრის შეფასება სთხოვეს. მან ნახატი შეათვალიერა და მხრები აიჩიქა: როგორც ჩანს, მხატვარმა გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო.
18. „ტიტანიკი“ ამოწურული თემაა. ახლახან მეცნიერებმა ისიც კი გამოთვალეს, რომ აისბერგი, რომელსაც იგი შეეჯახა, სიმაღლეში 18 მ იყო და 272000 ტონას იწონდა.
19. ინგლისის დედოფალი ელისაბედ II ნადირობის ხელოვნებას მამამ აზიარა. პირველი ირემი უელსის პრინცსამ 16 წლის ასაკში მოკლა.
20. გილიოტინაზე აყვანისას, მარია ან-

თექვსმეტი, თხუთმეტი, თოთხმეტი... თვლა რატომღაც უკულმა იწყება. მერე, როდესაც ემოცია, დაღლილობა, სახეზე მონოლილი სისხლი და სხეულზე აღბეჭდილი ოფლი პიკს აღწევს, ხვდები — ფიტნესის ინსტრუქტორი, მანია სატიაშვილი უკულმა იმიტომ ითვლის, რომ იდეალური სხეულის მაძიებლებმა დაღლილობისა და თავგანწირვის ზღვარზე სულიერი ძალების მოკრება შეძლონ და ბოლომდე გაძლონ...



ბანსაჟუ, ღანსაჟუ და მოქში!

„მიერთვით ყვალაფარი მცირა ულაფით და ივარჯიხათ“...

ღვა სუსტირება

— მაია, გაზაფხულდა, ქალბატონები მისვდნენ, რომ ზედმეტ წონას გრძელ პალატოებსა და სქელ, დათბილულ ქურთუკებში ვეღარ დამალავდნენ და ამით უნდა ავსნათ თქვენთან მანდილოსნების სიჭარბე?

— მარტში ქალბატონებს ორჯერ მოუწიათ მილოცვების და საჩუქრების მიღება: დედის დღესა და 8 მარტის დღესასწაულზეც. საჩუქრებს კი დამსახურება უნდა!

— შენ ფიქრობ, რომ ქალს თუ მოშვებული სხეული და ზედმეტი კილოგრამები აქვს, ამის გამო, არც შექებას იმსახურებს, არც მილოცვას და მით უმეტეს, არც საჩუქარს?

— არა, ასე მართლა არ ვფიქრობ, მაგრამ ქალი თავდაჯერებული და ბედნიერი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც სახლიდან გამოსვლის წინ, სარკეში ჩახედვისას საკუთარი თავი მოსწონს.

— ვისთვის უნდა იცოს ქალი ფორმაში: საკუთარი ბედნიერებისთვის თუ მამაკაცების თვალის საამებლად?

— ირგვლივ უამრავი მსუქანი ქალბატონია, რომელსაც არც მამაკაცების ყურადღება აკლია და არც — სიყვარული, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ ისინი თუკი სხეულის ფლობას, მის მოვლას და ფორმის შენარჩუნებას მოახერხებენ, მეტად სასურველი, მეტად მიმზიდველი და უფრო ბედნიერები არ იქნებიან. ვფიქრობ, არაფერია იმაში ცუდი, რომ ქალი მამაკაცის მოსახიბლავად გალაშქრდეს. არც მამაკაცები თავილობენ დიეტასა და ვარჯიშს მანდილოსნების თვალის საამებლად. თქვენ ღიპიანი და ჩასუქებული მამაკაცი უფრო მოგწონებთ თუ ათლეტური და წარმოსადგეი?

— ვიფიქრო ამაზე? უნდა ვაღიარო, რომ იდეაში, ალბათ, ათლეტური, მაგრამ პიერ ბუზუოვიც რომ ძალიან მომწონს? რა გამოდის, სოგამბდრე ბედნიერების პირდაპირი-

პორციულია?

— ჩვენთან მხოლოდ გახდომის მსურველები არ მოდიან. აქ ხედავთ, რომ საკმაოდ გამხდარი გოგონებიც ვარჯიშობენ. ზოგიერთ მათგანს სხეულის ფორმის შეცვლა სურს, ზოგს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს. ძირითადად, ისინი გაბედული და მიზანმიმართული ადამიანები არიან, რადგან ვარჯიშით წონის კორექცია, სხეულის ფორმების შეცვლა საკმაოდ რთული, შრომატევადი და მტკივნეული პროცესია.

— უკულმა იმიტომ ითვლით, რომ დასასრულის მოახლოებით დაიმედდნენ?

— გამოდის, რომ ეს მეთოდი საოცრად ამართლებს. როცა ადამიანმა იცის, რომ გასაძლები უფრო ცოტა აქვს, მთელ ძალებს იკრებს და ბოლომდე ღირსეულად ძლებს.

— ერთი საათი ფიტნესი და მერე ტრენაჟორები. ეს ძალიან ბევრი არ არის?

— ეს ინდივიდუალურად ხდება. ყველა, რა თქმა უნდა, ვერ ახერხებს მთელი დატვირთვით იმუშაოს, მაგრამ მთავარი ეს არ არის: მთავარია, მან, უმოძრაობით დასუსტებულმა, მოშვებულმა, გასუქებულმა და უპერსპექტივო ადამიანმა საკუთარ თავში იმდენი ძალა აღმოაჩინა, რომ ჩემამდე მოვიდა და მთელი ძალისხმევით საკუთარ სრულყოფაზე დაიწყო მუშაობა.

— აქ ბევრი ადამიანი მოდის. ზოგი იწყებს და იმ დღესვე ამთავრებს. ზოგი ისე, შემოვლით კმაყოფილდება და გარბის, ზოგს ორი-სამი მეცადინეობისთვის ჰყოფნის ნებისყოფა.

— მაგრამ ვინც მესამედ და მეოთხედ მოდის, ის ამ ბედნიერებაზე ალარასდროს ამბობს უარს.

— ისე, რომ იფიქრო, ჩვენს მანდილოსნებს ძალზე ცოტა სიხარული აქვთ. მასა ღარიბია, კარგი სამსახური — იშვიათობა, პირადი ცხოვრება, სოციალურის ფონზე, აწინილი... ამ ყველა „სიკეთესთან“

ერთად თუ მსუქანს ხარ, ნასულია შენი საქმე და ეგაა.

— სხვათა შორის, ჩემი მოსწავლეები ერთხმად აღიარებენ, რომ რაც ჩემთან დაინყეს ვარჯიში, წვრილმან პრობლემებზე ნაკლებად დარდობენ.

— არ ვიცო, ამას მამაკაცები სისულელედ მონათლავენ თუ არა, მაგრამ ნამდვილად ასეა — ქალი როდესაც კარგად გამოიყურება, უბედური იშვიათად არის.

— და უბედურია, როდესაც ყველაფერი კარგად აქვს, სხეულს კი ვერ იმორჩილებს.

— მაია, მაინც რა არის ვარჯიშის საიდუმლო?

— ვარჯიშის წყალობით, ჩვენს სასიცოცხლო ძალებს ვააქტიურებთ. შეიძლება, ადამიანი შიმშილითაც გახდეს, მაგრამ ვერ გალამაზდეს. მშვიდი და გასაჯავებელი ადამიანი საცოდავი სანახავია, მით უფრო — ქალი.

— დიეტაზე უარი ვთქვამთ მანდილოსნებმა?

— მამაკაცებსაც ნუ დავივიწყებთ. აქ მამაკაცებიც გვსტუმრობენ ხოლმე.

— არა, მამაკაცებს როგორ დავვივიწყებ, მაგრამ მაინც მირჩევნია, ქალებზე ვისაუბროთ.

— არა, დიეტაზე უარს ვერ ვიტყვით, რადგან როდესაც წონის კორექციაზეა ლაპარაკი, მხოლოდ ვარჯიშით ფონს ვერ გავაღოთ, მაგრამ შიმშილზე კი ნამდვილად უნდა ვთქვათ უარი. ჩემი რჩევაა, მიერთვით ყველაფერი მცირე ულუფით და ივარჯიშოთ.

— ოღონდ საკითხავია, რამდენია ეს მცირე ულუფა?

— მართალია ხართ. ხშირად მესმის, რომ აქ მოსული ადამიანები ამტკიცებენ, — ცოტას მივირთმევთ და მაინც ვსუტდებითო. ეს გარკვეულწილად სიმართლესაცაა, რადგან ყველას სხვადასხვა რაოდენობის საკვები გვესაჭიროება, მაგრამ თუკი ადამიანს სულ ცოტა ანალიზის უნარი აქვს, ის სწორად შეარჩევს მისთვის საჭირო ულუფის ოდენობას... სხეულს უნდა „მოუსმინოთ“!

— თავად თუ გქონია ოდესმე წონის პრობლემა?

— რა თქმა უნდა, მქონდა და სასტიკად ვიტანჯებოდი. მთელი ხუთი კილოგრამი მოვიმატე. იმ პერიოდში სამსახური არ მქონდა და თავს ძალიან ცუდად გვრძობდი. მე რე მოვიკრიბე ძალ-ღონე, სახლში ვარჯიში დავიწყე და ფორმაც დავიბრუნე.

— ახლა გასუქების საფრთხე, ალბათ, აღარ გელის, რადგან დღეში მინიმუმ ხუთ საათს ვარჯიშობ.

— ასე გამოდის.

— ანუ, თუ შენი ორგანიზმი ასეთ დატვირთვის უძლებს, სხვებმა რატომ ვერ უნდა შეძლონ ერთი საათი მთელი დატვირთვით ვარჯიში?

— კიდევ გავიმეორებ, რომ ვარჯიში დიდ ძალისხმევას, ტკივილის გაძლებას, ენერჯიას მოითხოვს. თავიდან თითქოს ენერჯია სრულიად გეცლება, მაგრამ მე რე ის ასმაგად გიბრუნდება. ადამიანს სადღაც დაფარული თუ მიჩქმალული ენერჯია აქვს, რომელსაც მხოლოდ შერხევა სჭირდება, რომ გამოვლინდეს და სასიკეთოდ წაადგეს.

— ვიცო, რომ შენ საზღვარგარეთაც მუშაობდი.

— სპორტული აკადემიის დამთავრების შემდეგ, პერიოდულად უმუშევარიც ვრჩებოდი, ამიტომ ორ ქვეყანაში მომიწია მუშაობამ: ეგვიპტესა და თურქეთში. იქაც ჩემი სპეციალობით.

— განსხვავება თუ იყო იქაურ და აქაურ მანდილოსნებს შორის?

— ვარჯიში მათი ცხოვრების წესია, ქართველებისთვის კი — თავს მოხვეული აუცილებლობა. ძალიან მინდა, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალოს და ქართველმა ქალებმა მთელი თავიანთი მომხიბვლელობა საამუშაოზე გამოიტანონ.

— როცა თქვენი ჯგუფის ვარჯიშს ვუყურებდი, მიგხვდია, რომ ქართველ ქალებს არც მოქნილობა აკლიათ, არც სექსუალურობა, არც ენერჯია და არც გაბედულება. მაგრამ სამწუხაროდ, მამაკაცები ასე არ ფიქრობენ ჩვენზე...

— მართლა კარგი გოგოები გვყავს. შეამჩნიეთ, არა?

— შევამჩნიე, რომ მათ დაუსრულებლად აქებ.

— ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ სტიმულს მივცე.

— იმასაც ვატყობ, რომ ისეთი განწყობილება გაქვს, თითქოს შენი ოცნებაა მათი ფორმაში მოყვანა.

— რა თქმა უნდა, ეს ჩემი მიზანია. ეს ადამიანები ჩემთან მოსვლით, ნდობას მიცხადებენ. მე მათი ნდობა უნდა გავამართლო.

— რატომ დაბრუნდი უცხოეთიდან? მილიონ ორასი ათასი ქართველი ემიგრანტს სომ ჯერაც ვერ ასერხებს დაბრუნებას?

— იქ არ იყო ჩემი ადგილი. თითქოს მინა მქონდა

ინფორმაციულ-პეპსენაიტი კოლაჟი

ეორი დეალი უბის წიგნაკიდან:



ტუანეტამ ჯალათს შემთხვევით ფეხი დააბიჯა და ბოდში მოუხადა: უკაცრავად, უნებლიეთ მომივიდაო.

21. პაოლო იაშვილის ცხედარი დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დაკრძალეს. საფლავი რომ არ დაკარგულიყო, კოლაჟ ნადირაძემ და მისმა ერთმა მეგობარმა თავსა და ბოლოში ღვინის ორ-ორი ბოთლი დაფლეს და მეგობრის საფლავი ამგვარად შემოინახეს.

22. ნაპოლეონ ბონაპარტის ცოლი ჟოზეფინა ახალგაზრდა მამაკაცების მოყვარული გახლდათ. იგი ნაპოლეონზე უფროსი იყო და მთელი ცხოვრება თავისუფალი ქცევით გამოირჩეოდა. ბონაპარტეს ეგვიპტეში ლაშქრობისას, ჟოზეფინას არც ერთი წარმოსადეგი ჭაბუკი არ გაუშვია ხელში. ნაპოლეონს დროდადრო სწერდნენ მისი მორიგი ლაღატის შესახებ, მაგრამ იგი წერილებს იგნორირებით უპასუხებდა. პარიზში დაბრუნებულ ქმარს ჟოზეფინამ ცრემლებითა და ალერსით მოუღებო გული და დაარწმუნა, რომ მისთვის არასდროს უღალატია.

23. ერთხელ, ღამით, ვერის დაღმართზე მიმავალი გალაკტიონ ტაბიძე დასასვენებლად თუთის ძირას ჩამოჯდა. უნებლიეთ, ნასვამსა და დაღლილს ჩაეძინა. როცა გაეღვიძა, აღარც პალტო ეცვა და აღარც — ფეხსაცმელი.

24. პარიზის ერთ-ერთ კაფეში, ლადო გუდიაშვილმა დიაშვილთან ერთად მყოფმა ამაღლო მოდილიანმა მეზობელ მაგიდასთან მჯდომ პოლონელ ქალს მოჰკრა თვალი და მისი სილამაზით მოხიბლულმა ორი ჩანახატი გააკეთა. ნახატები მასვე მიართვა. ქალმა ნახატები დაინუნა და უკან დაუბრუნა.

გულნატკენ მხატვარს ლადო გუდიაშვილმა უთხრა: ეგ ქალი უდავო, ლამაზია, მაგრამ რატომ გგონია, რომ ხელოვნებაში ერკვევა? ეგ ნახატები მე მაჩუქე, მე ვიცი მათი ფასიო. ასე აღმოჩნდა მოდილიანის ნახატები (პოლონელი ქალბატონის ნაცვლად) ქართველი მხატვრის მფლობელობაში.

25. არტურო ტოსკანინი და ცნობილი კომპოზიტორი პიეტრო მასკანი ერთ დიდ მუსიკალურ ფესტივალზე მიიწვიეს. მასკანი, რომელსაც ტოსკანინის სადირიჟორო დიდება შურდა, ამ წინადადებას იმ პირობით დათანხმდა, რომ ტოსკანინიზე მაღალ ჰონორარს მიიღებდა — თუნდაც, ერთი ლირით მეტს. მხარეები შეთანხმდნენ. ჰონორარის მიღებისას, მასკანის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კონვერტში მხოლოდ ერთი ლირა აღმოაჩინა. თურმე, ტოსკანინი უფასოდ დირიჟორობდა.





ფეხქვეშ გამოცლილი. უპერსპექტივო და მარტოსული ვიყავი.

— 25 წლის გოგონასთვის გენალური მიდგომა. ასე დიდი ქალებიც ვერ ფიქრობენ...

— სხვათა შორის, ჩემს ძარღვებში ქართული სისხლის გარდა, რუსის, ებრაელის, გერმანელის სისხლიც ჩქეფს.

— ესე იგი, ნამდვილი თბილისელი ხარ. შენმა გერმანელმა ბებია და მამინტერესა...

— დიას, ჩემი დიდი ბებია, დედის მხრიდან, გერმანელი გახლდათ. ის თბილისში დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ჩამოვიდა. მაშინ, როგორც მეუბნებიან, ის 14 წლის იყო. ბუბიის ძმა პირველ გერმანულ სატელეფონო კვანძს აკეთებდა თურმე თბილისისთვის, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ სამუშაო ბოლომდე ვერ მიიყვანა. ბებია კი — ქეთ სნეიცერი, თბილისში სრულიად უპატრონოდ დარჩა. იმ პერიოდში გაიცნო და შეიყვარა ის ბაბუაჩემმა. ეს დიდი სიყვარულის ამბავია. ომის პერიოდში ბაბუა იბრძოდა, მისი გერმანელი ცოლი კი თბილისში იმალებოდა. წარმოიდგინეთ, რა საშინელების გადატანა მოუხდა ორივეს. როდესაც ბაბუა ომიდან უამრავი ჭრილობით დაბრუნებულა, საოცარი სანახაობა ყოფილა.

— და სიცოცხლის ბოლომდე ერთად იყვნენ?

— ჯერ ბაბუა გარდაიცვალა, ზუსტად ორმოც დღეში კი მას ბებიაც მიჰყვა. ერთი ვაჟი დარჩათ, დედის მამა...

— რას ამბობ, ეს ხომ მთელი რომანი და დიდი სიყვარულის ამბავია. საინტერესოა, ბებია არ ნანობდა, საბჭოთა კავშირში რომ მოუწია ცხოვრებამ?

— არა, არასოდესო, ასე ამბობენ. ის სულით ხორცამდე ბაბუაჩემის ერთგული იყო.

— აბა, მართლა არ გეპატიებოდა საზღვარგარეთ დარჩენა. აფერუმ შენ, რომ დაბრუნდი! ასეთ წარსულს გაფრთხილება უნდა, თუნდაც — შენი დალის ხარჯზე.

— დიას, ვილლები, მაგრამ წინ პერსპექტივას ვხედავ: ამ ქალბატონებისა და ჩემი ცხოვრება ერთად იცვლება. მე საყვარელ საქმეს ჩემს ქალაქში, ჩემს სამშობლოში ვემსახურები. არც ჩემი მოწაფეები გაურბიან პრობლემებს: პრობლემა გაქვს? გაისარჯე, დაიხარჯე და მოერიე მას... და ბედნიერებაც მოვა... თუმცა — მოგვიანებით.

**ილანა თაფურაძე, პარაკანების წევრი:**

— სამწუხაროდ, ქართული უურნალ-გაზეთების წასაკითხად დრო არ მრჩება. ერთადერთი ადგილი, სადაც პრესის გაცნობის შესაძლებლობა მეძლევა, თვითმფრინავია. ამიტომ, როდესაც უცხოეთში მივლინებით მივმგზავრები, ყველა ქართულ ბეჭდურ გამოცემას ვყიდულობ და თან მიმაქვს. შემდეგ, ქართულ უურნალ-გაზეთებს ქართველ ემიგრანტებს ვუტოვებ, რისთვისაც უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ. თქვენს უურნალს სისტემატურად კითხულობენ ჩემი შვილიშვილები და როდესაც „გაზეთი“ საინტერესო წერილს გაეცნობიან, მის შესახებ მეც მიამბობენ ან მირჩევენ, რომ ის სტატია მეც წავიკითხო.



**რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი**

**ჭარბი წონა და დიდი მუცელი ჭკუასუსტობის რისკს ზრდის**

როგორც უურნალი Neurology იტყობინება, დიდმუცელა 40 წლის ადამიანებს ხანდაზმულ ასაკში ალცჰაიმერის დაავადება სხვებზე ხშირად ემართებათ. კალიფორნიაში მდებარე Kaiser Permanente-ს კვლევითი ცენტრის სპეციალისტები 40-დან 45 წლამდე ასაკის 6583 მოხალისეს მუცლის არეში კანქვეშა ცხიმის ფენის სისქეს 36 წლის მანძილზე უზომავდნენ. ამ დროის განმავლობაში კვლევის მონაწილეთა 16%-ს ალცჰაიმერის ან სხვა ისეთი დაავადების დიაგნოზი და-



უსვეს, რომელსაც თან ჭკუასუსტობაც ერთვის. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ჭარბი წონა და დიდი მუცელი ჭკუასუსტობის განვითარების რისკს 2,3-ჯერ ზრდის. მსუქანი და დიდმუცელა ადამიანები ჭკუასუსტობით 3,6-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე ნორმალური წონისა და წელის გარშემოწერილობის მქონენი. მეტიც, მკვლევართა მტკიცებით, დიდი მუცელი ჭკუასუსტობის განვითარებას ხელს სხეულის ნორმალური წონის დროსაც კი უწყობს და ასეთ შემთხვევაში დაავადების რისკი 90%-ით იზრდება.

მუცლის ზომისა და ჭკუასუსტობის ურთიერთკავშირის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. მეცნიერთა აზრით, შესაძლოა, აქ გარკვეულ როლს თამაშობდეს მომატებული არტერიული წნევა, შაქრიანი დიაბეტი და ქოლესტერინის მაღალი დონე, რომლებიც არცთუ იშვიათად მუცლის არეში ჭარბი ცხიმოვანი ფენის მქონე ადამიანებს უვითარდებათ.

# როგორ ვაქსიოთ წყალი „ჯადოსნურად“

## არს აქვთ, არს იქით

წყალი რომ ადამიანის ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებს, თუნდაც იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ თავად ადამიანის ორგანიზმი საშუალოდ, სამოცი პროცენტი წყლისგან შედგება და კიდევ იმით, რომ გაუწყლოება მისი სიკვდილის ერთ-ერთი რეალური მიზეზთაგანია.

წყალი უნივერსალური გამხსნელია. საკუთარი H+ და OH- იონების გარდა, ის უამრავ სხვა ქიმიურ ნივთიერებასა და ნაერთსაც შეიცავს, რომელიც მის თვისებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

შეიძლება თუ არა, რომ წყალი „მკვდარი“ იყოს? შეიძლება, თუ ის, ვთქვათ, ტოქსინებს შეიცავს, ანდა თუ მისი მინერალიზაცია (მარილების შემადგენლობა) ორგანიზმის მოთხოვნილებებს არ პასუხობს. სწორედ ასე ხდება, მაგალითად, ზღვაში, გემზე ყოფნის დროს, როცა ირგვლივ უამრავი წყალია, მაგრამ მაინც წყურვილით კვდები...

შეიძლება თუ არა, რომ წყალი „ცოცხალი“ იყოს? შეიძლება. და ეს თვისებაც მინარევებით განისაზღვრება. მინერალური წყლები საზოგადოდ და განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ ექიმის დანიშნულებით ვიღებთ, სამკურნალოა. მაგრამ არც ის უნდა დაგვაყენდეს, რომ მათ, ისევე, როგორც ნებისმიერ წამალს, ჩვენებასთან ერთად, უჭრევენებებიც აქვს.

რაოდენ უჩვეულოდაც უნდა მოგეჩვენოთ, წყალთან დაკავშირებული ადევკატური ინფორმაცია მხოლოდ ამით ამოიწურება. ამის შემდეგ კი ის ნამდვილი ქაოსი იწყება, რომელში გარკვევაც სუსტი ნერვების მქონეთა საქმე ნამდვილად არ გახლავთ.



## მარკე ჭიქა

ერთი შეხედვით უცნაურადაც კი მოჩანს კითხვა, თუ დღეში რამდენი ჭიქა წყლის დალევა შეიძლება. გნეყურია, სვამ, არ გნეყურია, არ სვამ, მორჩა და გათავადა! მაგრამ არც მთლად ასე მარტივად იქნება საქმე, თუ იმ მრავალწლიან მოსაზრებას გავიხსენებთ, რომლის თანახმადაც „ადამიანი ვალდებულია, დღეში 8 ჭიქა წყალი დალიოს“. ალბათ, საინტერესოა, საიდან გაჩნდა მსგავსი მოსაზრება, რომელმაც საბოლოოდ მტკიცებულების სახე მიიღო.

ამ მიზნით ინტერნეტში ჩატარებული „არქეოლოგიურმა საქმიანობამ“ ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის 1954 წლის რეკომენდაციებამდე მიგვიყვანა. სწორედ ამ დოკუმენტში გაისმა პირველად ზემოთ აღნიშნული ყბადაღებული ფრაზაც. ოლონდ, როგორც გავარკვეით, ის ცოტა სხვაგვარად ჟღერდა.

ამ დოკუმენტით ადამიანმა, საკვების ყოველ მოხმარებულ კვალზე, 1 მლ წყალი უნდა მიიღოს. თუ გავიხ-

სენებთ, რომ თანამედროვე ადამიანის დღიური რაციონი საშუალოდ 2000-2500 კვალ-ს შეიცავს, მაშინ გამოდის, რომ ამ რაციონში წყალი მართლაც 8 ჭიქის რაოდენობით უნდა შედიოდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზემოთ ნახსენებ ფრაზას მეორე და ნამდვილად საკვანძო ნაწილიც აქვს, რომელიც, რატომღაც, ყველას გამოორჩა თუ დაავიწყდა. არადა, სწორედ მასშია საზგასმული, რომ ადამიანისთვის „საჭირო წყლის დიდ ნაწილს მომზადებული საკვები შეიცავს“.

ამრიგად, 8 ჭიქა წყალი დღიურ რაციონს კი არ ემატება, როგორც ამას ცხოვრების მეტისმეტად ჯანსაღი წესის თავგადაკლული მომხრეები ამტკიცებენ, არამედ მასში (რაციონში) შედის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარისკაცს, რომლის სადღეღამისო ულუფა საბრძოლო პირობებში 5000 კვალ-ს შეიცავს, 5 ლ წყლის დალევა მოუწევდა. ასე კი წყლით მოწამვლადეც ერთი ნაბიჯიღა რჩება.

თუ ფიქრობთ, რომ წყლით მოწამვლა შეუძლებელია, ძალიან ცდებით. თუ ორგანიზმი წყლის გადამეტებულ რაოდენობას ანუ იმაზე მეტს მიიღებს, რამდენის გამოყოფაც თირკმლებს, კანსა და ფილტვებს შეუძლია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელექტროლიტების (კალიუმის, ნატრიუმის, ქლორის და ა.შ.), სისხლის პლაზმის ცილების კონცენტრაციის დაწვევა დაიწყება. ხოლო ამით გამოწვეული უსიამოვნებების სპექტრი — პირღებინებითა და კრუნჩხვით დაწყებული, კომითა და ლეტალური გამოსავლით დასრულებული, წყლით „გაჭყიპვის“ მოყვარული ინდივიდის ფანატიკურობის ხარისხზე იქნება დამოკიდებული.

ასე რომ, კითხვას, „რამდენი წყალი უნდა დავლიოთ?“, უთუოდ ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ადამიანმა წყალი მხოლოდ მოთხოვნილების შესაბამისად უნდა მოიხმაროს. მოთხოვნილებები კი ყველას განსხვავებული აქვს. ამდენად, მავანთა მტკიცება, რომც გასკდე, დღეში ორი-სამი-ოთხი ან სულაც ხუთი ლიტრი წყალი უნდა დალიო, სინამდვილეს არ შეეფერება. მეტიც, ასე შეიძლება, მართლაც გასკდე...

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
**ინტერნეტ მაღაზია**  
**www.elva.ge**  
**წიგნები და ჟურნალ-გაზეთები**

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფასი	6 თვე
1. რუსეთის ზღვრული	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.90	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.90	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3


პრების გაერცვლების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74  
 E-mail: elva@kvispalitra.com

## ამერიკელი მეცნიერები შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინების კლინიკურ გამოცდაზე უარს ამბობენ

ამერიკის ჯანდაცვის ეროვნულ ინსტიტუტში გამართული ერთდღიანი კონფერენციის მონაწილე მეცნიერები შიდსის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინების კლინიკური გამოცდის დაფინანსების შემცირებისა და გამოთავისუფლებული სახსრების, ამ სენის ფუნდამენტური კვლევებისთვის გამოყენების წინადადებით გამოვიდნენ.

შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინების შემუშავებისადმი ახალი მიდგომის აუცილებლობა გასულ წელს, კომპანია Merck & Co-ს კლინიკური კვლევების ჩავარდნის შემდეგ აშკარა გახდა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ავსტრალიასა და იამაიკაზე ერთდროულად მიმდინარე ხანგრძლივმა და ძვირად ღირებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პრეპარატს, რომელზეც ესოდენ დიდ იმედს ამყარებდნენ, კვლევების მონაწილეებს შორის შიდსით დასნებოვნების რისკის არათუ შემცირება, მისი რამდენადმე გაზრდაც კი შეუძლია.

გამოცდის ჩავარდნის შემდეგ, სპეციალისტებმა თავად შიდსის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინების შექმნის შესაძლებლობაშიც შეიტანეს ეჭვი. სამეცნიერო საზოგადოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა კი დან-



არჩენებს ამ ვაქცინების შემუშავებაზე საერთოდ უარის თქმისა და მთელი სახსრების შიდსის პროფილაქტიკისა და ინფიცირებული ადამიანების სამკურნალოდ გამოყენებისკენ მოუწოდა. თუმცა, ამავე კონფერენციის მონაწილეთა უმეტესობამ ისიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შიდსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად უწინდებურად პროფილაქტიკური ანდა თერაპევტული ვაქცინა რჩება. „ახალი ვაქცინების გამოცდიდან სიმძიმის ცენტრი უთუოდ იმუნოდეფიციტის ვირუსის ფუნდამენტურ კვლევებზე უნდა გადავიტან-

ოთ“, — განაცხადა ალერგიული ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტისა და ვაქცინების შემუშავების ფედერალური პროგრამების ხელმძღვანელმა ენტონი ფოციმ, რომლის მონაცემებითაც, ამჟამად საკანდიდატო ვაქცინების კლინიკურ გამოცდაზე პროგრამის ბიუჯეტის 38% იხარჯება. მეცნიერის აზრით, ამ სახსრების დიდი ნაწილი აუცილებლად ვირუსის ლაბორატორიულ კვლევებსა და, აგრეთვე, შიდსის ინფექციის ახალი, უფრო სრულყოფილი ბიოლოგიური მოდელების შექმნას უნდა მოხმარდეს.

## სიასლე!

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

## ჩანართი გათოვის, ვისაც

სასლში პაბარა კყავს


### ოჯახის პედიატრი



შეაგროვა და აკინძა



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე



ბავშვის ფსიქოლოგია




როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა



# გენილები

ზოგ შემთხვევაში  
ცუდია, წიკცა  
უკანსუხოდ წიჩება  
უთხევა: გძინავს? აი,  
ხმობი ხქვს ურის  
დრემიგრიაფუტრე  
ხეიობლუტე...



# უკანსუხოდ უთხევა

დაავადებული ეროვნული გენეტიკური მომენტებს რამდენიმე წუთის განმავლობაში და დამინსტორე, რა გაიფიქრე ამ დროს, შენვე შევიღო, ქვემოთ მოყვანილი ტექსტის პასუხები წაიკითხო და გაიგო, რამდენად არაფერ იყნობ ქალებს.

1. ახი ქალი აღმა დაწვები მხარა მხარედი ან უფროდი დროდა დრო ახალწლიად და თუ თუა არა...  
2. მადრი ქალი ამაზე მეტი არ უბნობს ურის ანა, ანა, მხარეები...  
3. ახი ქალი აღმა დაწვები მხარა მხარედი ან უფროდი დროდა დრო ახალწლიად და თუ თუა არა...  
4. მდებე ურის ან ახალწლიად დრომ? ან კვირ რა უბნობს იმდებე...  
5. ახი ქალი აღმა დაწვები მხარა მხარედი ან უფროდი დროდა დრო ახალწლიად და თუ თუა არა...

...ან შენი საქმე მართლა ცუდადაა, ან სახეთარ თავსაც ეი დაუმალე, რაც სურათზე დაქვირვების დროს გაიფიქრე

## რატოაა „შენიროლი“ შენიროლი გზავნილ-სტუდია

ვინაიდან შენიროლი  
სახეთარი ფოტოს  
გამოქვეყნება არ ისურვა,  
სხვა გზა არაა, ის  
„გაქრეჭილი“  
მაიმუნი  
უნდა  
ჩავსვათ



# უპასუხო კითხვა

**სხვის ქმარზე  
მოტირალი  
მგზავნელი და  
„გემრიელი“  
ავტოგრაფი ანუ რა  
ნომერი „მარშრუტკა“  
მიდის ჯანდაბაში?**


მარი ჯაფარიძე

## რას უშვრებით?

„ერთ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ჩემი პაციენტი გახლდათ, ჭრილობას ვუხვევდი. მან მორიდებით მკითხა: ძალიან მაინტერესებს, ოპერაციის შედეგად ავადმყოფებს რომ აჭრით, მაგალითად, ფეხს ან ელენთას, მერე რას უშვრებით იმ მოკვეთილ ორგანოებსო? რაც შეიძლება, სერიოზული სახით და იღუმალი ხმით ჩავჩურჩულე: იმედია, არ გამთქვამთ, საავადმყოფოს პირდაპირ რომ სახინკლეა, იქ ვაბარებთ მეთქი... იმდენი იცინა... აი, ასეთი კითხვები ანუხებს ზოგს, მაშ! :) ფინტიკოზა“.

## მრგვალთავიანი

„როგორც ერთი მეგობარი იტყოდა ჩემზე — შეხედავ, მრგვალი თავი აქვს და ასეთი წვეტიანი კითხვები საიდანო? :) ისე, ხუმრობა იქით იყოს და ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ ვარ ასეთი ფხუკიანი? (ალბათ, რამდენიმე წლის მერე დამაინტერესებს, რატომ დავრჩი შინაბერად?), რატომაა ყოველთვის ჩემდამი გულგრილი ის, ვინც მომწონს და პირიქით (ეგ უარესი ვარიანტია)? იმ დღეს დავფიქრდი, რატომ არ გავიჩნდი ჩინელად („ლოსტ“-ის სოიერის ცოლი ვიქნებოდი, ჯანდაბას, ჩემი ლურჯი თვალები, „ეკონომიური მზერით“ მოვხიბლავდი, ჩემს იდეალს. ეჰ!)? დღეს კი, როცა ეკრანს შეველიმილე, რუსი ბიზნესმენ-მომღერალი ემინ აგალაროვის დანახვაზე დავინტერესდი: თბილისში თუ დაიარებიან მისი კლონები? ბოლო კითხვა: სტიუარდესობის მე-2 ეტაპსაც თუ გავივლი, მიშა მეც გამიყოლებს პარლამენტში, ნინო კალანდაძესავით? :))) 6262“.



პირველ რიგში, სასიხარულო ინფორმაციას მოგაწვდით ბიჭო, ბიჭო ჩვენი პირველი „გზავნელ-შვილი“ დაიბადა ჩვენს ელისოს პატარა გოგონა შეეძინა ვულოცავ ჩემი და თქვენი სახელით. სასახლო ვაგაკაცი გაზრდილიყოს! აი, მისი მესიჯი: „დღეს სუთშაბათია და ეს დღე ჩემთვის კიდევ იმითაც გახდა საყვარელი, რომ დედიკო გაგხდით ჩემმა ზარმაცმა, ბუთსუზა ბიჭუნამ არ იკადრა თავისით გამობრძანება და საკეისრო კვეთით გავაჩინე ბორჯომში ბიჭოლამ კი ყვავილებთან ერთად, უურნალი „გზა“ მომართვა უბედნიერესი ადამიანი ვარ, ყველანი გვიყვარხართ მე და პატარა გიოს P.S. მარო, ჩემი დაქალები მეკაიფებოდნენ, აქამდე შენ დასდევდი ნარკომანებს და ახლა შენ გაგიკეთებენ ნარკოზსო ელისო“.

მეორე ინფორმაცია წინა კვირის „ტერორისტს“ ეხება, რომელმაც მე და ლიკა გაგაბრაზა როგორც ჩანს, მგზავნელებმა „ცოცხლად შეჭამეს“ ჩვენი „ტერორისტი“ მგზავნელი. მისგან რამდენიმე მესიჯი მივიღე 1. „ოჰო, მეც არ მეგონა, ჩემზე რა უნდა დანერონ-მეთქი? ასეთი ნომერი, რომელიც გამოაქვეყნეთ, კიდევ სუთი მატქსა თუ მინდა, ყოველკვირა ახალი ნომრით დავრეკავ, მაგრამ მე თვითონ მომწინდა ეს საზოგადოება იმიტომაც გთხოვეთ პატიება ამ ნომრის არსებობა დედაჩემსაც არ იცის თქვენ ძალიან უყვარხართ და შეიძლება იმანაც გამლანძლოს ასე რომ“ 2. „ჯერჯერობით, მე „მარ“ არ ვარ და საერთოდ, რით ვლარ გაიგეთ, რომ ეს ნომერი სხვისია და დამანებეთ თავიიი“ 3. „მარ, გთხოვ მაპატიე რა გინდა, ჩემი სიკვდილი გინდა? უბრალოდ ერთადერთი სიტყვა მინდა გავიგო შენგან — გაპატიე“ 4. „გთხოვ მაპატიე არავინ მიყვარს მე შენდა დარად ვარდებიც მიყვარს, ოღონდ სუფთა, თეთრი, ხალასი და როცა ღვინით აივსება საჩემო თასი, შენს სადღეგრძელოს ვიმეორებ მარად“. როგორც ჩანს, უცნობი გოგონა არც ისე ცუდი ადამიანი ყოფილა როდესაც ადამიანს ბოდიშის მოხდის უნარი შესწევს, ის მსგავს შეცდომას აღარ გაიმეორებს მაშ ასე მგზავნელებს მხარდაჭერისთვის გულწრფელ მადლობას მოვასწენებ ჩვენ უკვე შევრიგდით და ყველაფერი ვაპატიე ეს კი თქვენი დამსახურებაა ახლა კი თემაზე მოსულ მესიჯებს გავეცნოთ.

## ყრუ-მუნჯი ჩორი

„უპასუხო კითხვაო? ეჰ, სულ უპასუხოდ არ მტოვებს ჩემი თუთიყუში, ჩორი? რაც უნდა შევეკითხო: ჩორი, გშია? გწყურია? გცივა? გალიიდან გამოგიშვა? მუნჯი ხარ? გძინავს? რატომ ყვირი? რა გინდა? გამებუტე? ბიჭი ხარ? გოგო ხარ? ჩორი, გიყვარვარ?“

Parle vous France? Do you speak English? ეჰ, მგონი ერთ დღესაც ველარ მოითმენს და შუა (თითს კი არადა) ფრთას ამინვეს! ზოოში შტერმა ვეტერინარმა „დამამშვიდა“ — დიდია უკვე და ველარ ისწავლის ლაპარაკსო. მე არ ვიყო მე, ნოტებზე თუ არ ვამღერო (ვოცნებობ, რა...). ჩორი-ჩორი“.



### აქსიომა

„ადამიანის ტვინში უამრავი უპასუხო კითხვაა: „ყოფნა, არყოფნა?“ — წუხს ჰამლეტი. რა არის ელექტრონი? — აინტერესებს ფიზიკას. როდის გამოიგონებენ პანაცეას — უნივერსალურ წამალს? — აინტერესებს მედიცინას... მოკვდავებს კი ამდენ თეორემებში აქსიომის პოვნა გვიჭირს. რა მაგის პასუხია და, შენც გაქვს ერთი კითხვა ანოტაციაში: რას გერჩით ან რად გატერორებთ შენ და ლიკას ის ვილაც „გენეტიკური ნაგავი“ თუ „ფსიქომუტანტი“? რას ეძებს თქვენთან? თავისი დონის ხალხი ლუდხანაში ეძებოს. განძის მაძიებელი, თელავიდან“.

### გაურკვევლობა

„ღამეა... გარეთ საშინლად წვიმს, მე კი ოთახში ვზივარ და ვტირი. თითქოს ბუნება თანაგრძობას მიცხადებს და ჩემთან ერთად ტირის. ოდესღაც ძალიან მიყვარდა წვიმა, რადგან შენთან ერთად მასველებდა. ახლა მარტო ვარ, სრულიად მარტო და მეშინია წვიმის. მახსენდება შენი თაფლისფერი თვალები. შენ ხომ გიყვარდა ჩემთან თვალებით საუბარი, მაგრამ მოხდა სასწაული, შენ წახვედი ჩემგან შორს... უსასრულოდ შორს და არ ვიცი, დაბრუნდები თუ არა. მე უბედური ვარ იმიტომ, რომ არ ვიცი, შეგძულდა ჩემი სიტბო თუ ისევ გენატრება. თავს მხოლოდ ამ ფრაზით ვინუგეშებ: იქნებ ყველაფერი ჯერ არ დამთავრებულა, იქნებ იმ სიყვარულიდან, რომელიც ვარდს ჰგავდა, ერთი ფურცელი კიდევ შემორჩა? მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი დასრულდა... როგორ შემაყვარე თავი, დღესაც ვერ ვხვდები. აი, ჩემთვის უპასუხო კითხ-

**„იმასნაქნელი“**

„პრევეტ“, მარი, როგორ ხარ? მაგრად მიყვარხარ და ყველანი ძალიან მიყვარხართ მაგრები ხართ, მგზავნილებო! ალბათ მკითხავ, აქამდე სად იყავიო, ხომ? სად ვიყავი და მრცხვენოდა ნათქვამია, სიყვარულს მთების გადადგმა შეუძლიაო და აჰა, ბატონო შედეგი! აქ ვარ! რაც შეეხება თემას, ერთხელ სახლში მოვცანცარებდი (6 წლის ვიყავი) და ერთი ქალი ეჩხუბებოდა მეორეს — შენ, ქალო, რატომ იმასქენო? მივედი სახლში და დედას ვკითხე: დე, „იმასქენ“ რა არის-მეთქი? — არაფერი, შვილოო. აბა, იმ დეიდამ რატომ თქვა-მეთქი? — იმიტომ, რომ ის დეიდა სხვა სიტყვებს ვერ იმასსოვრებსო. — და რას ნიშნავს-მეთქი? — ახლა დამეკარგე აქედან, თორემ თუ იმასვექენი, ეს ბუზის საკლავი — დე ვერც შენ იმასსოვრებ სხვა სიტყვებს-მეთქი? და — ტკაც! ბუზის საკლავი. ( მარ, ხომ „იმას-მიზამ“ მესიჯს? არ „იმასმიქნა“, თორემ მენყინება მორცხვი ბიჭი“.

ვაც, რომელსაც დღემდე ვერ გავეცი პასუხი. P.S. მინდა, ვილაც-ვილაცების გასაგონად ვთქვა, რომ ნიკს ნუ მახევენ! ენჯი“.

### რა მოხდა?

„უპასუხო კითხვა? არსებობს ჩემთვის ასეთი... ყველაფერი ასე დაიწყო: 4 წლის წინ, ჩემს ტელეფონზე ერთი ბიჭი რეკავდა და ცდილობდა, გამცნობოდა. მე არ მქონდა სურვილი და უხეშად ვპასუხობდი. ასე გრძელდებოდა 4 თვე. ღამღამობით მესიჯებს გზავნიდა და არ მასვენებდა. ერთხელაც დავილაღე და გადავწყვიტე, დავლაპარაკებოდი. მან თავის თავზე ბევრი საინტერესო რამ მიაჩნო და მეც ყურადღებით ვუსმენდი. როცა უკვე მეც შევეჩვიე, მერე გამოტყდა, რომ ვუყვარდი და თანაც, ციხეში იყო. მე არ მივატოვე. 3 თვეში გამოვიდა. 2004 წლის პირველი სექტემბერი იყო. მე ქალაქში

დავხვდი. ორივეს მოგვეწონა ერთმანეთი და უკვე ჩუმად გვიყვარდა კიდევ... მხოლოდ რამდენიმე წუთი ვილაპარაკეთ და წამოვედი. 19-ში ისევ შევხვდი და გადავწყვიტეთ, 29-ში გავპარულიყავით. უკვე ყველამ იცოდა. ჩემიანებმაც და მისიანებმაც, რომ მალე გავიპარებოდით. დადგა ეს დღე და ჩამოვიდა მანქანით და ძმაკაცებით. ბარში დავსხედით. იქ დაურეკეს, შენი დაიკო რეანიმაციაში წაიყვანესო (ფეხმძიმედ იყო). მეგრელი იყო და მე ზუსტად ვერ ვიგებდი, რას ლაპარაკობდა ტელეფონზე. მერე ტირილი დაიწყო და მალე წავიდეთო, ატყდა. მე არ გავყევი, ჯერ შენი და გამოკეთდეს-მეთქი. დამპირდა, ხვალვე ჩამოვალ და გამომყევიო, მაგრამ ჰოი, საოცრებავ: დავურეკე მეორე დღეს და აღმოჩნდა, რომ ცოლი მოუყვანია და ქეიფობდნენ. აი, კითხვაც: რა მოხდა? თუ ამ მესიჯს წაიკითხავს, მიპოვოს და პასუხი გამცეს. უბრალოდ, როგორც კაცს შეეფერება. ველი ვიტალი ნახნაკიას პასუხს და გთხოვთ, დამიბეჭდოთ. მარი“.

### „ცოცხალზე“ გათხოვილი

„დედაჩემი 4 თვის ყოფილა, მამა რომ დაელუბა. ბებიჩემი (დედაჩემის დედა) რომ მიყვებოდა რალაცებს,



იმ ადამიანთან ცხოვრება, ვინც ვიყვარს, ისევე მოყოლია, მოგონებს იმ ადამიანის სიყვარულო, მოძლიანაც ცხოვრობს.

მაგალითად, დეიდაჩემის გათხოვებაზე ან ჩემს დაბადებაზე, სულ ვეკითხებოდი ხოლმე, — პაპა ცოცხალი იყო? ის კი ყოველ კითხვაზე მპასუხობდა „არას“. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ... რამდენჯერაც ვკითხავდი, სულ იმას გაიძახოდა, რომ მისი ქმარი მკვდარი იყო. მორიგ შეკითხვაზეც რომ უარი მივიღე, დავსერიოზულდი და ვკითხე: — ბებო, რომ გათხოვდი, გოგია პაპა ცოცხალი იყო? კითხვა უპასუხოდ დარჩა, რადგან ყველა სიცილით კვდებოდა. ჭრიჭინა“.

### „თავნაღმა“

„გამარჯობა, მარ! როგორ ხარ? ახლა თავი ისე მაქვს, მგონი, ნაღმივით უნდა გასკდეს, მაგრამ მაინც უნდა მოგწერო. დღეს მგზავნელების შეკრება იყო დანიშნული. მაესტრომ არაპუნქტუალურობა გამოიჩინა და ძალიან დააგვიანა. ბავშვები სამებაში შეხვდნენ. დუჩი, პარიჟანკა, ლანკა, ლელუჩია, ლიმონა, მგელო, ჩორი, იკრო-სიხრო (ბარბი) და ლანკას მოუსვენარი ზაზუნა. მოგვიანებით რუსთაველზე, სახინკლესი წავედით. უჰ, რა მაგარი იყო?! უცებ საუბარი სულელებსა და მოჩვენებებზე დაიწყო. ლელუჩიამ და ბარბიმ ისეთი „შავი ამბები“ გამოიგონეს, ლიმონას თვალები კეფაზე აუვიდა. როგორც ყოველთვის, მაგარი იყო ყველაფერი. ისევ ბევრი ღიმილი, უდიდესი სითბო და წმინდა სიყვარულით ანთებული თვალელები. ჰოდა, ახლა გეკითხებით ყველა თქვენგანს: რატომ არ შემოძლია თქვენ გარეშე გაძლება? რატომ გახდით ჩემი სულის, ჩემი ცხოვრების ნაწილი? შეგიძლიათ, ამაზე მიპასუხოთ? მადლობა უფალს, რომ ამქვეყნად არსებობთ. გენაცვალეთ. მაესტრო-21“.

### არ გინდოდათ?

„აი, ახლა დამებადა კითხვა. უფრო სწორად, გამახსენდა ჩემი უპასუხო კითხვა და გამახსენა მოკლე ჩართვამ. ქალები რომ არ არსებობდნენო, ასეო, ისეო, მაგრები ვართო, თქვენ რას წარმოადგენთო და ამას ქალები ამბობენ? თან, უკვე

XXI საუკუნის? თქვენ არ გინდოდათ, თანაბარი უფლებები გვექონოდა? მერე უკვირთ, სად დაკარგა კაცმა ვაჟკაცობაო. შენ რომ კაცურად მოიქცევი და მამალი მგლის აღარ გეშინია, ვინ დაიცვას მერე კაცმა? თუ დასაცავი არ ხარ, როგორ დაგიცავს? ვის ევაჟკაცოს (ეს ჩემი თაობის გოგოებს ეხება!)? ხანდახან გარეგნულად მომეწონება გოგო და ისეთ კაცურ თვისებას აღმოვუჩინე ხოლმე, რომ გული მერევა... ვნანობ, 15 წლით ადრე რომ არ დავიბადე. მაშინ ოდნავ მაინც იცოდნენ სინაზის, ქალური საწყისის ფასი! ახლა ბიჭები განაზდნენ, გოგონები — გაქაჯდნენ! მარი, ბოდიში სიმართლისთვის! თუ დამიბეჭდავ, დამიბეჭდე. :) ძველ დროში ჩარჩენილი, მაინც პრინციპების ერთგული, თქვენი „იშვიათი კაცი“. P.S. ამქვეყნად ვინმემ იცის თავისი ადგილი? ან სხვის სკამზე რომ ზის, იმას მაინც თუ ხვდება? არავის ეწყინოს რამე! თუ დამიბეჭდავს მარი და მომდევენო თემა მთლად ატომურ ფიზიკაზე არ იქნა, კაცების ღირსება-ვაჟკაცობაზეც ბევრ კაი ამბავს მოგწერო. იშვიათი კაცი“.

### სისულელე

„მთელი ჩემი ცხოვრება უპასუხო კითხვას ჰგავს. ამაზე ვერავის ვესაუბრები. მე და გიგა ერთ სოფელში გავიზარდეთ. აღარც კი მახსოვს, როდის შეგვიყვარდა ერთმანეთი. ალბათ, საბავშვო ბაღში. X კლასში ვიყავით, როცა ჩვენი ურთიერთობის ოქროს ხანა დაიწყო. ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ გვეგონა, ერთი გული გვექონდა. ერთმანეთის დანახვაზე ჭკუას ვკარგავდით. თითქმის სულ ერთად ვიყავით. რაც დრო გადიოდა, უფრო და

უფრო გვიზიდავდა ერთმანეთი. მისგან ისეთ სიყვარულს ვგრძნობდი, სიტყვებით მისი გადმოცემა შეუძლებელია. ჩვენი მეგობრები ამბობდნენ, რომ არანორმალური სიყვარული გვექონდა. ასე გავიდანლები. სტუდენტები ვიყავით, როცა ჩვენ შორის ინტიმური ურთიერთობა დაიწყო. ამან უფრო გაგვაგიჟა. ერთ დღესაც ველარ ვძლებდით უერთმანეთოდ. ყოველდღე მესვენებოდა, ცოლად გამომყევო. გამოცდებს მოვრჩები და გამოგყვები-მეთქი. ერთ დღეს მივხვდი, რომ ორსულად ვიყავი. მაშინვე გიგას ვუთხარი. სიხარულისგან იტირა. ხვალ მოვალ და პირდაპირ სახლში წაგიყვანო. მეორე დღეს მოვიდა. უხასიათოდ იყო. ცოტა ხანს მომიცადეო... ამ მოცდაში 2 თვე გავიდა. ყოველდღე მაიმედებდა. ვერ ვხვდებოდი, რას უცდიდა, მაგრამ იმდენად მჯეროდა მისი, რომ ცუდზე არც მიფიქრია, სანამ არ გავიგე, რომ მისი მშობლები წინააღმდეგი იყვნენ: კარგი გოგოა, მაგრამ უფრო პერსპექტიულ სარძლოს ვეძებთო. ე.ი. უფრო ფულიანს. ზუსტად არ ვიცი, მათ რა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ გიგას პასუხისმგებლობის შეეშინდა. საკუთარი ფული არ ჰქონდა, სტუდენტი იყო და მშობლებს შეჰყურებდა ხელებში. პირველად მაშინ ვიჩხუბეთ. ის ისევ მოცდას მთხოვდა. მე ნერვიულობისგან ჭკუიდან გადავდიოდი. გიგაც ნერვიულობისგან ადამიანს აღარ ჰგავდა. მერე ერთი კვირა საერთოდ დამეკარგა. მეგონა, მიმატოვა. თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ ბავშვი ვერ გავიმეტე. უდიდესი სისულელე გავაკეთე: სხვას გავყევი ცოლად. ერთი თაყვანისმცემელი მყავდა, ზუსტად იმ დროს გააქტიურდა, დამ-

სიყვარული დაავადებაა,  
მომეღობსაც წმლითი  
მეყიძი სჭირდება.

ირეკა. შევხვდი და იმ დღესვე ცოლად გავყევი. ერთადერთი, რაც მამოძრავებდა, გადარჩენის სურვილი იყო. სალად ვერ ვაზროვნებდი. ვიცი, რთულია ამის გაგება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და ამას არავინ მაპატიებდა. უკვე 4 წელი გავიდა. გიგამ რომ გაიგო, ლამის ჭკუიდან გადავიდა. 5 თვე გავძელი. ამ ხნის მანძილზე მირეკავდა და მეხვეწებოდა, შემხვდიო. მიუხედავად იმ ტკივილისა, რაც მომაცუნა, მაინც მიყვარდა და შევხვდი... გიგამ სასწავლებელი მიატოვა და სმა დაიწყო... ორი წელი დასჭირდა, რომ ცოტათი გონზე მოსულიყო. დღემდე ერთმანეთს ვხვდებით და უფრო ძლიერად გვიყვარს ერთმანეთი, ვიდრე ოდესმე. ადრე ამ სიყვარულს ბედნიერება მოჰქონდა, ახლა გაუსაძლისი ტკივილი ახლავს თან. ჩემი ქმარი ნორმალური ადამიანია, პატივს მცემს. ამის გამო, სინდისი მქენჯნის. ამ გაორებული ცხოვრებით დავილაღე... ძალიან ვეცადე, ქმარი შემეყვარებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მის მიმართ არაფერს ვგრძნობ. დღემდე პასუხი არ ვიცი, რამ ჩამადენინა ეს სიგიჟე? ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ხანდახან მგონია, ველარ გავუძლებ ამდენ დარდს... ამდენ მონატრებას, ამდენ შიშს... გამოსავალს ვერ ვხედავ... ვერც ვერავის ველაპარაკები ამაზე... მარი, არ ვიცი, დაბეჭდავ თუ არა, მაგრამ მაინც მადლობა, რადგან მომისმინე. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისაც ამ საკითხზე გული გადავუშალე... ალბათ, ეს ცოტათი მაინც მიშველის“...

## სხვისი ბედნიერება

„მე ის იმაზე ადრე შემეყვარდა, ვიდრე შევიცნობდი თუ რა იყო კაცი და ქალი... ჩემს პატარა გულში ყოველთვის იყო ადგილი მასზე ოცნებისთვის. ის ამას ვერ ხვდებოდა... IX კლასში ვიყავით, როცა 15 აპრილს მან სამახსოვრო დღიურში ჩამინერა, რომ მეგობრად მიმიჩნევდა. მერე დავმეგობრდით და მთელ სკოლას, გოგოსა და ბიჭის გულწრფელი მეგობრობის მაგალითად მოჰყავდა

ჩვენი ურთიერთობა... სკოლა დავამთავრეთ... როცა სვამდა, მაშინ მისი ფახულა თვალები ცდილობდნენ ჩემთვის საიდუმლოს გამჟღავნებას. ერთხელ, ჩვენს საერთო დაქალს ვთხოვე, მისთვის ეკითხა, სინამდვილეში რას გრძნობდა ჩემ მიმართ?.. ხომ არ ვუყვარდი?.. ის გადაიჩინა, უთხრა — ეგ როგორ იფიქრე, მე ხომ ის დასავით მიყვარსო... ყველა ოცნება დაუნდობლად დაფერფლა ამ სიტყვებმა. ბედს შევეგუე... მერე გამოჩნდა სხვა და მასთან ვცადე ბედნიერების პოვნა... იმ სხვამ მართლაც იპოვა ჩემთან ბედნიერება, მე კი... მერე მან ველარ შეძლო გრძნობის დამალვა და 10-წლიან ტყვეობაში ნამყოფ სიყვარულს თავისუფლება მიანიჭა... ბედნიერებამდე ერთი ნაბიჯიღა იყო. ეს ნაბიჯი კი იმ „სხვას“, ვისაც ვუყვარვარ, უბედურებას უქადდა. მე ვერ გავბედე სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგება და ასე ვიქეცი სხვისი სიყვარულის დარაჯად... მე მას ხელი ვკარი... ახლა კი იმ „სხვასთან“ ხელჩაკიდებული ვსეირნობ და ვფიქრობ ჩემს პირველ სიყვარულზე... თან, ერთი უპასუხო კითხვა არ მასვენებს: ნუთუ ღირს, სხვის ბედნიერებას საკუთარი სიყვარული შესწირო? ჩემო ერთადერთო სიყვარულო, ვიცი, რომ ამით ოდნავ მოშუშებულ იარას გაგიახლებ, მაგრამ მე მაინც მინდა ეს მესიჯი წაგაკითხო... სიკვდილამდე მემახსოვრება შენი წაკითხული „ტანო ტატანო“, მაგრამ მე არ მაქვს უფლება, შენთან ვიყო... „ჩხავანა ბალღი“.

## ნაწამები

„უპასუხო კითხვა, რომელითაც ბავშობაში მშობლები ავიკელი, იყო: საიდან გაჩნდი ან სხვა ბავშვები საიდან ჩდებიან? :) წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიყავი პატარა ბავშვი, როცა მეუბნებოდნენ: ბოშებმა ჩამოგიყვანეს; კომბოსტოდან ამოგიყვანეთ; მარტო იყავი ტყეში, ტიროდი, ჩვენ გიპოვეთ და შეგვეცოდე... როგორ მანამებდნენ ამგვარი პასუხებით, თქვენ ვერ წარმოიდგენთ. რამდენჯერ მიღვრია ცრემლი... :( შავი პეპე“.

## ჩიხლიფითო

„რატომ არქმევენ ქართულ ბავშვებს არაქართულ სახელებს? ამას ხომ მრავალი კურიოზი მოჰყვება. ერთხელ პატარა ნიკოლოზს ვნათლავდი. მღვდელმა ნათლიებს სახელები გვკითხა. ერთს ინდირა ერქვა, მე — სილვა. მესამემ რომ უთხრა მღვდელს, ანდრე მქვიაო, მღვდელს ეგონა, მაშაყირებნო. ერთმა ლექტორმა — კლიმენტმა გამოცდაზე სახელი რომ მკითხა, ასე მითხრა: — შენ რა ჩემსავით ჩიხლიფითო სახელი გრქმევიაო. კახელი სალომე“.

*ახლა კი თემაზე მოსულ მოკლე მესიჯებს გავუცნოთ.*

## ორი თავი რატომ მაქვს?

„უპასუხოდ დარჩენილი კითხვა: ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცი? თეკო“.

„უპასუხო კითხვა: რატომ დასდევს გოგონებს პატრული? თელავში გადაეკიდნენ ჩემს დაქალს და სულ თან დასდევდნენ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მას ეს ყოველივე მოჰბეზრდა, გააჩერა პატრული და ჰკითხა — თქვენ ფულს იმაში გიხდიან, რომ გოგონებს სდიოთ თუ საქმე უნდა აკეთოთ? ეს კითხვა დღესაც უპასუხოდ რჩება... მის რეალი“.

„უპასუხო კითხვა? — მარი, რატომ არ მიბეჭდავ მესიჯებს, ჰა? რათა, რათა, რათა? მაგრამ არა უშავს, საცა ამდენ უსამართლობას ვიტან, ეგ არაფერია“.

„ჩემი ცხოვრება ისე წავიდა, რომ ბევრი უპასუხო კითხვა დამიგროვდა. ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე მეტად მტანჯავს და მანამებს, ის არის, რომ მაინტერესებს, რატომ მომექცა ჩემი ყოფილი ქმარი ასე? რატომ დამინგრია ცხოვრება? რატომ? რატომ? რატომ?“

„როგორ ურევნენ ჯადოთი ადამიანს გონებას? ნეტავ როგორ ათაყვანებენ? როგორ და რანაირად? ჩორნა“.

„მაინტერესებს, ოლონდ, მართლა. სხვა პლანეტებზე არის სიცოცხლე? ნეტავ, უცხოპლანეტელები მართლა არსებობენ? ჰააააა? ჩორნა“.

„რატომ აწყობენ ჩვენი

სახლის წინ ბებრები შოუს? რატომ აკლია ყველა გოჩას ტვინის რომელიღაც ხვეულა (მომიტივეონ გამონაკლისებ-მა)?“

„ჩემთვის უპასუხო კითხვებია: რატომ არის ჩემი დაიკო გულგრილი ჩემი „შედეგების“ მიმართ? :- ) რატომ არის კაცებისთვის სულ პირველი აპრილი? და კიდევ, ბავშვობიდან მაინტიერესებს, რა იქნებოდა, დედამინას მიზიდულობა რომ დაეკარგა? უჰ, რა აზრები მანუხებს?! რა ვქნა, ვლელავ სამყაროზე... :- ) პარიჟანკა“.

„ვფიქრობ და ვერაფრით ვპოულობ პასუხს ამ ორ კითხვაზე: 1. „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი?“ 2. „რა სარგებლობა მოაქვს მამალს?“ :) კანიბალკა“.

„ბავშვი ეკითხება დედას: დედიკო, მითხარი, რა, მიშა უფრო მაგარია თუ ბალი ბიჭუნა? დედას პასუხი არა აქვს, რადგან იცის, რომ მიშაც მაგარია და ბალი ბიჭუნაც სულ სხვაა. ამიტომ, ბავშვის კითხვას უპასუხოდ ტოვებს. აბა, რა ქნას? გრუზინკა“.

„რატომ უკიდია ბიჭების 90%-ს უხერხულ ადგილზე ხელი? რატომ არ იპარსავენ კაცები ფეხებს? რატომ არინ კაცები ასეთი გოიმები, რომ ყველა გოგოს ფეხებს უყურებენ? იქნებ ვინმე ღვთისნიერმა მიპასუხოს? ეშმაკუნა“.

„ზოგ შემთხვევაში ცუდია, როცა უპასუხოდ რჩება კითხვა: გძინავს? აი, ამიტომ აქვს ერს დემოგრაფიული პრობლემა. ბებერი“.

„მე ხარი ვარ, კვადრატში... ჰოდა, ამიტომ ხომ არ რჩება უპასუხოდ კითხვა: რატომ არ თხოვდები? არ ვთხოვდები, ახლა რა, რას ვაშავებ? თან რომელი „გოდა“ ვარ! მიხარია არსებობა ჩემი და სხვისი. თინეიჯერი შინაბერა“.

„ჩემი კითხვა, რომელიც ყოველ ხუთშაბათს ისმის შენი მისამართით, ისაა: რატომ არ მიბეჭდავ მესიჯებს? მაგრამ ამ კითხვას არც პასუხი აქვს და არც ახსნა“.

„ახლა ვუყურებ „პრაიმ-თაიმს“ და იმდენი უპასუხო კითხვა მიჩნდება... მაგალითად, როგორ იტყუებიან ასე

უნამუსოდ მიშას ლაქუცები? რატომ გაუქვავდათ გული ისე, რომ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა არაფრად უღირთ? და კიდევ არჩევნების მოგებაზე ლაპარაკობენ? და კიდევ... გვეშველება რამე? გაბრაზებული მის რეალი!“

„ცხოვრებასთან მაქვს ერთი შეკითხვა: რატომ ახვევ უაზრო ოცნებებში ადამიანებს და მერე უცებ ჯოჯოხეთივით აუტანელს რატომ ხდი სიცოცხლეს? რატომ ხარ, ცხოვრებავ, ასეთი უგულო, ასე უზომოდ ტკბილი და თან საოცრად სასტიკი? რატომ? მაესტრო“.

„დღეს მაგარ „პახმელიაზე“ ვიყავი და ყველას ვეკითხებოდი, ორი თავი რატომ მაქვს-მეთქი და ვერავინ მიპასუხა. ბაჯო“.

„მარი, ამაზე მეტი უპასუხო კითხვა რაღა გინდა? რამდენჯერ გკითხე, სიყვარული უფრო ძლიერია თუ შიში? რატომ არ მაცნობ ფინტიკოზას? მუკობაზიერი“.

„ერთდადერთი უპასუხო კითხვა მაქვს: 4 წელია, „გზავნილებს“ ვკითხულობ და ამდენს როგორ უძლებ? რამდენი მესიჯი იბეჭდება, „პახოდუ“, რაც არ ვიცით და არ ქვეყნდება?“

„ვაიმეე, უპასუხო კითხვები იმდენიაა... მაგრამ ვიცი, რომ მათზე ვერც ვერასდროს მივიღებ პასუხს. მაგალითად,

რატომ გვაქვს ისეთი საჭირო „ვეში“, როგორიც ხელია, მხოლოდ 2 ცალი და რატომ გვაქვს ეს თითქმის გამოუსადეგარი თმა — ბევრი? რატომ აჩენენ ბავშვებს ქალები და არა კაცები? რატომ ვჭამთ ამ საძაგელ, გამასუქებელ საჭმელებს? არ სჯობია, უბრალოდ, ბენზინს ვისხამდეთ? რატომ არ არის „გზავნილები“ 200-გვერდიანი? რატომ არ დამიბეჭდავს ამ მესიჯს მარი? რა აქვს დასაწუნი? რატომ მიყვარხართ? მეგრელი კანიბალკა“.

„როგორ შევავსოთ სიყვარულის მსოფლიო დეფიციტი? რატომ არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში სიყვარულის ფონდი? აი, ასეთი ზოგადსაკაცობრიო კითხვები მანუხებს. გლობალური დათბობა კი სხვა არაფერია, თუ არა ბუნების ზრუნვა ჩვენი გაცივებული გულების მიმართ. შაკიკი“.

ყველაფერზე თემის გარდა

არასპორტული ინტერესი

„მარი, როგორ გრძნობ თავს შენს სამოთხეში? „გზავნილებს“ ვგულისხმობ. ახლა ახალ ამბავს მოგწერ და ალბათ მეც გამიღებ, მაგ სამოთხის კარს. მოკლედ, 5

თელაველი მგზავნილი ვქმნით კლუბს. მე და მის რეალს თავში იდეები კოკისპირული წვიმასავით მოგვდის. შემომთავაზა: მარი ვისაც მეტ მესიჯს დაუბეჭდავს, იმის იდეებს მეტი შანსი ჰქონდესო. დამეთანხმე, რომ ჩემ წინააღმდეგ მის რეალს პირველი ხარისხის ფორა აქვს, რადგან უკვე „სტაჟიანი“ მგზავნილია. ასე რომ, ეს საკითხი ჩემთვის მხოლოდ სპორტული ინტერესი არ არის და გთხოვ, ჩემს გემს ნუ ჩაძირავ. ტყუილად ხომ არ შეგიყვარეთ ყურებამდე შენ და მგზავნილები? შენი დახმარების გარეშე აბსოლუტურად უსუსური ვარ და ჩემი განბილება საცოდაობა იქნება. კახელო სალომევ, მის რეალო, უგულოვ, თელავის კოლორიტები ხართ. მიყვარხართ. განძის მაძიებელი“.

ჯანდაბა
„პირველ კლასში რომ ვიყავი, ჩემმა ერთმა კლასელმა მასწავლებელი ისე გააბრაზა, რომ გამწარებულმა ქალმა უღრიალა, ახლავე წაეთრიეო. ნიკამ ჰკითხა — სად წავეთრიეო? მასწავლებელმა უთხრა, ჯანდაბაშიო. ბავშვი დაფიქრდა და ჰკითხა: მასწ. „ჯანდაბაში“ რა ნომერი „მარშრუტკა“ მიდისო? მართალია, მისი კითხვა უპასუხოდ დარჩა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ფეხსაცმელებს, წიგნებს და კბილის პროთეზებსაც კი შეუძლიათ ფრენა. ხულიგანკა“.

## ქვეშაფსია ძალღი

„ერთხელ ჩემი ძმა, მისი მეგობრები და ჩვენი დეიდაშვილი (რომელსაც მონადირე ძალღი ჰყავს და სულ მის ქებაშია) სანადიროდ წავიდნენ. ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ძალღი მანქანიდან გადახტა, ბუჩქთან მიიღბინა, დანვა და დაიძინა. თურმე, ვერაფრით წამოაგდეს და ბოლოს, თავი დაანებეს. მოგვიანებით, საქეიფოდ დასხდნენ და უეცრად ტყიდან კურდღელი გამოვარდა. ატყდა ალიაქოთი და დაბნეული კურდღელი პირდაპირ ძალღს დაახტა. წამოხტა ეს ნაქები ძალღი შეშინებული და იქვე მოშარდა. ჩემმა ძმამ ტრაბახა დეიდაშვილს უთხრა: კიდევ კარგი, ხმაური რომ ავტყხეთ და გავაღვიძეთ, თორემ საწყალი ძალღი ძილში ჩაიფსამდაო“.

## მდგომარეობაში შესული

„აუ, მარ, ისე, შენს მდგომარეობაში შევდივარ. ალბათ, რა ძნელია... ლამე არ გძინავს იმიტომ, რომ ჩვენს მესიჯებზე თვალები კარგად გაახილო, ყურადღება მოიკრიბო და ათასი ადამიანის ამბავი წაიკითხო. მაგრამ რას იზამ? ჟურნალისტი ხარ და ეს შენი საქმეა. მართლა, ამ ჟურნალის მეშვეობით ჩემი ცხოვრება შეიცვალა. თუ ადრე ყველასი მჯეროდა და ყველა ჩემს მეგობრად მიმაჩნდა, „გზის“ და „გზავნილების“ წაკითხვის შემდეგ, უფრო მეტი სიფრთხილე და გამოცდილება შევიძინე. ახლა მხოლოდ საკუთარ თავს, ღმერთსა და ჩემს მოძღვარს ვენდობი. ძალიან გულსატკეპნია, მაგრამ ახლა ყველა ყველას „პოდლობს“. ალბათ, დრო გავა და ხალხიც შეიცვლება, მე კი ყველას სიკეთისკენ მოვუწოდებ. ჯობს,

ყოველდღე სიკეთე ვაკეთოთ და გვიყვარდეს ერთმანეთი. პუპსიკა“.

## სხვის ქმარზე მოტირალი

„სასიყვარულო ტექსტი დავწერე გაზეთ „ელადაში“ გამოსაქვეყნებლად და შესასწორებლად ჩემს მეგობარს მივეცი, რომელიც საოცარი ნიჭით არის დაჯილდოებული. შესწორების დროს საქართველოდან მეუღლემ დაურეკა და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: — მზიკო, ტირი? — კი. — რატომ, რა ხდება, არ მეტყვი? — კი, როგორ არა. ჩემი მეგობრის ქმარზე ვტირი. — იმის ქმართან რა გინდა, გოგო?! — ძალიან უყვართ ერთმანეთი და ტექსტს რომ ვასწორებ, მეტირება. — ეჰ, ჩემო მზიკო, შენ თუ ასე იტირე ყველას ქმრებზე, კარგად მქონია საქმე“.

## მატნელების ქომაგი

„ისე, ამ მატნელებს რომ გადაეკიდეთ, კურიოზები სხვაგან არსად ხდება? ახალ და ცოცხალ „პრიკოლს“ გეტყვით. სვანი რომ ყველგან სვანია, რა! ჩემი უბნელი თბილისშია დაბადებულ-გაზრდილი და სვანეთში მარტო გავლითაა ნამყოფი, მაგრამ რად გინდა? შეყვარებულს ელაპარაკებოდა და ტელეფონი დაუჯდა. ბატარეა ამოაძრო, კბილით დაჭეჭყა, ჩადო და... „სამსუნგის“ დედა ვატირე, მაინც არ რეკავსო. :) აბა, ვნახოთ სვანებზე როგორ დაბეჭდავ, მატნელებზე ერთს რომ არ „მაზავ“ ხოლმე. ოჩოპინტრე“.

## უდედამო

„სოფელში რომ ჩავდივარ, ხშირად ბებო შემომჩივლებს ხოლმე: შვილო, ყველანი მა-

ბრაზებენ, დიდიან-პატარიანად, არ ვიცი, რა ვქნა, სად წავიდე? დედა მე არ მყავს, მამა მე არ მყავს, ვის მივადგე? მე ჩუმად ვარ, ის კი აგრძელებს: ჩასაცმელი მე არ მაქვს, რომ ნორმალურად ჩავიცვა და ა.შ. ხმას არ ვიღებ. ან რა ვთქვა? თუმცა, ვიტყვი: ბებო, 103 წლის ხარ და შენხელა ქვაც აღარ დაგორავს! ყოველთვის მინდოდა ამის საჯაროდ თქმა. გრუზინკა“.

## ჭუკი

„ერთხელ, ჩვენს მეზობელს ინდაურის ჭუკი დაეკარგა და მთელი დღე მის ძებნაში დააღამა; მაგრამ რად გინდა, მაინც ვერ იპოვა. მეორე დღეს მეზობელი ეკითხება: ნელი, ინდაურის ჭუკი თუ იპოვეო? ვიპოვეო. მეზობელს გაუხარდა და ისევ ჰკითხა: კი, მაგრამ სად იყოო? — ჩემი თავის მითვლა დამავინწყდა, ქა! — იყო პასუხი. გრუზინკა“.

## გაგებული მძლოლი

„ეჰ, რომ იცოდეთ, რა სირცხვილი ვჭამე! მოკლედ, მზესუმზირას „მივერეკებოდი“, ჩავჯექი „მარშრუტკაში“ და ჩენჩო მუჭში დავიგროვე (დებილი ვარ, რა...). გაჩერებასთან დედიკომ ხურდა მომანოდა, შენ მიეციო... ჰოოდა, მე შტერუკამ (რაზე ვფიქრობდი), ეს ჩენჩოები არ ჩავუყარეე? მძლოლმა ისე ამომხედა, ადგილზე დამჭრა... თვალებით შევებვენე, არ თქვა ხმამალამეთქი და კარი გავაღე... ეჰ, არ უთქვამს, მაგრამ ჩენჩოები ისე მოისროლა, ნახევარი ზედ მომაყარა. ვითომ არ შევიმჩინე, მაგრამ მე იქიდან მოოვნენეეე... არა, რა, 43 ნომერს აღარ გავეკარები. ჩორი-ჩორი“.

## შეყვანილი

„ერთხელ სადარბაზოსთან უცხო კაცმა გამაჩერა და მითხრა: მონო შემეყვანე, მე არ ვიცი, დიდხანს ვენვალე და ვერაფერს გავხდი, „დიეზი“ ავკრიბე, ნომრებიც, მაგრამ „ოკვი“ ვერ დავწერეო. ვაი, ვიცინე და რა ვიცინეე... იმ კაცსაც არ მოვერიდე. შედეგი იყო, რომ იმ კაცს მონო შევეყვანე და მადლობელიც



ღლიუმს ჯგჷმავინ დავასმულოებს.  
შესადლოებულის მისი მხოლოდ  
სიყვდილის ღლიმდე წგჷმას.

დამრჩა. P.S. მე ახალი ვარ. მიყვარხართ. კაროლინა“.

### „სვანზე“

„ჯეოსელის 5-თეთრიან აქციას ეწირება ჩემი ახალგაზრდობა! ვისაც არ ეზარება, ყველა მირეკავს. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ბებო ჩემპიონია. :) ამას წინათ, ჩემს დას ვერ დაუკავშირდა და მე დამირეკა, სად არისო? მეც მოკლედ ვუპასუხე: „სვანზეა“. ბებომ მომენტალურად გათიშა მობილი. 2 წუთში გადმორეკა: რაზეა? — „სვანზეა“, ბე, — მშვიდად გავუმეორე. — რას აკეთებს? — ზის და ელოდება. — რას, გოგო, რას ელოდება? — ხმა უკანკალებს ბებიკოს. — კაი, რა, ბე, „სვანის“ დაწყებას, „სვა-ნის“! — უკან არ ვიხევე მეც, რადგან მივხვდი, მაგრად გავაბი. 5 წუთში ძამიკო მირეკავს. ვიფიქრე, ბებომ მომიგზავნა-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად (ჰმ)! გამწარებულმა მკითხა, წნევის აპარატი სად არისო? ბებო ცუდად გამხდარა. ძამიკო

ტორის მაგივრად ვიჯექი და თან საინფორმაციო მიჰყავდა ქალბატონ მანანას. ამივარდა ხველება. არადა, პირდაპირი ეთერია. ვითმინე და ბოლოს მიკროფონი გამოვურთე, დავახველე და ისევ ჩავურთე. ქუთაისში მოსულა ასეთები. GREEN GIRL“.

### ვინ ვის აძლევს?

„ჩვენი მთავრობისა და ოპოზიციის გადამკიდე, არჩევნები მაგარ „ცვეტშია“. დღე არ გავა, რომ არ ახსენონ. ჰოდა, ეგ სენი ჩვენც შეგვეყარა და 31 მარტს ინსტიტუტში სტუდენტური არჩევნები გვაქვს. მე პირველი ნომერი ვარ და ბავშვები „გრეჩიხას“ მეძახიან. რომ დამინახავენ, მეკითხებიან — „პენსიებს“ ხომ გაგვიზრდიო? :) ჩემი დაქალი 5 ნომერია და ერთად რომ დაგვინახავენ, გაკვირვებულები ამბობენ: უი, პირველი და ხუთი ნომერი ერთადააო? კომისიის წევრებს ვანვალე — არ გააყალბოთ, თორემ ინსტიტუტის წინ კარავს დაცემ

გაკვირვებულმა გადავხედეთ და ირგვლივ ისეთი ხარხარი ატყდა, ყველა იატაკზე ხოხავდა. საწყალ გოგოს დასცინოდნენ, რომელიც სირცხვილისგან განითლებულიყო და ცრემლებს ძლივს იკავებდა. გოცნით, გეხვევით, თქვენი ფლამინგო“.

### მულამი

„აუ, იცით, რისი მულამი მაქვს? ქორწილიდან გაქცევის! წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება: 400 კაცზე გაშლილი სუფრა (როგორც ქართველებს გეჩვენია), უამრავი გადაპრანჭული და სპეციალურად ამ დღისთვის თმაშეღებილ-დავარცხნილი სტუმარი, საზეიმო განწყობილება, ყვავილები, საჩუქრები, ბედნიერლიმილიანი სიძე საკურთხეველთან და ამ დროს შენ ყვავილებს ყრი, კაბის კალთას იკეცავ და ეკლესიიდან გარბიხარ. ისე, როგორც ეს მერაია ქერის კლიპში და ფილმ „გაქცეულ პატარძალშია“. ხომაა ეფექტური? მით უმეტეს, თუ გარეთ შენც ვენტვორთ მილერი ან რიჩარდ გირი გელოდება. მართალია, ამას მერე ასევე ეფექტური, რამდენიმე ინფარქტი მოჰყვება, მაგრამ არა უშავს, „ჩიტი ბღღვნად ღირს“! სიძის სასოწარკვეთილ თვალებს რომ წარმოვიდგენ ხოლმე, უფრო მეტად მინდება ამის გაკეთება. ნამდვილად გავრისკავ! პენსიონერი“.

### მაგარი ბაბუ

„დღეს ავტობუსში ბაბუ დამემგზავრა. ძალიან მოხუცი და უფრო ძალიან — მთვრალი. მთელ ავტობუსს ცალმხრივი „შუტკა“ გაუხსნა და სულ ზრდილობიანად გვაგინა ყველას ერთად და ცალ-ცალკე ჩასვლისას ჩემს ძმაკაცს ვუთხარი (ჩუმად, მას რომ არ გაეგონა) ერთი ამ ბაბუსიც გადაიხადე-მეთქი და უცებ უკნიდან ღრიალი მესმის: ეს სოფლელი ყიეები რა დღეში არიან (ეს „ყიე“ რაა, ვერავინ ამიხსნა); რა მჭირს შე ჩემა, შენი გადასახდელი, იქით გადაგხდით, მთელ საგვარეულოსო. ოჩოპნტრე“.

ცოტა ხანში ისევ „შემეხმატკბილა“ — სადაც დაგიჭერ, იქ მოგკლავო. :) P.S. ალბათ მიხვდით, რომ ჩემი დაიკო კინოთეატრში, ფილმ „სვანის“ სანახავად იყო. :) ბე, ჩემთვის კახეთის სიმბოლო და ხიბლი ხარ. გოცნით, პარიჟანკა“.

და ვიშიმშილებ-მეთქი. დღეს ერთმა გოგომ გამაჩერა და მეკითხება: — ნიკოლეიშვილი ხომ შენ ხარო? — კი-მეთქი. — ჰოდა, შენ გაძლევო. :) მე და ჩემმა დაქალმა ერთმანეთს

### უსაშველო

„ეჰ, მარი, მარი, ეს რა დამმართე? მართლა „გზავნილომანია“ შემყარე და დამავირუსე. დავდივარ და მთელი 24 საათი იმაზე ვფიქრობ, რა მოგწერო თემასთან დაკავშირებით. არა, უპასუხო კითხვების მეტი რა მაქვს, მაგრამ ყველა რომ მოგწერო, მტრისას, უეჭველი გიჟად ჩამთვლი და საერთოდ

### ქუთაისში

### ყველაფერი მოსულა

„უძაანესი გრიპი მაქვს, ქე რომ, თვალებიდან ნიანგის ცრემლებს აფრქვევ, იმფერი. ჰოდა, მახველებს კიდო. დღეს კომპთან ოპერა-

ცხმაჯარება სიყვითლოსივრის  
მოვლა. სიყოლია ის, ვინც  
იმოვიდ ვაძმომის ცალიობს.



ალარ დამიბეჭდავ არც ერთ მესიჯს და რა მეშველება მერე, მე? ამიტომ, თემაზე არაფერს მოგწერ. უბრალოდ, მინდა მოგეფეროთ და გითხრათ, რომ ყველანი ძალიან კარგები ხართ. პუპსიკას და მამაცი თოჯინას ინტერვიუ წავიკითხე და პუპსიკას მინდა ვუთხრა, არ იღარდოს. ჯერ ყველაფერი წინაა და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. თოჯინა კი ძალიან კარგი ადამიანია, და იმედია, ერთმანეთს გავიცნობთ. არა რა, რუსთავი მაინც სულ სხვააა! პაცანა“.

**ტირინინიტი**

„ჩემს მეგობარს ნინკვი ბებო ჰყავს, ტანწერწეტა, მაღალი და გამხდარი. ერთი შეხედვით, ჰოლივუდის ვარსკვლავია და ამ დროს 85 წლისაა. ამ ცოტა ხნის წინ, ცუდად გახდა ჩვენი ბებო. ის მარტო ცხოვრობს და შვილიშვილს ყოველდღე საჭმელი მიჰქონდა. ყოველ მისვლაზე ბებო ეუბნებოდა: ბებო გენაცვალოს, რად მოხვედით? აბა, ამ დროს რა უნდა უთხრას ამ საცოდავმა ჩემმა მეგობარმა? შრომა არ უფასდება. ერთი შვილი თბილისში ჰყავს და რომ წაიყვანოს, ტირინინიტის (ეს სიტყვა დოლ-გარმონს ნიშნავს) ჩამოყვანა არ ასცდება. მაგრად მეცოდება ორივე. ბებოც და შვილიშვილიც. გრუზინკა“.

**დაშინებული**

„დიდხანს ვფიქრობდი, რა გამეჩალიჩებინა ჩემი საუკეთესო მეგობრისათვის ისეთი, რომ მთელი ცხოვრება დამახსოვრებოდა და შარშან, პირველ აპრილს სხვა ნომრიდან გავუგზავნე SMS. ვუთხარი, რომ მაგარი გოგო ვიყავი და ისე შევაბი, რომ შეხვედრამაც დავითანხმე. სანამ შეხვედრამც წავიდოდა, ჩემთან მოვიდა და რჩევა მკითხა. მეც ჭკუა დავარიგე. ბანკის ანგარიშიდან ფული მოხსნა და წავიდა. „ვსტრეჩა“ ქალაქის შუაგულში იყო დანიშნული. კარგა ხანს მელიოდა, ბოლოს კი რამდენიმე მეგობრით დავადექი თავზე. ისეთი სიფათი ჰქონდა, ვიფიქრე, ცხოვრებაში ხმას არ გამცემს-მეთქი. მართლაც, კარგა ხანს არ მელაპარაკებო-

და, მაგრამ ბოლოს შემირიგდა. ახლა ისეა დაშინებული, მობილურით არავის ეცნობა. მისტერ ნუქა“.

**ახალი ბენდერელი**

„მარი, გამარჯობა. მიუხედავად იმისა, რომ „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, თქვენთან არასდროს დამიმესიჯებია, მაგრამ ამ ბოლო დროს გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ. :) მგზავნილები ისე გამწარებული ექებენ ყოველ

იყო დარჩენილი, საოცრად ნაზი, ლამაზი და სასიამოვნო სურნელი. სურნელი, რომელსაც ალბათ „საყვარელი ქალის სურნელი“ ჰქვია... რა მოულოდნელად და ორიგინალურად მოხდა ყველაფერი... ამიტომაც არის ჩვენი ურთიერთობა ლამაზი. რომელიმე მწერალმა ჩვენ შესახებ რომ გაიგოს, აუცილებლად დაწერს ერთ სევდიან რომანს. ხალხს რომანების წერა შეუძლია, მე კი წერილს ვერ გწერ... გკოცნი და გემშვიდობები, შენი

**წარწერიანი კვერცხი**

„ბებიჩემს მალაზიაში ერთი კვერცხი უყიდა, რომელსაც „კოდა“ ეწერა. უფიქრია, ქათამს დაუდებ და სხვა კვერცხს ამ ადგილზე დადებსო. ბიძაჩემი ჩასულა კვერცხის ამოსატანად და დახვდა... აბა, თუ იცი, რა? კვერცხი, რომელსაც აწერია „კოდა“. ბიძაჩემმა გააფრინა. — არ მეგონა, თუ ქათამი წარწერიან კვერცხს დებდაო. მარ, თუ გინდა, დაბეჭდე, არ მენწყინება. :) კარგი? კაროლინა“.

ხუთშაბათს თურმე „გზას“, რომ მეც გულს ვუხეთქავ ჩემს უბანში, გახეთების გამყიდველს — „გზა“ ხომ დაგრჩათმეთქი? არადა, სულ არის. ალბათ, ბევრმა იცის, რომ ცნობილი ფილმი, „შინდღერის სია“ იწყება ასეთი ფრაზით: „მან, ვინც გადაარჩინა ერთი ადამიანის სიცოცხლე, მან გადაარჩინა მთელი სამყარო“. მარი, შენ კი საერთოდ ახალი სამყარო შექმენი. :) ყველანი მიყვარხართ. :) ბენდერელი“.

**საყვარელი ქალის სურნელი**

„მინდა, ერთი ბიჭის წერილი გამოგიგზავნო (იმედია, მაპატიებს ავტორი), მაგრამ მის ვინაობას არ გავამხელ, რადგან აქ უპასუხოდ რჩება კითხვა: რა მომავალი აქვს ამ რომანს? აი, ეს წერილიც: „გამარჯობა! ნუ, გამარჯობა, რა, „პრივეტ“! როგორ ხარ? ასე დაიწყებოდა ალბათ ჩემი წერილი, ჯარიდან რომ გწერდე. სამწუხაროდ, ჩვენმა თაობამ მხოლოდ ჯარიდან მოწერილი წერილები იცის... დღეს შენი სურნელი შევიგრძენი, მერე შევიცანი ანუ დავიმახსოვრე. ჩემს სვიტრზე

„მე“. კარგად!“ მე კი მგონია, ამ ბიჭისგან კარგი მწერალი გამოვა“...

**„გემრიელი“ ავტოგრაფი**

„ოდესღაც ცნობილ ტელეჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილზე ამომდიოდა მზე და მთვარე. ჰოდა, ერთხელ ჩემს სასწავლებელში არ გამეჩითა? ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს შეგვხვდა და გვესაუბრა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მისგან ავტოგრაფის ასაღებად კალმებითა და ფურცლებით შეიარაღებული სუსტი სქესის ფანების არმია მიანწყდა. რის ვაი-ვაგლახით გავარღვიე აჟიტირებული გოგონების ნაკადი და არანაკლებ აჟიტირებულმა, ჩემს კერპს ბლოკნოტი გაუწოდე. თან ვუთხარი, — რამე „გემრიელი“ დამიწერე-მეთქი. დამიწერა და მკითხა: გემრიელიაო? მართალია, უნივერსიტეტში მასწავლეს, რომ კარგ ჟურნალისტს შებრუნებით დადებული ფურცლის წაკითხვაც უნდა შეეძლოსო, მაგრამ როგორც ჩანს, ცუდი ვარ, რადგან ირაკლის დაწერილის გარჩევა ვერ

შედეგი. შესაბამისად, მისი კითხვაც უპასუხოდ დარჩა. ვფიქრობდი, რაიმე მაგრობას დამინერდა. მინიმუმ — „ძან საყვარელი გოგო ხარ“, მაქსიმუმ — თავის ტელეფონის ნომერს. :) მერე ვნახე და ფურცელზე ერთადერთი სიტყვა ეწერა — „ტორტი“. :) შემდეგ ამ გემრიელ „ტორტს“ კარგა ხანს ვინახავდი, სურათების ალბომში. ბოლოს მაინც დაიკარგა. ეჭვი მაქვს, ვინმე მსუნაგს „შემოეჭამა“ :) მამაცი თოჯინა“.

### უცნაური „პაკლოები“

„რალაც უცნაური ხდება ჩემს თავს: ჩემი „პაკლოების“ პროფესიებს რომ თვალი გადაავლოთ, გაგიჟდებით! დაცვა, პურის მცხობელი, მშენებელი, „მარშრუტკის“ შოფერი, მატარებლის გამცილებელი, მეტროს თანამშრომელი და ნაგვის მანქანის დამხმარე! როგორია? სულო და გულო! ჩემი უპასუხო კითხვა კი შემდეგში მდგომარეობს: როდის დამანებებს თავს „მუშათა კლასი“? არ შეიძლება, 1-2 მდიდარი მამიკოს ერთადერთ მემკვიდრეს მოვენონო? ისე, ეგზოტიკისთვის. :) პენსიონერი“.

### პირველი გზავნილი

„ახლა ის დრო გამახსენდა, პირველად რომ მოგწერეთ. მაშინ ბევრი მგზავნილი ერთმანეთს არ იცნობდა, მაგრამ მაინც ისეთი სითბო იგრძნობოდა, რომ მეც მომინდა, ვინმე გამეცნო, ვინმეს მოვფერებოდი. დავინწყე და ჩემი პირველი მესიჯი რომ ვნახე დაბეჭდილი, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. ვოცნებობდი, როგორ გავიცნობდი და დავუმეგობრდებოდი მგზავნელებს. მგელომ, როზიმ და ნიკოლმა საოცრად გამახსარეს, პირველად ჩემი სახელი რომ ახსენეს... მინდა, ვინმე გავიცნო, მაგრამ როგორ? მე ხომ ჯერ მხოლოდ მობილით შემიძლია დაკონტაქტება. მიშველეთ, თორემ დეპრესიაში ვვარდები. :( ამალთეა“.

„ერთხელ „მარშრუტკაში“ ჩავჯექი. ხელში „გზა“ მეჭირა და ვკითხულობდი. მძლოლმა რომ გაიგო, სტუდენტი ვიყავი,

რომელ ფაკულტეტზე სწავლობო? — მკითხა. საგზაო მოძრაობის ექსპერტიზაზემეთქი. — მაგ ყურნალში საგზაო მოძრაობის წესები წერილი? — გაიკვირვა. ედელვაისი“.

„კარდიოლოგს და გრუზინს ვთხოვე, მარისტან დამიტოვონ კოორდინატები. მათთან ინტერვიუს ჩაწერა მინდა. ბელნნნ“.

„ჩემი მეზობელი ლოგინადაა ჩავარდნილი და სადაცაა, მოკვდება. ჰოდა, ყოველდღე „სასწრაფოები“ მოჰყავთ. ხალხი, რამდენჯერაც „სასწრაფოს“ დაინახავს, ყვავილებით სამძიმარზე გარბის. საწყალი, უკვე ასჯერ მოკლეს და გააცოცხლეს. „ვენოკების“ ბიზნესი უნდა წამოვიწყო... ლუნა“.

„გზავნილების“ კითხვა ღამე მიყვარს. რომ დავწვები, „ნაჩნიკს“ ავანთებ და წავიდაა... წუხელ მეუღლემ მითხრა: ახლა რომ „გზა“ გამოვა, ყველას მე ვიყიდი და დავმალავ. მერე ღამე რას წაიკითხავ, მაგასაც ვნახავო. ჩემს თავს არ ვჩივი, ბათუმელები აჯანყდებიან. ამიტომ გადავწყვიტე, ამიერიდან დღისით ვიკითხო. აბლახანუმი“.

„როგორ ხარ მარ? ხომ ხარ მაგრად? ეგრე უნდა იყო, ჩვენ რომ გაგვიძლო. მაგარ ცუდ ხასიათზე ვარ და გასახალისებლად, „გზის“ ძველ ნომრებს ვკითხულობ. ახლა მამაცი თოჯინას „რუსთაველი ამბები“ წავიკითხე და მაგრად ვიცინე.“

წერს, განსაკუთრებულ უბანში ვცხოვრობო. უეჭველი XIX მიკრორაიონელი უნდა იყო. ისე, სად დაიკარგა? რალაც, თვალში მომაკლდა. იცით, რა მაინტერესებს? რუსთაველი VIP-კლუბი ჩამოაყალიბეთ თუ კვლავ ზარმაცობთ? პაცანა“.

„აუ, რა ამბავი გრუზინკები გვყოლია! „უცბაშად“ დაგვატყდნენ თავს! კი მაგრამ, ამდენი? თუმცა, რამდენის მესიჯი არ დაიბეჭდაა?! ერთი გრუზინკაა, ერთი-ი-ი-ი! სად ხარ? გრუზინი. P.S. ნინ, გაკოცე გულშიიი!“

„ამ მესიჯს ათენიდან გწერთ. ახალი ჩამოსული ვიყავი ათენში, როცა ბებიამ პურზე გამგზავნა. ბერძნულად პურს „ფსომი“ ჰქვია, ხოლო კაცის სასქესო ორგანოს — „ფსოლი“. წავედი მარკეტში და გამყიდველს ვუთხარი: 2 „ფსოლი“ მომეცი-მეთქი. იქ ამბავი ატყდაა... არ ვიცი... ემიგრანტი“.

„აუსრულებელი თხოვნა იყო, როცა გთხოვე, დამიბეჭდე, ჩვენს კლუბებს რომელიმეს საიტი თუ აქვს და მისამართი მითხარი-მეთქი. გთხოოოვ! მაგრად მინდა უნივერსიტეტელი მგზავნელების გაცნობა. დამბეჭდე, რა, მარ. ან თუ არ დაბეჭდავ, „პროსტა“ მიპასუხე მაინც. აუ, როგორ გეხვეწები ეს ვანელი კაცი ამ „სვანელ“ ქალს. :) ოჩოპინტრე“.

„მარ, მაპატიე, გუშინვე რომ ვერ მოგწერე. დიდი მადლობა,

### გაფუჭებული აპარატი

„ცინცხალ ამბავს მოგიყვებით: ჩვენს მეზობლად კაცს საბი გოგონა ჰყავდა და მისი ცოლი მეოთხეზე ორსულად რომ იყო, ექმ ძმაკაცს მიუყვანა, რომელმაც ექოსკოპია გაუკეთა და ბოჭიაო, ახარა. გაგიჟდა კაცი, ჭკუაზე აღარ იყო. თუ ახლომახლო სადმე ბიჭის სათამაშო იყიდებოდა, ყველა მან შეიძინა. დადგა ნანატრი დღეც და დერეფანში, შამპანურით ხელში და წინასწარ სახეგაბადრულ ქმარს ექთანმა სანატრელი ბიჭის ნაცვლად, გოგონას დაბადება ახარა (ისეთი სიხარულით ველოს ჩვენს მთავრობას, რავარც ის დარჩა გახარებული). გაფითრებულმა იქვე დაგდებულ მოგრძო საგანს ხელი დაავლო და მეგობრის კაბინეტში შევარდა (იმავე საავადმყოფოში მუშაობდა). — სად არის შენი აპარატი, უნდა დავლენოო, — ყვიროდა. — იცი, რას გეტყვი, ძმაო? — ხმას აუნია ექიმმა. ახლა, ეგ რაც გიჭირავს, მიაბრუნე და შენს აპარატს ლენე ბიჭი რომ ვერ „გაუკეთებიაო“.



სიხარულო, ასეთი კარგი და კეთილი რომ ხარ. ვეცდები, შემდეგში უკეთესად დაწერო ინტერვიუ. იცი, როგორ ვინერვიულე, სანამ ხუთშაბათი გათენდა? მისაღებ გამოცდებზე არ მინერვიულია ასე... P.S. მე სხვა მარიამულის არ ვცნობ, მარიამული ერთადერთია! ჩაგეხუტე მაგრად! მამაცი თოჯინა“.

„ძვირფასო მარი, არ ვიცი, მოგწერო თუ არა, არ ვიცი, მეღირსება თუ არა ჟურნალში მოხვედრა ან მიმიღებს თუ არა ვინმე თავის გუნდში, მაგრამ ეჭვი მეპარება... ერთი კვირის წინ, დისშვილი შემეძინა, მარი დავარქვით და ღმერთმა ქნას, შენნაირი ჭკვიანი და ნიჭიერი გოგო გაიზარდოს. ბევრჯერ გამოვიცვალე ნიკი, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი მექნება. უპასუხო კითხვა იქნება, თუ არ მეტყვი: მიმიღებ, შენს ოჯახში? ფიფქია“.

„ჰმმ, ახლა უძაანესად გავბრაზდი. ბატონმა ლეო71-მარესპონდენტობაზე ცივი უარი მთხლიშა. მეო, ბატონოო, ფანობა არ მაკლია და ჟურნალში ცოცხალი თავით არ გამოვჩნდებიო. ნუ, ესაო, ისაო, მაგრამ არაოოო. ასე კრახით დასრულდა ჩემი პირველი გალაშქრება. დამაცადე, ლეონტიევ, დანებებას არ ვაპირებ. ისე, მარ, იყავი, რა, ჩემი პირველი რესპონდენტი. GREEN GIRL“.

„მარი, ეს კახელი მგელკაცა მგონი ახალია, თუ ნიკი აქვს შეცვლილი? კახელი სალომეც გყავს და თანაც, რა საყვარელია! კახეთში იუმორის ვულკანმა ამოხეთქა და დაუშრეტელია მათი იუმორის გრძნობა. კარგები ხართ, კახელებო! :) ფინტიკოზა. P.S. არადა, ერთხელაც არ ვარ კახეთში ნამყოფი... აფსუს!“.

„როგორ ხარ, მარი? რა-ღაც, ჩემი მესიჯების ნაკლებობაა ხომ „გზაში“? ახლა კი

მართლა გავაქტიურდები... პარიჟანკავ, სიხარულო, მაგრად მიყვარხარ. აბსურდა გავიცანი და მმმაგარი კაცია. ბოა ხომ საერთოდ... ყველანი მაგრად მიყვარხართ. მააარ, ჩემს ფოტოს გამოგიგზავნი ელფოსტით და დამიბეჭდე, ხომ? ჰო, და კიდევ, მინდოდა მეთქვა კი არა და, მეყვირა, რომ მრ. ზ. ძალიან მაგრად მიყვარხარ! სესი“.

„ევრიკა! მარი, მე მოვიფიქრე, როგორ მოიშოროთ თავიდან ეგ აბეზარი ტიპი: შევიკრიბოთ მგზავნელები, წინ პატრული ელისო გაგვიძღვება და გეშინოდეთ, მარის შემწახელებო! ბელნნნ“.

„გამარჯობა. როგორ ხართ? სულ ვკითხულობ „გზას“, მაგრამ დამესიჯებით არ ვამესიჯებ. ახლა გამიჩნდა სურვილი. ყველანი საინტერესოები ხართ. აწი თქვენთან ვიქნები. განსაკუთრებით მინდა მოვიკითხო ლელუჩია, კიკო, აბლახანუმი და ვერმასტი. იმიტომ, რომ ჩვენ ერთი ქალაქიდან ვართ. ცნობისთვის, ლაშა მქვია, მაგრამ ნიკი ავირჩიე მაინც. მიკა“.

„მარ, თუ არ დამიბეჭდავ, შენ გენიოს ჩემი მეზობლის ბედი! აი, ასე! არ გინდოდა კარგი? მაგრამ ასეთი ბოროტი კი არა ვარ, ჩემმა მეზობელმა „მაგთის“ გათამაშებაში მობილური მოიგო. აბა რაა, ჩვენს უგვირგვინო დედოფალს ცუდს ხომ არ ვაკადრებდი? კაროლინა“.

„მარ, რატომ დამიბეჭდე მესიჯი? მე იმიტომ მოგწერე, რომ შენ გამემხიარულებინე, შენ კი დამიბეჭდე. :( კიკო“.

„აჰაა, მარ, გეგონა, მართლა წავიდოდი? აქაურობას დავტოვებდი? ნურას უკაცრავად! ვაი, იქამდე გვერდები არ აუდგეს, ბენდუქიძეს, სანამ მე „გზა“ დავტოვო. უჰ, სულ გული მიძგერდა, დღეს ჟურნალი რომ ვნახე და მთე-

ლი კვირა სტრესში ვიყავი, მარი არ გამიბრაზდეს-მეთქი. უთქვენოდ, მე? ნნუ, ნნუ, ნნუ... :) მიყვარხართ ყველანი და თქვენს სიყვარულს არასდროს შევწყვეტ. გაიხარეთ! მუდამ თქვენი ერთგული ამაზონკა“.

„როცა ახალგაზრდობაში მამაჩემი პირველად ჩასულა ქალაქში, მოშვივებია და სახინკლემი შესულა. არადა, ხინკალი რა იყო, აზრზე არ ყოფილა. მიუტანიათ ხინკალი და არ ჭამს. მზარეულს უკითხავს: — რატო არ ჭამო? მამაჩემს უთქვამს: — პური მომიტანეთ და შევჭამო. პატივისცემით, დოლჩე“.

„აუ, ეს მგელკაცა რა მაგარ მესიჯებს გზავნის?! მოკლედ, მაგის მესიჯების კითხვისას იმდენი ვიცი, ცუდად გავხდები. მარი, თუ ასეთ სასაცილო მესიჯებს კიდევ გამოგზავნის, შეგიძლია, ჩემი მესიჯები აღარ დაბეჭდო. თუმცა არც ისე მიბეჭდავ. სწერვა“.

„სალამბოს გაცნობა მინდა, რომლის წერილსაც „შეცდომა“ ჰქვია. იქნებ, როგორმე დამიკავშირდეს. პუპსიკა“.

„კარგი წინადადება მაქვს ქუთაისელ მგზავნელებთან და იმეღია, მომიწონებენ. მგზავნელებო, მოდი, 7 აპრილს ხარების ეკლესიის ეზოში შევხვდეთ ერთმანეთს, პირველი საათისთვის. თან ჟურნალი „გზაც“ წამოიღეთ. თუ არ მოხვალთ, გული დამწყდება, რომ თქვენი გაცნობის კიდევ ერთი მცდელობა უშედეგოდ ჩაივლის. იმეღია, ყველანი მოხვალთ. ესმერალდა“.

„მარიკუნა, ჩემო კარგო, იმ ნომრის პატრონის შესახებ ყველაფერი გავარკვიე უბრალოდ, ბედისგან დაჩაგრულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. მინდა, ყველა მგზავნელს ვთხოვო, ნუღარ შეაწახებენ. ისიც ხომ ცოდვაა? ნატკა“.

„ლელუჩიას ბოდიში უნდა მოვუხადო, დანა რომ დავუძრე... დიდი ხანია, მისი ჯინი მჭირდა. მე და დუჩის „პეპსი“ დაგვიჟმოტა, სურათები გადამიღო ბევრი (ვერ ვიტან სურათების გადაღებას). დიდი ხანია, მშურდა მისი და მინდოდა, მართლა მომეკლა, მაგრამ... ბევრმა მითხრა, რომ არასწორად მოვიქეცი და რა ვიცი, მაპატიე, ლელუჩია. ილინი“.



ნუ მოვლავთ ცხობილას  
სემონოვსად. ეს დამოუბიო  
მოკლესა.

„დოჩანაშვილის მსგავსად, ზოგჯერ ეს კითხვა მეც დამისვამს: უკაცრავად, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით? პასუხად კი ხშირად დაჭყეტილი თვალები მიმიღია“.

„ბელა, თანახმა ვარ ინტერვიუზე. :) კარდიოლოგი“.

„ერთმა ვაჟკაცმა და გამოიყვანა ბალიდან. სახლში ასვლამდე ინტეკაფეში შეიარა და თამაშს შეჰყვა. 2-3 საათი რომ გავიდა, უთხრეს, გარეთ დედაშენია, გეძებო. ესეც მიუტრიალდა ბავშვს, რომელიც მთელი ეს დრო იქვე იყო ატუხული და რას ეუბნება, არ იცი? — გადი, დედიკოს უთხარი, რომ აქ არ ვარო. ნუ, იქ კონცერტი იყოოო... :) ოჩოპინტრე“.

„რა გინდათ ერთი, ხალხნო, გამაგებინეთ! ვინაა ეს მარი და რა მგზავნელები? ეს ნომერი სხვას ვათხოვე და იმასთან თუ გაქვთ საქმე, არ ვიცი“. მარ, ეს იმ „ვიდაცამ“ მომწერა. ეტყობა, სხვებმაც დაურეკეს. მარ, ბიძაჩემს ვეტყვი და სუყველას მიაკლავს. ლუნა“.

„მარი, გუშინ დავამესიჯე იმ ნომერზე, შენ რომ გამოაქვეყნე. ვკითხე, რომელი ხარ, მარის და ლიკას რატომ აგინებმეთქი? კიდევ სხვა რაღაცებიც მივწერე. — მე მათ უკვე მოვუხადე ბოდისი. მარი ძალიან კარგი გოგოა. ვაღიარებ, რომ

რაღაც სულელური სანაძლეოს გამო, ასე არ უნდა მოვეცეულიყავი და არც მკვლელი ვარო, — მომწერა. იმედია, აღარ შეგანუხებს. NON STOP“.

*ახლა კი ლუნას მიერ მობილურით გამოგზავნილ მინიინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც მის რეალთან ჩაწერა.*

„მარი, უღრმესი მადლობა, რომ ჩემი საყვარელი საქმის გაკეთების შანსი მომეცა. ინტერვიუს მის რეალს ჩამოვართმევ, დასაწყისისთვის მგონი ცუდი არ უნდა იყოს“.

### მის რეალის ოცნება

**შურნალისტი** — ლუნა.

**რასონდენტი** — მის რეალი.

— მის რეალ, იმედია, ინტერვიუს მომცემ.

— რა თქმა უნდა. აბა, მაგაზე უარს გეტყვი?

— **გაეცანი მკითხველს.**

— მე ვარ ლიკა სარალიძე; დავიბადე 1988 წლის 11 აპრილს.

— როგორ აღმოაჩინე „გზავნილები“ და რა როლი აქვს მას შენს ცხოვრებაში?

— „გზავნილები“ გართობისა და ხალხთან კონტაქტის საუკეთესო საშუალებაა. „გზავნილებით“ გაგიცანი შენც. მართლა სასიხარულოა.

— რომელ ახალ რუბრიკას ისურვებდი „გზაში“?

— ვისურვებდი, იყოს პოეზიის გვერდი, სადაც მგზავნელების ლექსები დაიბეჭდებოდა.

— ეგ მართლაც კარგი იქნებოდა. რა არის შენთვის სიყვარული?

— ჩემთვის ეს სიტყვა არ იშვიფრება.

— ეთანხმები თუ არა გამოთქმას: „ფული ხელის ჭუჭყია“?

— ფული მთავარი არ არის, მაგრამ ძალიან მინდა, ასეთი „ჭუჭყიანი“ ხელები მქონდეს.

— რაზე ოცნებობ?

— რაზე ვოცნებობ? ბედნიერებაზე და საქართველოს კეთილდღეობაზე. კიდევ, ძალიან მინდა ესპანეთში, „რეალის“ თამაშზე დასწრება.

— ოცნების ახდენას გისურვებ.

— „გზავნილები“ კახელი სალომეს დამსახურებით აღმოვაჩინე. „გზა“ ჩემი ყოველკვირეული, საყვარელი სტუმარია.

— რას იტყვი საერთოდ, „გზავნილებზე“?

— ჩემი აზრით, შენს მესიჯს რომ „გზაში“ ნახავ, ესე იგი, ცოტას მაინც აზროვნებ. ჩარჩო ხომ ძალიან მაგარია. ეს გამომიციდია, საოცარი შეგრძნებაა.


— რას იტყვი ადამიანზე, რომელიც ამდენ რამეს აკეთებს, ჩვენი სურვილები რომ აასრულოს?

— მარი ჯერ იმიტომაც მაგარი, ამდენ მესიჯს რომ კითხულობს და ახარისხებს. კიდევ იმიტომ, ამდენი კარგი იდეები რომ აქვს.

— დავასრულოთ ინტერვიუ. რამეს ხომ არ დაამატებდი?

— დავამატებ, რომ ძალიან მიყვარს მგზავნელები და სიამოვნებით გავიცნობდი ყველას. ჩვენი გზა „გზაშია“!

*ვინაიდან გაზაფხული ძალაში შევიდა, ყველას რომანტიკული განწყობილება მოეძალა. ამიტომ, მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — პირველი სიყვარული. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. კითხვა მოკლე ჩართვისთვის: რატომ ავირჩიე ჩემი ნიკი. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*



დააკვირდი ფოტოზე გადმოცემულ მოქმედებას რამდენიმე წუთის განმავლობაში და დაიმახსოვრე, რა გაიფიქრე ამ დროს. შემდეგ შეგიძლია, ქვემოთ მოყვანილი ტესტის პასუხები წაიკითხო და გაიგო, რამდენად ხარგად იცნობ ქალებს.



1. „ეს ქალი ალბათ დამწყები მეძავია, მამაკაცი კი ფულიანი. გოგონა სულ ახალგაზრდაა და თუ თავს დროზე არ უშველა, დაიღუპება“. ეს გაიფიქრე? ქალებს საკმაოდ საფუძვლიანად იცნობ. მათ თანასწორუფლებიან ადამიანებად მიიჩნევ და არასოდეს აყენებ მამაკაცზე დაბლა. შენ თვითონ ემოციური და მომთმენი ხარ. ქალების გარემოცვაში ყოფნა გიყვარს და მათაც ძალიან მოსწონთ შენს კომპანიაში ყოფნა. თუ შენი საყვარელი ქალიც ისევე კარგად ერკვევა მამაკაცებში, როგორც შენ — ქალებში, მაშინ გაგმართლებია და ეგაა.

2. „მაგარი ქალია, ამაზე მეც არ ვიტყვოდი უარს. არა, არა, მამაკაცები ქალების გარეშე ვერ ვიცოცხლებთ“. თუ ეს გაიფიქრე, ეჭვგარეშეა, რომ ჩვეულებრივ, ქალებთან ურთიერთობის დროს არასოდეს იბნევი და ყოველთვის წინასწარ იცი, რას იტყვის ან მოიმოქმედებს ის. სწორედ ამის წყალობაა, რომ ქალებში საკმაოდ პოპულარობით სარგებლობ. თუმცა, სულის სიღრმეში სუსტი სქესის წარმომადგენლებს გაცილებით „მდაბიო ფენად“ მიიჩნევ, რომელთაც მამაკაცებისგან განსხვავებით უამრავი ნაკლი და თავისებურება აქვთ. საკუთარ თავს ნამდვილ ჯენტლმენად მიიჩნევ, მაგრამ მინდა გაგანზილო, რადგან ერთი მეორეს არ ეთავსება.

3. „ჰმ, ყველა ქალი ერთნაირია. მათი უმეტესობა პოტენციური მეძავია. აჰა, ესეც მზადაა, ფულის გულისთვის გაშიშვლდეს“. თუ ეს გაიფიქრე, შენი ცოდნა ქალებთან მიმართებაში იმ ბანალურ მოსაზრებებს არ სცილდება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მცდარია. ასეთ მიდგომას კი ჩიხში შეჰყავხარ და მათთან ურთიერთობისას ბევრ შეცდომას უშვებ. ეცადე გაერკვე, რას წარმოადგენს ქალი და იმ კუთხით შეიცნო, რომელიც შენთვის ჯერჯერობით დახურულ კარს მიღმა რჩება. წარმატებას გისურვებ!

4. „ნეტავ, ვინაა ეს ახალგაზრდა გოგო? ეს კაცი რა უნამუსოდ იქცევა, ხომ ხედავს, რომ გოგო სირცხვილისგან თვალელებში ვერ უყურებს... ეჰ... რა დაუნდობელი არარაობები ვართ, მამაკაცები...“ თუ შენი აზრები ზუსტად გამოვიცანი, კეთილი, საყვარელი, რომანტიკული მამაკაცი ხარ და იდეალური მეოჯახე. შენი ადგილი ოჯახში ცოლის „ქუსლის ქვეშ“ ან უკეთეს შემთხვევაში — სანოლის ქვეშაა. მინდა გირჩიო, რომ სახლში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად უნდა იბრძოლო. სამწუხაროდ, სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია. ან შენი საქმე მართლა ცუდაადაა, ან საკუთარ თავსაც კი დაუმაღლე, რაც სურათზე დაკვირვების დროს გაიფიქრე.

# ნახოაა „უნირული“ უნირული

მარი, როდესაც შენი შემოთავაზება წავიკითხე, სადაც მომავალ ჟურნალისტებს „გზავნილებთან“ ინტერვიუს ჩაწერას გვთავაზობდი, ვიფიქრე, რომ უკეთესი იქნებოდა იმ ადამიანთან ჩამეწერა ინტერვიუ, რომელიც ჩვენში ყველაზე დიდი ინტერესით სარგებლობს. არჩევანი კი საკმაოდ დიდი იყო... დარწმუნებული ვარ, ეს ინტერვიუ ბევრს გაახარებს. განსაკუთრებით კი მათ, ვისაც აინტერესებს, ვინ არის შეწირული. რესპონდენტს მე და ლელუჩია შევხვდით. ინტერვიუმ კი სულ სიცილ-ხარხარში ჩაიარა. ვინაიდან შეწირულმა საკუთარი გვარის დასახელება და ფოტოს გამოქვეყნება არ ისურვა, სხვა გზა არაა, მარ, ისევ ის „გაკრეჭილი“ მაიმუნი უნდა ჩავსვათ დათოს ფოტოს სანაცვლოდ, რომელიც ადრე შენ დაუბეჭდე. ვიმედოვნებ, შენს მოლოდინს გავამართლებ და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დებიუტი ჩემსავე საყვარელ ჟურნალში შედგება. და მაინც, თუ რამე გამომრჩა, მომიტევეთ, მე ხომ მხოლოდ მეორე კურსზე ვარ, ეს კი ჩემი პირველი ინტერვიუა... :)



## ელენე ბასილიძე (ილინი)

— დათო, გაგვაცანი თავი...

— ვცხოვრობ ხაშურში, მყავს დედა, მამა, და და ძმა. უკვე მეოთხე წელია, თბილისში ვმუშაობ. ჰო, მართლა, ცოლი არ მყავს! (იცინის)

— რამდენი წლის ხარ?

— 26-ის.  
— როდის გადაწყვიტე პირველად „გზავნილებში“ დამესიჯება?

— 2 წლის წინ, გაზაფხულზე. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, მეც მომეთხრო რაღაც მგზავნილებისთვის

და ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება გამეზიარებინა, რომ მათთვის სამაგალითო ყოფილიყო.

— ამდენი ხანი გასულა... რას ნიშნავს შენთვის „გზავნილები“?

— „გზავნილებს“ ჩემთვის სულიერი სიმშვიდე მოაქვს. მისი საშუალებით ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. აქ ძალიან ლამაზი სამყაროა...

— მოდი, შენს მეტსახელზე გვიამბე. რატომ მაინც-დამაინც შეწირული?

— ძველად, ხალხს, რომელიც სამშობლოსთვის, სიყვარულისა და მეგობრობისთვის თავს დებდა, შეწირულებს უწოდებდნენ. მათ სპეციალური გერბიც ჰქონდათ, რომელზეც, გამოსახული სიმბოლოებიდან, ერთ-ერთი — ჯვარი იყო... მეც გავაკეთე მსგავსი გერბი. მინდოდა, მათი მსგავსი ვყოფილიყავი და ამიტომაც დავირქვი შეწირული.

— ვიცი, ბევრ მგზავნელს იცნობ და თითქმის ყველა ამბობს, რომ კარგი ადამიანი ხარ, — რთულ სიტუაციაში გვერდით გვედგა, დეპრესიის დაძლევაში დაგვეხმარაო. როგორ ახერხებ ამას?

— მეც ვყოფილვარ დეპრესიაში და ვიცი, რა საშინელებაა. შესაძლოა, მათი დამშვიდებისას მათზე უარესი განწყობილება მქონოდა, მაგრამ



როცა შეგიძლია, რალაციით დაეხმარო ადამიანს, ამაზე უარი არ უნდა თქვა.

— ანუ როგორც „კარდიოლოგი“ იტყოდა, მარის „შკოლა“ გვეტყობა, ხომ?

— კი, მართალია! (იციინის)

— მგზავნელების ასაკი 16-დან 23 წლამდე მერყეობს. ასაკობრივი სხვაობა თუ გიშლის ხელს მათთან ურთიერთობაში?

— არა. ახლა რა მეტყობა, რომ შენთან ურთიერთობა მიჭირს? ყველა ერთმანეთს ვუგებთ, რა...

— მგზავნელები რალაც ეტაპზე, ჟურნალიდან წასვლას არჩევენ ხოლმე. ხშირად წაგვიკითხავს მათი გამოსამშვიდობებელი მესიჯები. რითია ეს გამოწვეული? მახსოვს, ერთხელ შენც მითხარი, რომ წასვლას აპირებდი. რატომ?

— მეც ხომ თითქმის წავედი? იმდენად ხშირად ვეღარ ვამე-

სიჯებ. ალბათ ზოგი ილლება, ჰგონიათ, რომ თავი ამონურეს. არა მგონია, ყურადღების მისაქცევად აკეთებდნენ ამას. მერე, დროთა განმავლობაში ხვდებიან, რომ „გზის“ გარეშე ვერ ძლებენ და ბრუნდებიან. მესიჯის დასაწერად განსაკუთრებული განწყობილებაა საჭირო, რომელიც ამ ბოლო დროს იშვიათად მეუფლება და ამიტომაც ვპასიურობ. თან, არც ის მინდა, რომ ჩემებმა მიცნონ. ჯერჯერობით „ტაიმ-აუტი“ მაქვს აღებული.

— უკვე რამდენიმე VIP-კლუბი შეიქმნა. როგორ უყურებ ამ წამოწყებას?

— კარგია, იდეები გაქვთ. იქ წახვალთ, აქ წამოხვალთ... მეც გიმასპინძლებთ ხაშურში...

— თუ ხარ რომელიმე კლუბში განეწვრებული?

— არა, არც ერთი კლუბის წევრი არ ვარ. სულ „კლუბი“ არ

ვარ, ამხელა კაცი? (იციინის)

— ახლა ალბათ უამრავ ადამიანს გავიცნობთ მსგავსი ინტერვიუებით. ვის ისურვებდი რესპონდენტად?

— ფინტიკოზას და კამელიას ინტერვიუებს სიამოვნებით წავიკითხავდი. საინტერესო იქნებოდა ოლეგარიოსთან ინტერვიუც.

— როცა ინტერვიუს ჩაწერა შემოგთავაზებ, ფოტოს დაბეჭდვაზე უარი მითხარი. რატომ?

— საამისო მიზეზი მაქვს. არ მინდა, მიცნონ. თან, მარის ხომ აქვს ჩემი სურათი (ყურებამდე გაღიმებული მაიმუნის სურათს გულისხმობს. — ავტ.)?

— დაბოლოს, რას უსურვებ ჩვენს მგზავნელებს?

— სამართლიანები, ლაღები და ხალისიანები ყოფილიყვნენ. ერთმანეთის მეგობრობა არასოდეს დაეკარგოთ.

მოკლე ჩართვა

# რა იქნებოდა, დაეპირობა მამაკაცი რომ არ უოფიციუნა?

• რაიოო? დედამინაზე მამაკაცები რომ არ არსებობდნენ? ეს რა მოგიფიქრებია, მარი ჯაფარიძე? არა, კაცო, მტერმა უყურა მარტო ქალებს. იყვნენ, რას გვიშავებენ?

• მაგარი იქნებოდა! კირა ნაიტილი ანჯელინას გულისთვის ბრიტნი სპირსს ისედაც ხელოვნურად გაზრდილ თმას დააპუტავდა; რონალდოსა და კაკას ნაცვლად ფეხბურთს ავრილ ლავინი და შაკირა ითამაშებდნენ; საქართველოს პრეზიდენტი ნანული სააკაშვილი იქნებოდა. ნუ „კაროჩე“, ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ ერთი კითხვა მანუხებს: მე როგორ გაგწინდებოდი? ხულიგანკა.

• კაცები რომ განყდნენ, დაგვრჩება ბურთი და მოედანი ქალებს, მაგრამ მალევე ჩვენც გაგწყდებით. 9122

• მამაკაცები რომ არ იყვნენ, ამდენი უპასუხო კითხვებიც არ მექნებოდა სოფი.

• დედამინაზე მამაკაცები არ არსებობდნენო? ო... რა პრობლემაა? აბა, ქალების ნახევარი წავიდა პირდაპირი რეისით, კუზანოვთან ლუნა.

• მამაკაცები მხოლოდ „სახმარად“ და გასამრავლებლად არიან მოვლენილნი.

მათგან მეტი რა ხეირია? ჩორნა.

• მამაკაცი რომ არ არსებობდეს მინასა ზედა და ცასა შინა, უპირველეს ყოვლისა, ქალები ნეკნისგან კი არა, რაიმე ღირებულისგან შევიქმნებოდით. რომ არა კაცები, არ იქნებოდა არც ლეზბა-ვარცხნისგან დაშვარ-დაბუგული თმა, არც ამოუტყული წარბები, არც სარკის წინ დაყენებული მანერები და მის წინ გატარებული უამრავი დრო და რაც მთავარია, არ იარსებებდა მსოფლიოს ქალთა დაუძინებელი მტერი — დედამთილი (უკაცრაგად, დედამთილებო, ტექსტს სჭირდებოდა, ასე) ვიქნებოდით მშვიდად, ბუნებრივები, აუღელვებლები და პუტკუნა ქალები. კარდიოლოგი.

• კაცები რომ არ არსებობდნენ (მარ, შენს პირს შაქარი), იცი, რამდენი ვიბრატორი გაიყიდებოდა? აი, ამდენი — 10000000000000... და კიდევ უფრო ბევრი. მიყვარხართ კაროლინა.

• რა მოხდებოდა და ქალებს არ გვეცოდინებოდა, რა არის ცრემლი არ ვიტყვებდით ამ გაურკვეველი არსებების გამო და მაინც მათ გარეშე უაზრო იქნებოდა სამყარო პარიჟანკა.

>>> 16

# უკანასი ომის სესხაური ორდისი

როდესაც სხვადასხვა ქვეყნის კინოსტუდიაში გადაღებულ ფილმებს ვუყურებთ, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ადამიანთა სექსუალური ქცევები მთელ დედამიწაზე ერთნაირია, მაგრამ გარდა პოპულარული (მაგალითად, ევროპული) სექსკულტურისა, არსებობს სხვა წეს-ჩვეულებებიც, რომლებიც თანამედროვე ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს უძველესი დროიდან შემორჩა.

ეკვატორული აფრიკის ზოგიერთი ტომის მამაკაცები მიიჩნევენ, რომ დეფლორაცია (საქალწულე აპკის დარღვევა) ნამდვილი ვაჟკაცის საქმე არაა. ამ ტომის წარმომადგენლები ქალწულებს ჯუნგლებში გზავნიან და ამ საქმის შესრულებას მამალ გორილას ანდობენ. მამაკაცები მიიჩნევენ, რომ თუ გოგონა მამალი გორილის ყურადღების მიპყრობას ვერ შეძლებს, ის ცუდი ცოლი იქნება.

იმისათვის, რომ ოჯახური ცხოვრების სირთულეებს გაუძლოს, ქალი ამტანი და მოხერხებული უნდა იყოს. გორილასთან დამყარებული სექსუალური კავშირი სწორედ ამის დასტურად მიიჩნევა. მაიმუნის ეს სახეობა წმინდა ცხოველად ითვლება და მისი სიცოცხლე ადამიანის სიცოცხლეზე ძვირად ფასობს. თუ მეზობელი ტომის ტერიტორიაზე გორილას

მოკლავენ, ეს დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევა.

ტიბეტის მკვიდრი გათხოვების წინ გოგონას აიძულებდნენ, რომ სექსობრივი აქტი 20 მამაკაცთან დაემყარებინა. გასათხოვარი ქალიშვილები მჭიდროდ დასახლებული პუნქტებისკენ მიმავალ გზებზე საფრდებოდნენ და გამვლელ მგზავრს აცდუნებდნენ. შემდეგ მათგან სამახსოვრო საჩუქარს იტოვებდნენ, რომ ტომის უხუცესთათვის დამამტკიცებელი საბუთი წარედგინათ. ასეთი ადათი მცირერიცხოვანი ტომებისთვისაა დამახასიათებელი და ტომის გადარჩენას ხელს უწყობს, რადგან ქალიშვილები უმეტესად სწორედ უცხო ადამიანებისგან ფეხმძიმდებიან და ბავშვები სისხლის აღრევის შედეგად არ იბადებიან.

ბევრ ქვეყანაში ქალწულობა სინმინდის ნიშანია. ქორწილის ღამის შემდეგ, სიძის სახლის

ეზოში გამოფენილი ნითელი ქსოვილი იმის დასტურად მიიჩნევა, რომ პატარძალი უმნიშვნელო გახლდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პატარძლის დედას ქვით ჩაქოლა ელოდა.

ფსიქოლოგები ამ მოვლენას სექსობრივ იმპრინტინგს უწოდებენ, რაც ქალის პირველ პარტნიორზე დამოკიდებულებას ნიშნავს.

სხვადასხვა ერისთვის ოჯახური ბედნიერების ეტალონი სხვადასხვაგვარია. ჩრდილოეთის ზოგიერთ ქვეყანაში „სექსუალური სტუმართმოყვარეობა“ დღემდე შემორჩენილი. მათთვის დიდი ბედნიერების ტოლფასია, თუ სტუმარს ცოლს „ათხოვებენ“. თუ ამ კავშირის შედეგად ბავშვი დაიბადება, დიდ ზემს აწყობენ. ესკიმოსები ცოლებს უცხო ადამიანებზე ან შედარებით ძლიერი კლანის წარმომადგენლებზე „აქირავებენ“.

ავსტრალიელი აბორიგენები ერთმანეთის მიმართ სიმპათიას ცოლების გაცვლით გამოხატავენ. იგივე პატივი შეიძლება მიაგონ უცხო ადამიანს, თუ ის ოჯახის უფროსს მოეწონება. უარის თქმა უპატივცემულობას ნიშნავს.

## მოკლე ჩართვა

>>> 15

# რა იქნებოდა, დაეიწაზა მათკაცები რომ არ უოფიციუნან?

• ყველა გავარდისფრდებოდა ან ქალები რომელიმე სხვა ცხოველს განვრთნიდნენ. ლაქლაქა.

• მაგარი იქნებოდა. ქალები ტირილში აღარ გაათენებდნენ ღამეს, ამ უსუსური არსებების გამო... და მაინც, ქალი და კაცი ერთმანეთის განუყრელი ნაწილია. მოდი, ერთად ვიყოთ. თათა-ნ.

• მამაკაცები რომ არ არსებობდნენ, ქართველი ქალები ამორძალების არმიას შეექმნიდით და სლოგანი „მიშა მაგარია“ კი არა, „მარი მაგარია“ გვექნებოდა! :) ფინტიკოზა.

• დედამიწაზე მამაკაცები ტრანოზაფრებივით რომ გადაშენდნენ, ხელოვნური პენისების ბიზნესს დაინწყებდი! აუ, რა ფულს ვიშოვიდი! :) ბელნ55.

• მამაკაცები რომ არ ასებობდნენ, არ იქნებოდა თვით უკვდავება, არ იქნებოდა თვით სილამაზე! გრუზინკა.

• მამაკაცები რომ არ არსებობდნენ, ქალები მოვიგონებდით ხელოვნურ სპერმას, მოვანდნდით ხელოვნურ განაყოფიერებას და გავაჩენდით მამაკაცებს. კახელი სალომე.

• მდაა... ველოდი ამ კითხვას. ახლა არ დავინწყებ, კარგი იქნებოდა და ნეტავ, მაგ დღეს მომასწრო-მეთქი. მაშინ ვინ გაალამაზებდა ჩვენს ცოფრებას? ვინ გაგვითენებდა მშვენიერ დილას? ვისთვის გავიპრანჭებოდით? და რაც მთავარია, დედობას ვერ ვეზიარებოდით! არაა, იყვნენ, იყვნენ, მაგრამ გადავარჩიოთ და ზოგი მარსზე გავუშვათ. :) პარიჟანკა.

>>> 23

# საინტერესო ფაქტები ყვავილის შესახებ

- ყოველწლიურად ნაგავსაყრელზე 40 ტონა მობილური ტელეფონი იყრება.

- ამჟამად ინტერნეტით მსოფლიოში 580 მილიონი ადამიანი სარგებლობს. მათი რიცხვი ყოველწლიურად 4%-ით იზრდება.

- ანტარქტიდის საერთაშორისო სატელეფონო კოდია — 672.

- თუ ჩაის კოვზს იმ ნივთიერებით გავავსებთ, რომლისგანაც ნეიტრონული ვარსკვლავები შედგება, მისი წონა 11 მილიონი ტონა იქნება.

- ტელეფონის გამომგონებელი, ალექსანდრ ბელი არასოდეს სარგებლობდა ტელეფონით, რადგან ყრუ იყო.

- ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა მალვიძარა, რომელიც მძინარე პატრონს ფეხებს ფხანდა.


- დინამიტის დასამზადებლად ამერიკაში არაქისს იყენებენ, ხოლო რუსეთში — სოიას.

- კოცნის პროცესის მეცნიერული სახელი ფილემატოლოგია გახლავთ.

- სიკვდილით დასჯის იარაღი — ელექტროსკამი, სტომატოლოგმა გამოიგონა.

- ყველაზე დიდი რიცხვი, რომელსაც სახელწოდება აქვს, არის ცენტლიონი. ეს გახლავთ ერთიანი, 600 წულით და პირველად 1852 წელს ჩაწერეს.

- დაარსების დღიდან „ფორდმა“ 15.700.003 შავი ავ-



ტომობილი გამოუშვა.

- არაბული ციფრები სინამდვილეში არბებმა კი არა, ინდოელებმა გამოიგონეს.

- „ფორდის“ მიერ გამოშვებულ პირველ ავტომობილებზე „დოჯის“ ძრავებს იყენებდნენ.

- ნახშირბადს გაცილებით მეტი ნართი აქვს, ვიდრე სხვა ელემენტებს ერთად.

- თუ 1-დან 100-მდე ყველა ციფრს შევკრებთ, 5.050-ს მივიღებთ.

- ყინულის სიმკვრივე თითქმის ბეტონის სიმკვრივის ტოლია.

- მსოფლიოში ყველაზე გრძელი მეტროს ესკალატორი სანქტ-პეტერბურგის მეტროშია.

- ერთი 75-ვატიანი ნა-

თურა უფრო მეტად ანათებს, ვიდრე 3 — 25-ვატიანი.

- თუ რკინას 5 ათას გრადუსამდე გავაცხელებთ, აირად გადაიქცევა.

- თუ 21.978-ს 4-ზე გავამრავლებთ, მივიღებთ რიცხვს, რომელიც გასაყოფის უკუღმა დალაგებული ციფრებისგან შედგება.  $21.978 \times 4 = 87.912$ .

- თვითმფრინავის შავი ყუთი სინამდვილეში ნარინჯისფერია.

- 1 მილიარდი წამი დაახლოებით 37 წელია.

- ცხელი წყალი უფრო მძიმეა, ვიდრე იმავე მოცულობის ცივი წყალი.

- პირველი „როლს-როისი“ 1906 წელს გამოუშვეს და 600 ათასი დოლარი ღირდა.

- ლობაჩოვსკის გეომეტრიაში სამკუთხედის კუთხეების ჯამი 180 გრადუსზე ნაკლებია. ევკლიდის გეომეტრიაში, 180 გრადუსის ტოლია, ხოლო რიმანის გეომეტრიაში — 180 გრადუსზე მეტი.

- გრანიტი ბგერას 10-ჯერ უკეთესად ატარებს, ვიდრე პაერი.

- სუფთა ოქრო ისეთი რბილია, რომ ხელითაც კი „მოხელ“.

- 1000 კმ/სთ სიჩქარით ფრენის დროს, სამგზავრო თვითმფრინავის სიგრძე 20 სმ-ით ნაკლებია, ვიდრე გაჩერებული თვითმფრინავისა.


- ყელ-ყურ-ცხვირის ექიმის სრული სახელწოდება ოტორინოლარინგოლოგია და არა ოტოლარინგოლოგი.

- ალმასი მჟავაში არ იხსნება. მისი დაშლა მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე შესაძლებელია.

- პარაგვაის დროშა ერთადერთია მსოფლიოში, რომელზეც ერთდროულად 2 გერბია გამოსახული.

- ლეგენდარულ ფეხბურთელს — გარინჩას 11 ქალიშვილი ჰყავდა.

- ყველაზე ძვირად ღირებული კარტოფილის ჯიშია ლა ბონოტე, რომელიც საფრანგეთში გამოიყვანეს. ამ კარტოფილის 1 კგ-ის ღირებულება 500 ევროა.



# პრემია



უკვე რამდენიმე კვირაა, მკითხველი ანას ცხოვრების დეტალებს ვცნობა. ანას ქმარი, მახო რუსეთში 7-წლიანი ვოიაჟის შემდეგ შინ დაბრუნდა. ანა მასზე გაბრაზებული გახლდათ და მასთან, როგორც ქმართან, ურთიერთობაზე უარი თქვა, თუმცა, მახოს ერთ ჭერჭვეშ ცხოვრებაზე მხოლოდ შვილის, სალომეს გამო დათანხმდა. ანამ გადაწყვიტა, თავისი მეგობრის, მაიკოს უცოლო, სიმპათიური შეფი შეაბას. საამისოდ მაიკოს მეგობარი მამაკაცი დაიხმარა და იმავე დაწესებულებაში მუშაობა დაიწყო. წინა ნომერში თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც ანა თავის ახალ სამუშაო ოთახში დავითს შეხვდა.

დასაწყისი — „გზა“, №11-13

## მარი ჯაფარიძე

— გამარჯობა, — ღიმილით მივესალმე, რამდენიმე ნაბიჯი მისკენ გადავდგი და ხელი გავუწოდე.

— გაგიმარჯოს, — მარჯვენა შემაგება და თვითონაც გამიღიმა. მივხვდი, რომ ეს ღიმილი გულწრფელი იყო და ვიგრძენი, რომ ჩემი დანახვა გაუხარდა.

— არ იცოდით, მე რომ თქვენი თანამშრომელი გავხდები?

— არა, არ ვიცოდი. სიურპრიზი ნამდვილად გამოგივიდათ. ძალიან სასიამოვნოა... მითხრეს, იურიდიული განყოფილების უფროსად მშვენიერ ქალბატონს გიგზავნითო, მაგრამ თქვენ თუ იყავით, მამუკას არ უთქვამს.

— გაგიკვირდათ?

— სიმართლე რომ გითხრათ, კი... ვიცი, რომ დაკავებული ადამიანი ხართ და არ მეგონა, სამსახურსაც თუ ეძებდით...

— მე ხომ შეგპირდით, თქვენთან ახლო ურთიერთობისთვის ნიადაგს მოვამზადებმეთქი? ჰოდა, დავინყე...

— ოთახი მოგნონთ? — თემას გადაუხვია, თითქოს უხერხულად იგრძნო თავი.

— დიახ, დასაუნნი რა აქვს,

მაგრამ როგორც მითხრეს, თუ მინდა, ოთახს ჩემი გემოვნებით მოვანყობ.

— რა თქმა უნდა. ასეთ მშვენიერ ქალბატონს უარს ვერაფერზე ვეტყვი...

— ეკა როგორ არის? — ახლა მე გადავუხვიე თემას და საყვარელი ვუხსენე.

— კარგად. წამობრძანდით, თანამშრომლებს გაგაცნობთ.

— შემდეგ ფრაზას აღარ დალოდებია, კარი გამოაღო და მისაღებში გავიდა. მეც უკან მივეყვი.

— ეს ნიკაა, უშუალოდ თქვენი თანაშემწე და განყოფილების სული და გული. ნიკა, ეს ახალი უფროსია, ქალბატონი ანა.

ნიკა წამოდგა და ხელი გამომიწოდა. ღიმილი ძალიან უხდებოდა. ამ ახალგაზრდამ ერთი შეხედვით მოიგო ჩემი გული.

— აქეთ განყოფილების თანამშრომლები სხედან, — მოპირდაპირე კარი შეაღო დათომ. ოთახში 2 მამაკაცი და 1 ქალი დაგვხვდა. ქალი ყავას ადუღებდა, მამაკაცები კი თავჩარგული მუშაობდნენ. ჩვენს დანახვაზე ფეხზე წამოდგნენ და ხელი ჩამოგვართვეს.

— გაიცანით ქალბატონი ანა, თქვენი ახალი შეფი, — ტელეკომენტატორით გა-

მოაცხადა დათომ. მის სიტყვებზე ერთი მამაკაცი ხელახლა მომიახლოვდა.

— ოოო, რა ძალიან სასიამოვნოა, ძაალიან, ძაალიან... — ხელზე მეამბორა და თავი მორჩილად დახარა. — მიმსახურეთ, ქალბატონო ანა.

— კარგი, თუ არ შენუხდებით, ნახევარ საათში ჩემთან შემოდით, რაღაც კითხვები მაქვს, — სერიოზული გამომეტყველებით მივეცი პირველი დავალება.

— რა გაძლებს ნახევარ საათს, ქალბატონო ანა, მაგრამ როგორმე მოვითმენ და ზუსტად ნახევარ საათში გეახლებით, — მის სიტყვებზე ყველას გაგვეცინა.

— გეყოფა, არ დააფრთხო ადამიანი, ჯერ ახალი მოსულია და შენს ხასიათს არ იცნობს, — თავი გამოიდო დათომ ჩემს დასაცავად.

— რომ გამიცნობს, ხომ იცით, მასაც ისევე შეუუყვარდები, როგორც ყველა ქალს ვუყვარვარ.

— ვიცი, ვიცი, ეს ჩვენი უცოლო დონჟუანია, ნიკოლოზი ჰქვია, მაგრამ მოფერებით ყველა აღენას ეძახის, — მომიბრუნდა დათო.

— აღენა ხომ ქალის სახელია?.. — გამიკვირდა.

— არა, აღენ დელონს გუ-



ლისხმობენ, მადამ, — გამილიმა ნოკოლოზმა.

— აა, გასაგებია. გინდათ თქვათ, რომ მასავით სიმპათიური და „დაცემა“ მამაკაცი ხართ? — გულიანად გადავიკისკისე.

— მე კი არ მინდა მაგის თქმა, ამას სხვები ამბობენ, ქალბატონო.

— კარგი, ნუ ლაზლანდარობ, ამ ბატონს ლერი ჰქვია, ქალბატონს კი ლაურა, — დანარჩენებიც გამაცნო დათომ და ოთახიდან გავიდა. ყველას გავუღიმე და მეც უკან მივყვივი.

დათო მისაღებშივე დამემშვიდობა და დამტოვა. მე კი ჩემს კაბინეტს მივაშურე და სავარძელში ჩავჯექი. „როგორც ჩანს, დათოს თანამშრომლებთან უშუალო, თბილი დამოკიდებულება აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნოკოლოზი ამდენს ვერ გაბედავდა. მისი თანდასწრებით თამამად იქცეოდა, ხუმრობდა... ეს კარგია, ეს მის დადებით თვისებებზე მეტყველებს“... ვფიქრობდი და თანდათან უფრო მომწონდა ეს ადამიანი.

მაგიდაზე დალაგებულ საქალდეებს დავწვდი და ერთ-ერთი გადავშალე. კითხვაში ისე გავერთე, რომ დრო როგორ გავიდა, არ გამიგია.

— შეიძლება, ქალბატონო ანა? — მამაკაცის ხმამ გამომარკვია.

— მოდი, ნიკოლოზ, მოდი, — რატომღაც უცებ გავუშინაურდი ალენას. ჩემ წინ დაჯდა და დაელოდა, რას ვეტყვოდი.

— იცი, მომეჩვენა, რომ იმ სამში შენ უფრო შეგიძლია ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა და ამიტომ დაგიბარე. მაინტერესებს, რა ხდება განყოფილებაში, რა საქმეებზე ვმუშაობთ ახლა და რომელია

ყველაზე სასწრაფოდ მოსაგვარებელი.

— ერთ-ერთი კერძო მენარმე ტერიტორიას გვედავება. საქმის განხილვა ერთხელ უკვე შედგა და ახლა მეორე პროცესს ველოდებით. ეს საქმე აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ასეთია დავალება. ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა ეს გახლავთ. — მომეწონა, რომ ძალიან საქმიანად მპასუხობდა. მეგონა, ისევ ლაზლანდარობას დაიწყებდა.

— შეგიძლია, მაჩვენო?

— კი, აგერ მაქვს, — ხელი თავის წინ დადებულ საქალდეებს დაადო. ვიცოდი, რასაც შემეკითხებოდით. — გამილიმა და ფაილიდან ფურცლების ამოლაგებას შეუდგა.

— იცი, მე ალბათ ცოტა გამიჭირდება, დამოუკიდებლად გავერკვე. ამიტომ, შენ

და აზარტული საქმე.

— კიდევ გაინტერესებთ რამე? — მკითხა ნიკოლოზმა, როდესაც მიხვდა, რომ ჩვენი საუბარი დასასრულს მიუახლოვდა.

— ჩემამდე ვინ იყო ამ თანამდებობაზე?

— ამ კითხვას ველოდი, სანდრო ბიძია ასაკოვანი მამაკაცი იყო, მთელი ცხოვრება ამ სისტემაში ნამუშევარი გახლდათ და ნამდვილი პროფესიონალი. პუტკუნა, კეთილი მოხუცი იყო და ყველას გვიყვარდა. ძალიან გვეწყინა, მისი გარდაცვალების ამბავი რომ გავიგეთ. სანყალმა, მთელი ნთვე იავადმყოფა, მის ადგილზე კი არავის იღებდნენ, ვიდრე ნამდვილად არ დარწმუნდნენ, რომ აღარ დაბრუნდებოდა. თქვენ ნუ შეგეშინდებათ, ისეთი კარგი ქალბატონი ჩანს-

## — რა გაძლებს ნახევარ საათს, ქალბატონო ანა, მაგრამ როგორმე მოვითმენ და ზუსტად ნახევარ საათში გეახლებით, — მის სიტყვებზე ყველას გაგვეცინა

ამიხსენი, რა ხდება და რა შანსი გვაქვს, რომ პროცესი მოვიგოთ. — ჩემი უსუსურობა გულახდილად ვალიარე და დახმარებაც ალაღად ვთხოვე.

— არ არის პრობლემა, თავიდან ყველას უჭირს, ჩვენ აქ რისთვის ვართ? — დამამშვიდა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ, თითქმის ყველა ნიუანსში გამარკვია და ბოლოს მივხვდი, რომ ეს სამსახური სწორედ ის იყო, რაც მე ასე მაკლდა — საინტერესო, არაერთფეროვანი

ართ, რომ იოლად შეგეგუბიან და შეგიყვარებენ თანამშრომლები. წელან, ოთახიდან რომ გამოხვედით, სამივემ ვალიარეთ, რომ მოგვეწონეთ. ძალიან კი ვნერვიულობდით, რადგან არ ვიცოდით, ვინ იქნებოდა ახალი უფროსი და განვიცდიდით, შევძლებდით თუ არა მასთან შეგუებას. მგონი, გაგვიმართლა. — ალალი ღიმილი გადაეფინა სახეზე.

— გამიხარდა, თუ მოგეწონეთ, მეც იგივე შემიძლია, გითხრათ. გამოსაცდელი ვადა 3 თვე მაქვს. თუ გავუძელი და დავრჩი, იმედია, ვიმეგობრებთ.

— ჩვენ დაგეხმარებით და აუცილებლად დარჩებით. პირადად მე, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რომ ყველაზე რთულ საქმესაც კი გაართვათ თავი.

— გმადლობთ, — ისეთი გულწრფელი იყო ჩემი მადლობა, რომ ლამის თვალზე ცრემლიც კი მომადგა. — როგორც ვხედავ, მეც გამიმართ-



ცხოვრება ვასული იქნა,  
დამახსოვრებული დღეების.

ლა, — ვთქვი და ნიკოლოზს მეგობრულად გავუწოდებ ხელი. ენერგიულად ჩამომართვა, თვალი ჩამიკრა და გავიდა.

— თუ დაგჭირდეთ, აქ ვართ, — მითხრა კართან მისულმა.

მარტო რომ დავრჩი, მაიკო მხოლოდ მაშინ გამახსენდა.

მოსწონს და დათოზეც გული შესტკივა. თუ ანა დათოს ეკასგან გათავისუფლებას შეძლებს, მალარიჩი ჩემზეაო. გოგო, ადექი, დამენახვე, როგორ ფორმაში ხარ.

წამოვდექი და ოთახში ისე გავიარ-გამოვიარე, თითქოს პოდიუმზე ვიყავი.

## — გმადლობთ, — ისეთი გულწრფელი იყო ჩემი მადლობა, რომ ლამის თვალზე ცრემლიც კი მომადგა

ლამის მთელი დღე აქ ვიყავი და თვითონაც არ შემხმინებია. ტელეფონს დავწვდი და მისაღების ნომერი ავკრიბე.

— ნიკა, საფინანსო განყოფილების შიდა ნომერი რა არის? — ვკითხე თანაშემწეს.

— 232, ვინ გნებავთ, მითხარით და მე დავურეკავ.

— მაია მინდა, მე თვითონ დავურეკავ, გმადლობთ.

— მაია თუ გინდათ, 233-ზე უნდა დარეკოთ. წელან შემოიხედა და ვუთხარი, რომ დაკავებული იყავით.

ყურმილი დავდე თუ არა, ტელეფონმა დარეკა. უკვე თამამად ვუბასუხე. მაია იყო.

— გოგო, ჯერ არ მოსულხარ და უკვე ისეთი დაკავებული ხარ, რომ შენთან არც კი შემომიშვეს.

— ახლა აღარ ვარ დაკავებული, მოდი, რაა! — ისე შევეხვეწე, თითქოს საშველად ვუხმობდი.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ჩემთან იყო და შეთქმულებივით ვჩურჩულებდით.

— რაო, დათომ? გნახა?

— კი, განყოფილების თანამშრომლები გამაცნო. რომ დამინახა, თვალებს არ დაუჯერა.

— ჰო, მამუკამ მითხრა, ჯობს, წინასწარ არ ვუთხრა-თო.

— მამუკასთვის მგონი ყველაფერი ნათქვამი გაქვს, არა?

— კი, იცის, რაც გაქვს ჩაფიქრებული. ხომ იცი, მეგობრობენ, მამუკას კი ეკა არ

— მაგარია, ეს კაბა ძალიან გიხდება, მაგრამ მოკლე არ არის.

— არა უშავს, მომავალი კვირიდან ჩავიცვამ მოკლე კაბას. პირველსავე დღეს ხომ არ გავაგიჟებდი თანამშრომლებს? ალენამ ისედაც ლამის თვალებით შემჭამა.

— უკვე გაიცანი ალენა? ჩვენი „კრასავიკია“. ხომ სიმპათიურია? ძალიან კარგი ადამიანია. იცი, აქ რამდენ ქალს უყვარს? ქმრიანსა თუ უქმროს, ყველას მაგაზე აბობნებს. თანაც, უცოლოა.

— რაში მაინტერესებს? ჩემი სამიზნე დათოა. ყოველ შეხვედრაზე რამდენიმე ახალ, დადებით თვისებას აღმოვაჩენ ხოლმე მაგ ადამიანში და უფრო და უფრო მომწონს.

— ფრთხილად, არ შეგიყვარდეს.

— უკვე მიყვარს, მგონი... თუ არ შემიყვარდა, ისეთი კაცი რა თავში სახლელად მინდა? სხვის ჯიბრზე კი არ ვიქცევი, უბრალოდ, მახოს დაბრუნების შემდეგ მივხვდი, რომ პირადი ცხოვრება არ მაქვს და მძაფრი შეგრძნებები მომენატრა. მინდა,

15 წლის გოგოსავით ვიყო შეყვარებული და გრძნობისგან თავბრუდახვეული. ყველა და ყველაფერი რომ დამავინწყოს და სისხლი ამიჩქროლოს. პაემანზე წასვლაც მინდა, ოღონდ, მოვალეობის მოხდის მიზნით კი არა, გულწრფელად რომ მიმეჩქარებოდეს და მიმიხაროდეს, ვნერვიულობდე და შეხვედრის მოლოდინში ღამე არ დამეძინოს.

— მოკლედ რომ ვთქვათ, სიყვარულისგან გამონვეული ტანჯვა გინდა, არა? — გადაიკისკისა მაიკომ.

— ნუ დამცინი, თორემ გავბრაზდები, — გავბუსხე ტუჩები.

— კარგი, წავალ და ხელს აღარ შეგიშლი, სალამოს ისევ შემოგივლი და ერთად წავიდეთ. დღეიდან ჩემი „ლიჩნი“ მძლოლი იქნები. დილით გამოივლი და მომიყვან, სალამოს კი ისევ შინ დამაბრუნებ.

— შევთანხმდით.

მთელმა დღემ ისე უცებ გაირბინა, რომ როდესაც მაიკომ დამირეკა, წავიდეთო, გამიკვირდა. საათს შევხედე, უკვე 6 სრულდებოდა. ის იყო, ოთახიდან გამოსვლას ვაპირებდით, რომ დათო შემოვიდა.

— გამარჯობა, მაიკო. თქვენ რა, უკვე მიდიხართ?

— არ არის დრო? — უხერხულად შეიშმუშნა მაია.

— შენთვის კი, ანასთვის ჯერ ადრეა. საქმე მაქვს და ცოტა შეაგვიანდება.

— კარგი, მაშინ წავალ, — ეშმაკურად ჩაიცინა მაიკომ და გავიდა.

— ესეც ასე... აბა, დაბრძანდით, ქალბატონო ანა, — ძალიან ოფიციალური ხმა გაუხდა დავითს და თვითონ პირველი დაეშვა სკამზე.

### გაგრძელება მომდევნო ნომერში



ცხოვრება ავადმყოფობას  
ლოცვათა და სწავლების, მოძველებ  
სქესობრივი გზით გადაყვება.

# მსოფლიო გამოგონებების უფულო ავტორები



ყველა ეპოქაში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც სიახლეებს იგონებდნენ და ამით საკუთარი თავისა თუ თანამომხმეებისთვის ცხოვრების გამარტივებას ცდილობდნენ. ისეთი გამოგონებებიც არსებობს, რომელმაც მსოფლიო შეცვალა და თითქმის ყველა ოჯახში „დაიდო ბინა“. ასეთი გამოგონებების ავტორები გამდიდრდნენ და ჟურნალ „ფორბსის“ მიერ გამოქვეყნებულ უმდიდრესი ადამიანების სიას სათავეში მოექცნენ. თუმცა, ბევრი ისეთი გამოგონებაც არსებობს, რომელიც ნებისთ თუ უნებლიეთ, ამა თუ იმ ავტორმა მსოფლიოს სრულიად უსასყიდლოდ მიუძღვნა. ამ გამოგონებლებმა საკუთარი გონების ნაყოფი უბრალოდ, არ დააპატენტეს და ამის გამო უფულოდ დარჩნენ.

## ბრაზი თარხანი

### კარაოკე იაპონურად

დღესდღეობით, გართობის ინდუსტრიის კარაოკეს გარეშე წარმოდგენა შეუძლებელია. თითქმის ყველგან არსებობს უამრავი ბარი, სადაც კარაოკეს მეშვეობით საკუთარი ვოკალური მონაცემების დემონსტრირებას შეძლებ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ გამოგონების ავტორს ერთი ცენტრიც... უფრო სწორად, ერთი იენიც კი არ მიუღია. ის იაპონელი გახლავთ.

დაისუკე ინუე 30 წლის წინ, ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ ჯგუფში დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა. კაფეებსა და



დაისუკე ინუე

ბარებში გამოსვლის დროს, მუსიკოსები წუხდნენ, რომ მათი შესვენების დროს ხალხს გართობა არ შეეძლო. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ დაისუკემ კარაოკეს პროტოტიპი გამოიგონა (იაპონურად ის „ცარიელ ორკესტრს“ ნიშნავს). თავდაპირველად, ინუემ სიმღერის ჩანაწერიდან ხმა წაშალა და მხოლოდ მელოდია დატოვა; მეორე ეტაპზე კი დამსწრე საზოგადოებას საკუთარი თავის გართობა თავადვე შესთავაზა. ბარის კლიენტებს გასართობი მოეწონათ და მალე ამ ბარის სტუმართა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ჯგუფის წევრებმა კარაოკემონოპოლიზების სერიული წარმოება გადაწყვიტეს. მათ 11 მოწყობილობა დაამზადეს და თითოეული 11 იენად (80 ცენტი) გაყიდეს.


3 წლის შემდეგ, კარაოკე იმდენად პოპულარული გახდა, რომ დაუპატენტებელი გამოგონების გამოშვება დიდმა კომპანიებმა დაიწყეს.

დაისუკე ამჟამად 62 წლისაა და ეს ჰიპის გარეგნობის, გრძელთმიანი მამაკაცი ქალაქგარეთ ცხოვრობს და თავის ახალ გამოგონებას — კარაოკეში „მცხოვრები“ ტარაკნების სანამლავს ყიდის. მას მიაჩნია, რომ ეს მონოპოლიზაცია უმეტეს

შემთხვევაში მწყობრიდან სწორედ ამ მწერებს გამოჰყავთ.

### „თაგების“ მეფე

დაისუკეს მსგავსად, კარლ ენგელბარტსაც შეუძლია იამაყოს, რომ მისი გამოგონებით მთელი მსოფლიო სარგებლობს. ის კომპიუტერის



კარლ ენგელბარტი

„მაუსის“ გამომგონებელი გახლავთ. პირველი „მაუსი“ ხის კოლოფს წარმოადგენდა, რომლის შიგნითაც 2-2 პერპენდიკულარულად დამონტაჟებული ბორბალი და ლილაკი იყო მოთავსებული. მოგვიანებით, მისი დიზაინი თანამედროვე „მაუსს“ დაემსგავსა. დღესდღეობით ის კომპიუტერული ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილი გახლავთ. გამოგონების სანაცვლოდ ავტორმა 10.000-დოლარიანი ჩეკი მიიღო და მთელი ეს თანხა ქალაქგარეთ, პატარა ვილაში დააბანდა.

**მუდამ „კოკა-კოლა“**

ყველაზე არაპრაქტიკულ გამომგონებლად შეგვიძლია, ჯონ პემბერტონი მივიჩნიოთ. 1886 წლის მაისში ის თავისი სახლის ეზოში ექსპერიმენტს ატარებდა. ის მელანქოლიის, თავის ტკივილისა და ისტერიის საწინააღმდეგო მიქსტურის მიღებას ცდილობდა და სხვადასხვა მცენარის ნაყენი, სიროფთან ერთად წამოადუღა. სპილენძის ქვაბში მოხარშული ნაყენის გასინჯვისას, ექსპერიმენტატორი მისი გემოთი აღფრთოვანებული დარჩა. იმ საღამოსვე ქალაქის ყველაზე მსხვილ აფთიაქში მიიტანა და მფლობელს, ფრენკ რობინსონს მისი გასინჯვა შესთავაზა. მებატრონემ სასმელი მოიწონა, სახელწოდებად „კოკა-კოლა“ შეურჩია და მეორე დღიდან მისი გაყიდვა დაიწყო. 1 ჭიქის ფასი 5 ცენტი გახლდათ. მალე სასმელი ძალზე პოპულარული გახდა. პემბერტონმა 1 წლის განმავლობაში 50 დოლარი გამოიმუშავა. მომდევნო წელს სასმელი გაცილებით მეტი რაოდენობით გაიყიდა. თავისი გამოგონების წყალობით, პემბერტონმა სულ 1989 დოლარის მოგება ნახა. დღესდღეობით კი ეს ბრენდი ყველაზე ძვირად ღირებულ ბრენდადაა მიჩნეული. ექსპერტთა შეფასებით, მისი ღირებულება 75

მილიარდ დოლარს შეადგენს, მაგრამ მისი გაყიდვით გამდიდრებულ ადამიანებს შორის, გამომგონებლის გვარს ვერსად წაანყდებით.

**სახელმწიფოს მსხვერპლი**

ყველაზე ცნობილი ავტომატის — „აკ-47“-ის გამომგონებელს, მიხაილ კალაშნიკოვს თავისი გამოგონებისთვის 1 ცენტიც არ მიუღია. ყველაფერი სახელმწიფომ წაიღო, — ამბობს გამომგონებელი. წარმოუდგენელია, რომ მის მიერ გამოგონებული ავტომატის გაყიდვიდან ავტორი არაფერს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ 1947 წლიდან, რუსეთის მიერ გაყიდულმა „კალაშნიკოვმა“ 100 მილიონ ერთეულს მიაღწია. მაგრამ გამომგონებელმა ამ უსამართლობის ნაწილობრივ გამოსწორება სცადა და ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ ფირმასთან

ხელშეკრულება გააფორმა, რომლითაც ამ ფირმას მისი სახელით სარგებლობის უფლება მიენიჭა. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ავტორს მიღებული მოგებიდან 30% ეკუთვნის. ახლა აღნიშნული ფირმა „კალაშნიკოვის“ სახელით ქოლგებს, არყის კოქტილს, ჩოგბურთის ჩოგნებს, გაპარსვის შემდგომ გამოსაყენებელ ლოსიონსა და მაისურებს გამოუშვებს.



მიხაილ კალაშნიკოვი

**?** გამარჯობა, გრაფო, საქმე ისაა, რომ ჩემი ქმარი აზარტული თამაშების მოყვარულია და ამის გამო ძალიან ბევრ პრობლემას ვაწყდები. ყოველდღე მპირდება, რომ აღარ ითამაშებს, მაგრამ არ მჯერა. ამას დედაჩემიც ძალიან განიცდის. ამბობს, რომ დაილაღა, ის არასოდეს გამოსწორდება და არჩევანის წინაშე მაყენებს. ან დედა, ან — ქმარი. რა ვქნა?

— თქვენი მეუღლე აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანია. ეს მძიმე, ფსიქიკური დაავადებაა. დედა მართალია, როცა გეუბნება, რომ საქმე ცუდადაა. თქვენმა მეუღლემ ან უნდა იმკურნალოს, ან შეეგუეთ იმას, რომ ის არასოდეს მიატოვებს თამაშს. თუ ფსიქოლოგთან მკურნალობაზე უარს იტყვის, ჩემი რჩევა იქნება, რომ არჩევანი დედის სასარგებლოდ გააკეთოთ.

**?** გრაფო, მითხარით, როგორ ვიცხოვრო? მე ის მიყვარს, მას კი მე ვუყვარვარ, მაგრამ არსებობს „ის“, მესამე ანუ მისი ცოლი. ჩემი საყვარელი მამაკაცი მეუბნება, რომ ერთმანეთს ვერაფერი დაგვაშორებს და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ თავი კარგად ვიგრძნო. მე კი ძალიან განვიცდი იმ მესამის არსებობას. რას მირჩევთ?

— უკვე გვიანია იმის რჩევა, რომ არ უნდა გაგებათ ცოლიან კაცთან რომანი. ახლა უკვე თქვენი გადასაწყვეტია, როგორ განაგრძობთ ცხოვრებას. ცოტა მოითმინეთ. თუ მას მართლაც უყვარხართ, ალბათ გადანყვეტილებას თქვენს სასარგებლოდ მიიღებს. თუ მასთან მთელი ცხოვრების გატარებას არ აპირებთ, მაშინ ჯობს, ურთიერთობა აღარ გააღრმავოთ.

**P.S.** იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს“-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **GRAPH** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე **8884**.

# თუ გაძლიერება ვინდა, ყუჩადღებია უნდა იყო

გამდიდრებაზე ბევრი ადამიანი ოცნებობს. უფრო სწორად, მათი უმეტესობა ოცნებობს იმაზე, რომ გაიღვიძოს და აღმოაჩინოს, რომ საბანკო ანგარიშზე მილიონი აქვს ან მდიდარი, უცხოელი ბაბუისგან მემკვიდრეობა დარჩა. ის, რომ ბანკში ანგარიში საერთოდ არა აქვს და ბებია-ბაბუები ჯი რომელიმე მიყრუებულ სოფელში ცხოვრობენ, მეოცნებე ადამიანებს გამდიდრებაზე ფიქრში ხელს არ უშლის.

## ბრაში თარხანი

გამდიდრების მსურველებს მეცნიერები ურჩევენ, რომ გარემო-პირობების მიმართ გაცილებით მეტი ყურადღება გამოიჩინონ და ყველა მინიშნება დააფიქსირონ. ასე გამდიდრება გაცილებით იოლია, ვიდრე დატოვებულ მემკვიდრეობაზე ოცნებით... ისინი ამბობენ, რომ გარემო ბევრ შესაძლებლობას გვაძლევს და უბრალოდ, მისი გამოყენება უნდა შეგვეძლოს.


მოდით, ვნახოთ, ფულის მიმართ როგორი ყურადღებებიანი ხარ? შეგიძლია, უცებ თქვა, ვინ არის გამოსახული 10-ლარიან კუპიურაზე? 50-ლარიანზე? ალბათ, გეეჭვება, რომ ეს გამდიდრებაში დაგეხმარება; მაგრამ მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თითოეულ ადამიანს დღეში ერთხელ მაინც ეძლევა მინიშნება იმის თაობაზე, რა საქმეში უნდა ჩადოს ფული და

როგორ შეუძლია მისი გამომუშავება.

მაგალითად, დილით, ტელევიზორს რომ ჩართავ, ყურადღება მიაქციე პირველ სიტყვებს, რომელსაც ცისფერი ეკრანიდან მოისმენ. იქნებ, ამ სიტყვებმა რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მოგანდოს? ქუჩაში ყოფნის დროს, გონება მიადევნე საკუთარ აზრებს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ გენიალური იდეები ადამიანთა უმეტესობას ხალხმრავალ ადგილებში მოსდის. ადამიანები ერთმანეთს თითქოს სიგნალს აძლევენ, სად შეიძლება ფულის შოვნა.

მაგალითად, ფუტკრებს აქვთ ერთგავრი „ცეკვა“, რომლის საშუალებითაც ერთმანეთს ნექტრის ადგილსამყოფელს მიანიშნებენ ხოლმე.

მეცნიერები გირჩევენ, რომ ფულის მიმართ გაცილებით



ყურადღებიანი იყო და მეტი დროც დაუთმო. თითოეული კუპიურა გულდასმით უნდა შეისწავლო და შეიგრძნო. წარმოიდგინე, როგორ ცვივა ციდან ფული და როგორ გეყრება თავზე. სპაციალური, ფულის მედიტაცია კი არსებობს. როდესაც გასცემ ან იღებ ფულს, საკუთარ გონებაში წარმოქმნილ აზრებს გულისყურით მოეპყარი. იქნებ, ფულს შენთვის რამის „თქმა უნდა“?

ინფორმაცია, რომელიც ახლა მოგანოდებ, სერიოზული მეცნიერების ნაშრომში ამოვიკითხე. გამოცადე, იქნებ მართლა გამოგადგეს.

## რა იქნახოდა, დაეაიწაოდა მამაკაცები რომ არ ყოფილიყვნენ?

• ჰმ, კაცები რომ არ არსებობდნენ? არ იქნებოდა ჯონდი და მერე ლიმონას რაღა ეშველებოდა? ჩორი-ჩორი.

• კაცები რომ არ არსებობდნენ? რად გვინდა? არ მესმის, კაცები რა საჭიროა? ძირს კაცების ეშმაკუნა.

• კაცები რომ არ არსებობდნენ, ქალს ქალისთვის ასახევი არავინ ეყოლებოდა და კაცები ქალებს აღარ მიატოვებდნენ. შესაბამისად, გატეხილი გულების რიცხვიც შემცირდებოდა. ეკალა-ტირიფი.

• ქალებო, დაგერხაათ! ღმერთმა გვაშოროს, ქალო, ქალებს მამაკაცების გარეშე ცხოვრება! „ნო პრობლემ“. კუზანოვია საქართველოში, ქალებო, „ნი ნერვინე“. მეგრული მგელო.

• მამაკაცები რომ არ არსებობდნენ, დილით მობილურით ვინლა გამალვძებდა? მერე ვის უნდა მოვუშალო ნერვუკები? საკაიფოდ კარგია, მათი არსებობა... ვიტყუები. :) green girl.




# მომიჯი-სერვისი

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

წინა ნომრის შავრიტი ქალბატონი 22-ე მესიჯის ავტორია, 34 ხმით. მეორე ალბილგე მე-15 ნომერი, – 23 ხმით, ხოლო მესამე ალბილგე – მე-7 მესიჯის ავტორი, 17 ხმით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 24-ე მესიჯის ავტორმა ლიმახაშურა, 28 ხმით. მეორე ალბილგე 29-ე მესიჯის ავტორია, 18 ხმით, ხოლო მესამე ალბილგე, მე-40 მესიჯის ავტორი, 11 ხმით.

ს  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ი



- ვარ 23 წლის, ქერათმიანი, სიმპათიური გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით სიამოვნებით გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ, სამსახურით უზრუნველყოფილ, თბილ, ერთგირებულ, თბილისელ მამაკაცს.
- სერიოზული ქალბატონი, თბილი ხასიათითა და რომანტიკული ბუნებით, გავიცნობ სამეგობროდ პიროვნებას, რომელიც გამიწევს სულიერ მეგობრობას.
- ვარ 24 წლის. გავიცნობ 25-30 წლის, ქვრივ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ეკატერინე.
- ვარ 169/65/32, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი

- 33-37 წლის მამაკაცს, ოღონდ — სერიოზულად. ვარ პატიოსანი და წესიერი.
- ვარ 34 წლის, სუფთა წარსულის მქონე ქალბატონი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი ნორმალურად ადამიანს, 35-43 წლამდე.
- ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ და ინტელიგენტ მამაკაცს, 45 წლამდე. ვარ 39 წლის, უზრუნველყოფილი, სერიოზული ქალი. გთხოვთ, დატოვოთ შეტყობინება.
- ვეხმარები მე-13 ნომრის 37-ე მესიჯის ავტორ ლევანს. მეც მეუღლეს ვარ გაცილებული. ვარ დასავლეთიდან. თუ სურვილი გაქვს, გავიცნოთ ერთმანეთი, მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის.
- ვარ 25 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის

- გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ და საქმიან ადამიანს. გრუზინკა.
- ვარ 20 წლის გოგო. გავიცნობ 25-28 წლის მამაკაცს, სამეგობროდ. ნინო, თელავიდან.
- დაოჯახების მიზნით გავიცნობ 23-30 წლის, სპორტულ ბიჭს. უნდა იყოს ზრდილობიანი და ქალის პატივისცემა იცოდეს.
- ვარ 38 წლის, განქორცილებული. დამალა მარტოობამ. მინდა ისევ ვცადო და ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 40-50 წლის, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. არ ინანებთ. გელოდები.
- გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, 45 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით.
- გამარჯობა. მყავს დასაქმებული, სიმპათიური და კარგი ხასიათის მქონე დეიდა, 50 წლის. მთელი ცხოვრება შვილებს მიუძღვნა. ახლა თავს რატომღაც მარტოსულად გრძნობს. გთხოვთ, გამოგვეხმაროთ თბილისელი, 40 წლის ზევით, სერიოზული, დასაქმებული, უცოლო მამაკაცი.
- ვეძებ სამეგობროდ მატერიალურად უზრუნველყოფილ, 42 წლამდე ასაკის მამაკაცს. დანარჩენი — პირადად.
- გავიცნობ მხოლოდ 45 წლის ზევით, სერიოზულ, ყურადღებიან, დასაქმებულ, უზრუნველყოფილ, არაოჯახიანს, არადაბალ, არამსუქან, ერთგულ მამაკაცს. არა — გასართობად. ვარ 45 წლის.
- გავიცნობ ჯერ sms-მეგობრად (მერე დრო გვიჩვენებს), ზრდილობიან, განათლებულ და საინტერესო, 36-45 წლის, თბილისელ, უცოლო მამაკაცს. მატყუარები და თავხედები ნუ შეწუხდებით.
- ვარ 38 წლის, ლამაზი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქართველ, სულით ვაჟკაც მამაკაცს, სახლითა და სამსახურით უზრუნველყოფილს. დაბლები და მელოტები არ გამოემხმაროთ.
- ვარ თეო, ქუთაისიდან, 17 წლის, გრძელი თმითა და შავი თვალებით. მსურს გავიცნო თბილისელი, დასაქმებული ბიჭი, 20-დან 22 წლამდე, სერიოზული ურთიერთობისთვის.
- მყავს კარგი მეზობელი. ვისაც ოჯახის შექმნა გსურთ, დაურეკეთ, 34-45 წლის, მხოლოდ კარგმა კაცებმა.

20. გავიცნობ 23-28 წლის ბიჭს, ყველაფრით უზრუნველყოფილს. არასერიოზულებმა და უსაქმურებმა თავი შეიკავონ. ნინა-22.

21. მარი, გთხოვ მომცე „გზის“ მე-12 ნომრის 32-ე მესიჯის ავტორის ნომერი. ლიკა.

22. ვარ 37 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, სერიოზული, გასათხოვარი ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, ბუნებით ლამაზ და სულით წმინდა მამაკაცს.

23. ვარ 37 წლის, გაუთხოვარი, სულით წმინდა ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზი სულის მქონე მამაკაცს, ვინც აფასებს პატიოსნებას.

24. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაროს თბილისელი, სერიოზული, მატერიალურად უზრუნველყოფილი, სიმპათიური მამაკაცი, 28-37 წლამდე. ვარ 28/172, პატიოსანი, თბილი ბუნების გოგო. გასართობად არ შეწუხდეთ.

25. ვეძებ ავანგარდულ მამაკაცს, ავანგარდული და ინტიმური ურთიერთობისთვის. გპირდებით ვნებიან და დაუვინყარ წუთებს. ვარ 22 წლის, სლავური ტიპის ქალი, ანუშკა.

26. ვარ 32 წლის, ქალიშვილი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32-37 წლამდე მამაკაცს, ოღონდ, სერიოზულად.

27. მინდა გავიცნო ჩემი შესაფერისი. ვარ ქმარს გაცილებული, 30 წლამდე. საგლახაოდ თავი არ შეინუხოთ.

30. სამეგობროდ გავიცნობდი ლამაზ და კარგი ხასიათის ქალბატონს, რომელსაც სიყვარული და სითბო უნდა. დათო, იმერეთი.

31. ვარ 27 წლის, ცოლიანი. მინდა გავიცნო 25-35 წლის ქალი, რომელიც გამიგებს, ჩემს აზრს გაიზიარებს. ამ დონეზე მიმიყვანა ოჯახურმა კონფლიქტებმა. ვარ 186 სმ სიმაღლის, სიმპათიური მამაკაცი.

32. შეძლებულ ქალბატონს, თბილისელს ან რუსთაველს, ავუსრულებ ყველანაირ ინტიმურ ოცნებას.

33. ბანალური, სასიყვარულო ურთიერთობისთვის გავიცნობ 25 წლამდე გოგონებს. ვარ 25/180/60, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი. მისტერ შოკი.

34. ვარ 38 წლის, მაღალი, გამხდარი, დასაქმებული. გავიცნობ გოგოს, 36 წლამდე.

35. ვარ 20 წლის ბიჭი. გავიცნობ კარგი გარეგნობის, თბილისში მცხოვრებ გოგოს. მაინტერესებს, კიდეც დარჩენ კარგი ადამიანები, ნამდვილი სიყვარული რომ შეეძლოს?

36. ვარ 34 წლის, თბილისელი ბიზნესმენი. უცოლო, ქართველი, სიმპათიური მამაკაცი. გთხოვთ მომცეთ „გზის“ მე-13 ნომრის „ქალების“ პირველი მესიჯის ავტორის — კიკინოს მოზილურის ნომერი.

37. გავიცნობ თბილისელ, მორწმუნე გოგოს, 30 წლამდე. ვარ თბილისელი, ბინით უზრუნველყოფილი, 175/30. გამომეხმარეთ მხოლოდ სერიოზულები.

38. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ, პატიოსან, მწვანეთვალეზა, სოფელ გოგოს.

39. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №13, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი. დიდხანს გეძებდი, არც კი ვიცოდი, ვინ იყავი და სად იყავი, მაგრამ გიპოვებდნიერი ვარ. მინდა, გავიცნო ეს მანდილოსნი.

40. მხოლოდ გოგონებს და ქალბატონებს! ვარ 23 წლის ბიჭი, გამოძახებით. ორივე მხარისთვის სასურველ ადგილზე შეხვედრისთვის გამომიძახეთ. ყველანაირი ინტიმური ფანტაზიის ასრულებაში დაგეხმარებით. უბრალოდ, დარეკეთ. ზარების გამოშვებით ნუ შემანუხებთ.

41. მარი, გთხოვ გამომიგზავნო „გზა“ №46, მე-8 მესიჯის ავტორის ნომერი. დიდი დროა გასული და იქნებ გამიგო? გმადლობთ. უკაცრავად, რამდენი უნდა თანხა? თქვენი სერვისით სარგებლობისთვის რამდენი უნდა მქონდეს თანხა?

42. ბანალური და სასიყვარულო ურთიერთობისთვის გავიცნობ მაღალ, სიმპათიურ და ეშხიან გოგონებს. ვარ 25/180/60. თბილისი. მისტერ შოკი.

43. ვარ 44 წლის, ქუთაისელი, საკუთარი სახლით, დასაქმებული. მყავს დედა და გოგონა. მსურს გავიცნო ოჯახის მოყვარული ქალბატონი.

44. 4 წლის, მომხიბვლელი პეკინესი, ჩაპო ეძებს საცოლეს. გთხოვთ, გამომეხმარეთ მხოლოდ პეკინესის პატრონები.

45. ვარ 32 წლის მამაკაცი, თბილისელი, მანქანიანი, ბინიანი და დასაქმებული. გავიცნობ სერიოზულ გოგონას, 28 წლამდე. მსუქნები ნუ დამირეკავთ. ბოდიშს გიხდით, პუტკუნებო.

46. სიამოვნებით გავიცნობ „გზა“ №13, მე-14 მესიჯის ავტორს, ქერათმიან ქუთაისელს. მარი, მიეცი რა, ჩემი ნომერი, კმაყოფილი დარჩება. დათო.

47. ვარ 37/172/82. ვცხოვრობ დასავლეთში, მქვია ზაზა. გავიცნობდი მაყუთიან, მდიდარ მანდილოსანს. ვარ უცოლო. ვინმე თუ დაინტერესდება, გადაეცით ნომერი. აბა, კარგად, გკოცნით.

48. სამეგობროდ გავიცნობ 20-30 წლის, ლამაზ გოგოს. დარეკეთ 12-დან 2 საათამდე. ტიფლისსკი.

49. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სადა სილამაზის, უბრალო გოგოს, 25 წლამდე. უზრუნველყოფილი ვარ, ყველანაირად.

50. ვარ 25 წლის, თბილისელი, საკმაოდ სიმპათიური და ერთგული, კარგი ხასიათით. მინდა გავიცნო ასევე თბილისელი, ლამაზი, სუსტი აღნაგობის, არადაბალი გოგო. დანარჩენი — პირადად.

51. ვარ 48 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მსურს გავიცნო შესაფერისი საქალბატონე, მარტო მცხოვრები, დაოჯახების მიზნით, კარგად შეცნობის შემდეგ. ვარ ქართველი. ნახვამდის.

მამაკაცი



28. ვარ 34/197/82, დასაოჯახებელი მამაკაცი. ვცხოვრობ მარტო. ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს პატიოსანი, დასაქმებული, 25-35 წლის ქალბატონი.

29. ვარ 40 წლის, სიმპათიური მამაკაცი. სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი. განქორწინებული, მშვიდი ბუნების, რომანტიკული. ვცხოვრობ თბილისში. მინდა მყავდეს ერთგული მეგობარი.



52. დიდი სიამოვნებით გავიცნობ SMS-ით ერთგულ, გულწრფელ და რაც მთავარია, უღალატო მეგობრებს, თუ რა თქმა უნდა, ასეთები კიდევ არსებობენ.



53. ვეძებ ფოთელ გიორგი თოდუას, დაბადებულს 1981 წლის მარტში. ამჟამად არის ინგლისში. თუ ვინმე მისი ახლობელი ნაიკითხავს ამ მესიჯს, გთხოვთ, გამომეხმაუროთ. სოფო.

54. ვარ ჯარისკაცი. ვიმყოფები ცხინვალში. თუ ვინმე იცნობს მარი რატიანს, გამომეხმაურეთ. ცხოვრობს თბილისში, წერეთელზე. აქვს ხვეული თმა, თაფლისფერი თვალები, 169 სმ სიმაღლე.

55. ვეძებ ჩემს კურსელს, ირმა წულაიას, რომელიც ცხოვრობდა ახალსოფელში და ვსწავლობდით ერთად, ჯიხაიშში. თუ ვინმემ იცით მის შესახებ, გთხოვთ, დამიკავშირდით. ინგა.

56. ვეძებ დათო კუტალაძეს. რამდენადაც ვიცი, ცხოვრობს ვარკეთილში და 30-35 წლამდე უნდა იყოს. გთხოვთ, თუ გეცნობათ სახელი და გვარი, გამომეხმაურეთ.



3 წლის წინ დაგიმესიჯეთ ერთადერთხელ და მაშინაც ჩემი სიტყვებით იწყებოდა, „გზავნილები“. იცით, რა თემა იყო მაშინ? „უცხოეთმა რა მიყო“. მაშინ გწერდი, როგორ მივამსგავსე ერთი ალბანელი ჩემს სიყვარულს და კინალამ... ხშირად

ჩამოვდივარ საქართველოში „მწვანე ბარათის“ წყალობით და მაინც სიგიჟემდე მენატრება, ჩემი პატარა საქართველო. ათენის ცენტრში არის წმინდა პანტელეიმონის ეკლესია, სადაც მამა თეიმურაზი ყოველკვირა პარაკლისს ატარებს. გვყავს გოგონების მგალობლების გუნდი. ერთ-ერთი წევრი მეც ვარ. ქართული ცენტრიც გვაქვს, სადაც სხვადასხვა სპეციალობის გარდა ერთმანეთის მოფერებას და გაფრთხილებასაც ვსწავლობთ. მართლა ვსწავლობთ, თავიდან. აი, ამ და ძალიან ბევრ სხვა რამეზე მინდა, გელაპარაკო და თუ დროს გამოიხატავ, დაგირეკავ და წაგეჭორავები. კარგი? ზვიადაური, ათენი.

ამაზონკას გამოცანა გამოვიცანი. პასუხია — ასობგერა „წ“. მე ახალი ვარ. გთხოვ, გთხოვ, მარი, დამიბეჭდე. „გზა“ ძალიან მიყვარს. დატანჯული გოგო.

ყველანი ძან მაგრები ხართ. თქვენს მესიჯებს რომ ვკითხულობ, მაგარს ვხალისობ. ჯიგრები ხართ. ახლა უნდა გავქრე... კიდევ მოვალ... უჩინმაჩინი. :)

მადლობა დაიკო, დაბადების დღის მოლოცვისთვის. ჩვენც ძალიან გვენატრებით. კოცნას უგზავნიან თათო და ლუკა, დეიდაშვილ გიოს.

აჲეე, რა კაკუ მოკლე ჩართვაშიო? ეგ ჩემი ექსნიკია და შეიცვალე, რა, პლიიზ. პატარა მავნე.

უჰ, შენ გენაცვალე, შენ გარდა ვერავინ მცნობს. უჰ, ნავიდეს მერე! ვიყოთ მე და შენ! გატორჩე, დედიტოო. პატარა მავნე.

გაიხარე, 9122, პრიმერაში მაინც გავქაჩავთ. სად დაიკარგე ლევა მადრიდ? ashley-ს და ლუნას მოკითხვა. აბა, კახელებო, არ გინდათ შემოგვიერთდეთ VIP-კლუბში? გაიხარეთ. მის რეალი.

რავა ხართ, სიხარულებო? მაგრად მომენატრეთ. მაზოხისტკა, გმადლობთ. ძლივს არ გავხდი 16 წლის? მჰუა თქვენ, მიყვარხართ. სესი.

ნიკოლ, იმედია, გამოგეხმაურებიან და აგყვებიან. კარდიოლოგო, სად დაიკარგე? აღარ ქმნი კლუბს? ashley, „რეალის“ ფანკლუბზე რას ვშვრებით? შეწირულო, გილოცავ და გაიხარე! 9122.

ლუნა, გაგეცნობი, ნო

პრობლემ! მარი მომცემს შენს ნომერს და უეჭველად დაგიმესიჯებ. კახელო მგელკაცა, შეენ? და რა პონტში ცხოველს ედრები? მგელს? მგელო ვარ მე! თეო-მგელო.

აუ, ზოგი რა ბოლმის ბუკეტი... და საიდან ამდენი ირონია და აგრესია? ვასასი.

ათენში მოვიკითხავ ჩემს ბიძაშვილ თამუნას და მის მეუღლეს, ამირანს. სიხარულებო, ძალიან მენატრებით. ეკა. ჩემი ნიკია ფისო.

დანსერს მინდა ვუთხრა, რომ ეშლება. არც ჩათბოქსზე ვარ და არც ჩემი სურათია დადებული რომელიმე ჩათზე. ყველანი მაგრები ხართ! პაცანა.

ნიკა კუჭავა, ჩემი სიცოცხლე ხარ. შენი ყველა სპექტაკლი ვიცი... რომ გიყურებ, უფრო მეტად მიყვარდები. ახლოდან უფრო საყვარელი ხარ, ლამაზი თვალები და ტკბილი ხმა გაქვს.

არ ვიცოდი, თუ შეწირულს დაბადების დღე ჰქონდა. ამიტომ მოგვიანებით ვულოცავ და ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ, ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, მგზავნილებთან ერთად. გრუზინკა.

დანცე, კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენთან. გაიხარე, ბაო-ბაო. მე ნათათო მქვია. შენ? ჩაგეხუტეთ ყველას, გულში. green girl.

კანიბალკა, პავლიკ, შეწირული, დუჩი, ლეო91, ნელკა, ჩუქჩა, სესი, ბაო, ლორელაი, ჩორი-ჩორი, ვერმახტი, პარიჟანკა, მამაცი თოჯინა, მავსტრო-21, უყვარხართ ნათათუნას. :) green girl.

არგელოდიიი, ქალო, შენი ნომერი ვერ ვიშოვე, ვერანაირად. ეჭვი გამიჩნდა, არსებობ, საერთოდ? ვზუმრობ... ნუ, ჯერ კიდევ ძებნის პროცესში ვარ. როგორ ხარ? ჩორი-ჩორი.

მარიიი, რა კარგი ხარ, იცი? გაიხარე, ჩვენი გახარებისთვის. ჩორი-ჩორი.

უყურე შენ! ახლა თბილისიდან სახლში ანუ ქუთაისში მივდივარ. ჰოდა, რა კაი ბიჭები ყოფილან სურამში! არ ვიცოდი. ვასასი.

წარსულზე ფიქრი მანუხებს, აწმყოში არა ყრია რა, და მომავალზე ფიქრები, არავინ გამიზიარა. p.s. მოვიკითხავ აფხაზეთის პრინცესას, კოხი20-ს, გიო-93-ს და ოლეგარიოს. ნონ სტოპ.

სალამი ბავშვებო,



როგორ ხართ? 9122, ასე ვფიქრობდი, სანამ ტაფა არ მომხვდა თავში. :-) ნიკვინესაც მოვიკითხავ! ვერმასტი.

- ყოველთვის მეგონა, რომ პუჰსიკა უდარდელი გოგო იყო. არ მეგონა, თუ ასეთი ტკივილიანი წარსული ჰქონდა. გული არ უნდა გაიტეხო, პუჰსიკა, შენ ძლიერი ხარ. გრუზინკა.

- თქვენი გულისთვის 1 ლარი დავხარჯე, რადგან ორი მესიჯი გამოვუშვი, მაგრამ რად გინდა? ახლა ვნახე ჟურლი „გზა“ და ჩემი მესიჯი ვერ ვნახე. რად აკეთებთ ისე, რომ მერე ადამიანებმა გლანძლონ?

- აბსურდა, ქალუკ, ბო-დიში მიღებულა. :) ნიკოლ, არც ისეთი საყვარელი ვარ! :-) 9112, მანიუ მართლაც მაგარია. მარიშული, გაიხარე, კარგო. ბოტოტ, ლიმონა-დვა ხარ, სიხ? :-) ლიმონა.

- 9122, არა უშავს. ჩემთვის „რეალი“ მაინც პირველია. იმ მესიჯის ავტორს კი ვინც სულელები გვინოდა, ვეტყვი, რომ თუ აქ სულელები ვართ, ნულარ დაამესიჯებს. ashley pcd.

- nicole მართალია. ყველა დაბრუნდით, რა! ვაა, jonny depp, დიდება შენს გამოჩენას! ფინტიკოზა, მაგარი ნიკი გაქვს! ბოტოტა17, გლავნი, ახლა აქ ხარ. :) მპუა, ყველას. ashley pcd.

- სანი პლანტი, დანცერ, ირმა91, კეთილი იყოს სიხარულებო, თქვენი მობრძანება „გზის“ დიდ და მეგობრულ ოჯახში. მაზოხისტკა და jonny depp, გაიხარეთ და იბედნიერთ. ashley pcd.

- „გზაელებო“, როგორ ხართ? მე ახალი ვარ. ashley pcd-ის დაქალი, მილი. ყველა საყვარლები ხართ. ყველას დიდი სიამოვნებით გაგიცნობთ და მოვიკითხავ ჩემს დაქალ ashley-ს. მილი.

- ზდაროვა, როგორ ხართ? აუ, ჰო, მართლა, ბაობაოს ვეთანხმები. მეც მაგრად მაინტერესებს თქვენი სახელები. ნუგო. ლიფსო.

- გზაელებო, არ გინდათ, ჩვენი ნამდვილი სახელები და ასაკი დავამესიჯოთ?

- ზურა, მენატრები. ლოდინად გადავიქეცი. დამირეკე, რა. შენი თამო.

- ბაო-ბაო, აუ, მართლა, გეთანხმები. ნიკთან ერთად სა-

ხელიც მიანერეთ, რა. აუ, პონტია, ბევრს ერთნაირი სახელი გვაქვს. ნუგო. ლიფსო.

- გერასიმეს დამაკავშირე, მარი, გთხოვ! თუ არა და გერასიმე, ჩემო კარგო, მოდი ერთ კვირადღეს ახარნონზე, ეკლესიაში, მგალობელ გოგონებთან და შევექმნათ ქართულ-ბერძნული, ემიგრანტული დაჯგუფება. ზვიადაური, ათენი.

- აი, მეც მოვედიი! ჩემს შეყვარებულს გაუმხილე, უკარება რატომ მქვია. იდიოტი ყოფილა. დავცილდი, რადგან ვერ მიგებდა. ლევან ცერცვაძე, უაზრო ადამიანი ხარ. ეგრე, რა! უკარება, ათენი.

- ერთი კურიოზი დაემართა ჩემს ნაცნობ ქალს. ბერძნულად „კოლა“ ნებოა, ხოლო „კოლო“ — საჯდომი. ჰოდა, ერთხელ ამ ქალს ნებო უნდოდა. ჯიხურთან ამაყად მივიდა და გამყიდველ კაცს კოლო მოსთხოვა. თანაც შეკვეთას ხელგანვდილი ელოდა... მარინა დეიდა, არ გამიჯავრდე, სულ ამათი ბრალია, შენ რომ „კოლო“ გინდოდა... გკოცნით, თქვენი უკარება.

- პატივცემულო აბონენტო, დღეს ძალიან კარგი დღეა. რა მშვენიერია სიცოცხლე! თქვენს ანგარიშზე გადმოვრიცხე ბედნიერება.

- მე ახლა ათენში, ბეზიას სახლში ვცხოვრობ. ბებო ალცჰაიმერიტაა დაავადებული. ხან მეჩხუბება, ხან — მეფერება, მაგრამ უჩემოდ არ შეუძლია. მე ერთადერთი ადამიანი ვარ, ვისაც ცნობს. კვირაობით დასვენება არ მაქვს და ომონიაზეც ვერ გავდივარ, რომ ჟურნალი „გზა“ ვიყიდო. სხვას ვავალებ, რომ „გზა“ მიყიდოს. იმ სხვას სახლში მიაქვს, წაიკითხავს და მეორე კვირას თუ მომიტანა, ხომ კარგი, თუ არა და მესამე კვირას მაინც მომიტანს. მეც მადლობელი ვარ, დავუძგერები ჩემი სამშობლოს ამბებს და თქვენს „გზაელებს“ და ისე ვხარხარებ, ყველაფერი მავინწყდება. ბებო მეკითხება — იათი გელას? მაგრამ ვინ აუხსნის, რატომ ვხარხარებ? ამ დროს თქვენც რომ დამინახოთ, ისეთი სასაცილო ვარ, თქვენც ბევრს იხარხარებთ. მადლობა ყველა მგზავენელს.

- მარუკები, სიხარულო, როგორ გამახარე, შენ გაიხარე!

მარ, თბილისში რომ ვიყო, უეჭველი გნახავდი და ძალიან დიდ მადლობას გეტყოდი, ჩემი მესიჯი რომ დაბეჭდე. ახლა ჩემმა „ლოვემ“ მაცნობა. მარი, მაგარი პარფიუმი ხომ გევასება და მინდა გამოგიგზავნო. შენ ამას იმსახურებ, ჯიგრუკუნა ხარ. ნასტასია-27.

- ყველა მგზავენელს ვეტყვი, რომ ძალიან მაგარი ადამიანები ხართ, რადგან სამსახურში თქვენით ვხალისობ. აბლახანუმის მესიჯზე გავიგუდე. ბევრს გკოცნით და მთელ საქართველოს მოვიკითხავ. განსაკუთრებით — თბილისს და თბილისელებს. ნასტასია-27.

- გამარჯობა, მარი. პირველად ვამესიჯებ თქვენთან და მინდა გითხრა, რომ ყველანი ძალიან მიყვარხართ. მოუთმენლად ველი „გზის“ ახალ ნომერს. „აქ საქართველო ჩვენც გვაქვს, პატარა“.


- ამ მესიჯს ბებია ქალი გწერ, რომელმაც ამდენი წლის მერეც ვერ შეძლო პირველი სიყვარულის დავინწყება. დღეს მე ათენში შევხვდი ჩემს ნაცნობს და გამიახლდა ძველი იარა. წლები გამიფრინდა, მხოლოდ — უშენოდ.

- ემიგრანტებო, გავიცნოთ ერთმანეთი. ბოტოტა17, სად გავიცნოთ ერთმანეთი? გუ-ათენი.

- მარი, ჯიგარი ხარ, ერთი მესიჯი მაინც რომ აღირსე „გზას“. ათენში მცხოვრებო მგზავენელებო, არ გინდათ, ერთად გავაბრაზოთ ბერძენი გოგონები? კობრა.

- ახლა მოვედი სახლში და ერთი სული მქონდა, როდის აღმოვაჩენდი ჩემს მესიჯებს „გზაში“. აბა, ქუჩაში ხომ არ დავინწყებდი კითხვას? ხელად მოვარდებოდნენ ამათი პოლიციელები. გაქვს საბუთები? გაგიშვებენ. არ გაქვს? ციხე, ჩემო ბატონო! მოვედი და ვნახე ჩემი მესიჯები. გამიხარდა ძაან. გუ-ათენი.

- მარი, როგორ ხარ? აუ, არ ვიცი, დაბეჭდავ თუ არა, მაგრამ მინდა, ყველა დიდი სიყვარულით მოვიკითხო: ილინი, პავლიკა, პარიჟანკა, კამელია, კახელი მგელკაცა, კანიბალკა, ლიმონა და ყველა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. გაკოცეთ ბევრი! მაგარი საყვარლები ხართ. სოფი17.



• გამარჯვებაში მინდა ვუთხრა მე-7 და მე-8 კორპუსელებს: მიყვარხართ და ძალიან მენატრებით მეგრელო ათენიდან.

• ფიფქიავ, სანამ ცოლად არ მოგიყვან, არ იცი და ვერც გაიგებ, თუ როგორ მიყვარხარ. მინდა, ჯერჯერობით ინკოგნიტოდ დავრჩე. ეკუშკა ქავზინაძეს, ათენიდან.

• გამარჯვებაში, ჩემს უსაყვარლეს მეგობრებს, ცირიკოს, მაყვლიკოს, ხათოს, ასმათოს მინდა ვუთხრა: ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. მეგრელო ლალი, ათენიდან.

• გიო, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები. გკოცნი. მარი. ათენი.

• მთავრობამ საქართველოში ისეთი პირობები შეგვიქმნა, მოსიყვარულე ადამიანების ნაწილი ემიგრანტებად გვაქცია. მამაკაცების უმეტესობა კი კედლებში მოაქცია. კედლებს შორის მყოფთ ჯოჯოხეთად უქცია ყოველივე. აკრძალა მობილურები, აკრძალა ციხეში იმის შეგზავნა, რაც „ლარიოკებში“ იყიდება, აკრძალა ბარათები და ა.შ. ესეც დიდი მაფიაა. მე კი პირველ რიგში „გზას“ მაძღობას ვუხდის, რომ შეგვიქმნა ისეთი პირობები, დაგვაახლოვოს ჩვენს სანატრულ ადამიანებთან. „გზა“ უპრობლემოდ შედის ქსნის კოლონიაში და მისი საშუალებით მინდა, იაგო თედიაშვილს უძლიერეს სიყვარულში გამოვუტყდე. ჩემო სიხარულს, ძალიან მიყვარხარ. ნუ გელიმება, შენზე მათოდებს, შენი ფანი ვარ. არ მკითხო სახელი. შენზე გიჟი ვარ, შენით ვარსებობ. ეს ოცნებები მე მაძღვებინებს. აუ, შენთან მინდა, შენს ლამაზ ტუჩებს მინდა, შევეხო. აუ, დავეცი. ცოლი გყავს? აი, დარდი, თუ არცა გყავს! უკაცრავად, რა ვქნა, მიყვარხარ. რობერტას არ მოჰბეზრდა, შენი მანდ ყოფნა? გახსნას კარი... სიკვდილამდე მეყვარები, შენს თავს ვფიცავ. ირინა.

• ნუ მომატყუებ, რომ სინანული ყველა სევდას და დარდებს გაფანტავს, დღეს შენი დღეა, მაგრამ დრო მოვა და უჩემობა სულში გაატანს, ჯერ უდარდელი დღეები გიდგას და გატაცების ცეცხლით ენთები, ახლა არ გჯერა, მაგრამ დრო მოვა და მტკივნეული დარდი ვიქნები. მე ვარ, ვინც ნებით ოცნება დათმო და სინანულის მხარეს ეწვია, შენი სახით რომ აჩუქეს ღმერთი და უღმერთობას გადაეჩვია, სუსტი ხელებით ნანვიმარ ცაზე ისე აგ-

ნიე, რომ ვეღარ შეგწვდი, ღმერთად გაქციე და ღმერთი რალას გამიხსენებდი, ვინ ვიყავ შენთვის. ჯერ უდარდელი დღეები გიდგას და სხვის ალერსში არ გახსენდები, მაგრამ მერწმუნე, ის დროც დადგება, რომ სიგიჟემდე მოგენატრები. ქრისტო, მიყვარხარ და ჩემი სიცოცხლე ხარ. ათენი-23.

• ჩემს სანატრულ მეუღლეს: შენი სიყვარული გადამარჩენს, შენი სიყვარული მომცემს მე ძალას, შენი სიყვარული დარდსაც გადამაჩვენებს და ყოველ დილით ღმერთს ვეტყვი მაძღობას. შენი იმედი მე გმირად მაქცევს, შენი იმედი მექნება მარად, შენი იმედი სიცოცხლეს მმატებს, უკვდავი გავხდები, სამყაროს დარად. შენი სიცოცხლით გავიხარე, შენი სიცოცხლით მოვიკრებ ძალას, შენი სიცოცხლით ოცნებებს მივსებ და ათენს გადავდგამ, ბარად. შენი სიამაყით ვიამაყებ, ბედნიერი ვიქნები მარად. შენი სიყვარულით ვიფრენ ცაში და ვარსკვლავებს მოვწყვეტ, ლალად. აი, ასე მიყვარხარ. იიარგიონა.

• შოთიკოზე მეტად არავინ მეყვარება. უსაშველოდ მიყვარს. ჩემი სუნთქვაა, გულის ფეთქვაა. არ მიმატოვო, ჩემო სიყვარულის გამობრწყინებავ. ნუ მტანჯავ. დატანჯული გოგო.

• ჰერმენი გოროზია, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. უზომოდ მენატრები. იმედი, მალე გნახავ. მაკა ჯავახია. გთხოვთ, დამიბეჭდოთ. გმადლობთ ნინასწარ.

• ძალიან მენატრები, ჩემო ძამიკო. მიყვარხარ და მინდა, ახლა აქ იყო, მაგრამ ახლა შენ ერაყში ხარ. ბაკური როჟიკაშვილს, ნინო როჟიკაშვილისგან. გკოცნი.

• ვასკა, შენ ჩემი ცხოვრების აზრი ხარ... არ დაიჯერო, რომ სიშორე შენს თავს მავინყებს და დაიჯერე, მე უშენოდ არ შემიძლია... მიყვარხარ, ჩემო ოცნებავ. მარიკუნა.

• ლევან მანიაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს. სულ შენთან ვარ, არ ინერვიულო, კარგი? მიყვარხარ და მეყვარები, სულ. შენი სიყვარული, ეკა.

• იკ, მიყვარხარ. შენ გვერდით ვიქნები, რაც უნდა მოხდეს. ჩვენს პატარასაც უყვარხარ, დედიკოს მუცელში. მიყვარხარ, ცხოვრება ხარ, ჩემი. შენი ფაცი.



• აპრილში დაბადებულებს, თამრიკო ბეჟაურს, ნათელა ჭინჭარაულს და მზია მკერვალიძეს — მრავალს დაესწარით,

შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. გისურვებთ ყველაფერს კარგს და ლამაზს. მალე შევხვედრილიყავით, ბედნიერ და ლალ საქართველოში. მიყვარხართ ძალიან. თქვენთვის სიკეთის მსურველი მანანა და შალვა ქავთარაძეები, ათენიდან.

• ჩვენს საყვარელ შვილებს, ნატო და ნინო ქავთარაძეებს, სიძეს, ლერი მუშკუდიანს ვულოცავთ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. მრავალს დაესწარით. სულ ჯანმრთელები და ბედნიერები იყავით, ჩემო შვილებო. როგორ გვენატრებით, ჩვენო შვილებო. თქვენი მონატრებული მშობლები, შალვა და მანანა ქავთარაძეები, ათენიდან.

• ათენში, თამუნა და ამირან ჩაფიძეებს ვულოცავთ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. დაესწარით მრავალს, თქვენს შვილებთან, რუსუდნთან და ნინიკოსთან ერთად. მიყვარხართ ძალიან. ათენი, მანანა და შალვა ქავთარაძეები.

• ლია და გაია ჯიმშიტაშვილებს ვულოცავთ დაბადების დღეს. უსაზღვრო სიხარულს, ჯანმრთელობას და ლამაზ, აყვავებულ საქართველოში ცხოვრებას გისურვებთ. გფარავდეთ ქალწული, დედა ყოვლადწმიდა, სვეტიცხოველი და სვეტი ნიკორწმინდა, მთიდან ლომისი და ბოდბის ნინოწმინდა, გფარავდეთ მამა, ძე და სულიწმინდა. მზია, ნანი და ნანა.

• შოთიკო ბიბილევილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, მეუღლესთან და პატარასთან ერთად. მიყვარხარ, ბიძაშვილო. ლონდა.

• ჩემს დედიკოს, ნარგიზა ლორთქიფანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს. მენატრები და მიყვარხარ, ნარგო. გკოცნი, ათენიდან. ეკა.

• მსურს მოგილოცო დღევანდელი დღე და ზედ დავურთო 1000 კოცნა. შენი ცხოვრების მიზანი იყოს სიყვარული და იესოს ლოცვა. ლიკუნა, დაბადების დღეს გილოცავ. შენი ლამაზი ოჯახით მრავალს მოგასწროს ღმერთმა. მიყვარხარ და მენატრები. ლელა და ზაალი, ათენიდან.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს საყვარელ მეგობარს, ქუთაისელ თიკო გაბუნას. გისურვებ ულევ სიხარულს და ულამაზეს სიყვარულს. გფარავდეს ღვთისმშობელი. სალომე.

• ჩემს უსაყვარლეს მამიკოს, ოთარ ცირდავას ვულოცავ დაბადების დღეს, 7 აპრილს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხა-

# ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მე-სიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

რულს და ბედნიერებას, შენს ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. შენი შვილი, ლალი, ათენიდან.

- რამდენიმე წუთში შენი დაბადების დღის 24 წელს ჩამოჰკრავს საათი. რატომ გამახსენდი დღეს? დღეს, როცა ჩემი ახალი სიყვარული ნამებს ითვლის და გული უკვე სხვისთვის ძგერს? ალბათ იმიტომ, რომ შენი დაბადების დღის წუთები ახლოვდება. ერთ დროს მახარებდა შენი არსებობა და უსაზღვრო სამყაროს უმშვენიერესი ნაწილი იყავი, ჩემი გულის კუნჭულში. უბრალოდ, ვერ შემიყვარე... იქნებ, ვერ მოასწარი? შენ ხომ გაქცევა ამჯობინე? ღმერთმა იცის, როგორ ხარ. რატომ, რატომ არ ცხრება გული? ალბათ სინანულად ყოველთვის მემახსოვრები. წლებმა მაინც შემოგიტოვა, ჩემი გულისა და გონების, ნანგრევებად ქცეულ, პატარა კნჭად. მძულდა საკუთარი თავი ამ სიყვარულისთვის, მაგრამ რა დააშავე? რა დროც უნდა გავიდეს, ვისაც ვინ არ უნდა შეუყვარდეს, ყოველთვის ეცდება, მაგრამ ვერ დაივიწყებს პირველ სიყვარულს, როგორი ბედნიერი თუ უბედურიც უნდა ყოფილიყო იგი... ცხოვრება გრძელდება. ეკალა ტირიფი.

- 6 აპრილს, ჩემს საყვარელ დედიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და სიხარულს, ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. დე, ძალიან მენატრები და სიგიჟედ მიყვარხარ. ძალიან მინდა შენ გვერდით ყოფნა და მინდა, გულში ჩაგიხუტო. ძალიან მაკლიხარ. გოცნი უამრავს. ვერიკო, სალონიკიდან.

- ათენიდან ჩვენს მონატრებულ მაგულის დაბადების დღეს ვულოცავთ. ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას ვუსურვებთ. გოცნით ყველა, შორიდან. ღმერთი შეგენიოს.

- ჩემს საყვარელ დედიკოს, ზეინაბ ცაგარეიშვილს, მინდა მივულოცო დაბადების დღე და ვუსურვო სიცოცხლე. მინდა რომ ვუთხრა: შენ რომ კარგად ხარ, დედა, მაშინ ვცოცხლობ. ნათია, ათენიდან.

- მარიამ ჭინჭარაულს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 აპრილს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას, შენს ოჯახთან ერთად. დიდი სიყვარულით, მეგრელო, ათენიდან.

- გამარჯვებაში, ჩემს საყვარელ დაქალს, ხათო კობაურს

მინდა მივულოცო დაბადების დღე, 18 აპრილი. დიდი სიყვარულით, მეგრელო ლალი, ათენიდან.

- ჩემს ძამიკოს, ავთელიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ. მარი

- ვულოცავ ქალბატონ მარინა მამაგეიშვილს დაბადების დღეს, 27 მარტს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ღმერთი ყოფილიყოს თქვენი მფარველი. ამინ! მარიკასაგან.

- დაბადების დღეს ვულოცავ მე-17 საჯარო სკოლის პედაგოგს, მე 11 კლასის დამრიგებელს, მარინა მამაგეიშვილს. ვუსურვებ მუდამ კარგად ყოფილიყოს.

- შაკა ქიტაშვილს ვულოცავ 53 წლის იუბილეს და ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს, პირველ რიგში — გაძლებას, თავის „ასობი“, მგელკაცა ძმისშვილის ხელში. გრუზინკა.

- ოთარ ქიტაშვილს, შაკას ვულოცავთ დაბადების დღეს. შაკა ძია, მრავალს დაესწარი, ჯანმრთელი და ბედნიერი. ღმერთი გფარავდეს. შენი ძმები: მიშა ქიტაშვილი და ზურა ქიტაშვილი.

- უკრაინაში, ჩემს სიცოცხლეს, დათოს (ბაჯბაჯას) 2 აპრილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერ მომავალს. გფარავდეს ღმერთი. დიდი სიყვარულითა და მონატრებით, შორენა.

- ქსნის კოლონიაში, იმედა მინდიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ჩემო კარგო. სიხარულს და ბედნიერებას გისურვებ, შენს საყვარელ თემუკასთან ერთად. თამო, თამთა, თოკე.


- 3 აპრილს მაიკო ხაჩიძეს დაბადების დღე აქვს. მინდა, მივულოცო. თეა ბაძალუას უყვარხარ, ძლოკვო.

- დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ მეგობარს, მარიკას. ვუსურვებ ბედნიერებას, სიყვარულს, სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს. შენი მეგობარი, ანი.

- მინდა, დაბადების დღე, 3 აპრილი მივულოცო ჩემს შვილს, გვანცას. გილოცავ, სიხარულო. დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. არ მოგშლოდეს მომავლის იმედი.

- გიგა კიკვაძეს 6 აპრილს 4 წლის შესრულებას ვულოცავთ, დედმამიშვილები. ვუსურვებთ უღვე სიხარულს და უსაზღვრო სიყვარულს, დედიკოს გულის გასახარებლად.

# ტელევიზიები




## მამუშაია

ამა თუ იმ განზრახვის სისრულეში მოყვანისას დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გმართებს. პარტნიორებთან დაკავშირებით თავს ნუ მოიტყუებ და ნურც საკუთარ თავზე გექნება დიდი წარმოდგენა. ორიგინალური იდეები გაგიჩნდება, მაგრამ მათ განხორციელებას ვერ შეძლებ.


## სამუშაია


ამ დღეს სიმშვიდის მოთხოვნისგან განსაკუთრებულად გაგიმძაფრდება. გამორჩეულად განონანსნორებული და გულთბილი იქნები. ერიდე მარტოობას. რომანტიკული გრძნობებით გამსჭვალულ ადამიანთან შესაძლოა, ახალი ურთიერთობა გააბა.



## მამუშაია

პირად ცხოვრებაში საკუთარი ყოვლისშემძლეობისა და გარშემო მყოფთა დახმარების იმედი ნუ გექნება. ამ დღეს შექმნილი ვითარება შენს რეპუტაციას საფრთხეს შეუქმნის. სამსახურში კი თუ ინიციატივას გამოიჩენ, წინსვლა გარანტირებული გექნება.





## ხეივანი

გარშემო მყოფების გაცეზას ნამდვილად შეძლებ. ამ დღეს შესაძლოა, ახალი ადამიანები გაიცნო, რომლებიც მომავალში შენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. კომერციულ საქმიანობასა და საყოფაცხოვრებო სფეროში წარმატება გელის.


## წამასხევი

შენ მიერ მოულოდნელად მოპოვებული ინფორმაცია და გარშემო მყოფებთან დაძაბული ურთიერთობა საქმის შესრულებაში ხელს შეგიშლის. ენერგეტიკული პოტენციალის დაქვეითება შენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. ამიტომ, უმჯობესი იქნება, მთელ დღეს მეგობრების წრეში თუ გაატარებ.




## ქაშაი

ამ დღეს გონების კონცენტრაცია მთავარ საკითხზე მოახდინე, რათა მეორეხარისხოვანი პრობლემების მოგვარებისას, მთავარი პრობლემა ყურადღების მიღმა არ დაგრჩეს. იყავი დიპლომატიური და მიმტევებელი. ყურადღება გაამახვილე ნებისმიერ ახალ ინფორმაციაზე. განსაკუთრებით იმ სიახლეზე, რაც სამსახურს შეეხება.



## ყვირს

დღის პირველ ნახევარში იყავი აქტიური; დღის მეორე ნახევარში კი მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინე, რადგან შესაძლოა, ამ დროს შენ წინააღმდეგ ინტრიგები და პროვოკაციები დაგეგმონ. საღამოს განმარტოების სურვილი გაგიჩნდება და ეს დრო სამომავლო გეგმებზე საფიქრელად გამოიყენე.



# ჩიბირე მარცხიდან სიბინდის ბურბუშელას სიბინდის ბურბუშელას სიბინდის ბურბუშელას

სიბინდის ბურბუშელას წარმოშობის ამბავი სათავეს XIX საუკუნეში იღებს. მომარბულე ადამიანების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ისეთი საჭმელი გამოეგონებინა, რომელიც მათ შეხლულ რაციონს ნაწილობრივ მაინც გაამდიდრებდა. ჯგუფის წევრები ექსპერიმენტებს ხორბალზე, ბრინჯზე, ჭვავსა და სიბინდზე ატარებდნენ, მაგრამ უშედეგოდ.



სიბინდის ბურბუშელას დამზადების იდეა სრულიად შემთხვევით წარმოიშვა. ამერიკაში, მიჩიგანის შტატში, სანატორიუმ „ბატლ-კრიკის“ მფლობელი ძმები, ბილი და კიტ კელოგები სიბინდის ფეკილისგან შექმანდნენ აშაბდებდნენ, როდესაც სასწრაფო საქმეზე უხმეს. მათ დიდი ხნით მოუწიათ სანატორიუმიდან წასვლამ. დაბრუნებულ შემთხვევა აღმოაჩინეს, რომ მკაცრ კონტროლზე აყვანილი სიბინდის ფეკილი გაფუჭებულიყო. იმისათვის, რომ ფეკილი არ გადაეყარათ და ზარალი არ ენახათ, მისი გადამუშავება გადაწყვიტეს. ფეკილისგან ცომი მოზილეს, გააბრტყე-

ლეს, მოგრძო ნაჭრებად დაჭრეს და გამოაცხვეს. მალალ ტემპერატურაზე ის ბურბუშელად გადაიქცა. ახალი საჭმელი პანსიონის სტუმრებს შესთავაზეს და ქებაც დაიმსახურეს. რძესთან ერთად მირთმეული სიბინდის ბურბუშელა სანატორიუმის სტუმრებს შორის საკმაოდ პოპულარული გახდა. ერთ-ერთმა ძმამ მისი წარმოება გადაწყვიტა და ცალკე კომპანია — „კელოგი“ დააარსა. მან სიბინდის ფეკილს შაქარი დაამატა, რის შედეგადაც მიღებული საკვები უფრო გემრიელი და მიმზიდველი გახდა. ამის წყალობით კი პროდუქტზე მოთხოვნა საგრძობლად გაიზარდა. ●



სიბინდის ბურბუშელა



საბერძნეთის ჩემპიონი ძიუდოში, თედორე მასმანადის ქართველია და სპორტსმენთა იმ რიგს მიეკუთვნება, რომელმაც სხვადასხვა მიზეზის გამო, საკუთარი შესაძლებლობისა და ნიჭის წარმოჩენა სამშობლოში ვერ შეძლო, უცხოეთში კი წარმატებებს მიაღწია. მასმანადის ნამდვილი სახელი და გვარი **თედორე აბელიაშვილი**ა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი წელია, ათენში ცხოვრობს, მშობლიური ქალაქისაკენ შორს ყოფნას ისევ ძველ ბურთად განიცდის და მონატრებით გამოიწვეულ სევდას ქართული ფილმების ყურებით იქარვება.

**ხათუნა ბახტურიძე**

— თედორე, საბერძნეთში როგორ აღმოჩნდი?

— ბერძენმა თავად შემომთავაზეს, გვარი შემიცვალა და შევიბრუნებე მათი ქვეყნის სახელით გამოესულიყავი. თავდაპირველად, უარი ვთქვი (არც მამაჩემს მოეწონა ეს იდეა), მაგრამ მოგვიანებით, მათი წინადადება მივიღე, საბერძნეთში წავდი და გვარიც შევიცვალე.

— ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

— იმიტომ, რომ აქ ძალიან დიდი კონკურენციაა. შევიბრუნებში მხოლოდ „პირველი ნომრები“ გადიან, „მეორე“ და „მესამე ნომრებს“ ტურნირზე ჭიდაობის შანსიც კი არ აქვთ, ჩემპიონატზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამიტომაც გადავწყვიტე, ბედი საბერძნეთში მეცადა. ჩემთვის ფული არც ისე მნიშვნელოვანია, ყველაზე მეტად ჭიდაობა და შედეგის ჩვენება მინდოდა.

— ქართული გვარის დაბრუნება კვლავ შეგიძლიათ?

— შემიძლია, მაგრამ ალბათ, ამას გარკვეული დრო დასჭირდება.

— საბოლოოდ, საბერძნეთში დამკვიდრდებით თუ სამშობლოში დაბრუნდებით?

— არა მგონია, საბერძნეთში დარჩენა შევძლო. მიჭირს იქ ცხოვრება. შეიძლება ითქვას, რომ უცხო ქვეყანაში ვერ ვძლებ, ჩემი სული და გული აქ დავტოვე. ქართველებთან ერთად მინდა ცხოვრება. საქართველოში ყოველდღე ვრეკავ და ოჯახის წევრებს საათობით ვლაპარაკობ. თავს იმით ვიშვილებ, რომ სამშობლოდან დროებით ვარ წასული და ადრე თუ გვიან, ისევ დავბრუნდები... სხვათა შორის, იქ სერიოზული პერსპექტივები მაქვს, ვარჯიშში მიღ-

# წაგაგაგაჟი სოკოსეჟი, ჯოჟი სოკოსეჟი „ჟოკოჟი“

## „ამას ძალიან გაცივდი, შინაგანად რაღაც უცნაური გაცივდილია გეჟი“

წეული შედეგის მიხედვით, სახელწიფო სამსახურში დასაქმებასაც მიბრუნდებიან. ასე რომ, ბოლომდე ვერც იქაურობას მივტოვებ. საკუთარი შრომით მიღწეულს ხელს ხომ ვერ ვკრავ?

— რას განიცდით, როდესაც უცხო ქვეყნის სახელით იბრძვით?

— დამიჯერეთ, ეს საკმაოდ რთულია. თავიდან, საბერძნეთის სახელით შევიბრუნებზე გასვლა ძალიან მიჭირდა, მაგრამ ამას ნელ-ნელა ვეგუებ.

— როდესაც საქართველოსა და საბერძნეთის წარმომადგენლები იბრძვიან, თქვენ ვის გულშემატკივრობთ?

— მას, ვინც ჩემი მეგობარია. ქართველები ხშირად გამოდიან საბერძნეთის სახელით... ერთხელ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისას სწორედ ქართველ ძიუდოსტთან დავმარცხდი (ის ბიჭი — გვარად მხალაძე, ძალიან კარგი მოჭიდავეა), მაგრამ ვეროპის ჩემპიონატში მოუფე. სიმართლე გითხრათ, ძალიან განვიცდი, შინაგანად რაღაც უცნაური განწყობილება მეუფლება, როცა ქართველთან მიწვევს შერკინება.

— იმისათვის, რომ საბერძნეთში წარმატებას მიაღწიოთ, გვარის შეცვლა აუცილებელია?

— საბერძნეთში წარმატებას რომ მიაღწიო, ამისთვის ამ ქვეყნის მოქალაქე უნდა იყო და ბერძნული გვარი გქონდეს.

— როგორც ჩანს, საბერძნეთში ქართველ სპორტსმენებზე დიდი მოთხოვნაა.

— სიმართლე გითხრათ, ბერძენებს სხვა ერის წარმომადგენლები დიდად არ უყვართ, მაგრამ ჩვენ, როგორც წარმატებულ სპორტსმენებს, დიდ პატივს გვცემენ.

— ბერძნული ენა თუ იცით?

— კარგად არა, მაგრამ შემიძლია, საკუთარი აზრი გამოვხატო და სხვისი ნათქვამის შინაარსი გავიგო.

— ყველაზე მეტად უცხო ქვეყანაში რასთან გაგიჭირდათ შეგუება?

— ყველაფერთან. განსაკუთრებით, ბერძენ ხალხთან ურთიერთობა გამიჭირდა. ძალიან ცივები არიან. ჩვენსავით არც მეგობრობა იციან, არც ნათესაობა და არც — სიყვარული. როდესაც იქ ვარ, ყველაფერი ქართული მენატრება. ოჯახისა და მეგობრების გარეშე, უცხო ქვეყანაში ცხოვრება ძალიან რთულია.

— საბერძნეთში მცხოვრებ ქართველებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

— კი, როგორ არა?! მე და ჯარჯი ზვიადური გვერდიგვერდ ვცხოვრობთ. ყველა ცნობილი სპორტსმენი — მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონებიც — ერთ ბაზაზე ვართ. ამ ადამიანებთან ერთად ცხოვრება ჩემთვის დიდი პატივია.

— თქვენი ცხოვრებით ბერძნული პრესა და ტელევიზია თუ ინ-

ტერესდება?

— კი, ჟურნალისტები საკმაოდ ხშირად ინტერესდებიან ჩვენი. ჩემს წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ-ერთი ბერძნული ტელეკომპანიიდან მოვიდნენ და ჯარჯი ზვიადურიზე გადაცემა გააკეთეს. პატარა-პატარა ინტერვიუები სხვა სპორტსმენებსაც ჩამოგვართვეს.

— ქართველი მოჭიდავეები ბერძენ გოგონებში პოპულარობით სარგებლობთ?

— (იცინის) გოგონებს მოგწონვართ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ არა, რომ ქართველები ვართ...

— გართობის დრო თუ გრჩება?

— გასართობად თითქმის ვერ ვიცლი. თუ არ ვვარჯიშობ, ვისვენებ.

— სადილებს თავად იზადებთ?

— არა, ვარჯიშის შემდეგ რესტორანში მივდივარ და იქ ვსადილობ.

— ბერძნული კერძები მოგწონთ?

— არა, მე მხოლოდ ქართული კერძები მიყვარს.

— საბერძნეთში ქართული კერძის დაგემოვნება შესაძლებელია?

— შესაძლებელი ნამდვილად არის, მაგრამ მერწყუნეთ, ქართულ მინაზე მოყვანილი პროდუქტით დამზადებულ სადილს მინც სხვა გემო აქვს.

— რამდენი წლის ხართ?

— 23-ის.

— ცოლის მოყვანას არ აპირებთ?

— ვერ ვაპირებ (იცინის). გოგონებთან



ვერც კი ვურთიერთობ.

— ეს რას ნიშნავს?

— სერიოზული ურთიერთობებისთვის ვერ ვიცლი, ზერულად გაცნობილ გოგონასთან კი ოჯახს ვერ შევექმნი. თანაც მინდა, ჩემი მეუღლე ქართველი იყოს. მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთ ვცხოვრობ, საქართველო და ქართველი ხალხი უფრო მეტად შემეყვარდა.





# 100 წლის იუბილავი, ზოქელსას ლემი ალვიძელს და სსრკში მისი მემკვიდრეობა

„ორ ნაღვლიანი ორი მკვიდრი დავმარხა... მაშინ მიმართა ლემსა“

ქართულ პოეზიაში „საპოვნელაო“ მოვიდა და ერთბაშად იზოგა მკითხველის გული. მერე „ჭრიჭინა“ იყო — პოპულარული სპექტაკლი და არანაკლებ პოპულარული ფილმი, შემდეგ „საქართველოს ქალს“ რედაქტორობდა, ლამის სამი ათეული წელი. მკითხველს, მაყურებელს უყვარდა. უამრავ წერილს უგზავნიდნენ, ურეკავდნენ, მიდიოდნენ მასთან რედაქციაში, სახლში და დახმარებას სთხოვდნენ. ისიც ცდილობდა, ყველას სატკივარი გულთან მიეტანა. როგორც მაშინ ამბობდნენ, — რკინის ქალამნებს იცვამდა და ისე ესმარებოდა ქართველ ქალებს. პენსიაზე გვიან გავიდა, მაგრამ კალამი გვერდზე არ გადაუდვია.

## ელენე სლარიძე

ამასობაში, საუკუნეც გალულა! ის მესამე აპრილს აცილებს და სათქმელი კვლავაც ბევრი აქვს.

„ქართული ლექსის ერთი დიდი დედა“, „ქართული პოეზიის დიდი ქალბატონი“ — ახლა ასე წერენ მარიკა ბარათაშვილზე. როცა მის გვერდით ხარ, თითქოს წლები არ გაშინებს. აი, ახლაც, საუბრისას, ისე მხნედ და ენერგიულად გამოიყურება, მისგან ისეთი სითბო მოდის, რომ... ამაში თქვენც დარწმუნდებით, როცა ამ ინტერვიუს წაიკითხავთ.

— ქალბატონო მარიკა, თქვენს ერთ ლექსში ასეთი სტრიქონებია: „ჩემია მხოლოდ დღე დღევანდელი, უნდა მოვასწრო ჩემი გალობა!“ როგორ ფიქრობთ, ამ ასი წლის გადასახედიდან, მოასწართ თქვენი გალობა?

— ვერ მოვასწარი! და ასე მგონია, ადამიანი, მით უფრო — პოეტი, თავის გალობას ბოლომდე ვერასოდეს ასწრებს. მინდა გითხრა, რომ ლამით ლექსი მალვიძებს, სტრიქონები მესიზმრება, სიბნელეში ფანქარს ვპოულობ და სიტყვები რვეულში გადამაქვს ისე, რომ სინათლეს არც კი ვანთებ. ასე წერას უშუქობის წლებში შევეჩვიე...

— „საპოვნელა“ როგორ მოვიდა თქვენთან?

— ომი იყო. საჩხერიდან სოფელ მერეთისაში მივდიოდით, ანტიფაშისტურ კონცერტზე ახალი ლექსები უნდა წამეკითხა. გზაში მცირე ხნით შევიჩერდით. პანანინა, მარჯნისფერმა ყვავილებმა თითქოს მომაჯადოვა. ვიკითხე: რა ჰქვია ამ ლამაზ ყვავილს-მეთქი? — ეს საპოვნელაო, — მითხრეს. პატარა მწყემსებს ხბო ან რაიმე ნივთი თუ დაეკარგებათ, დაიჭერენ საპოვნელას ხელში, დადიან და გაიძახიან: საპოვნელა მაპოვნინეო... იმ დამეს დაინერა ჩემი „საპოვნელა“. მერე, რაკიომის მდივანი მეუბნებოდა, რომ მან დამანერინა ეს ლექსი; ინსტრუქ-

ტორიც ამას ამბობდა; კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი — ჩვენთან რომ მოდიოდით, მაშინ დანერეთო; მძღოლიც იჩემებდა „თანაავტორობას“, — აბა, მე რომ არ წამეყვანეთ, ხომ არ დაინერებოდით?! ლექსი ლამის, მეღანე-უმშრალი იყო, არჩილ კერესელიძის მუსიკამ მთელი საქართველო რომ ამღერა!.. მას აქეთ მოვდივართ ასე, მე და ჩემი „საპოვნელა“.

— 50-იან წლებში გოგონათა საკმაოდ დიდ ნაწილს მარინე ერქვა. ეს ფილმ „ჭრიჭინას“ გმირის, მარინეს დამსახურებაა. რა არის თქვენული, უფრო სწორად, ავტობიოგრაფიული ამ პიესაში?

— ბავშვობაში, ნავარძეთში რომ ჩავიდოდი, ჭიშკართან დიდ თუთის ხეზე ავძვრებოდი და ვმღეროდი. ბებიას მეტყობდა, — შვილი, ყურები მოასვენეო. მერე, როცა არცთუ ისე მიღსინდა, დედა და ბებიას დარდობდნენ: ნეტავ, მაშინ მანც არ დაგვეშალა სიმღერა, თუ ამისთანა ბედი გელოდაო.

— „ჭრიჭინას“ როგორ გაიხსენებთ?

— ეს პიესა პირველად 1950 წელს, მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა. ჭრიჭინას როლი მედია ჯაფარიძეს მისცეს. მე და მედია ვმეგობრობდით. ღამეები არ გვეძინა, როლზე ერთად ვეშუაობდით. ეს როლი მართლა ძალიან უყვარდა. მაყურებელმა შეიყვარა პიესაც და მედიკოც. ფილმშიც ის უნდა გადაეღო, მაგრამ რატომღაც, ასე არ მოხდა. ეს ამბავი ისე ძალიან განიცადა, რომ ვინ იცის, რამდენჯერ მითქვამს, — ნეტავ, ხელი მომტეხოდა და ეს პიესა არ დამენერა-მეთქი. მედია ისე ნერვიულობდა, მეშინოდა, არაფერი მოსვლოდა... რომ იცოდეთ, „ჭრიჭინა“ საბჭოთა კავშირის 170 და უცხოეთის ქვეყნების 22 თეატრში დაიდგა. უამრავ ჭრიჭინას (ამ როლის შემსრულებელს) ვიცნობდი. თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის ყველა მწერდა ან მეუბნებოდა, — ჭრიჭინა ჩემი საყვარელი როლიაო. „ჭრიჭინას“ ჰონ-

ორარებით ვიყიდე სახლი სოხუმში, გელოვანის ქუჩაზე. გორაკზე იყო, იქიდან გადავცქეროდი ზღვას. ერთხანს სოხუმში ვცხოვრობდი. სტუმრები რომ ჩამოდიოდნენ, მათ ჩემს სახლს უჩვენებდნენ: აი, იქ ჭრიჭინა ცხოვრობსო. მერე სოხუმში ვედარ ჩავდიოდი, ის სახლი გავყიდე და ნავარძეთში ახალი სახლი ავაშენე, სადაც ახლაც ჩავდივარ, ყოველ ზაფხულს. რამდენჯერ მითქვამს, ნავარძეთი მაცოცხლებს-მეთქი.

— ლექსის წერა ადრე დაგინათ...

— შიო მღვიმელი სმირად ჩამოდიოდა ჩვენთან, ჭიათურაში (დედაჩემის დედის ძმა იყო). მის ოთახში არ მიშვებდნენ — ხელი არ შეუშალო, ლექსებს წერსო. ერთხელ, კარის ჭუჭრუტანიდან მანც შევიჭვრიტე და დავინახე, რომ ისევე იჯდა მაგიდასთან და წერდა ლექსებს, როგორც მამაჩემი (გიმნაზიაში ასწავლიდა), რვეულების სწორების დროს. უეცრად, შიო პაპამ კარი გამოაღო, დამინახა და ლექსიც დამიწერა. იმ ლექსში ასეთი სტრიქონებიც ერია: „ჩემს პატარა ნინკნატელას/ რომ უცინის ტკბილად ყველას/ ცუგრუმელას, ცისარტყელას/ ბარათაშვილ მარიკელას“... მაშინ გადავწყვიტე, შიო პაპის მსგავსად, ლექსები მეც მწერო...

— „ვზიდავ აუნონავ ტკვილსა და ძიმწარს...“ — ასე იწყებთ ერთ-ერთ ბოლო ლექსს და იმ ლექსებზე დარდობთ, რომელთაც მიგატოვებს...

— რატომ მიმატოვებს, იცით? — ორ წელიწადში ორი შვილი დავმარხე. ნაწილი მარტო შვილი კი არა, ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. ძალიან უნდოდა, ჩემი გვარი ეტარებინა. ის ცნობილი ჟურნალისტი იყო. ჩემი ვაჟი, მერაბ ყურაშვილი კი პოლიტიკნიკური ინსტიტუტის პროფესორი გახლდათ. ორივე მანებივრებდა... ამქვეყნად ყველაზე მეტად ის მიკვირს, მათ გარემო რა მაცოცხლებს?! ჰო, როგორც გითხარით, მაშინ მიმატოვა ლექსმა. მერე, ისევე დამიბრუნდა...

— რას გაიხსენებდით იმ წლებიდან,



როცა ჟურნალ „საქართველოს ქალს“ რედაქტორობდი?

— ჩემი „საქართველოს ქალი“... იქიდან მოყოლებული, რაც ულამაზესი ჩადრაფარებული გოგონა ვნახე, ჭრილობასავით დამყვებოდა აჭარელი ქალის სიბრაღული. შვებულებას თითქმის სულ ქობულეთში ვატარებდი, მივლინებითაც ხშირად მივდიოდი აჭარაში. იქაური ქალები დავიმეგობრე. რა აღარ გავაკეთე, ჩადრი რომ მოეხადათ... მიხარია, ცოტათი მაინც რომ ვეხმარებოდი მათ...

— ახალ თაობას თუ უწუნებთ რამეს?

— არა, შვილო! ნიჭიერი თაობა მოდის! თუმცა... ჩემი მეუღლე მეტყოდა ხოლმე, — იცი, მარიკა, კაცს ისეთი ქალი უნდა აინტერესებდეს, კაბა ბოლომდე რომ აქვს შეკრული და ფიქრობდეს: ნეტა, საკინძს რომ გადავუხსნი, როგორი გულმკერდი ექნებაო?... ახლა აღარ სჭირდებათ, დედა, აღარც ზემოთ გადახსნა საკინძის და აღარც — ქვემოთ. ასე მართლა არ შეიძლება. ასე არა მხოლოდ გემოვნება, არამედ ზნეობაც გვიფუჭდება. ცოლქმრობის დროსაც, ქალში რაღაც უნდა რჩებოდეს ამოსაცნობი.

— როგორ უყურებს დღევანდელ ქართულ მწერლობას პოეტი და დრამატურგი მარიკა ბარათაშვილი?

— რომ გითხრათ, თანამედროვე მწერლობით აღტაცებული ვარ-მეთქი, მართალი არ იქნება. დიდი პოეტები და პროზაიკოსები თითქმის აღარ არიან. ბოლო წლებში იმდენმა ქარიშხალმა გადაიარა ჩვენს თავზე... ჩვენი ანა კა-

სამოყვარე  
იქცევიან თუ სხვის მხარეს გაიქცევი,  
უპირველად მიპირველს მიმირ-ველად!  
მანქანის მარჯვნივ უფრო ყავს ცილა,  
ივრეთში ეახსიან „სამოყვარეს“.  
უცხველ ქ მიუზღია იმისათვის,  
თორემ ყველა სასოება ანდობს იმდენ  
შეა! დაუბნე! თუ დანაწილს-ნაშე წიფოქს,  
სურვილმა: „სამოყვარე, სამოყვარე!“  
მეც სოფოდა მიუბნე იგი შეუბნე,  
დემ გულშიაქ მოყვინე შეყვინი ბინა,  
ვერსულ! სხე სოყვს აღარ ვუბნე,  
ნაჭარ წემო, უნრ ველი მიპირნა.



დიდი პოეტები და პროზაიკოსები თითქმის აღარ არიან

ლანდაძის ამ ქვეყნიდან წასვლაშაც როგორ დამწყვიტა გული... ჰო, იმის თქმა მინდა, აღარ იქმნება ისეთი დიდი ტილოები, ადრე რომ იქმნებოდა. ეტყობა, ყოფიერებამ და მძიმე პოლიტიკურმა ცვლილებებმა დიდი ძალა წაიღო ერისა... თანაც, დღეს ლიტერატურა „მსუბუქი“ გახდა. არადა, არ შეიძლება, ყველაფერზე ასე ხელაღებით წერა. იმაზე უნდა ვწეროთ, რაც ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს შვილებს, საქართველოს დაეხმარება...

P.S. მეასე გაზაფხულს დიდი სიყვარულით ვულოცავთ ქალბატონ მარიკას. კიდევ დიხანს გაეხარებინოს ქართველი მკითხველი ისეთი ლამაზი ლექსებით, რომლებსაც ახლა გთავაზობთ და რომლებიც ბოლო წლებში დაინერა.

ინასმნაზი

მომავონდება: გაზაფხული და იმერეთი. ინასმნაში ხუთფურცლიან გვირგვინს ვეძებდი. თუ ვიპოვიდი, ო, როგორი გულით ვხარობდი, იმ გაზაფხულით, იმ ჯილდოთი, იმ სამყაროთი. „ნუთუ ვუყვარვარ?“ (გმკითხაობდი).. რა შეედრება იმ საოცარი „აღმოჩენის ბედნიერებას!“ ...შორეულიდან წლები, წლები, წლები გასულა... აღარც მასსოვდა — მომაგონა ამ გაზაფხულმა, როდესაც ისევ, ჩვეულებრივ, დროის განგებით, კვლავაც აყვავდა ჩემს სარკმელთან ინასმნები. საოცრებაა, მოგონებას რა შეუძლია! შვილთაშვილისთვის ყვავილს ვეძებ, — კვლავ ხუთფურცლიანს.

ძვანალ ვაბრიარკს

მეამყება, ჩვენს ქვეყანას ასე რომ შვენი, კაცი დიადი, უწმიდესი, კეთილი, ბრძენი. უეჭველია, ღვთის განგებამ ასე ინება: სიდუხჭირეში მოგველენოდი სულის იმედად. და თუ ჩვენ ვსძლიეთ ათას ჭირს და მეღანეულობას, თქვენს ყოველ სიტყვას, განკურნების ძალა ჰქონია. ბედნიერია ერი, ვისაც თქვენ ეგულებით, რწმენის ტაძარში ანთებულან სუფთა გულები. ო, ეს „სამება“ მართლაც თქვენი სულის ასლია... როგორ იმძლავრეთ და ააგეთ „თქვენი ვარძია“!!!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II:

— ქალბატონო მარიკა, თქვენსთანა ადამიანები არ კვდებიან... სიკვდილი უსახელოდ გაქრობაა. რწმენამ მსნეობა უნდა შეგძინოთ, თქვენი წამებული სიცოცხლე ნიშანია თქვენი ღვთის რჩეულობისა. მინდა, დაგაიმედოთ, რომ არსებობს ბერძენი წმიდა ბერის წინასწარმეტყველება საქართველოს უტყუარი გადარჩენის შესახებ.

რევაზ მიშველაძე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:

— საქართველოს ასი წლის პოეტი არ ახსოვს. მარიკა ბარათაშვილი იქნება პირველი. გმირობის ტოლფასია — ლამები უთიო სტრიქონს, მართალ ლექსად ჩამოადნო ქართული, გულით აჭარო შენი სამშობლოს მოუშორებელი სევდა, ათასებს გაუზიარო სითბო, გაულამაზო ცხოვრება და ასი წლისა მოიყარო ასე ლამაზი, ნიადაგ მოლიმარი და მხე.

ზენა ჩხატინი, პოეტი:

— ქალბატონმა მარიკა ბარათაშ-



ვიღმა, რომელმაც ჯერ კიდევ ყმანვილქალბაში, „პანანინა მარჯნისფერი ყვავილი“ თილისმასავით „მიიბნია მკერდზე“, მალე იპოვა საკუთარი თავიც და ადგილიც — მკითხველის გულში. იმ ადამიანების გულში, ვისი ტკივილითა და სიხარულითაც ცხოვრობდა და ცხოვრობს.



# ქართული სალიტერატურო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-13  
**სპეციალური კვარტალი**

ახალი ეტაპი დაიწყო ჩემს ცხოვრებაში — დღეები ბექასთან ერთად და სანდროს გარეშე. ამ უკანასკნელის სახელის ხსენებაც არ მინდოდა. მართალი იყო იმაში, რაც ბექას უთხრა — მძულდა და მიყვარდა, მიყვარდა და მძულდა ერთდროულად. მაგრამ იმდენად ჯაბნიდა სიტუაციის სიყვარულს, აღარ დამდევდა მისი ლანდი ძველებურად. ახლა მთლიანად ბექაზე ვიყავი გადართული. მთელ დღეებს ჩემ გვერდით ატარებდა, საღამოს კი სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, აუცილებლად სახლამდე მომაცლილებდა, მაშინაც კი, როცა ჩემი მანქანით ვიყავი — უკან მომყვებოდა თავისი „მერსედესით“. სახლში ამოსვლა ერთხელაც არ უცდია, არც უგრძობობებია, სამაგიეროდ, ეზოში ყოფნებოდით დიდხანს. ვისხედით მის მანქანაში და საათობით ვმუსიკავობდით. ჩემი ხელი ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული და მონყურებულ იგივე შემოცქეროდა თვალებში. არც მკოცნიდა, არც მეფერებოდა, მხოლოდ მიყურებდა და სხვა არაფერი. მე კი ვეტიტინებოდა და ვეტიტინებოდი, ათასგვარ სისულელეზე ველაპარაკებოდი. ბევრს ვიცინოდით ერთად და არც ერთხელ სანდრო არ გვიხსენებია, არც ჩვენი ურთიერთობა — არც გუმინდელი, არც დღევანდელი და არც ხვალისდელი. მერე დამემწვიდობებოდა და მანამდე არ წავიდოდა, სანამ საღამოებში შესული, თვალს არ მივფარებოდი. ვხვდებოდი, რატომაც არ ამცირებდა ჩვენ შორის მანძილს — უნდოდა, რაც შეიძლება მომძალეობოდა სურვილი და მე თვითონ გადამედა პირველი ნაბიჯი ჩვენი ფიზიკური სიახლოვისკენ. არც მე ვქეჩარობდი. რაც უფრო მიუნვდომელი რჩებოდა ჩემთვის, მით

უფრო მივიწვედი მისკენ. ერთადერთი, რასაც უთქმელად და ერთმანეთთან შეუთანხმებლად, მაგრამ შეგნებულად ვაკეთებდით, სანდროს გახელება იყო — თითქოს ჯიბრზე, სწორედ მაშინ განვმარტოვდებოდით, როცა ის გამოჩნდებოდა, ჩაგვივლიდა გვერდით ან როცა საორდინატორში ან რეანიმაციისში შემოვიდოდა. მის თვალებში ბოროტი ნაპერკალი ავიყვებოდა ნამით, ამის შემჩნევა ადვილი იყო, თუმცა ჩვენ არ ვიმჩნევდით. ვამჩნევდით მხოლოდ ერთმანეთს და არავის სხვას გარშემო. ეს ერთგვარად, თამაში იყო მის გასაწილებლად და ჩვენ მოგვწონდა ეს თამაში. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო გვესმოდა ერთმანეთის, მეტი და მეტი საერთო შტრისი იკვეთებოდა ჩვენს ხასიათში, საოცრად ვავსებდით და ვუგებდით ერთიმეორეს.

ერთადერთი, მაშინ ვერ ახერხებდა ჩემს გაცილებას, როცა რომელიმე ჩვენგანს კლინიკაში ლამის მორიგედ დარჩენა უწევდა. ამ დროს ჩვენი დამაკავშირებელი, სატელეფონო მესიჯები იყო. მთელი ღამე ნაკაპანკუბი გაუდიოდა მობილურის კლავიშებს, სახიდან კი ღიმილი არ მშორდებოდა, ბედნიერებით ალსასვს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ისიც ჩემს დღეში იყო.

„მე მინდა, ერთადერთი მაყურებელი ვიყო შენი გულის დარბაზში“ — ბექას ეს სიტყვები გონებიდან არ ამოდიოდა. კვლავ დაიწყო უძილო ღამეები, ოღონდ — სასიამოვნოდ უძილო და იგი მხოლოდ ბექას ეძენებოდა. რადგან თვალს ძილი არ ევარებოდა, გავიტანდი სავარძელს აივანზე და ლამის თბილისს გადავყურებდი. ვათვალისწინებდი სიბნელეში გარინდული მრავალსართულიანი სახლების სილუეტებს, ვუყურებდი ერთმანეთში ჩახლართულ ქუჩებს, განათებულ ხიდებს და ვფიქრობდი იმაზე, რა სიზმრებს ხე-

დავდნენ იმ წუთებში მძინარე ადამიანები, რა იღუმალ ამბებს ინახავდნენ დღემდე მკვდარი ქალაქის ცივი კედლები. და როცა ფოთლების გაურკვეველი შრიალი ჩემს სმენას მოსწვდებოდა, ასე მეგონა, მესმოდა მათი ენა, ვარჩევდი ჩურჩულით ნათქვამ მათ ყოველ სიტყვას, თითქოს ბექას დანაბარები მოჰქონდათ ჩემამდე, თითქოს მის მაგივრად მიხსნიდნენ სიყვარულს... ძალიან გვიან კი, როცა შემცივდებოდა, ჩაწვებოდი ლოგინში და მხოლოდ მასზე ვფიქრობდი. დრო იწვლებოდა, არა და არ მთავრდებოდა ღამე. იგი გრძელი იყო, როგორც სიკვდილი, ბნელი, როგორც უნათურო გვირაბი, რომელიდანაც ვერა და ვერ გამოსულხარ. ასე მეგონა, არასდროს გათენდებოდა. მაგრამ მაინც თენდებოდა და ეს სწორედ მაშინ, როცა თვლება მომერეოდა, ფიქრისგან დაღლილს.

პარასკევი საღამო იყო. ბექამ ჩვეულებისამებრ, სახლამდე მომაცილა. მე უმანქანოდ ვიყავი. ზედ სადარბაზოს შესასვლელთან გააჩერა „მერსედესი“ და ოდნავ ჩემკენ მობრუნდა თვალებდანილული. მსიამოვნებდა მისი ყურება — ასეთი ლამაზთვალეა მამაკაცი ჯერ არ შემხვედრია ცხოვრებაში. სურვილია მომიარა, მინდოდა ეკოცნა ჩემთვის, მაგრამ თქმისგან თავი შევიკავე.

— ამ ზაფხულს შევებულე ერთად ავიღოთ და ზღვაზე წავიდეთ, კარგი? — საყვარლად გამიღიმა.

— ჰო, მაგრამ მე ვინ მომცემს შევებულეებს? სულ რამდენიმე თვეა, რაც ვმუშაობ, — პატარა ბავშვივით ვთქვი.

— მაგას მე მოვანყობ, შენ არ იღარდო, — დამამიშვებდა და ჩემი თითები ჩაბლუჯა.

— დავიჯერო, გულით გინდა ამის გაკეთება? — ჩემი წვლანდელი სურვილის ასრულების საბაბი მომცა.

— შენ რა, გეჭკვება? — ძლიერად მიმიჭირა ხელზე ხელი.

— რა ვიცი, ახლოს არ მეკარები და... — თვალები დაეხარე, გავნითლდი.

— ეს ასეა ჩაფიქრებული, საქმეს სჭირდება. ჯერჯერობით მინდა მიყვარდე, ყველა შენი „არათი“, რომ მერე ერთად მომეძალოს შენი ყველა „ჰო“, — თქვა და მრავლისმეტყველად შემომხედა.

— ეს ფრაზა შენ გეკუთვნის თუ სადმე ამოიკითხე? — ემშაურად შევხედე.

— არ ვიცი. რა მნიშვნელობა აქვს?! ხომ შეიძლება, ორ ადამიანს ერთნაირი აზრი მოუვიდეს თავში? იქნებ ჩემდა უნებურად, მოგპარე კიდევ სხვას. არა უშავს, თუ ასეა, მაპატიებს „ორიგინალის“ ავტორი, თუმცა მაინც მგონია, რომ მე გეკუთვნის, — ნიშნის მოგებით მოკუმბ ტუჩები.

— რომ იცოდე, რა საყვარელი ხარ, თბილი, თბილი, თბილი, — მისკენ გადავიხარე.

— ამ სიტბოს შენ მანვდი მხოლოდ და მხოლოდ და... იცი, რის მაგივრად? — ისე დააყოლა ბოლოს, ვიცოდი, რაღაც „უბედურებას“ იტყოდა.

— არ ვიცი, მითხარი.  
— მზის სხივების, — დამარცვლით წარმოთქვა და გულიანად გაიცინა.

— რა არის აქ სასაცილო? — მიაბიტურად გავიკვირე.

— რა ვიცი, ვიფიქრე, ბანალურობაში ჩამითვლის-მეთქი.

— არა, სულაც არ არის ბანალური. ასეთი რამ პირველად მესმის.

— ესე იგი, ჩემს სასიყვარულო ლექსიკონში პროგრესი იგრძნობა... ძალიან ლამაზი ხარ, სოფი... კარგია, რომ ბუნებამ სილამაზით დაგავიღო და არა მარტო სილამაზით.

— არც შენთვის დაუკლია ბუნებას ჯილდო.

— რას მელაპარაკები?! მაინც რითი?

— ჩემნაირი „დაჯილდოებული“ ქალით, — კვლავად გავიციხე და მხარზე დავდე თავი.

მოულოდნელად თმაზე მისი ტუჩების შეხება და ცხელი სუნთქვა ვიგრძენი.

— მიყვარხარ, სულელო, არ იცი, როგორ მიყვარხარ, — აღგზნებით მიჩურჩულა.

სასიამოვნო ტალღამ სხეულში დამიარა, ვიგრძენი, როგორ გამოიფლიანდა მკერდის ღარი.

— მინდა გავწელო შენთან დაახლოების დრო, რაც შეიძლება დიდხანს. მანამ, სანამ არ დაფრთხინდები, რომ შენ ამისთვის მზად ხარ და არა მარტო შენ... ისიც. არ მინდა, სხვისი ოცნების ქალი გახდეს ჩემი ცოლი, გესმის?

— იმავე ხმით გააგრძელა ბექამ. წამით გავქვავდი. რამდენი ხანია, „ის“ არ უხსენებია. აი, თურმე რაშია საქმე, რა აღელვებს. შემეცოდა.

— მე შენ არ დაგალაღატებ, ბექა, მეყო, რა სისულელეებიც ჩავიდინე, — არ გავნძრულვარ, ისე ჩავილაპარაკე.

— ეჰ, სოფი, სოფი... ქალების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი სჩადის სისულელეს, მაგრამ მესაც პროცენტი მამაკაცებზე ეშმაკი გამოდგება ხოლმე, — თქვა და ისე ამოიხვნეშა, თითქოს გულიც თან ამოაყოლო.

— მაინცდამაინც იმ ერთ პროცენტში რატომ მიგულისხმე? — თავი ავნიე და თვალბრუნებით ჩაჩხედი.

— იმიტომ, რომ სწორედ იმ ერთ, ყველაზე ჭკვიანი ქალების პროცენტს განეკუთვნები, — მითხრა და მზერა ამარიდა, — მე, შენ და სანდრო სიყვარულის სამკუთხედს ვქმნით, ძალაუნებურად, ასე გამოდის. მე კი არ მინდა ამ სამკუთხედში ბისექტრისის როლში აღმოვჩნდე ან არასაჭირო გვერდი ვიყო.

— სამკუთხედს იმიტომ ჰქვია სამკუთხე-

დი, რომ ყველა გვერდი სჭირდება, — ყრუდ ვთქვი, — ერთადერთი გამოსავალი ისაა, დაიშალოს სამკუთხედი.

— ჰო.

— მე დავმლი მას, პირობას გაძლევ და დავმლი ჩემს სასარგებლოდ.

— მხოლოდ შენს სასარგებლოდ? — ისე ფრთხილად იკითხა, მივხვდი, რისი გაგებაც სურდა.

— ჩვენს სასარგებლოდ — შენს და ჩემს სასარგებლოდ. ხომ იცი, რომ არ მოგატყუებ, — ისევე გავუყარე თვალი თვალში.

ნაღვლიანად გამიღიმა.

— ვიცი, ტყუილი ხომ ღალატის ტოლფასია, შენ კი ღალატი არ გჩვევია, — თქვა და მხრებში ხელი ჩამავლო, თავისკენ მიმიზიდა და ტუჩებზე დამაკვდა...

ვინ თქვა, კოცნას სურნელი არა აქვსო?! მთელი საღამო ბექას კოცნის სურნელი არ მომშორებია, მისი ტუჩების სიტკბოსაც ვგრძნობდი ამავდროულად. არც მივახშვია და არც ჩაი დამიღვია, სარკესთან მოკალათებული, კმაყოფილებით ვილოკავდი ბაგეებს, თან ზედა ტუჩს ცხვირს მივუშვერდი, რომ უფრო შემეგრძნო და დიდხანს გამყოლოდა იმ კოცნის სუნი და გემო.

ტელეფონმა დარეკა. პატარა გოგონასავით ვისკუპე სკამიდან და ყურმილს მივვარდი, ბექა მეგონა. მართალია, თუ მორიგე არ ვიყავი, ისე არც მირეკავდა და არც მიმესიჯებდა, მაგრამ ეს საღამო რაღაცით გამორჩეული იყო სხვებისგან



და ამიტომაც ვიფიქრე, რომ ის იქნებოდა. არავინ მიპასუხა. უსიამოვნოდ გამკრა, სანდრო არ იყოს-მეთქი. გულისცემა ამიჩქარდა. ხომ არ მამონშებს? ახლა დავიდეხს ალბათ და ბექასთანაც დარეკავს, იმასაც შეამონშებს. იქნებ ვცდები? იქნებ ვილატას შეეშალა? მაშინ რატომ არ მიპასუხა?

დუმილი ყურმილს იქიდან რამდენიმე წამს გაგრძელდა, მერე კი წყვეტილი ზუმერი გაისმა ტელეფონში.

ისევ სარკესთან გადავჯექი და საკუთარი თავი შევათვალეიერე. მართლა ლამაზი ვარ, მე თვითონაც მსიამოვნებს, როცა ჩემს ორულს ვუცქერი. საცოდაო-

ბა არ არის, ასეთი სხეული უკაცობას განიცდიდეს? მას ხომ ახლა, სწორედ ამ ასაკში სჭირდება მამაკაცის ვნებიანი მკლავები, მოფერება, ალერსი... სექსი, ბოლოს და ბოლოს! რას ვუცდი? რა მიშლის ხელს? ბექას ხომ ვუყვარვარ, ვუნდივარ... იქნებ, ლოგინმა უფრო დაგვაახლოოს? სადამდე განვლავს პაუზას? როცა ერი ლოდება, სახელმწიფოს „მშრალი კანონი“ შემოაქვს. ბექამ კი „მშრალი სექსის კანონი“ დამინესა. ნუთუ მოჭარბებული ვნების გამო?! მე უფრო მეტად მინდა მასთან დანოლა თუ მას ჩემთან?... არ ვიცი, თუმცა ფაქტია, რომ მე ძალიან მინდა. ხომ არ დაუფრეკო და მოვიყვანო? არ სჯობია, მოსახდენი დროზე მოხდეს? არა, არა, რა სისულელეა, ამას არ ვიზამ. არ იფიქრებს ბექა, ეს ვინ ყოფილა?

ამ დროს ისევ დარეკა ტელეფონმა. ამრეზით გადავხედე აპარატს. ჯინაზე არ ვუპასუხებ, რეკოს, რამდენიც უნდა... კარგა ხანს ისმოდა ზარის ხმა, მე კი ადგილიდან არ დავფრულვარ. ბოლოს შეწყდა, მაგრამ ახლა მობილური ამღერდა. ჩანთას ვეცი, ეკრანს დავხედე, ბექა მირეკავდა. ნუთუ ჩემი ფიქრები გამოიცნო? ათრთოლებულმა დავაჭირე ღილაკს თითი, რაღაც ჯერარგანცდილის მოლოდინში.

— ყურმილს რატომ არ იღებ, არ ხარ სახლში? — მისმა სასიამოვნო ბარიტონმა გული გამითბო.

— როგორ არა ვარ, მაგრამ ვინეკი და დამეზარა ადგომა, — ვიცრუე, — ახლა დარეკე და ავიღებ.

— არა, იყოს. ერთი ამბავი მაქვს შენთვის, ოღონდ არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ მაინც უნდა გითხრა.

— მითხარი, — დავიძაბე: ასეთი რა აქვს სათქმელი?

— დედაჩემი ხვალ საღამოს ვახშამზე გეპატიჟება, შენი გაცნობა უნდა.

— რას ამბობს!.. — ღანვები გამიხურდა ამის გამგონეს.

— რა ვენა, სოფი, ჩემი ბრალი არ არის. გინდა თუ არა, მოიყვანეო, რა ვუთხრა?

მოულოდნელობისგან ენა ჩამივარდა. დუმილი გაიწელა.

— ალო, სოფი, ალო! გესმის ჩემი? — მესმოდა მისი შეცვლილი ხმა.

— მესმის, ბექა, მესმის. წამოვალ, რა თქმა უნდა, მაგაზე დაფიქრება შეიძლება?! —

— მე კი მომეჩვენა, რომ დაფიქრდი. — არა, არა, უბრალოდ... არ ველოდი და...

— აი, ხომ ხედავ, ცხოვრება როგორი სიურპრიზებით არის სავსე. კარგი, მეტს აღარ შეგანუხებ, ხვალისთვის მოემზადე. აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო.

— რა საძაგელი ხარ, — სიცხელი ვერ შევიკავე, — რა უთხარი ამისთანა, რომ ჩემი გაცნობა მოისურვა? — ცნობისმოყ-

ვარეობამ მძლია.

— ერთი გოგო ძალიან მამბრახებს-მეთქი. ჰოდა, მიყვება, გამაცანი და ჭკუას ვასწავლიო.

— ...

— რა იყო, ხომ არ შეგეშინდა, ლამაზმანო?

— ცოტა. სხალიდან ვეცდები, აღარ გაგაბრაზო, — სიტბო ჩამელვარა სხეულში.

— ჰოდა, მოემზადე გადამწყვეტი რაუნდისთვის.

— კარგი, — ბედნიერმა, ჭალს გაუფლიძე, ბექას დავემუქდობე და მობილური გულში ჩავიხუტე.

დილით ჩვეულ დროს გამოცხადდი სამსახურში. ასეთი გამოპრანჭული ალბათ ცხოვრებაში არ ვყოფილვარ, თან საშინლად ველავდი. არავის გამოპპარვია ჩემი „საგანგებო მდგომარეობა“. „რა ლამაზი ხარ, სოფიო“, „რა ხდება? სად მიდიხარ?“ „უი, რა სხვანაირი ხარ?!“ — ამ სიტყვებით შემხვდნენ თანამშრომლები. მეც ვიფერებდი კომპლიმენტებს და კვლუცი ღიმილით ვისხიდი მადლობას. სანდროს ჩემს დანახვაზე თვალები გაუშტერდა. აშკარად ძლიერი ეფექტი მოვახდინე მასზე. გამომწვევად შევხედე და გვერდი ისე ავუარე, მივახვედრე, ეს ყველაფერი შენ არ გეკუთვნის-მეთქი. ბექას კაბინეტს მივუახლოვდი, დავაკაუნე და პასუხს არ დავლოდებოვარ, ისე შევედი. თავი ასწია, შემომხედა და გაშეშდა.

— ნუთუ?... — მხოლოდ ეს თქვა.

— ნუთუ, — ვუპასუხე მეც.

— ჩათვალე, რომ ქალბატონი ანიკო უკან აღარ გამოგიშვებს, — კმაყოფილმა წარმოთქვა და წამოდგა, ჩემკენ გამოემართა.

— მეც დავრჩები, რა მენაღვლება?!

მომიახლოვდა, თავი ჩემკენ გადმოხარა და ჰაერი შეისუნთქა.

— არომატი, არომატი... სიმართლე გითხრა, მე შენი ბუნებრივი სურნელი უფრო მომწონს, — ჩურჩულით მითხრა.

— ესე იგი, მოვეწიფები დედაშენს?

— მას უკვე მოსწონხარ, ამიტომაც, როგორ ფორმამიც არ უნდა იყო, მნიშვნელობა არა აქვს.

— როგორ მოვწონვარ, როცა ერთხელაც არ ვუნახივარ?

— როგორ და ჩვეულებრივად. მე და დედას ერთნაირი გემოვნება გვაქვს, — ხმაშლილი გაიცინა, — მთავარია, შენც მოგწონოს.

— გამოდის, რომ მეც მომეწონება.

— დარწმუნებული ხარ?

— რა თქმა უნდა. მე და შენც ხომ ერთნაირი გემოვნება გვაქვს, — მაცდურად შევცინე.

— იცი? მე დღეს მორიგე ვარ, ასე

რომ, შენ და დედაჩემს მარტო მოგიწევთ ყოფნა.

— ხუმრობ? — შევცბი.

— არ ვხუმრობ, მართლა გეუბნები. მიგიყვან, ცოტა ხნით დავრჩები და მერე წამოვალ.

— იქნებ სხვა დროისთვის გადავდოთ, ბექა? — წინასწარ წარმოვიდგინე, როგორ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი და გამაცვივა.

— არა, ის დღეს გელოდება. მას ასე სურს. რა მოხდა მერე? ბოლოს და ბო-



ლოს, აქედანვე ხომ უნდა მიეჩვიო იმას, რომ ოდესმე უჩემოდაც მოგიწევთ ერთად ყოფნა! — საზეიმო ხმით თქვა და გალიმებულმა თმაზე გადაამისვა ხელი. გაენითლდი...

მომეჩვენა, რომ ჩემს დანახვაზე ბექას დედას სახე შეეცვალა, ჩრდილმა გადაურბინა. არ მესიამოვნა. ასეთ შეხვედრას არ მოველოდი. უმწეოდ გადავხედე მოლიმარ ბექას.

— ეს ის არის? — ცივი ხმით იკითხა ქალმა, თან თვალს არ მამორებდა.

— ის არის, კი, — თავი დააქნია ბექამ.

გვეგონებოდა, თითქოს ჩემი გარეგნობის შემურდაო, მაგრამ თვითონ ისეთი ლამაზი იყო, ენით ვერ აღვწერდი. აი, თურმე ვისი თვალები გამოპყლია ბექას, ვის ჰგავს ასეთი კარგი!.. ქალს მალალი, მოხდენილი თქოები ჰქონდა, დიდი მკერდი და არისტოკრატიული მისრა-მოსრა.

ქალბატონი ანიკო, თითქოს ფიქრებიდან გამოურეკვარ, უცებ დატკბა.

— მოდი, შვილო, მოდი, კეთილი იყოს შენი მობრძანება, — მითხრა და წინ გამიძღვა.

მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა. რატომ შემხვდა ასე? რა არ მოეწონა? ზედმეტად გადაპრანჭული ხომ არ ვარ? ვულგარულად ხომ არ გამოვიყურები?.. შეგნებულად ჩავიცვი გრძელი კაბა, გულდასურული, რომ სადად გამოვჩენილიყავი. რა გამოვიდა? აშკარად, რაღაც ცუდი გაიფიქრა, რომ შემომხედა, მაგრამ — რა?.. ფიქრები ერთმანეთს ცვლიდა.

— აგერ დაჯექი, გენაცვალე, ახლავე მოგხედავ, — კეთილად გამიღიმა ქალმა და სკამზე მიმითითა.

— თქვენ დასხედით და მე მოგემსახურებით, — „სიტყვით გამოვიდა“ ბექა, — როგორც ყოველთვის, ჟასმინის ჩაი, ქალბატონო ანიკო, არა? — ხუმრობანარევი ოფიციალურობით მიმართა დედას.

— ჰო, შვილო, წყალი უკვე ადუღდებოდა, გადმოდგი ჩაიდან, — გასცახსა სამზარეულოსკენ მიმავალს.

სუფრა გაშლილი დამხვდა. ოთხნაირი ლამაზი ნამცხვარი შევნიშნე მაგიდაზე და კიდევ, ანტიკვარული ჭურჭელი — თეთრი, ქათხათა, შავზოლიანი თევზები და ჩაის ჭიქები.

— მინდოდა, პირველ შეხვედრაზე სიტკბოთი დაგხვედროდი. არ ვიცი, როგორ გამომივიდა, მაგრამ ვეცადე, — ისევ გამიღიმა მომავალმა სადედამთილომ, — ხომ დალევ ჩაის?

— დიას, — მოკლედ მოვჭერი, ძალიან შებოჭილად ვგრძნობდი თავს.

მიმოვიხედე. ბინა უზადო გემოვნებით იყო მოწყობილი, ჭერი, კარ-ფანჯარა და ძველებური ყაიდის ავეჯი თეთრ ფერებში იყო, ხოლო კედლები, ფარდები და საშუელი — შინდისფერში. ულამაზესი ანტიკვარული ლარნაკები და ფაიფურის ფიგურები ამაყად ინონებდა თავს შეფერილიწინანი ვიტრინაში. ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ორი დიდი ტილო მდიდრულ იერს მატებდა სასტუმრო ოთახს.

— ისეთი ჩაი დავაყენე, მტერსაც კი დაუბრმავებს თვალს, — ბექამ სამიგვსთვის განკუთვნილი ცხელი ჩაი სინით შემოიტანა.

— იქ შოკოლადია მაცივარში, შვილო, არ დაგაგინყდეს, — ქალბატონი ანიკო სინიდან სუფრაზე ფინჯნების გადმოლაგებას შეუდგა.

— ენევი, სოფი? — მკითხა და ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს ჩემს სულში ჩაძრომას ლამობსო.

— არა, არ ვენევი, — მორიდებით ვთქვი.

— კარგია, რომ არ ენევი. ჩემი ბექაც არ ენევა. მე კი მომკლა ამ სიგარეტმა, ვერა და ვერ გადავეჩვიე. რაც ქმარს გავშორდი, იმის მერე დავინყე, თექვსმეტი წელია უკვე.

შევეცადე, გაოცება არ შემტყობოდა. არ ვიცოდი, თუ ბექას მშობლები გაყრილები იყვნენ.

— შენ გყავს დედ-მამა? — ისევ ისე გამბურლა მხერიოთ.

— დიას... ამჟამად მოსკოვში არიან, მამას იქ ბიზნესი აქვს, ჩემს ძმასთან ერთად, დედა კი უვლის, — წამწამები დაჯხარე, ვერ გავუძელი მისი თვალების „შემოტყვას“.

— და ასეთი წარმტაცი გოგონა მარ-

ტო დაგტოვებს? — გაიღიმა.

— ჰო. მორიგეობით ჩამოდიან ხოლმე, ახალ წელს კი ყველანი ერთად ვიკრიბებით.

— გადაილე რაზე, ყველაფერი გემრიელია, რასაც ხელს მოჰკიდებ, თვითონ გამოვაცხებ.

— მართლა? — გამოვცოცხლდი, სალ-აპარაკო თემა მომეცა. — ისეთი ლამაზი ნამცხვრებია, აშკარად ეტყობა კარგი კულინარის ხელი, — ვთქვი და ერთი ნაჭერი გადმოვიღე.

— ეჰ... თავის დროზე, როცა ძალიან მიჭირდა, ვაცხოვდი და საკონდიტროში ვაბარებდი. მერე ბექას მამას მივთხოვედი და აღარ დამჭირვებია, მხოლოდ ამათთვის თუ შევიწუხებდი თავს.

— დე, მე ახლა ჩაის დავლევ და დაგტოვებთ, თორემ მომხსნიან სამსახურიდან, — ბექა შოკოლადით სახე ვაზით შემობრუნდა, — სოფი, შენ ხომ არ გამიბრუნებდი?

— არა, რას ამბობ, — უხერხულად შევიმშუშენე.

საუბარი მაინცდამაინც ვერ აენყო. ქალბატონი ანიკო გამომძიებელივით მისვამდა შეკითხვებს, ჩემი ცხოვრების ამბებით ინტერესდებოდა — ოჯახი, მშობლები, სამსახური... მეც სკოლის მოსწავლესავით ფრთხილად ვცემდი პასუხს იმის შიშით, რაიმე ზედმეტი არ წამოცდენოდა და არ „ჩაეჭრილიყავი“. ცოტა ხნის მერე ბექა წამოდგა, მოგვიბოდიშა, უნდა დაგტოვოთ, დედას აკოცა, მე თვალი ჩამიკრა და ნასასვლელად გაემზადა.

— დამირეკე, ნასვლას რომ დააპირებ, — მითხრა დედის ზურგს უკან მდგარმა ბექამ.

— მობრუნდები, შვილო? შენ უნდა გააცილო სოფი? — ანიკო შეილისკენ შეტრიალდა.

— არა, არა, რა საჭიროა, მე ხომ მანქანით ვარ, — ავნიღალდი.

— მაშინ, სახლში რომ მიხვალ, დამირეკე, — იღუმალის ღიმილი გამოეხატა სახეზე.

— დაგირეკავ, — სახე შემეფაკლა მისი ღიმილის შემხედვარეს.

ბექა წავიდა. დავრჩით მე და ქალბატონი ანიკო მარტო. ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. შიშით თვალს ვერ ვუსწორებდი ქალს, ასე მეგონა, თავისი გამოხედვით მაკონტროლებდა.

— ალბათ შეამჩნიე, როგორც შეგხვდი, არა? — ხელზე ხელი დამადო ანიკომ. ფაფუკი, რბილი ხელისგული ჰქონდა.

— ჰო, — ალბური წამეკიდა.

— რომ დაგინახე, ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა... საშუალო სილამაზის პატრონი ხარ, სოფი, არ დაგიმალავ. ასეთი სილამაზე დამლუპველია ქალისთვის. ერთ დროს მეც ჩამადენინა სისულელე ჩემმა გარეგნობამ. ღმერთმა

იმისთვის შექმნა ლამაზი ქალი, რომ მამაკაცებს შეუყვარდეს. ეს კი რთული მომენტია ქალისთვის. ამ დროს იბნევა, არ იცის, რომელზე შეაჩეროს არჩევანი. ჭკვიანი ქალი არასდროს შეიყვარებს მამაკაცს, მხოლოდ ჩვენ, სულელები თუ წამოვყვებით ხოლმე ანკესზე.

გაოცებულმა შევხედე.

— ნუ მიყურებ ასე, სიმართლეს ვამბობ. ახალგაზრდობაში ისეთი ვიყავი, თვალს ვერ მამორებდნენ კაცები, მოსვენება არ მქონდა. ვერც ერთის შეყვარება ვერ შევძელი, თავი მქონდა მათგან გაბზერებული. ავდექი და ყველაზე ღირსეული შევარჩიე მთხოვნელთა შორის. უსიყვარულოდ გავთხოვედი, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიცოდი, უზრუნველი ცხოვრება მელოდა ვაჟს ხელში. ასეც იყო. მართალია, არ მიყვარდა, მაგრამ უდიდეს პატივს ვცემდი. რაღაც გრძნობა თანდათან მაინც მოვიდა. მერე დაიბადა ბექა და ყველაფერი თავდაყირა დადგა. იმდენად ძლიერი იყო შვილის სიყვარული, ქმარი საერთოდ დამავიწყა. მის გვერდით ცხოვრება ჩემთვის მხოლოდ ცოლის მოვალეობის შესრულება გახდა. ნამდვილი სიყვარული კი მერე მენვია, მოგვიანებით, ეს გრძნობა მაინც ვერ ავირიდე თავიდან. ვერ ვძლიე ცდუნებას, ვერ ვაჯობე საკუთარი ხორცის ამბოხს და ვულაღატე ვაჟს... მან არ მაპატია და წავიდა, მიგვატოვა, დავმორდიეთ ერთმანეთს.

— ქალბატონო ანიკო, რატომ მიყვებით ამას?... — ისე ვიყავი დათრგუნული, კანკალმა ამიტანა. — რა საჭიროა, მე ეს ვიცოდე?

— საჭიროა, შვილო, საჭირო... ბექამ იცის ყველაფერი, მისთვის არასდროს არაფერი დამიმალავეს. გიყვები იმიტომ, რომ აქედანვე იცოდე, რა გამოცდის მოწყობა შეუძლია ცხოვრებას. ქალისთვის უმრავლესობა იმიტომ კი არ ღალატობს ქმარს, რომ მათი გრძნობა ძალიან ძლიერია, უბრალოდ, იმიტომ, რომ მათი სისუსტე უფრო ძლიერი. ამიტომაც სარგებლობენ ქალებში მეტი წარმატებით ფხიანი მამაკაცები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სილამაზით არ გამოირჩევიან. არ მინდა, ჩემნაირი შეცდომა სხვასაც მოუვიდეს, მით უმეტეს ადამიანს, რომელიც შეიძლება, ხვალ-ზეგ ჩემი ოჯახის წევრი გახდეს. ბექას რომ მსგავსი რამ გადახდეს, ვერ გადავიტან. ამიტომაც გიყვები. თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ ნამდვილად გიყვარს, საკუთარ თავზე მეტად გიყვარს, ნუ გადადგამ ასეთ ნაბიჯს.

— ნანობთ? — გავედღე, მკეითხა.

— ამ გადასახედვებზე, რა თქმა უნდა, ვნანობ. თუმცა ნებისმიერი ქალის შეცდომაში ნულილი აუცილებლად მიუძღვის ქმარსაც. ვნანობ, რადგან ოჯახი დავანგრიე. მეგონა, ცოლად შემირთავდა, სულ ერთად ვიქნებოდით, იმან კი... იცი, რა მითხრა? შვილი ქმარს დაუტოვე და ისე წამოდი ჩემთან, ბავშვიან ქალს დედაჩემს

რძლად ვერ დაუტოვებდი. ჩემმა მეუღლემ კი არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინე, გონიერება არ ეყო, არც ძალა... ერთი რამ დამიხასოვრე, სოფი: ქალის ყველაზე დიდი უბედურება მისი ცხოვრების მამაკაცია, რომელიც არავინ იცის, რა დროს გამოჩნდება, როდის დაგანახვებს თავს... ხანდახან ისე აღფრთოვანდები ერთით, გგონია, რომ ეს ის არის, ის ერთადერთი, ვისაც ელოდი, მერე კი გავა დრო და ხვდები, რომ თურმე სხვა ყოფილა, ის სხვა, რომელიც სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა სრულიად უადგილო ადგილას.

მოსმენილმა შემძრა. გაქვავებულივით ვიჯექი და ვერ ვინძრეოდი.

— არადა... ის დღესაც უცოლოა... ცხოვრობს მარტო და პატრონი, მომკითხავი არ ჰყავს...

ერთხანს ჩუმად ვიჯექი, რაღაცას ვანალიზებდი ჩემთვის. მერე თავი ავწიე და ქალბატონ ანიკოს ჯიქურ გაუფსწორე თვალი.

— მე დარწმუნებული ვარ ჩემს სიყვარულში, ჩვენ შორის ღალატი არასდროს იქნება.

— არასდროს... — ჩაფიქრებულმა ქალმა თეფშს დახედა. — მიხარია ამის გაგონება... შენ ერთადერთი ქალი ხარ, რომლის სახელიც, როგორც შეყვარებულის, პირველად გავიგონე ჩემი შვილის პირიდან. ამიტომაც მემინია...

თავსარდაცველი დავბრუნდი შინ. ქალის ნაამბობმა ძალიან იმოქმედა ჩემზე, ის მართალი იყო. ბექა ახლახან გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, სულ რამდენიმე თვეა, სანდრო კი წლების განმავლობაში მიყვარდა. ვიყავი კი საკუთარ თავში დარწმუნებული? შევძლებდი კი, ბექასთვის ბედნიერება მიმინიჭებინა?..

გარეთ თავსხმა წვიმა იყო. ყური მივუგდე წვეთების ხმაურს. ავისმომასწავებელი იყო ეს ხმა, უსიამოვნო... ბექას მობილურზე დაფურცე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და სახლში მშვიდობით დავბრუნდი-მეთქი. გაუხარდა. მეც კმაყოფილი ვიყავი საღამოს შესვენებით. ამ დროს ქალაქის ტელეფონმა დარეკა. ავიღე. ხმას არავინ იღებდა. გაბრაზებულმა, ყურმილი ბერკეტზე დავახეთქე. ტანსაცმელი გავიხაადე, პირსახოცის ხალხი ჩავიცვი და ის იყო, საბაზანოში შესვლა დავაპირე, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. არავის ველოდი, ვიფიქრე, მეზობელია-მეთქი და შემოსასვლელისკენ გავემართე. არც გამიხედავს სათვალთვალში, ისე გავაღე კარი და გაოგნებული ადგილზე გავშემდი... ერთიანად სველი სანდრო წინ გამჭვრილი ხელით სადარბაზოს კედელს მიყრდნობოდა...

თავი ასწია და შემომხედა, ნასვამი მომეჩვენა.

— მარტო ხარ?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გონების სასარჩილო

## „გზის“ ერთგულიმკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვატისკაენ არ გაბაჟდეთ თვალი.

1. სადილისა და ღვინის სმის დროს, ძველბერძნებს ძალზე უყვარდათ მუსიკა. ტრაპეზის დროს ისინი ამა თუ იმ საკითხს განიხილავდნენ და ამა თუ იმ თემაზე სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ. რას ეძახდნენ ბერძნები ასეთ თავყრილობებს?

2. „მინა — მშრომელებს!“, „დასამარდეს ბურჟუაზია — მოისპოს კაპიტალი!“, „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია!“, „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!“ — დაასახელეთ საბჭოთა რუსეთში დამბადებული საყოფაცხოვრებო საგნების ერთობლიობა, რომელსაც ასეთი წარწერები ამშვენებდა.

3. ინგლისელი გენერალი, გუდსონ ლოუ რამდენიმე წლის განმავლობაში, უდიდესი სიამოვნებით ასრულებდა თავისი სოციალური მდგომარეობისა და რანგისათვის შეუფერებელ ციხის ზედამხედველის მოვალეობას. ვის დარაჯობდა იგი?

4. ირანში, შაჰის თასის ტურნირზე ამ ქართველ მოჭიდავეს მილიონი შესთავაზეს იმისთვის, რომ წაეგო, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა. ასპარეზობის შემდეგ კი გამარჯვებულის პრივილეგიით ისარგებლა და შაჰს იქაური მეგობრის გათავისუფლება სთხოვა, რომელსაც მწიწიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. შაჰმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა. დაასახელეთ ეს ქართველი სპორტსმენი.

5. რამდენიმე წამის განმავლობაში სამჯერ დაჭრა დარტანიანმა გრაფი დე ვარდი. რას დასძახოდა ხმლის ყოველ დარტყმაზე გასკონელი მონინალმდეგეს?

6. ლოს-ანჯელესის მახლობლად მდებარე პარკის ერთ-ერთ ნაწილს „შექსპირისულ ბაღს“ უწოდებენ. იქ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ამერიკულ მცენარეს. რატომ?

7. XX საუკუნის დასაწყისში ევროპელი ქალები ფეხებს სპეციალური თასებით იკრავდნენ, რათა პატარა ნაბიჯების გადადგმას შესწევდნენ. რაში სჭირდებოდათ მათ ამგვარი ვარჯიში?

8. ერთ-ერთ კურორტზე დასვენების დროს, ჯუზეპე ვერდიმ ადგილობრივ მცხოვრებთაგან მთელი ზაფხულით, რამდენიმე არღანი იქირავა. რა მიზნით?

9. რა არის ტისტიხი?

10. გამოცანა: „თავი ბრტყელი, კუდი გრძელი, თავში სცემენ, გარბის კუდით, სოროში ზის თავის დღენი“.

11. ფრანგი პოეტი ნიკოლა ბუალო ამბობდა: „მე არასდროს ვიგვიანებ შეხვედრებზე, რადგან ისინი, ვინც დაგვიანებულს ელოდებიან...“ დაასრულეთ პოეტის სიტყვები.

12. 1873 წელს, პარიზიდან გაგზავნილი წერილის მარკა ფილატელისტურ იშვიათობას წარმოადგენს. ასეთი წერილის შტემპელზე იკითხება: „კვამლია გატარებული“. რა არის ამის მიზეზი?

# ანკდოტები

\*\*\*


— შაქრო, შენს ახალ უფროსზე რას იტყვი?  
— სანამ არ მოხსნიან, ვერაფერს.

\*\*\*

— მაგარი ბიჭი გაუზრდია კონიას, მამამისი ერთი დარტყმით დააგლო.

\*\*\*

ქმარი სახლში შედის, კარადას ალებს და ხედავს კაცს.



— ეს ვინ არის? — ეკითხება ცოლს.

— ეს გივია, — პასუხობს მეორე ნახევარი.

ქმარმა გივი ნიხლქვეშ გაიგდო. ასე განმეორდა რამდენიმე დღე. ერთ დღესაც გაალო კარადა, დაინახა მაღალი, დაკუნთული კაცი და იყვირა: — სადაა გივი?..

\*\*\*

ქმარი უგონოდ მთვრალი ბრუნდება შინ. ცოლი უყვირის:

— იდიოტო, კრეტინო, დეგენერატო, უტვინოვ, არამზადავ!..

მეორე ოთახიდან ბავშვის ხმა ისმის:

— დედა, მეძახდი?!

\*\*\*

სვანმა კოსმონავტმა კოსმოსში თავი ჩამოიხრჩო.

\*\*\*

— მამი, კართან ვილაც ქალი დგას.  
— რა უნდა?  
— შემოწირულობას ვაგროვებთ,

აუზის ასაშენებლადო.  
— კარგი, სამი ვედრო წყალი მიეცი.

\*\*\*

— ღმერთმა კარტოფილი იმისთვის შექმნა, რომ ღარიბ ხალხსაც შესძლებოდა რალაცისთვის ტყავის გაძრობა.

\*\*\*

— იცი, ჩემს ჯანმრთელობაზე მარსი ზემოქმედებს.

— ჩემსაზე კი — ურანი.  
— მაგ ნიშნით დაიბადა?  
— არა, ჩერნობილში დავიბადა.

\*\*\*

მეგობარი მეგობარს შესჩივის:

— ცოლს უნდა გავყვარო.  
— რას ერჩი? კარგი ქალია და თან, უყვარხარ, სახლიც ყოველთვის წესრიგში აქვს.

— მაგას ვჩივი ზუსტად — ღამე წყლის დასალევად რომ ვდგები, სანოლი გასწორებული მხედება.

\*\*\*

— ექიმო, მინდა ჩემს ცოლს დაელაპარაკოთ.

— რასთან დაკავშირებით?

— რამდენჯერაც მასთან დავნვები, იმდენი 40 დოლარს მთხოვს.

— ჰო, ასეთი რამ ხდება ხოლმე. ალბათ, თქვენს ცოლს ელექტრას კომპლექსი აქვს, ნევროტიკული სინდრომით.

— კი, გასაგებია, მაგრამ მე რატომ უნდა ვიხადო 40 დოლარი, როდესაც ყველასგან 20 დოლარს იღებს?!

\*\*\*

სვანმა ძალი კბილის ექიმთან მიიყვანა.

— რა ვქნა, კბილი ამოვუღო? — ეკითხება ექიმი.

— არა, გაუღეს!





\*\*\*

- აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე,
- ქოთქოთებს ქეთოია.
- რა მოგივიდა?!
- სამი წლის წინ ქმარი გერმანიაში გავეუშვი სამუშაოდ და ახლა შემომიფაჩა: მოჰკიდე ჩვენს ორ შვილს ხელი და ჩამოდიო!
- მერე, მაგას რა სჯობია?!
- რაღა რა სჯობია, ქალო, უკვე ოთხი შვილი მყავს!

\*\*\*

- დედა შვილს ეუბნება:
- როდის აპირებ გაკვეთილების სწავლას?
- კინოს მერე.
- კინოს მერე გვიანია.
- დედა, სწავლა არასდროსაა გვიანი.

\*\*\*

- გამომძიებელი ბრალდებულს ეკითხება:
- ესე იგი, შენ შეესწარი, თუ როგორ სცემდა მეზობელი შენს სიდედრს, მაგრამ არ მიეშველე...
- ერთი შტერი დედაკაცის ცემას რა მიშველება უნდოდა?!

\*\*\*

- გურულმა ქალმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მოზრდილი წერწყვი ჩაყლაპა და მოინამლა.

\*\*\*

- მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:
- რა პროფესიის ხართ?
- ცირკში ვმუშაობ, აკრობატი ვარ.
- არიქა, ფანჯრები დახურეთ!

\*\*\*

- ჭიჭიკიას ცოლი ეჩხუბება:
- სულელი ვიყავი, ცოლად რომ მოგყვებოდი!
- მაგი მეც შეგამჩნიე, მაგრამ ვიფიქრე, დრო გავა და დაჭკვიანდებათქვამ!

\*\*\*

სიყვარული ორთაბროძოლა, განსაკუთრებით მამინ, როცა ერთერთს არ უნდა.

\*\*\*

სამხედრო ნაწილში პოლკოვნიკი ანექდოტს ჰყვება. ერთის გარდა, ყველა ჯარისკაცი იცინის.

— რიგითო, შენ რატომ არ იცინი?

— მე ამ ნაწილში არ ვმსახურობ.

\*\*\*

გურული ღამის მორიგეობიდან შინ დაღლილი დაბრუნდა. გახარებული შვილები კართან სვდებიან:

— მამიკო, მამიკო, მოდი, ვითამაშოთ!

— კი, ბატონო, ვითამაშოთ.

— რა ვითამაშოთ?

— „მავზოლეუმობანა“ ვითამაშოთ! მე ლენინი ვიქნები, თქვენ კი — საპატიო ყარაული.

# გონაგონს სანახაო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კანკუხები)

1. სიმპოზიუმებს.
2. ამგვარი წარწერების ამოკითხვა რუსეთში XX საუკუნის 20-იან წლებში დამზადებულ ჭურჭელზე იყო შესაძლებელი.
3. ნაპოლეონ ბონაპარტეს.
4. ლევან თედიაშვილი.
5. „ეს ათოსისათვის“, „ეს პორთოსისათვის“, „ეს არამოსისათვის“.
6. ისინი შექაბრს არ აქვს ნახსენები.
7. იმისათვის, რომ სიარულის დროს, მოდაში შემოსული ვინაო ქვედაბოლო არ გაეჩიათ.
8. მეარღნეები მის მუსიკას უკრავდნენ, რითიც ძალზე მოაბეზრეს თავი.
9. გამრავლების პერიოდში ფრინველთა ურთიერთობის ფორმას, რაც მათ თავისებურ ქცევაში გამოიხატება — ფრენა, გალობა, განსაკუთრებული პოზის მიღება, ზოგჯერ ცრუბუდეების აგება, „შეფობრებები“ და ნამდვილი ბრძოლების გამართვა — ტიტხტი ეწოდება.
10. ლურსმანი.
11. „...მხოლოდ მის (დამგვიანებლის) ნაკლოვანებებზე ლაპარაკობენ“.
12. იმ პერიოდში პარიზში ქოლერის ეპიდემია მძინვარებდა.

# ჩვენი ფოტოგალერეა

## ძვირფასო გაითხველავო!



ფოტოზე, რომელიც „გზის“ №13-ში დაიბეჭდა, ბორჯომელ რეჟისორ კატკაჭიშვილს ეკუთვნის და მასზე თავად რეჟისორი გამოსახული, თავის კატასთან — ლუსთან ერთად ამის შესახებ დედამისმა, მარი ზაქაშვილმა გვაცნობა და ისიც დასძინა — ჩემი შვილის სურათი ინტერნეტკაფედან ზვიად გოგოლაძემ გამოგიგზავნათო (მას არ დაუდასტურებია, რომ ფოტოს ავტორი თავად არ იყო). აქვე შეგახსენებთ, რომ „ჩვენი ფოტოგალერეა“ კვლავაც ელის თქვენს ნამუშევრებს. ნებისმიერი აპარატი (მათ შორის, მობილური ტელეფონით) გადაღებული კურორტული ფოტო ამ გვერდზე დაიბეჭდება.



ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგიგზავნათ ელფოსტით: [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com), „კვირის პალიტროს“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდით რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

# რით სჯობს ქალი მამაკაცს

## ქალი უფრო ხელმარჯვეა, ვიდრე მამაკაცი

არავინ დაობს იმის თაობაზე, რომ ქალები ხელმარჯვეობით გამოირჩევიან და ადვილად მანიპულირებენ თვით ყველაზე პატარა საგნებითაც კი. ამ უნარს ქალის ორგანიზმში ესტროგენის ჰორმონის სიჭარბე განაპირობებს. ჯერ კიდევ მატრიარქატის ხანაში, ქალები, დროის უმეტეს ნაწილს კენკრის შეგროვებაში ატარებდნენ. ხელმარჯვეობა, როგორც ბუნებრივი, ასევე ისტორიულად შექმნილი თვისებაა და ქალის მომხიბვლელობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს.

## ქალს უკეთესი სმენა აქვს

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით უკეთესი სმენით გამოირჩევიან. გარდა ამისა, ისინი თურმე ექვსჯერ უფრო მეტად მუსიკალურები არიან, ვიდრე მამაკაცები და მათზე უკეთაც ცეკვავენ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ქალებს გაცილებით უკეთესი კოორდინაციის უნარი აქვთ.

## ქალი არ დაიმშვავ


ქალების ორგანიზმი ბუნებრივად მდიდარია რეზერვებით, რომლებიც მათ სხეულის გამოფიტვისა და ავითამინოზისგან იცავს. რა თქმა უნდა, ამას უარყოფითი მხარეც აქვს: გადაჭარბებული კვების შემთხვევაში, ქალები გაცილებით იოლად იმატებენ წონაში, ვიდრე მამაკაცები.

## ქალი უფრო დაკვირვებული და ყურადღებიანია

ქალებს ნიუანსების დამახსოვრების გამორჩეული უნარი აქვთ. ამას პოლიციელებიც ადასტურებენ: მათ მოწმებთან ურთიერთობისას ერთი საინტერესო რამ დაასკვნეს — ქალები საოცარი სიზუსტით იმახსოვრებენ ისეთ დეტალებს, როგორც არის თმის ფერი, წონა და სიმაღლე.

## ქალი სექსში უფრო სტაბილურია, ვიდრე მამაკაცი

ცნობილია, რომ თუ მამაკაცები თავისი სექსუალურობის პიკს 20-25 წლის ასაკში აღწევენ, ქალები ამ მხრივ „წინსვლას“ 35-40 წლამდე აგრძელებენ.



დე აგრძელებენ. ამასთანავე, ისინი მამაკაცებზე გაცილებით სტაბილური პარტნიორები არიან.

## ქალს ნაკლები უბედური შემთხვევა მოსდის

მამაკაცები 3-ჯერ უფრო ხშირად იღუპებიან უბედური შემთხვევის გამო, ვიდრე ქალები. ამის მიზეზი (გარდა იმისა, რომ ბიჭები უფრო რისკიან და სახიფათო სპორტსა და საქმიანობას ირჩევენ) ის გახლავთ, რომ ტესტოსტერონის მომეტებული გამოშვების შედეგად, ძლიერი სქესის აგრესიულობა იზრდება. ამასთანავე, ქალებს, მამაკაცებისგან განსხვავებით, გამძაფრებული აქვთ თავდაცვის ინსტინქტი.

## ქალს უკეთესი ორიენტაციის უნარი აქვს

აბა, სცადეთ და სთხოვეთ თქვენს მეგობარ მამაკაცს, დახუჭოს თვალები და ისე გიჩვენოთ, საით არის ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. ნუ გაგიკვირდებათ, თუ იგი უშეცდომოდ გიპასუხებთ. მაგრამ სადმე თუ დაიკარგებით და გზის გაკვლევა გაგიჭირდებათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — სწორედ თქვენ იქნებით ის, ვინც შინისკენ გზას გაიგნებს. ექსპერტები ამბობენ, რომ

ქალებს ისტორიულად მოსდგამთ ადგილის დამახსოვრების უნარი.

## ქალი უკეთესი ფინანსური მენეჯერია

უცხოეთში ის საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, წელიწადში საშუალოდ 21,3% მოგებას იღებენ, მაშინ, როცა მამაკაცები, დროის ამავე მონაკვეთში მოგების მხოლოდ 15%-ს აღწევენ. აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო ფრთხილობენ გარიგებების დროს, მამაკაცები კი ხშირად მიდიან უაზრო რისკზე. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქალებს ერთი საინტერესო თვისებაც ახასიათებთ: ისინი, ვიდრე სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებენ, საგულდაგულოდ აგროვებენ ინფორმაციას ბიზნესპარტნიორის შესახებ. გარდა ამისა, ქალები მამაკაცებზე უკეთ ახერხებენ ბიზნესპარტნიორებთან, კონსულტანტებსა თუ თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, რაც საქმეში წაადგებათ კიდევ.

## ქალი უფრო ვერბალურია

საგანგებო ტესტებმა ცხადყო, რომ მეტყველების უნარითა და ეფექტურობით, როგორც წესი, გოგონები ბიჭებს სჯობნიან. ამის მიზეზი ისევე და ისევე ესტროგენის სიჭარბეა, რომლის წყალობითაც თურმე ინფორმაცია უმალ აღიქმება — რაც, საბოლოო ჯამში, ქალს უფრო ვერბალურს ხდის.

## ქალს უკეთესი მხედველობა აქვს

ქალების თვალის გუგებზე დაკვირების მიხედვით, სპეციალისტებმა ერთი საინტერესო დასკვნა გამოიტანეს: თურმე, ქალებს, მამაკაცებზე უკეთესი პერიფერიული მხედველობა აქვთ. ეს ნიჭი მათ ხელს უწყობს ადამიანის შეცნობაში და მნიშვნელოვან არავერბალურ ინფორმაციას აწვდის.

## ქალი უფრო ზეჯიტიია

დააკვირდით, როგორ მუშაობენ მამაკაცები — ცოტას ნაიმუშავებენ და უკვე ნახემსება ან ლუდით გაგრილება მოუწდებათ; ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებიან. ქალები კი საქმეს მუყაითად ასრულებენ და ამ სიბეჯითის წყალობით, ზარმაც, მაგრამ მასზე ნიჭიერ მამაკაცებზე მეტ წარმატებას აღწევენ.





გონივრული



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-13

— რიჟკოვია! — ეკრანის ნახვისთანავე ჩაილაპარაკა ლუკამ, მერე სწრაფად მი-  
აუხლოვდა მანქანას, უკანა კარი გამოა-  
ლო, ტარბას მობილური მიაჩენა, თანაც  
შუბლზე პისტოლეტი მიაბჯინა და გამოცრა:  
— უპასუხე და გაფრთხილებ, ახვარო, რამე  
ზედმეტი რომ წამოგცდეს, აქვე გაგიხვრეტ  
შუბლს!..

მუქარამ იმოქმედა. ტარბამ მობილური  
ჩამოართვა და რიჟკოვს შეეხმინა.

— სად ხარ? — უმაღლესი ხმით ყურმილი-  
იდან.

— ადგილზე, — უპასუხა ტარბამ.

— მარტო ხარ?

— რა თქმა უნდა.

— დამელოდე... ათ წუთში მანდ ვიქნე-  
ბი, — უპასუხა რიჟკოვმა და პირველმა  
გათიშა აპარატი.

ლუკამ ტარბას მობილური გამოართვა,  
ვოვას ანიშნა, — გამომეყვიო. ამის დანახ-  
ვაზე ტარბამ თავი ჩაქინდრა და თვალები  
დახუჭა. ის უკვე ელოდა გასროლას, რომელ-  
იც ყველაფერს წერტილს დაუსვამდა, მა-  
გრამ ასე არ მოხდა. ვიდრე ის სიკვდილი-  
ისთვის ემზადებოდა, ჯაბა საჭეს მიუჯდა  
და მანქანა ადგილიდან აძარა. ლუკამ მზ-  
ერით გააცილა „მერსედესი“ და როგორც  
კი ის თვალს მიეფარა, შებრუნდა და ვოვას-  
თან ერთად, საპირისპირო მხარეს წავიდა.  
ასიოდ მეტრის გავლის შემდეგ ისინი ერთ-  
მანეთს დაშორდნენ. ვოვა სასტუმროს მახ-  
ლობლად, ბუჩქნარში მიიმალა, ლუკამ გზა  
განაგრძო. სწორედ ამ დროს, გზატკეცილი-  
იდან გაკაფულ ბუჩქნარში, ფარეზანთებულმა  
მანქანამ გადაუხვია და გაჩერდა. ლუკამ  
ნაბიჯს აუჩქარა. მოახლოებული ლანდის  
დანახვაზე, რიჟკოვი მანქანიდან გადმოვი-  
და და მისკენ წავიდა. მათ შორის რამდენ-  
იმე ნაბიჯი რჩებოდა, როდესაც ლუკა მოუ-  
ლოდნელად მოსწყდა ადგილს, გაექანა და  
რიჟკოვს გამეტებით შემოჰკრა სახეში პის-  
ტოლეტის ტარი. მან დაიგმინა და მონ-

ყვეტილივით დაეხეთქა  
მინაზე. ლუკა ზემოდან  
მოექცა, გაბრუებულს  
პისტოლეტი წაართვა  
და გვერდზე მოისრო-  
ლა. მერე კი თავისი  
იარაღის ლულა სახე-  
ში მიაბჯინა და ავად  
ჩასძახა:

— ხმა არ ამოიღო,  
თორემ აქვე გაგათავებ!  
გაოგნებულმა რი-  
ჟკოვმა მანინც წამოიყვი-  
რა, რასაც კიდევ ერთი  
დარტყმა მოჰყვა.

— ვინ ხარ? —  
შიშით ამოიკნავლა  
რიჟკოვმა.

— ადგილი! — უბრ-  
ძანა ლუკამ. შუბლიდან  
პისტოლეტის მოუშო-  
რებლად, ფეხზე ააყენა  
და ბუჩქნარის სიღრმე-

ში შეათრია.

რიჟკოვი მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ  
ვინ იდგა მის წინაშე და განწირულმა  
დაიხრიალა:

— გეგეშიქი!!!

— არ ელოდი ჩემთან შეხვედრას, ნაბი-  
ჭვარო?!

— როგორ მოხვდი აქ? — ანგარიშმი-  
უცემლად იკითხა რიჟკოვმა.

— შენმა ძმებმა ჩაგიშვეს!.. ნაბიჭვრე-  
ბისგან ყოველთვის უნდა ელოდო გადა-  
გდებას!.. ერთხელ გაყიდული მესადეც გაიყ-  
იდება, ოღონდ ოდნავ მეტ ფასად!.. გადა-  
ხედე შენს „პადელინიკებს“!.. ამ ნაბიჭვრე-  
ბიდან რომელი არ გაგყიდდა?! გამზათი!..  
ჩაჩბა!.. ტარბას!.. ნოვაკი!.. ყველა ერთნარი  
„დიშოვკაა“!.. შენ კი — ყველაზე დიდი  
დამპალი!.. დიდი მაყუთის შოვნა გინდო-  
და?! მაგრამ იცოდე, რომ დიდი მაყუთი  
დიდ სისხლს მოითხოვს და ის შეიძლება,  
შენიც იყო!.. აქამდე მარტო სხვისი სისხ-  
ლი იღვრებოდა და შენც კმყოფილი იყავი!..  
დღეს კი მარტო ერთს გეტყვი: შენ მოკვდე-  
ბი... სისხლი — სისხლის წილი!!! — შეუღ-  
რინა ლუკამ და პისტოლეტის ლულა თვა-  
ლის ბუდეში ჩააბჯინა.

— რას აკეთებ?! დაგავინწყდა, ვინ ვარ?!  
ჩემს მკვლელობას არავინ შეგარჩენს!..

— მე უკვე „ტრუპი“ ვარ. ისეთ ჭაობში  
ჩამაგდე, რომ გადარჩენის შანსი აღარ  
მაქვს. ყველა ჩემზე ნადირობს — პროკუ-  
რატურა, ძალები, „ფეხსზე“... საქართვე-  
ლო... უკრაინა... აფხაზები... ჩეჩნები...  
როდემდე ვირბენ?.. ადრე თუ გვიან, აღარ  
გამიმართლებს... მაგრამ შენ მაინც არ  
გაბაიარამებ... ჩემზე ადრე გაგისტუმრებ  
საიქიოში, — ლუკამ სიტყვის დამთავრება  
ვერ მოასწრო, რომ გზატკეცილის მხრი-  
დან გაბმული სტვენა გაისმა. მას ავტომა-  
ტის ჯერის ხმა მოჰყვა, მერე — პისტო-  
ლეტის რამდენიმე გასროლის, რაც მალე  
ნამდვილ ბრძოლაში გადაიზარდა.

— აქაც მომადგინო, ნაბიჭვრებო!.. —  
კბილები გაახრჭიალა ლუკამ და მაშინვე  
თითი სახსლეტს გამოჰკრა.

რიჟკოვმა ინსტინქტურად იგრძნო, რომ  
ლუკას სიტყვებს გასროლა მოჰყვებოდა  
და თავის გადასარჩენად, გვერდზე გადა-  
ქანდა. ეს არ უშველიდა, მაგრამ პისტო-  
ლეტი არ გავარდა. ლუკამ სწრაფად მოზი-  
და ჩახმახი, რათა პისტოლეტი გადაეტენა,  
მაგრამ რიჟკოვი მიხვდა, რომ ეს მისი  
გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო და  
დაუნდობლად ეტაკა. ბუჩქნარში გააფრთე-  
ბული ბრძოლა ატყდა. რიჟკოვი ორივე  
ხელით ჩააფრინდა ლუკას მარჯვენაში,  
მუხლს მუცელში ურტყამდა და პისტო-  
ლეტის წართმევას ცდილობდა. დაახლოე-  
ბით იმავეს აკეთებდა ლუკაც. თან მარცხ-  
ენას მონინააღმდეგეს დაუნდობლად  
ურტყამდა სახეში. სამი თუ ოთხი მუშტი  
რიჟკოვს პისტოლეტის ტარით გახეთქილ  
ყვრიმალში მოხვდა. ცოტაც და, აუტანელი  
ტკივილისგან გონებას დაკარგავდა. მაგრამ  
არც ლუკა იყო უკეთეს დღეში. მისი დარ-  
ტყმები უფრო და უფრო სუსტდებოდა  
და პისტოლეტსაც გაჭირვებით იკავებდა  
მარჯვენაში. საბოლოოდ, მანაც რიჟკოვმა  
იმარჯვა და პისტოლეტი ხელიდან გამო-  
ჰგლიჯა. მაგრამ წონასწორობა დაკარგა  
და უკან გადავარდა. ლუკამ მაშინვე მისკენ  
წაინია, მაგრამ „ფეხსებმნიკმა“ აქაც იმარ-  
ჯვა და პისტოლეტის გადატენა მოასწრო.  
ჩახმახის ჩხაკუნმა ლუკა მიახვედრა, რომ  
ორთაბრძოლა წაგებული ჰქონდა. შებრუნ-  
და და ბუჩქნარში სირბილით მიიმალა.  
რიჟკოვმა მისივე პისტოლეტიდან რამდენ-  
იმე ტყვივა დაადგენა, მაგრამ — უშედე-  
გოდ. ლუკა თვალს მიეფარა. ამასობაში,  
მოსახვევის მიღმა გააფრთებული სროლა  
გრძელდებოდა. რიჟკოვმა, რომელსაც წარ-  
მოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა ხდებო-  
და იქ, ლუკას დადგენება ვეღარ გაბედა  
და გაიქცა სასტუმროსკენ, სადაც თავისი  
ხალხი და თავშესაფარი იგულებოდა.

ჯგუფის ორი წევრი, რომელიც აფხ-  
აზეთში მასთან ერთად მუშაობდა, კიბზე  
ჩამორბოდა. რიჟკოვს ძალამ უღალატა და  
კიბის წინ მუხლოკვეთილი ჩაიკვეცა. მისმა  
ხალხმა მაშინვე ხელში აიტაცა და სასტუმ-  
როში შეიყვანა. მერე ერთ-ერთმა ცხვირ-  
სახოკით სცადა ყვრიმალიდან ჩამოდენი-  
ლი სისხლის შეჩერება, მეორე კი ყვი-  
რილით ეცა შიშით თვალებგაფართოებულ  
ადმინისტრატორს, — ჩქარა, ჭრილობის  
დასაშუაგებელი მედიკამენტები მოიტანო!..

— მილიციაში დარეკეთ? — ქოშინით  
იკითხა რიჟკოვმა, ვიდრე ჭრილობას უხ-  
ვევდნენ.

— ადმინისტრატორმა დარეკა, — უპ-  
ასუხა თანაშემწემ.

— ჩვენს ხალხს დაუკავშირდი? — გა-  
ნაგრძო რიჟკოვმა.

— ადგილობრივი სამსახური რამდენ-  
იმე წუთში მოვა!

— გააჩუმეთ ეს იდიოტები! — ადმინ-  
ისტრატორს უყვირა ხმაურით შეწუხე-  
ბულმა რიჟკოვმა და თავის ხალხს მიუ-  
ბრუნდა: — რა ხდება იქ?

სწორედ ამ დროს, გზატკეცილზე  
აფეთქების ხმა გაისმა. ცაში ცვეცხლის  
კაშკაშა ღრუბელი აიჭრა, რომელმაც წა-  
მით იქაურობა გაანათა. ამასთან ერთად,

სროლაც შეწყდა და სწრაფად დაძრული მანქანის ძრავა აღმუშავდა.

— გარბიან ნაბიჭვრები!.. არ უნდა გაფუშვით!.. — რიჟოვმა გასასვლელიკენ გაიწია.

— ჩვენ არ ვიცით, რა ხდება იქ. ჯობია, ჩვენს ხალხს ან მილიციას დაველოდოთ, — წინ გადაუდგა თანაშემწე, მაგრამ რიჟოვმა ხელისკვრით ჩამოიშორა და გარეთ გავარდა.

შეტაკების ადგილზე რიჟოვს საშინელი სურათი დახვდა: გზატკეცილის პირზე, გვერდზე გადაწოლილი მანქანა იწვოდა, მისგან ორიოდ მეტრში, სანახევროდ დამწვარი გვამი ეგდო, ოდნავ მოშორებით — კიდევ ერთი გვამი; გზის მეორე მხარეს, მესამე ცხედარი მოჩანდა, გზატკეცილი კი მასრებით იყო მოფენილი.

— რა მოხდა აქ? — დაბნეული სახით იკითხა რიჟოვის თანაშემწემ.

— ის „ტრუპი“ ცეცხლს მოაშორე! — აღმოდებულ მანქანასთან მიტოვებულ გვამზე მიუთითა რიჟოვმა, მერე მეორე თანაშემწეს მიუბრუნდა და უბრძანა: — უკან გაბრუნდი და ვიდრე ჩვენი ხალხი არ მოვა, მილიცია აქ არ მოუშვას!

— არ მოუშვას?! — გაუკვირდა თანაშემწეს. — გამოძახებზე ოპერატიული ჯგუფი მოვა. მათ თხოვნი ვერ გააჩერებ.

— რაც გინდა, ის გააკეთე... გინდ სთხოვე, გინდ უბრძანე, გინდაც ესროლე, მაგრამ არც ერთი „მენტ“ აქ არ ვნახო!.. — გააფთრებულმა უყვირა და ხელისკვრით გააგდო.

თანაშემწემ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო, რომ გზისპირა ბუჩქნარს ბარბაცით გამოსცდა მამაკაცის ლანდი, იქვე ჩაიკეცა და მისუსტებული ხმით წამოიძახა:

— ვალერი, აქ ვარ, მიშველე!..

— შეამონე! — უბრძანა თანაშემწეს რიჟოვმა და თავის დასაზღვევად, უცნობი მიზანში ამოიღო.

თანაშემწე ფრთხილად მიუახლოვდა მამაკაცს, სახეში ჩააცქერდა და რიჟოვი ხელით მიიხმო. ის მაშინვე მიუახლოვდა მამაკაცს და გაშეშდა — მის წინაშე რუსლან ტარბა იწვა!

— მიშველე, ვალერი... დაჭრილი ვარ, — შეევედრა ტარბა.

— როგორ მოხვდი აქ? — ეჭვით ჰკითხა რიჟოვმა.

— გეგემიძემ ამიყვანა. ჩემი დაბრუნება უნდოდა, მაგრამ გავიქეცი...

— გაიქეცი?! — თვალები მოჭუტა რიჟოვმა. ეს დაუჯერებლად უღერდა: გეგემიძე არასოდეს მისცემდა გაქცევის საშუალებას. ესე იგი, ტარბა ტყუოდა და თუ ტყუოდა...

„ნაბიჭვარ გეგემიძესთანაა შეკრული. სხვა ვინ ეტყოდა გეგემიძეს ჩვენი შესვედრის შესახებ?.. არა, ნალდად ამ ნაბიჭვრის ჩაშვებული ვარ. ჩემი დაბრუნება

უნდოდა“, — გაუელვა რიჟოვს.

— ვალერი!.. — გაისმა მოულოდნელად. რიჟოვი შებრუნდა. თანაშემწეს ნახევრად დამწვარი გვამი უკვე მოეშორებინა აღმოდებული მანქანისთვის და ახლა მეორეს ათვალეერებდა.

— ეს ნახე! — დაძაბული სახით გამოხვდა თანაშემწემ.

რიჟოვი მაშინვე მიუახლოვდა და გვამს დახედა. მიცვალებულს სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი, მაგრამ მაინც შეძლო მისი ამოცნობა — გამზათი იყო.

— ის ვინ არის? — სანახევროდ დამწვარი გვამისკენ დაიძრა რიჟოვი.

— აზრზე არ ვარ... ეგ ტიპი არასოდეს... — წამოიწყო თანაშემწემ, მაგრამ ვიდრე დაამთავრებდა, რიჟოვი გვამთან დაიხარა და სახეში ჩააცქერდა. ნოვაკი იყო.

— შენი დედაც!.. — მოულოდნელად იფეთქა რიჟოვმა, ფეხზე წამოიჭრა, ერთი ნახტომით ტარბასთან გაჩნდა და წიხლი ჩააზილა.

— მაპატიე, ვალერი... ყველაფერს აგისსნი! — დაიკვნესა აფხაზმა.

— რა უნდა ამიხსნა, ნაბიჭვარო?! ისედაც ყველაფერი „იასნია“!.. გამიჩალიჩე?! ჩემი დაბრუნება გინდოდა?!

— არა... არა... ნოვაკმა ჩაგვიშვა, ყველაფერი „გაუიასნა“ გეგემიძეს...

— მერე?

— რა მერე?.. გეგემიძემ ნოვაკი დაბრ-

— სად და როდის?

— საღამოს... სად დაბრდა, არ ვიცი... მარტო ის ვნახე, როგორ ჩასვეს მანქანაში და სადღაც წაიყვანეს.

— ამაზე რას იტყვი, ნაბიჭვარო?! — აყვირდა რიჟოვი, მერე ტარბას კისერში ჩაავლო ხელი და ნოვაკის გვამთან მიათრია. — შეხედე... იცნობ? როგორ მოხვდა აქ ეს „ტრუპი“?!

— აზრზე არ ვარ, — ამოიხავლა ტარბამ.

— ეს... ეს როგორ მოხვდა აქ? — ახლა გამზათის გვამთან მიათრია რიჟოვმა.

სახეგასისხლიანებული ჩეჩნის ნახვამ ტარბა ბრინჯივით დააბნია.

— რას გაჩუმიდი, ნაბიჭვარო?! ხმა ამოიღე და ამიხსენი, რა მოხდა აქ?! — ყვირილი განაგრძო რიჟოვმა.

— არ ვიცი... ვერაფერი გამიგია, — აჩურჩულდა ტარბა. რიჟოვს მოთმინებამ უმტყუნა და სახეში პისტოლეტის ტარი შემოჰკრა.

— გეტყვი... ყველაფერს გეტყვი, — ულონოდ ჩაილაპარაკა ტარბამ, — საქმე მართლა ნოვაკმა გახეთქა, მაგრამ რატომ არ დაბრდა გეგემიძემ, არ ვიცი. წელან სიმართლე გითხარი. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ გაიყვანეს სახლიდან. ხიბიში დაიწყო, მაგრამ ვინ მოუსმენდა?! „ნარუჩნიკები“ დაადეს და ისე გაათრის.

მერე გეგემიძემ აქ წამომიყვანა.

— კიდევ ვინ იყო თქვენთან ერთად?

— მაგის ხალხი... „ზდაროვი“ „პადელნიკი“ რომ ჰყავს, ცალფეხა ჯაბა... მეორე სვანი იყო, ნარსავიძე და ხარკოველი „ბლატნიო“, ჩუმა!..

— მთელი „სასტავი“ აქ იყო?

— იქ მეორე მანქანაც იყო, მაგრამ ამათ გარდა არავინ მიწახაგეს. მეორე მანქანა უკან მოგვეყვებოდა. სასტუმროსთან არ დარჩენილა. გზა გააგრძელა და სადღაც მოშორებით გაჩერდა. გეგემიძე და ჯაბა მანქანიდან გადავიდნენ და რამდენიმე წუთი იზაზრეს. ამ დროს შენ დარევე. გეგემიძე მანქანასთან დაბრუნდა და მობილური მომცა...

— და შენც გამიჩალიჩე! — ავად გამოცრა რიჟოვმა.

— გამიჩალიჩე!.. — უკმაყოფილოდ გაიმეორა ტარბამ. — შენ როგორ მოიქცეოდი?.. გეგემიძემ შუბლზე პისტოლეტი მომაბჯინა, აქეთ-იქიდან კი ის სვანი და ჩუმა მესხდნენ!..

— კარგი, რა მოხდა მერე?

— არაფერი... შენთან ბაზარის მერე გეგემიძემ მობილური გამომართვა და ჩუმასთან ერთად, „სტრელკის“ ადგილისკენ წამოვიდა. ათი-თხუთმეტი წუთი ველოდეთ. აზრზე არ ვიყავით, შეგხვდა თუ



— გეგემიძე!!!  
— არ ელოდი ჩემთან შეხვედრას, ნაბიჭვარო?!  
— როგორ მოხვდი აქ? — ანგარიშმიუცემლად იკითხა რიჟოვმა.  
— შენმა ქმებმა ჩაგმიყვანეს!..

იდა. მე კი შენთან დამარეკვინა და აქ წამომიყვანა!

— ესე იგი, ნოვაკი დაბრდა? — ჩაეძია რიჟოვი.

— დაბრდა, — სწრაფად დაუდასტურა ტარბამ.

არა?.. ამ დროს, მეორე მხრიდან სხვა „სასტავი“ გაიჩინა და ეგრევე სროლა ატყდა. რა ხდებოდა, ვერაფრით ვხვდებოდით. მოსახვევის იქიდან ისროდნენ, მერე „სტრელკის“ ადგილზეც სროლა ატყდა. ჩუმამ და ჯაბამ ეგრევე იარაღი დაითრიეს... მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი შანსი იყო. ყურადღებას აღარ მამჩვენებდნენ და როგორც კი მომივლინა გამოჩნდა, მანქანიდან გადმოვხტი და ტყისკენ მოვხიე... არ ვიცი, რომელმა მესროლა. ალბათ ორივემ. გაქცეულმა ტყეებში დამადევნეს და დამჭრეს, — ნატყვიარ ვეხზე მიუთითა ტარბამ და განგრძო: — ნაღდად დაბრინდავდნენ. როგორც კი ნაქცეული დამინახეს, ჩემკენ წამოვიდნენ მოსაკლავად, მაგრამ ამ დროს ჩუმა და გეგემიძე გაიჩინეს. ჩუმა წინ მორბოდა, გეგემიძე — ოცი-ოცდაათი მეტრით უკან. მანქანისკენ მორბოდნენ და ყვიროდნენ: — დაიწვიოთ... მოვხიეთო!.. ამის დანახვაზე სვანმა და ჯაბამ თავი გამანებეს, მანქანაში ჩასხდნენ და მოხიეს...

— გეგემიძე?  
— გეგემიძე ჩამორჩა... ჩუმა უკვე მანქანაში ჯდებოდა, როცა გზის მხრიდან რამდენიმე ტიპი გაიჩინა. ყველა ისროდა. მაშინ გეგემიძემ დაიყვირა, — ნადითო! — და მეორე მანქანისკენ გავარდა. ესენიც აღარ გაჩერებულან. ეგრევე დაძრეს მანქანა და მოხიეს...

— მოიცა, — აღელდა რიჟკოვი, — შენ ამბობ, რომ გეგემიძე მეორე მანქანაში ჩაჯდა?

— ჰო, — თავი დაუქნია ტარბამ.

— მანქანა შეამოწმე! — უბრძანა რიჟკოვმა თანაშემწეს და ისევ ტარბას მიუბრუნდა: — სად გაქრა გამზათის ხალხი?

— დაჭრილი, ბუჩქებში ვინეცი და ბევრს ვერაფერს ვხედავდი. მარტო ხმები მესმოდა. ყველაფერი ისევე უცებ დამთავრდა, როგორც დაიწყო. გეგემიძის მანქანა „რეზკად“ გავარდა. გამზათის „სასტავი“ გამოეკიდა, მაგარი სროლა ატყდა, მერე რალაც აფეთქდა და ყველამ ერთად მოხია აქედან. ნახვით არავინ დამინახავს. მარტო სამი ან ოთხი მანქანის ხმა გავიგონე...

ვიდრე ტარბა დაასრულებდა, თანაშემწე სირბილით დაბრუნდა და რიჟკოვს მოახსენა: მანქანა ისევ იწვის, ახლოს ვერ მივდი, მაგრამ სამი „ტრუპი“ მინც ვნახე, ერთი — წინა სავარძელზეა, ორი კი — უკანაზეო!..

— გეგემიძე დაიბრინდა?! — გაოგნებულმა ჩაილაპარაკა ტარბამ.

— ეგ შენთვის არაფერს შეცვლის! — ცივად მიუგო რიჟკოვმა.

— რა დროს ეგა, ვალერი?! ყველაფერი კარგად დამთავრდა. გეგემიძე დაიბრინდა, თანაც — გამზათის ხელით. ვის წაუყენებს გეგემიძის ხალხი პრეტენზიას?.. გამზათიც

მკვდარია!.. ახლა დროზე მოვხიოთ აქედან. ნავიდეთ, ვიდრე ძაღლები გამოჩნებიან. რად გვინდა ამ საქმის ჩვენთან დაკავშირება?! — სწრაფად ალაპარაკდა ტარბა.

— ნავიდეთ?! — გაიკვირვა რიჟკოვმა. — ვის აბოლებ, ნაბიჭვარო?! გგონია, რომ მაგ ტრუხა ბაზარით შემაბი?! ვინ ჭამს მაგას?.. მე გეტყვი, რაც მოხდა აქ!.. დიდი ხანია, მივხვდი, რასაც ჩალიჩობდით შენ და ნოვაკი. გვერდიდან გვიყურებდით მე და გეგემიძეს და ელოდით, ვინ გაქაჩავდა და ვინ — უფრა!.. თქვენნარი ნაბიჭვრების ყიდვას რა შენდა? თქვენ ხომ არც ძმაცაცობა შეგიძლიათ და არც პარტნიორობა. ორ კაპიკად მშობელ დედას გაყიდით. ჰოდა, ახლაც გაიყიდეთ. შენ ჩამიშვი გეგემიძესთან და არა — ნოვაკმა. იმ ნაბიჭვარმა არაფერი იცოდა „ლაზურნიას“ შესახებ. ჩემი დაბრედა გინდოდით, მაგრამ რალაც არ გამოგივიდათ. საიდანღაც გამზათი გაიჩინა. მოხდა „პერესტრელკა“. შენ დაიჭერი და ველარ მოხიე. შენი ნაბიჭვარი „პადელნიკები“ კი იქ, „ტრასის“ პირას ხრჩოლავენ!..

— გეშლება, ვალერი! — შიშით წამოიძახა ტარბამ. — როგორ გგონია — შენთვის „ზასადა“ რომ მოგვეწყოს, ცოცხალი გადარჩებოდი?!



ხალხის წრე გაარღვია და სისხლის გუბებში გამოტოლო მამაკაცს თავზე წამოადგა. ეს ვალერი რიჟკოვი იყო. მისთვის კეფაში ესროლოთ. რიჟკოვი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო

— ეგ მე ვიცი, როგორ და რატომ დავრჩი ცოცხალი და ისიც, რა ბაზარიც გეგემიძედათ შენ და ნოვაკს გეგემიძესთან, მე რომ დავბრედილიყავი!..

— რას ამბობ?.. ვერ ხედავ, დაჭრილი რომ ვარ?! რა, მე თვითონ დავიჭერი თავი?!

— არა... საამისოდ ძალიან გიყვარს თავი. მაგრამ იმასაც ვერ დამიბტვიცებ, რომ გეგემიძის ხალხმა გესროლა!

— მაშ, ვინ მესროლა?!

— იმან, ვინც დაბრინდა ნოვაკი და დან-

არჩენები!.. ჩაიჭერი, რუსლან, მაგრად ჩაიჭერი!.. ისე, ეს მოსალოდნელიც იყო. შენი „კრისა“ „ზანაშევი“ მარტო შენნაირ „დიშოვკებთან“ თუ გაქაჩავდა. ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. „იასნია“, ვინც დაბრინდა ნუჯეთი და რატომაც მოტყდა გამზათი. ბრიყვი ნაღდად იყო, მაგრამ რალაცამ მინც დააეჭვა, ყველას გაფრინდა და მარტომ დაიწყო ჩალიჩი. სანყენია, რომ დაიბრინდა. ჩემთვის მართლა საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, თუ როგორ „გამოიფრა“ გეგემიძე, მაგრამ ეს არაფერი იმასთან შედარებით, რაც თავისი სიკვდილით გააკეთა! — ამ სიტყვებთან ერთად, რიჟკოვმა პისტოლეტის ლულა შუბლზე მიაბჯინა და კბილების ხრჭილით დაამატა: — თქვი!.. თქვი, ნაბიჭვარო!.. მინც „ტრუპი“ ხარ!.. კიდევ რაზე იბაზრე გეგემიძესთან და კიდევ ვისთან ჩამიშვი?!

— არა!.. არა!.. მე, — დაიწყო ტარბამ, მაგრამ ვიდრე დამთავრებდა, გზატკეცილზე სირენებით მომავალი რამდენიმე მანქანა გამოჩნდა. — მილიცია მოვიდა, ვალერი, — გაუბედავად ჩაილაპარაკა თანაშემწემ, — შარში გავხვევით. ყველაფერ ამას გონივრულ ახსნას ვერ მივცემთ.

— მივცემთ, — რიჟკოვმა სწრაფად შეავლო თვალი მოახლოებულ მანქანებს და უმალ გამოჰკრა სასხლეტს. გასროლისას ტარბა დენდარტყულივით შეხტა, მოკრუნჩხული გადაგორდა გვერდზე და გაშეშდა.

— რა გააკეთე, ვალერი?! — გაოგნებულმა ჩაილაპარაკა თანაშემწემ.

— რას გულისხმობ? — ბრაზით გახედა რიჟკოვმა.

— ამას, — ტარბას მოკრუნჩხულ სხეულზე მიუთითა თანაშემწემ.

— შენ რა, თვითონ ვერ ხვდები, რა მოხდა აქ?.. ეს პიროვნება ჩვენი ინფორმატორი იყო, რომელიც საგანგებო დაავადებას ასრულებდა. სამწუხაროდ, რალაც შეცდომა დაუშვა და ბანდიტებმა სიკვდილით დასაჯეს!.. გასაგებია?!

— გასაგებია, — მხერა აარიდა თანაშემწემ.

— მაშინ, საქმეს მივხედოთ, — ამ სიტყვებთან ერთად, რიჟკოვმა პისტოლეტი შორს მოისროლა და მანქანების შესახებ ვედრად დაიძრა.

რიჟკოვი საგანგებოდ ემზადებოდა ამ შეხვედრისთვის. წინასწარ გრძნობდა, რომ რიბკინთან ძალიან რთული საუბარი ელოდა. ერთი ხანობა აფხაზეთში გამგზავრებაც კი გადაწყვიტა, მაგრამ ამის გაკეთება ხელმძღვანელობამ აუკრძალა. „ლაზურნიასთან“ მომხდარი ინციდენტის თაობაზე ჯერაც მოკვლევა მიმდინარეობდა და ვიდრე ვითარება სრულიად არ გაირკვეოდა, მოსკოვში უნდა დარჩენილიყო. ამ ხნის განმავლობაში ის რამდენჯერმე დაჰკითხ-

ეს „ფევსებს“ თანამშრომლებმა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ საუნებრო მოკვლევა იყო და არა ოფიციალური გამოძიება, მაინც ძალიან გაუჭირდა ყველა კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ ეს იმდენად არ აფიქრებდა, რამდენადაც რიბკინთან შეხვედრა. ყველაზე მეტად კი ის აღელვებდა, რომ რიბკინი ერთხელაც არ დაჰკავშირებია. ისე ეჭირა თავი, თითქოს არც კი ახსოვდა მისი არსებობა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. ერთი კვირის თავზე, რიბკინმა მაინც გაიხსენა რიჩუკოვი და ოფიციალურ დაკითხვაზე დაიბარა.

იმ დროისთვის, მოკვლევის შედეგად, ძირითადი მონაცემები უკვე გაჩნდა. ეს მასალები ადასტურებდა, რომ გეგმიურ დალუპული იყო — მანქანაში ჩაიწვია. ამ ცნობამ რიჩუკოვი დაამშვიდა. ძებნილი გეგმიძის დალუპულად გამოცხადებას თავისთავად უნდა შეენწყვიტა ძიება, მაგრამ მანამდე უნდა შეემდგარიყო ერთი უსიამოვნო პროცედურა — რიბკინთან საუბარი!

დაკითხვაზე მისულ რიჩუკოს არც უცდია უკმაყოფილების დაფარვა და კაბინეტში შესვლისთანავე შეტევაზე გადავიდა:

— სხვანაირად არ შეგეძლო ჩემთან შეხვედრა?! რაში დაგჭირდა ამ საქმეში ჩემი სამსახურის ჩარევა?

— რას გულისხმობს საქმეში სამსახურის ჩარევა? — მშვიდად ჰკითხა რიბკინმა.

— უწყებას, რომელიც ჩემს სამსახურში გაგზავნე. შეგეძლო, პირადად დამკავშირებოდი. თუ ფიქრობ, რომ უარს გეტყვოდი შეხვედრაზე?!

— მე შეხვედრაზე კი არა, დაკითხვაზე დაგებარე! — ცივად უპასუხა რიბკინმა.

— ცეცხლს ეთამაშები, იგორ! — ბრაზი მოერიდა რიჩუკოს და მაგიდას მიუჯა. — ფრთხილად იყავი. არ დაგავიწყდეს, ვისთან გაქვს საქმე!

— ამდენი ხანია, სწორედ მაგის გარკვევას ვცდილობ, — რიბკინმა საქალაქდე გადაშალა და განაგრძო: — მე არ მაინტერესებს ის გულის ამაჩუყებელი ამბავი, რომელიც შენს ხელმძღვანელობას მოუყევი. პირდაპირ გკითხავ: რატომ მოკალი რუსულან ტარბა?

— რა?! — წამოენთო რიჩუკოვი. —

პროვოკაციას მიწყობ?!

— ვალერი, შენ კარგად მიცნობ და მგონი, უნდა ხვდებოდე, რომ უსაფუძვლოდ ასეთ კითხვას არ დაგისვამდი!

— შენც კარგად მიცნობ და მგონი, უნდა ხვდებოდე, რომ ასეთი კითხვა არ უნდა დაგესვა! — გაიმეორა რიჩუკოვა.

რიბკინმა შეუბღვირა:

— კარგი, იყოს ასე, მაგრამ მაშინ, სხვანაირად მოგვიწევს საუბარი... ერთ ჩვენებას წავიკითხავ... გაითვალისწინე, რომ ეს სისხლის სამართლის საქმის მასალებია... „სროლა მიწყნარებული არ იყო. სამალავიდან სახეგასისხლიანებული მამაკაცი დავიხსენე. სასტუმროსკენ მორბოდა. ვიფიქრე, დავეხმარები-მეთქი, მაგრამ ხელში პისტოლეტი ეჭირა და ამან შემაშინა. იმ მამაკაცმა ახლოს ჩამიარა. ვერ შემიძინა, მაგრამ მე შევეძლია მისი შეთვალერებო... ეს კაცი ვალერი რიჩუკოვი იყო. ზუსტად არ ვიცი, რას საქმიანობს, მაგრამ ბევრჯერ მინახავს სასტუმროში, როცა ვილაცხვებ ხვდებოდა... ყველაზე ხშირად, რიჩუკოვთან შესახვედრად, კავკასიელები ჩამოდიოდნენ, მგონი — აფხაზები...“

— გილოცავ! — რიჩუკოვა თეატრალურად დაუკრა ტაში. — მაგრამ გიმუშავია. ასე გააგრძელე და მალე რომელიმე პროვინციული განყოფილების გამოძიებლობას მიაღწევ!

რიბკინს ყურადღება არ მიუქცევია დაცინვისთვის, მშვიდად განაგრძო ჩვენების კითხვა:

— „როგორც კი რიჩუკოვი სასტუმროში შევიდა, კიდევ ორი მამაკაცი შევნიშნე. იმავე მხრიდან მორბოდნენ, საიდანაც რიჩუკოვი მოვიდა. ერთს, მენინავებს, პისტოლეტი ეჭირა, მეორე — უიარალოდ იყო. ამ დროს საპირისპირო მხრიდან კიდევ ორნი გამოჩნდნენ. უიარალო მათ დაუყვირა, — გაიქეციეთო!.. პისტოლეტიანი და ის ორნი ერთად გაიქცნენ იქვე მდგომი მანქანისკენ, უიარალო კი მეორე მხარეს გავარდა. იქ კიდევ ერთი მანქანა იდგა. მანქანა მაშინვე დაიძრა და თვალს მიეფარა. წამში აფეთქების ხმა გაისმა...“

— დავილაღე, იგორ, — ისევ შეანყევტინა რიჩუკოვა, — მე ვიცნობ ამ მასალებს. რა საქიროა გამეორება?!

— არა მგონია, ამ ჩვენებას იცნობდე, — საქალაქდისთვის თვალის მოუშორებლად ჩაილაპარაკა რიბკინმა და კითხვა

განაგრძო: — „სროლა აფეთქებისთანავე შეწყდა. ორიოდ წუთში კი სასტუმროდან რიჩუკოვი და კიდევ ორნი გამოვიდნენ. თავიდან იქაურობა მოათვალისწინებ, მერე მოსახვევისკენ წავიდნენ, სადაც მანქანა იწვოდა. ამ დროს ბუჩქებიდან კიდევ ერთი კაცი გამოვიდა. ალბათ დაჭრილი იყო. ბარბაცით მოდიოდა და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ჩაიკეცა. რიჩუკოვი მაშინვე იმ კაცთან მივიდა. სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ ყვირილმა რამდენჯერმე მოაღწია ჩემამდე. ასე, სუთი წუთი ელაპარაკეს, მერე რიჩუკოვა იმ კაცს ცემა დაუწყო. რამდენჯერმე დაარტყა. ბოლოს, პისტოლეტი მიაბჯინა შუბლზე და ესროლა. ამან ისე შემაშინა, რომ მაშინვე უკან გავფოფხდი და როგორც კი ტყემდე მივალწი, გავიქეცი“. რას იტყვი ამაზე? — რიბკინმა საქალაქდეს მზერა მოსწყვიტა.

— უაზრო ბოდევა და მეტი არაფერი, — მშვიდად მიუგო რიჩუკოვმა. იმ წუთებში ჩვენება მართლაც უაზროდ ეჩვენებოდა. სასტუმროდან ყოველივე ამის დანახვა შეუძლებელი იყო. ამის მიუხედავად, მისმა ხალხმა მაინც მოაწყო გამოკითხვა. ის მართალი აღმოჩნდა. სროლასა და აფეთქებას ისე დაეშინებინა სასტუმროში მყოფნი, რომ ფანჯრებთან მიხსლოებაც კი ვერ გაუბედავთ. ერთადერთი, ვინც მისმა ხალხმა ვერ დაჰკითხა, ავტოსადგომის დარაჯი იყო — ვერსად იპოვეს. ჩანს, სროლით შემინებული, ავტოსადგომიდან გაიქცა... „მაგრამ იქნებ, არც გაქეუვლა და...“ — მოულოდნელად გაუელვა რიჩუკოს და სწრაფად იკითხა:

— ვინ მოგცა ეგ ჩვენება?

— და არა მხოლოდ ჩვენება. მე უკვე ჩავატარე ამოცნობა. მოწმემ ფოტოსურათით ამოგიცნო და დაადასტურა, რომ სწორედ შენ ხარ ის პიროვნება, რომელმაც ტარბას ესროლა!

— ვინაა ის ადამიანი?

— ავტოსადგომის დარაჯი, — ეჭვი დაუდასტურა რიბკინმა.

— გაგიჭირდება. მარტო ერთი მოწმის ჩვენებით ვერაფერს დაამტკიცებ! — ნიშნის მოგებით თქვა რიჩუკოვა. — შენი მასალები „შპანასთან“ ან რომელიმე „დიშოკვა“ ჯიბგირთან გაქაჩავედა, მაგრამ ჩემნაირ კაცს მაგ ჩვენებით ვერაფერს დააკლებ!.. თანაც, ეს ყველაფერი — „ტრუხაა“. ბევრი რამ მე თვითონაც ვერ გამიგია. ის

გორა განველიქე ნაკოშიღვანთ! 4 აპრილს 4 საათზე **გგლეპი 4** „გაღერაა უნივერსუი“ ნიბნის პრეზენტაცია და შეხვედრა ავტორთან (კოსტავას ქ. №68) დასწრება თავისუფალი

ნაბიჭვარი აფხაზი, ტარბა ინფორმაციას დაპირდა, მაგრამ ამის მაგივრად, გეგე-შიძეს შეეკრა და „ზასადა“ მომიწყო. რალაც სასწაულის წყალობით გადავრჩი. საიდან-ღაც გამზათი გაიჩითა. მის ხალხსა და გეგეშიძის „სასტავს“ შორის „პერესტრელკა“ ატყდა. ამ დროს გეგეშიძემ მოკვლა დაიპირა. მესროლა კიდევ, მაგრამ პისტოლელტმა „ასეჩკა“ მისცა. ვიდრე იარაღს გადატვირდა, დავეტაკე. ატყდა „ბოი“. ჩხუბში იარაღი წავართვი და სხვა გზა რომ არ ჰქონდა, გაიქცა. გავიკადე, მაგრამ ვე-ღარ დავენიე. მანქანაში მოასწრო ჩაჯდომა. თუმცა შორს ვერ წავიდა. გამზათის ხალხმა მანქანა დაცხრილა და ააფეთქა... სხვას ვერაფერს გეტყვი. გამზათი ცოცხალი რომ ყოფილიყო, რალაცს მინც „გავაიასნებდით“, მაგრამ ის დაიბრიადა. დაიბრიადა ტარბაც, მაგრამ ვინ მოკლა, აზრზე არა ვარ. შეიძლება, გეგეშიძის ხალხმა დაბრიადა, შეიძლება, გამზათის ჩეჩნებმა მიაკლეს... მოკლედ, არ ვიცი, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, არსი ერთია: ტყუილად ჩალიჩობ ამ საქმის ჩემზე აკიდებას. ერთი მონინტი მინც ვერ გაქაჩავს..

— ცდები, ვალერი, მე კიდევ რამდენ-ინი მონზე მყავს!

რიჟკოვმა ეჭვით გახედა.

— ოპერატიული ჯგუფის წევრები, რომლებსაც შემთხვევის ადგილზე მოუწიათ მუშაობა.

— რა შუაშია ოპერატიული ჯგუფის წევრები?! — დაიბნა რიჟკოვი.

— ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვი, ვალერი. ტარბა გადარჩა!..

— გადარჩა?! — თვლები გაუფართოვდა რიჟკოვს.

— საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა, მაგრამ ვიდრე იქამდე მიაღწევდა, რალაცის თქმა მინც მოასწრო.

— რა თქვა?

— რაც თქვა, სრულიად საკმარისია პასუხისგებში შენს მისაცემად...

— მინც?

— ნეჯეთან ურთიერთობის დეტალები გაიხსენე და თვითონაც მიხვდები, რა მასალებიც დეფს სისხლის სამართლის საქმეში, — რიბკინმა საქალაქდებე დააკაკუნა.

— იგორ, — შუბლი მოისრისა რიჟკოვმა, — რად გინდა ამის გახმაურება?! ყველაფერი ნათავრდა. გეგეშიძე მკვდარია ადარც დეჯეთი, გამზათი და ტარბა იტყვიან რამეს. დავრჩეთ მეგობრებად. დარწმუნებული იყავი, რომ პატივისცემა მეც შემიძლია... შენ შეძლებ ყველაფრისთვის სხვა ელფერის მიცემას... ვინ იყო ტარბა?..

— „დიმოვი“ ინფორმატორი, რომელიც თავის გაუმძაღრობას შეენირა. არ ღირს იმ ნაბიჭვრების გულისთვის „ფეხსებს“ გადამტერება!..

— შენ წარმოიდგინე, სულ ცალ ფეხზე მკივია ტარბაც და დანარჩენი ნაბიჭვრებიც!..

— მაშ, ვისი ინტერესი გაქვს? — გაუჟვირდა რიჟკოვს.

— შენი! — მოსხიბა რიბკინმა. — შენ დაამკვიდრე აფხაზეთში არაბი ნაბიჭვარი, რომელიც ჩეჩნეთში ჩვენს ჯარისკაცებს

ყელს სჭრიდა!.. შენ შექმენი სოხუმში წარკობარეგების ოაზისი და შენვე ქმინდი ახალ წარკობარეგებს, რომელიც უამრავ ადამიანს სანამლავს მიანვდიდა!.. განა ეს საკმარისი არ არის?! საკმარისიცაა და უფრო მეტიც. მაგრამ მარტო ეს არ არის საქმე. შენ მე გადამაგდე!..

— გადამაგდე?! — გაუჟვირდა რიჟკოვს. — როდის და რაში?!

— შენ, გეგეშიძის სანაცვლოდ, გამზათის ხელშეუხებლობა მოითხოვდი!.. მაშინ არაფერი ვიცოდი ნეჯეთის და მცოდნე წარკობარეგის თაობაზე. ეს რომ მცოდნეოდა, ვერაფრით დამითანხმებდი. მაშინ ვფიქრობდი, რომ გამზათის სახით, ინფორმატორს იცავდი და ამიტომაც დაგთანხმდი, მაგრამ სხვა გეგმები გქონია. შენს ინტერესებში არ შედიოდა გეგეშიძის და მისი ხალხის აყვანა!.. გეშინოდა, რომ მისი ხალხიდან შენს ბარიერზე გავიდოდი. იმ შეთანხმებით კი მარტო დროის მოგება გინდოდა. მანამდე აპირებდი გეგეშიძის „სასტავის“ თავიდან მოშორებას, ვიდრე მე შეეძლებოდა მათ აყვანას!.. მართალი ვარ თუ არა?!

— არა, იგორ, ცდები!

— მაგას სასამართლო გაარკვევს!.. მანამდე კი ჩემს ვერსიას გაგაცნობ: იმ შეთანხმებით, შენ დროებით მომიშორე თავიდან და მთელი შენი ხალხი გეგეშიძის ძებნაში ჩართე, მაგრამ არც გეგეშიძე იჯდა გულხედავრეული. მანამდე მიაგნო ნეჯეთს, ვიდრე შენი ხალხი მას მიაკვლევდა. მიაგნო და ჯოჯოხეთში უმოკლესი გზით გაამგზავრა. შენ კი „ლაზურნაიასთან“ მიყენე საპასუხო დარტყმა. ეს ტარბას გარეშე არ მომხდარა: ის ხომ ამისთვის მიუგზავნე გეგეშიძის „ზასადა“ გამზათმა მოაწყო. დანარჩენი, ტექნიკის საქმე იყო. გზაზე მიმავალი მანქანების დაცხრილვა რთული არ იქნებოდა. მანქანა, რომელშიც გეგეშიძე იჯდა, აფეთქდა. ყველა დაიღუპა. მეორე მანქანა გაგვეცათ, მაგრამ ეს უმნიშვნელო იყო შენთვის. მთავარი საქმე გაკეთებული იყო: გეგეშიძე მანქანასთან ერთად ინვოდა. იქვე დაიბრიადა გამზათიც. მისმა ხალხმა კი სროლის დამთავრებისთანავე მოხია!.. მაგრამ შენ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვი, ვალერი!.. გეგეშიძესთან ერთად დაიღუპა ალექსანდრე ნოვაკი, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი და შინაგან საქმეთა სამინისტროს კურატორი იყო!.. ამას ვერ გადაურჩები. ნეჯეთთან ურთიერთობისა და ბარიერების მფარველობის გამო შეიძლება, არც დაგსაჯონ. დარწმუნებული ვარ, ამაში შენი შეფებიც იქნებოდნენ ჩართულნი. შეიძლება, ის ბანდიტური ოპერაციაც გაბატონო, რომელსაც გეგეშიძის ლიკვიდაცია ერქვა, მაგრამ უკრაინელი მალაჩჩინოსნის მკვლელობას არავინ შეგარჩენს. ამას შენც კარგად ხვდები და ამიტომაც მოკალი ტარბა. ის ხომ ბოლო მონზე იყო!.. ნეჯეთის და გამზათის დაღუპვის მერე შენ ვეღარავინ დაგადანაშაულებდა წარკობარეგის ორგანიზებაში. რჩებოდა ტარბა და სამუდამოდ გააჩუმე!..

— სისულელეა! — ბრაზით წამოიძახა

რიჟკოვმა. — შენს ვერსიას არაფრით ესადაგება ჩემზე მოწყობილი თავდასხმა!..

— გასაოცარი არაფერია. შეიძლება, „პერესტრელკის“ დროს დაშავდი ან კიდევ ალიბის გასანადგებლად დაიჩქქვე ცხვირი!..

— ხომ არ შეიშალე?! — წამოიწია რიჟკოვი.

— დაჯექი! — მკვხედ მიახალა რიბკინმა. — დაჯექი და ხმას დაუწიე. აქ შენი ყვირილის არავის ეშინია!..

— კეთილი, — რიჟკოვი სკამზე დაეცა, — ესე იგი, ვერ შევთანხმდით?!

— გამორიცხულია! — რიბკინი გაჩუმდა და მერე დაამატა: — გამოუცდელი ღლაპი არა ვარ და იმასაც ვხვდები, რომ ასე იოლად არ მოხვდები საბრალდებო სკამზე. შენი ხელმძღვანელობა სისხლის უკანასკნელ ნეტამდე იბრძოლებს შენთვის და მუნდირის ღირსების შესანარჩუნებლად, მაგრამ ამას არ გირჩევ, ეს შენვე გავნებს.

— რატომ?

— მე შენთვის ყველაფერი არ მითქვამს... ტარბას დანაბარები... რისი გადმოცემაც სიკვდილის წინ ითხოვა!..

რიჟკოვმა უნდობლად შეხედა, მაგრამ გამომძიებელს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და მშვიდად განაგრძო ლაპარაკი:

— მისი ბოლო სიტყვები იყო: „რიჟკოვმა მომკლა, მაგრამ გადაეცით, რომ დიდხანს ვერ დატყებთ ამით!.. სისხლი — სისხლის წილ!.. ეს გეგეშიძის მუქარაა და ის, მკვდარი თუ ცოცხალი, მინც შეასრულებს თავის სიტყვას!..“

რიბკინი დიდხანს დუმდა და მერე ჩაილაპარაკა;

— და რა ამით?

— შენთვის ციხე ყველაზე მშვიდი სამყოფელი იქნება. მე კარგად შევისწავლე ამ ადამიანის წარსული და შენს ადგილზე უფრო სერიოზულად მოვეკიდებოდი მუქარას!

— გეგეშიძე მკვდარია! — ბრაზით იყვირა რიჟკოვმა.

— მისი ხალხი ცოცხალია და მათ ძალიან კარგად იციან, ვინ შეინირა მათი ლიდერი!

— შენი ლოგიკით, იმ ავბაკებს მთელი ცხოვრება ციხეში უნდა ვემალო?! — ირონიულად ჩაილაპარაკა რიჟკოვმა.

— არა... ამისთვის ის რამდენიმე წელიც გეყოფა, რომელსაც მოგისჯიან. ამ ხნის განმავლობაში, გეგეშიძის „სასტავი“ არსებობას შეწყვეტს. ამაზე უკვე მუშაობს უკრაინა. ნოვაკის დაღუპვას შესაბამისი რეაქცია მოჰყვება. ძიება ბოლომდე გაგრძელდება და ის მარტო ერთი შედეგით — გეგეშიძის ხალხის აყვანა-განადგურებით დამთავრდება. აი, ამის შემდეგ შეძლებ ციხიდან ცხვირის გამოყოფას და მშვიდად ცხოვრებას!..

— საინტერესო წინადადებაა, მაგრამ — ჩემთვის მიუღებელი.

— ეს ისე უნდა გავიგო, რომ ჩვენების მოცემას არ აპირებ?

— მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი და რამის დამატებას არ ვაპირებ!

— მაინც მოგინევს ამის გაკეთება!  
 — სცადე! — ავად ჩაილაპარაკა რიჟოკომა. მერე ადგა და სწრაფად დატოვა კაბინეტი.

რიბკინმა დამცინავი მზერით გააცილა, მაშინვე ტელეფონს მიუბრუნდა და საგამომიებო ნაწილის ხელმძღვანელს დაუკავშირდა. საგამომიებო ნაწილის ხელმძღვანელმა ყურადღებით მოუსმინა, მერე კი პირობა მისცა, რომ პირადად დაუკავშირდებოდა „ფევსებს“ და რიჟოკოს ჩვენების მიცემას აიძულებდა. საუბრის დასრულების შემდეგ რიბკინი ისევ სისხლის სამართლის საქმის მასალებს მიუბრუნდა და სწორედ ამ დროს, ქუჩიდან საშინელი ხმაური გაისმა. ადგა და ფანჯრიდან გადაიხედა. ქუჩის გადაღმა, ავტოსადგომთან მამაკაცი ეგდო, რომლის გარშემოც უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. ავი წინათ-გრძნობით შეპყრობილი რიბკინი სირბილით გავარდა კაბინეტიდან. ორიოდ წუთში ხალხის წრე გარღვია და სისხლის გუბეში გამოტილ მამაკაცს თავზე წამოადგა. ეს ვალერი რიჟოკოვი იყო. მისთვის კეფაში ესროლათ. რიჟოკოვი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. დროდადრო კრუნხვითა და ხროტინით სისხლს აფრქვევდა პირიდან, მაგრამ ნატყვიარი და ასფალტზე მიმოფანტული ტვინის შხეფები იმაზე მიუთითებდა, რომ ის რამდენიმე წამს თუ იცოცხლებდა.

— როგორ მოხდა?! — რიბკინი სწრაფად მიუბრუნდა პროკურატურის

დაცვის ერთ-ერთ წევრს, რომელიც თავდასხმის მომენტში შენობის შესასვლელთან იმყოფებოდა და ყველაფერი უნდა ენახა.

— მე... მე გეტყვით, ყველაფერი ვნახე, — სწრაფად გამოულაპარაკა იქვე მდგომი გრძელცხვირა კაცი, — ეს ტიპი მანქანისკენ მიდიოდა, როცა...

რიბკინმა სიტყვა არ დაამთავრებინა, ხელისკვრით მოიშორა თავიდან არაპკითხე მოწმე. დაცვის თანამშრომელი გვერდზე გაიფანა და კითხვა გაუმეორა.

— რა ვიცი... ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა... პროკურატურიდან გამოვიდა, სიგარეტს მოუკიდა და მანქანისკენ წავიდა... ამ დროს, ვილაც ტიპი უწინიდან მიუახლოვდა, რაღაც ჩასჩურჩულა, პისტოლეტი ეგრევე პირდაპირ კეფაზე მიბაჯინა და გაისროლა... ვიდრე აზრზე მოვედი, იმ ტიპმა პისტოლეტი დააგდო და „ნა ხოდუ“ შეხტა მოძრავ მანქანაში. წამის შემდეგ მანქანა თვალს მიეფარა... სულ ეს იყო!

ვიდრე მილიციელი ლაპარაკობდა, შემთხვევის ადგილზე „სასწრაფო დახმარების“ მანქანა მოვიდა. ექიმები სირბილით მიუახლოვდნენ დაჭრილს, მაგრამ უკვე გვიან იყო. რიჟოკომა ასფალტს კიდევ ერთხელ გაუსვა ფეხი და საბოლოოდ გაშეშდა.

რიბკინი მაშინვე გაშორდა იქაურობას. საგამომიებო სამსახურის ხელმძღვანელს დაურეკა და რიჟოკოვის მკვლელობის ამბავი მოახსენა.

— მკვდარია?! — ცნობამ მართლაც,

დააბნია მისი ხელმძღვანელი. — როგორ?! ის ხომ რამდენიმე წუთის წინ გავიდა შენი კაბინეტიდან!..

— მკვდარია... ჩემგან რამდენიმე მეტრში წევს... მაგრამ ეს წვრილმანია. მთავარი ისაა, რომ გეგემიძე ნაადრევად მივიჩინეთ დაღუპულად... თქვენგან ამ გადაწყვეტილების გაუქმებასა და მის მიმართ ძიების განახლებას მოვითხოვ!..

— რა გაძლევს ამის თქმის საბაბს?

— მისი დოსიე!.. ეს არ იყო უბრალოდ მკვლელობა, ეს ნამდვილი დასჯა იყო — დემონსტრაციული და თავმჯდომარე დასჯა... მკვლელებს სხვაგანაც შეეძლოთ ამის გაკეთება, მაგრამ მათ თავდასხმის ადგილად შეგნებულად აირჩიეს პროკურატურის შენობა. თანაც, ეს პირველი შემთხვევა არ არის: გეგემიძემ ზუსტად ასე დასაჯა ერთი პიროვნება, რომელიც სასამართლოს მის წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას. ეს თბილისში, ერთ-ერთი სასამართლოს წინ მოხდა...

— კეთილი... ამოდი ჩემთან. ახლავ გავიხილოთ ყველაფერი, — უპასუხა სამსახურის უფროსმა და ტელეფონი გათიშა.

— ეს ომი მაინც შენ ნააგე, ვალერი!.. სისხლი — სისხლის წილ!.. მკვდარი თუ ცოცხალი, ის მაინც შეასრულებს თავის სიტყვას, — ჩაილაპარაკა რიბკინმა, შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით შევიდა შენობაში.

დასასრული

didgoris frenda is caze jvari



# მოქალაქე სოპრიანო

## „გვის“ ფურსლაგზე გოჩა მანველიძის ისტორიული რომანი

„...ომში დაიკარგა მუროჩი... არ სჯეროდათ მისი დაღუპვისა... ოცი წლის მერე დაუბრუნდა მშობლიურ მთას... უცხო და უჩვეულო ცოდნა შეეძინა ფხოველს: შიშველი ხელით შეეძლო კაცის განკურნებაც და მოკვლაცო. მაგრამ ყველაზე უცნაური სხვა თვისება თუ ცოდნა შეეძინა. დროდადრო, როცა ძალიან უჭირდა ფხოვეს, მის თავზე მფრინავ ჯვარს ხედავდნენ. შედეგებული სისხლისფერი ყოფილა ის ჯვარი, ისეთივე ფერის, როგორც ფხოველის სამოსზე მოქარგული ჯვარი... დიდი სამსახური გაუწიეს მშობლიურ მთას დაიაურმა და იმ ჯვარმა... მერე დიდგორის ომი მომხდარა. მასაც არ გამოჰკლებია. თავის გაწვრთნილ მეომრებთან ერთად შეერთებია ქართულ ლაშქარს...“

### განსვლა „გვლის“ ავტორისაგან

# ზეიმი პრაპულუარია, სწორედ მას პრეჩნი მაყურებელს...

დღევანდელი პრესისა და ტელევიზიის მთავარი სასაუბრო თემა პოლიტიკაა, შესაბამისად, მთავარი გმირებიც პოლიტიკოსები არიან. მათ ჩანაცვლეს მსახიობები, მწერლები, პოეტები, მხატვრები. სწორედ პოლიტიკოსები კითხულობენ მათ მაგივრად მონოლოგებს, მღერაან, ცეკვავენ, გვიჩვენებენ სამსახიობო ოსტატობის „გასაცარ“ მაგალითებს. რას ვიზამთ, ასეთია რეალობა... „იყო საქართველო პოეტიზებული, გახდა საქართველო პოლიტიზებული“.

## მანანა ჭირაქაძე

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი გმირი კი **პურვან ჯინორია** — თეატრისა და კინოს მსახიობი, ავტორი პოეტური სპექტაკლებისა, რომლის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი, თქვენი მონა-მორჩილი, დარწმუნებული ვიყავი, რომ საუბარს თავისი ცხოვრების გზის შესახებ გალაკტიონის სიტყვებით დაიწყებდა — „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაქვარდე“ — მაგრამ შევცდი. საუბარი საკმაოდ „პროზაულად“ წარიმართა ჩვენ, მაყურებლები, ხშირად ვაიგივებთ მსახიობებს მათ მიერ განსახიერებულ პერსონაჟებთან და რეალურ ცხოვრებაშიც იმას მოველით მათგან, რასაც სცენაზე თამაშობენ...

— დავიბადე თბილისში, 1947 წლის 2 თებერვალს. დედაჩემი — ქიმიის მასწავლებელი იყო, მამა — ისტორიის. ჩემს სანათესავოში მსახიობი არავინ ყოფილა. დედას ძალიან უყვარდა თეატრი, ის ნამდვილი თეატრალი იყო. ხშირად ჰყვებოდა უშანგი ჩხეიძეზე, ვერიკოზე, გიორგი შავგულიძეზე. უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, იმ პერიოდში დადგმული სპექტაკლების შესახებ ყველაფერი იცოდა. მისი მონათხრობი საოცრად მოქმედებდა ჩემზე; ჩემი წარმოსახვა ისე მუშაობდა, თითქოს მე თვითონ ვყოფილიყავი ყოველივე ამის მომსწერი.

— ამ დროს თქვენი ოჯახი თბილისის რომელ უბანში ცხოვრობდა?

— დიდუბეში ვცხოვრობდით, ეკლესიის გვერდით. იქ, სადაც ახლა კორპუსებია, მაშინ კერძო სახლები იყო. ვსწავლობდი 22-ე საშუალო სკოლაში. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ სულ თეატრი მაინტერესებდა. სპორტიც მაინტერესებდა.

— ალბათ კალათბურთი, არა? — (იცინის) არა, არა, მაშინ ასეთი მალაღობი არ ვიყავი. პიონერთა სასახლეში დავდიოდი, დრამწრეზე. ვახტანგ სულაქველიძე იყო ჩვენი ხელმძღვანელი, არაჩვეულებრივი ადამიანი. იყო ასეთი სპექტაკლები — „პატარა დონ კიხოტეში“, „ჰავანელი ჭაბუკები“, რომლებშიც მთავარ როლებს ვთამაშობდი... სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე, ქიმიის ფაკულტეტზე.

— როგორ, თეატრალურში არ გინდოდათ სწავლის გაგრძელება?


— მე კი მინდოდა, მაგრამ ჩემი მშობლები ამას, უბრალოდ, საყმანვილო გატაცებას მიაწერდნენ. სხვა არაფერი დამრჩენოდა, უნდა დამემტკიცებინა მათთვის, რომ ეს ასე არ იყო.

— რამდენი წელი გაძლით პოლიტექნიკურში?

— გავექედი?!. გავექედი კი არა, დავამთავრე. თანაც, კარგად ვსწავლობდი. ვიცოდი, წელი არ უნდა გამეცდინა, რადგან მერე არ შემიძლებოდა თეატრალურში ჩაბარება (ყმაწვილებს სამსახიობო ფაკულტეტზე 23 წლის ასაკამდე იღებდნენ. — რედ.)

— ე. ორი დიპლომი გაქვთ?

— დიახ. ორდიპლომიანი გახლავართ... პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იყო თეატრი და მეც ამ თეატრის მსახიობი გავხდი. სწორედ იქ დაიდგა მაშინ „ხალისიანი მეგობრები“, „მზიანი ღამე“ (ჯაყოს ვთამაშობდი), „ნუ გეშინია, დედა“. სულ სამ სპექტაკლში ვითამაშე. მაშინ ბორია ნიფურია იყო რეჟისორი, მანამდე — ავთო იმნაძე. თეატრთან არ დამიკარგავს კავშირი, ვთამაშობდი, დავდიოდი სპექტაკლებზე, ვკითხულობდი



ლექსებს... ძალიან მიყვარდა რუსთაველის თეატრი. კარგად მახსოვს, ბატონი მიშა თუმანიშვილის სპექტაკლები: „ფილოსოფიის დოქტორი“, „ჭინჭრაქა“, „გვადი ბიგვა“; მერე უკვე, რობერტ სტურუას „მზიანი ღამე“. მაშინ ტელევიზორი ჯერ არ იყო და რადიომიმღებთან ვუსმენდი უშანგი ჩხეიძეს — მის ჰამლეტს, მონოლოგებს „ურიელ აკოსტადან“, რადიოკომპოზიციას ვერიკოსა და უშანგის მონაწილეობით.

— ბოლოს და ბოლოს, თეატრალურში როდის ჩაბარდით?

— 1971 წელს. გამიმართლა: მიშა თუმანიშვილის აჰყავდა მაშინ ჯგუფი და მეც მასთან მოვხვდი. მაშინ 22 წლის ვიყავი, მაგრამ წლოვანება არ მეტყობოდა. რომ ნახეს — დიპლომიც მქონდა, ძალიან გაუკვირდათ. ბატონი მიშა უკვე წამოსული იყო რუსთაველის თეატრიდან, თუმცა პოტენციალი დიდი ჰქონდა. ის მაშინ 50 წლის იყო... ჰოდა, თავისი სტუდენტების ჯგუფის ბაზაზე შექმნა პატარა თეატრი, რომელსაც „მეთერთმეტე აუდიტორიას“ ვეძახდით. ამ დროს თუმანიშვილი ტელევიზიაში სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა. პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც ბატონმა მიშამ სატელევიზიო სპექტაკლი „გზაჯვარედინზე“ დადგა და იქ ვითამაშე.

— ე. 1972 წელს, ამ სატელევიზო დებიუტის შემდეგ, დაიძინეთ უცნობა და გაიღვიძეთ პოპულარულმა.

— კი, კი. ხომ იცით, რას ნიშნავს ტელევიზიის მაგია. ერთბაშად ხდები პოპულარული, ყველა გცნობს... მინდა გითხრათ, რომ ჩემ გარდა, ამ სპექტაკლში ვინც თამაშობდა, ყველა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული იყო: ნუგზარ ბაგრატიონი, ბესო ხიდაშელი, ნანი ჩიქვინიძე, თათული დოლიძე, რეზო თავართქილაძე. III კურსზე რომ ვსწავლობდით, ბატონმა მიშამ რუსთაველის თეატრში დადგა „იულიუს კეისარი“ და მთელი ჩვენი ჯგუფი მასობრივ სცენებსა და პატარა-პატარა, ეპიზოდურ როლებში დავგასაქმა. მერე იყო ასევე ტელესპექტაკლი — „ჯერ დაიხოცნენ,



პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც ბატონმა მიშამ სატელევიზიო სპექტაკლი „გზაჯვარედინზე“ დადგა და იქ ვითამაშე



მერე იქორწინეს“. მაშინ მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი.

— ის ძალზე პოპულარული იყო, მთელი საქართველო ამ სპექტაკლის გმირების ფრაზებს იმეორებდა. მათ შორის, თქვენსას — „მაშვიკო, სულელო“...

— იცით, მთავარია, პოპულარობა შეინარჩუნო და არ დარჩე „ერთი თაობის“ მსახიობად. ამიტომ, ყოველთვის უნდა ექვზო რაღაც ახალი.

— სწორედ ამ ახლის ძიებამ განაპირობა ალბათ, თქვენი და ლექსენის „დუეტ“...

— (იცინის) მე სულ ექსპერიმენტებში ვარ. ექსპერიმენტი არ იყო ჩემი საავტორო სპექტაკლები?! როდესაც მე ლექსების კითხვა დავიწყე, მაშინ რეპერობა არ იყო. რეპერობა რა არის? — ის, რომ აზრი რაღაც რიტმული მონახაზის ფორმით გამოხატო. ლექს-სენი ამ თაობის რეპერია, მე — უფროსი თაობისა; ის თავის ლექსებს კითხულობდა, მე — შოთა ნიშნიანიძისას.

— მოდი, ისევ იმ დროს დაფუზრუნდეთ, თეატრალურ ინსტიტუტს, მაშინდელ ატმოსფეროს, ჯგუფელებს...

იყო ასევე მთავარი როლი ლიანა ელიავას „სინემაში“.

— ეს პერიოდი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული იყო თქვენს ცხოვრებაში: ძლიერი დებიუტი, წარმატებები, პოპულარობა და მიხეილ თუმანიშვილის პირშო — კინომსახიობთა თეატრი...

— ეს წლები დასაძახსოვრებელი იყო. ბატონ მიშას მე ვურჩიე მაშინ, „დონ ჟუანის“ დადგმა და მანაც დამიჯერა. მერე იყო: „შუმანიკის ნამება“, „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. კარგი იყო ის დრო, ძალიან კარგი, მაგრამ ჩემი გულისტკივილით დამთავრდა. მე სხვაგვარად ვუდგებოდი ურთიერთობებს, ვერ ავიტანე რაღაც-რაღაცები და წამოვედი თეატრიდან.

— აქ, შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ცხოვრების გზაზე გამოჩნდა საგზაო ნიშანი — იქნებ — „ფრთხილად, მკვეთრი მოსახვევია“?

— რა ვიცი, ადრე რობიკო სტურუა მეძახდა თავისთან, მაგრამ მე ამას ვერ გავაკეთებდი, რადგან ღალატი იქნებოდა... შემდეგ კი გადავედი რუსთაველის თეატრში და... ყველაფერი თავიდან დავიწყე, ნულ-

უსორის (მიზანსცენები, ვიზუალური მხარე და ა.შ.) და მსახიობის. საკუთარ თავზე უკეთ არავინ გიცნობს და სწორედ ამ პრინციპით უნდა მიუდგე შენს პერსონაჟს, ის შენი წარმოსახვით ითხზება...

— ლექსებით დრამატურგიის შექმნა, სპექტაკლის „ანჟობა“, ალბათ, ძალზე რთული საქმეა.

— დიას, ეს საავტორო სპექტაკლებია. სამი ასეთი სპექტაკლი გვაქვს: „და სიმღერით გვედები“ — ქართველი პოეტების ლექსების მიხედვით, „ზღვა ძალიან ღელავს“ — გურამ რჩეულიშვილის მიხედვით და „დროთა კავშირი დაირღვა“ — „ჰამლეტის“ მიხედვით. იცით, როგორ ხდება? მთავარი, თამაში კი არ არის, მთავარია, რა სიუჟეტს მოუნახავ ამა თუ იმ პერსონაჟს, რა სათქმელს იტყვის; მთავარია, — რატომ არის ეს როლი შენთვის სწორედ ახლა, ამ მომენტში სათქმელი.

— ხელაფების სტუდია „სფერო“

— ეს ახალი ეტაპია თქვენს ცხოვრებაში. რატომ გადაწყვიტეთ პედაგოგობა?

— ეს სტუდია იმ ახალგაზრდებისთვისაა (15-დან 25 წლამდე), ვისაც აქვთ სურვილი, გახდნენ მსახიობები ან ჰგონიათ, რომ აქვთ ამის უნარი. მათ ვასწავლი ყველაფერს, რაც ვიცი და მერე თვითონ მიხვდებიან, ამ პროფესიაში უნდა იყვნენ თუ — არა. ეს ორწლიანი კურსია, რომლის დამთავრების შემდეგ, შესაბამის სერტიფიკატს მიიღებენ. მერე კი შეუძლიათ ნავიდნენ და მიიღონ მონაწილეობა კასტინგებში, რომელიც ჩვენთან, რუსთაველის თეატრშიც ტარდება და მარჯანიშვილის თეატრშიც.

— ამჟამად რუსთაველის თეატრში, რა სპექტაკლებში ხართ დაკავებული?

— 2 სპექტაკლში ვთამაშობ. ესენია: „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ და „სულიერი არსებები“. გარდა ამისა, მე, ზინა კვერენჩილაძემ და გურამ სალარაძემ გავაკეთეთ სპექტაკლი — „სხვა საქართველო“. სამივეს ჩვენ-ჩვენი პოეზიის პროგრამა გვაქვს.

ბოლო ტრადიციულ კითხვაზე — თუ რას წამოიღებდა წარსულიდან და რაზე სწყდება გული? — ბატონმა მურმანმა მიპასუხა:

— გული არაფერზე მწყდება, ჩემი სიმდიდრე — ჩემი სცენური პარტნიორები არიან. მომიხდა თამაში ბევრ უდიდეს მსახიობთან ერთად. ბევრ მათგანთან ახლო მეგობრობაც მქონდა. კიდევ, ჩემი სიმდიდრე — მაყურებელია. სხვათა შორის, სიხარულს ვიპარავ, ვაგროვებ, რომ ისევ უკან დავებრუნო, რომ ნაკლებად დარჩეს „შავი“ ადგილები, შური, ბოროტება, არარეალიზებული ადამიანები. თეატრი ხომ ზემოთა ზემოთ კი შეუძლებელია, ერთფეროვანი იყოს, ის მრავალფერია. როცა პოეზიას ვკითხულობ, სწორედ ამ „მრავალფეროს“ ვჩუქნი, ვანახებ, ვაგებინებ მაყურებელს...



მე თვითონ ვარ და ყოველთვის ვიყავი „ერთი მსახიობის თეატრი“

— ჩემი ჯგუფელები იყვნენ: ლაურა რეხვიასვილი, მზია არაბული, დარეჯან ჯოჯუა; თავიდან, ზურა ყიფშიძე იყო, მერე მოსკოვში წავიდა. მოკლედ — მიშა თუმანიშვილის თეატრალური სახელოსნოს პირველი დასი. ჩვენი სადიპლომი სპექტაკლი იყო „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. ისე მოეწონათ ეს სპექტაკლი, რომ გადაწყვიტეს, ახალი თეატრი, ახლანდელი — კინომსახიობთა თეატრი დაარსებულყო, რაშიც დიდი როლი შეასრულა კინოსტუდიის ხელმძღვანელობამ.

— ალბათ, თქვენმა შესამჩნევმა სასცენო დებიუტმა განაპირობა ის, რომ კინოში სწორედ ამ დროს შექმენით საინტერესო სახეები.

— 1975 წლის ზაფხულში, შოთა მანაგაძემ მიმინვია ფილმი — „თვალი პატიოსანი“, სადაც თამაზ იაშვილი განვასახიერე. მერე

იდან, პატარა, ეპიზოდური როლებით.

— ეი. უკმაირსობის გრძნობამ და ახლის ძიების სურვილმა გიბიძგათ იმისკენ, რომ დაგედგათ პოეტური სპექტაკლები, ჯერ — რუსთაველში, შემდეგ — „ერთი მსახიობის თეატრში“.

— მე თვითონ ვარ და ყოველთვის ვიყავი „ერთი მსახიობის თეატრი“. მსახიობმა თვითონ უნდა მონახოს თავისი ადგილი — მოთმინებით, ნიჭით, პროფესიონალიზმით. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჰგონია — მსახიობობა ყველაზე დამოკიდებული პროფესიაა, უნდა შექლო და გახდე თავისუფალი. მე ყველაფერს გავუკეთებ რეჟისორს, მაგრამ რას ვფიქრობ ამ ტექსტისა და მიზანსცენის დროს, — ეს მხოლოდ ჩემი საქმეა. არსებობს 3 პარტიტურა: დრამატურგის (ვთქვათ, შექსპირმა დაწერა ტექსტი), რე-

## „A-Studio“-ს სოლისტის გიჟური სიყვარული

ჯგუფის — A-Studio სოლისტის ქეთა თოფურიასა და „თავზე ხელაღებული არამზადის“ სერგეი ამორალოვის ვნებიანი რომანი ელვის სისწრაფით განვითარდა: წყვილს გიჟური სიყვარულისთვის მხოლოდ 4 დღე ჰქონდა დათმობილი — სწორედ ამდენ ხანს გაგრძელდა ორი ჯგუფის ერთობლივი გადაღებები. რგოლის „გული გულთან“ გადაღებები ტაშკენტში მიმდინარეობდა და 4 დღეში დასრულდა, რადგან დაძაბული საგასტროლო გრაფიკის გამო, ორივე ჯგუფის მუსიკოსები ძალზე მოუცლელნი არიან. გადაღებები თითქმის 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობდა. მსახიობებს მხოლოდ 1-2 საათით შეეძლოთ

თვალის მოტყუება, მაგრამ საინტერესო სამუშაოსთვის მსხვერპლის გასაღებად ყველა მზად იყო.

ვიდეორგოლის სიუჟეტს საფუძვლად დაედო ყოველსშემძლე სიყვარული, რომელსაც ადამიანის გაგიჟებაც ძალუძს და სიგიჟისგან განკურნებაც. კლიპის მთავარი გმირები — ქეთა თოფურია და სერგეი ამორალოვი არიან. რეჟისორ ბახოდირ იულდაშევის ჩანაფიქრით, მუსიკოსები ლაბირინთში აღმოჩნდებიან; უამრავი ოთახისგან შემდგარი ლაბირინთი ციხის კამერებსა და ფსიქიატრიული კლინიკის პალატებს წააგავს. ლაბირინთი გმირებისთვის ხაფანგად გადაიქცევა და სერგეი ამორალოვის გმირს, გამოსავლის პოვნაში ქეთასადმი სიყვარული ეხმარება.

ლაბირინთის ეფექტის მისაღებად, კინოსტუდია „უზბეკფილმში“ სპეციალური დეკორაციები აშენდა. გადაღებების დროს, სერგეი ამორალოვს ორი ურთულესი ტრიუკის შესრულება მოუხდა. კასკადიორული ტრიუკების გარდა, სერგეი მცველებსაც შეება და პოლიციისთვის განვრთნილი დობერმანის კბილებსაც დააღწია თავი.

ვიდეორგოლს ძალზე ლამაზი, რომანტიკული ფინალი აქვს: ქეთა თოფურიას გმირს სერგეი ამორალოვის პერსონაჟის ამბორი გადაარჩენს... რგოლი „გული გულთან“ ეკრანებზე აპრილის შუა რიცხვებში გამოვა.



## ალსუ ახალი „ძაღვ პიტაქული“ ალბომი

ალსუ ახალი ალბომის — „ყველაზე მთავარი“ — გამოშვებას აპირებს, რომელიც 5-წლიანი პაუზის შემდეგ, პირველი იქნება. თავად მომღერლის თქმით, ახალი ნამუშევარი ძალზე პირადული იქნება და მასში ალსუს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები — გათხოვება და ქალიშვილის დაბადება აისახება. ახალ ალბომში შევა პიტები: „ჩემს სიყვარულს“, „ყველაზე მთავარი“ და „იქ, სადაც სინათლე იბადება“. სიმღერების ავტორებს შორის თავად ალსუცაა. „მომღერლის კარიერაზე უარის თქმას არ ვაპირებ, რადგან ეს ჩემი ბავშვობის დროინდელი გატაცება და სიყვარულია“, —

ამბობს მომღერალი, რომლის ცხოვრებაში დღეს უმთავრესი — ოჯახი და შვილია, მაგრამ მაინც ახერხებს, დღეში რამდენიმე საათი მუსიკას დაუთმოს. ალსუმ პირველი თათრულენოვანი ალბომის ჩანერაც თითქმის დაასრულა და ახალ, ინგლისურენოვანზე მუშაობს. მალე მის ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი დღე დადგება — მომღერალი მეორე შვილს ელოდება, რომელსაც, პირველის მსგავსად, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში გააჩენს. ამ კლინიკის კედლებში ჰოლივუდის მრავალი ვარსკვლავის შვილი მოველინა ქვეყნიერებას.



### კვიც მასი თხოვერმა!

დასმულ შეკითხვაზე მხოლოდ მოკლე პასუხით — „მალე“ — შემოიფარგლა. მოსი ამსტერდამში საქმროს მხარდასაჭერად ჩავიდა. კონცერტის შემდეგ წყვილი ქალაქის ლირსუსანი-შნაობებს გაეცნო და მომდევნო დღეს, ბრიუსელში გაემგზავრა. მოდელმა მომავალი მეუღლე 2007 წლის ზაფხულში გაიცნო. ჰეროინით გაბრუნებული პიტ დოერტის მკლავებს თავი რომ დააღწია, დიდხანს არ უნალვლია. სულ მალე, პრესა კვიტისა და ჯეიმის ფოტოსურათებით აჭრელდა. ჯეიმი ჰინსსა და პიტ დოერტის

როგორც იქნა, კეიტ მოსის „ქუჩაზეც დადგა გაზაფხული“. ყოფილი სკანდალისტი მოდელი თხოვდება! 34 წლის მოსის რჩეული ჯგუფის — The Kills — 39 წლის გიტარისტი ჯეიმი ჰინსია. წყვილი ერთმანეთს უკვე ერთი წელია, რაც ხვდება. სასიხარულო ამბავი პირველად კეიტ მოსის ამსტერდამელმა თაყვანისმცემლებმა შეიტყვეს. ბარიდან გამოსულმა ვარსკვლავმა ფანატებს სიცილით განუცხადა, რომ თხოვდება. კეიტს ქორწილის თარიღი არ დაუსახელებია და

მხოლოდ ერთი რამ აერთიანებს: ორივე მუსიკალურ წრეს მიეკუთვნება. სხვა თვისებებით კეიტის საქმრო, სკანდალისტი დოერტის სრული ანტიპოდი; ნარკოტიკებს არ ეტანება, ვეგეტარიანელია და ჟურნალისტებს სკანდალური გამოხდომებით არ ანებივრებს. ჯეიმი ჰინსის ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ იგი თავგადაკლული მწველია და სიგარეტს ხელიდან არ უშვებს. კეიტთან რომანის გაბმამდე ცოტა ხნით ადრე, ჰინსი ვალენტინა ფილო-კორდიეს და-

შორდა, რომელსაც წელიწად-ნახევარზე მეტხანს ხვდებოდა. როგორც ამბობენ, ამ გადაწყვეტილებიდან კეიტ მოსისადმი ჩასახულმა გრძნობამ უბიძგა! ვარსკვლავური წყვილის ახლობლები ჟურნალისტებს ჭორების გავრცელების საბაბს არ აძლევენ. ისინი ირწმუნებიან, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ხვდებიან და მათი ურთიერთობა იდილიურთან მიახლოებულია. მაგრამ როგორც ჩანს, მოსი ყოფილი შეყვარებულის გულიდან ამოგდებას ბოლომდე ვერ ახერხებს. „კეიტის ხშირად ამბობს, რომ ჯეიმი და პიტი ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს. ეს გასაკვირი სულაც არ არის. მას მუდამ მამაკაცთა გარკვეული ტიპი იზიდავდა — რისკიანი, თავზე ხელაღებული, მაგრამ — კეთილი და მამაცი. ზოგჯერ ჰინსთან საუბრისას, პიტს ახსენებს. მიანიშნებს, რომ ის დოერტის ძალიან ჰგავს და ამიტომ მისი აზრების ამოცნობა არ უჭირს“, — ამბობს კეიტ მოსის ერთ-ერთი მეგობარი. გიტარისტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ პიტ დოერტისთან შედარებას, მშვიდად იტანს. ყოველ შემთხვევაში, გაღიზიანებას ოსტატურად ფარავს...

### ღემი მუტის ახალი გაცაფრმა

ვარსკვლავები ახალგაზრდობისა და სილამაზის შესანარჩუნებლად თავს არ ზოგავენ და მიზნის მისაღწევად, მრავალ მეთოდს იყენებენ. ვერაგ წლებს არც დემი მური ეუბება და მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად გამოიყურება, ფორმის შესანარჩუნებლად სხვადასხვა მეთოდს მიმართავს... ერთ-ერთ ტოქსიკურ მყურებელი დემის აღსარებამ გააოგნა: აღმოჩნდა, რომ მომზიბველი ვარსკვლავის ახალგაზრდული იერი წურბლების დამსახურებაა... უფრო მეტიც, დემი მური პირუდოთერაპიის ფანატი ყოფილა! მსახიობი მკურნალობის ესოდენ არატრადიციულ მეთოდს ავსტრიაში ეზიარა, სადაც ორგანიზმის განმენდის კურსის ჩასატარებლად ჩავიდა. დემი უყოყმანოდ დათანხმდა იმ პროცედურის ჩატარებას, რომელიც ქალების უმრავლესობას თავზარს სცემს და ძალზე ემაყოფილიც დარჩა. ცხადია, ავსტრიელი ესკულაპები წურბლებს ქაობებში კი არ აგროვებენ, სამკურნალოდ, ლაბორატორიულ პირობებში სპეციალურად გამოყვანილ პარაზიტებს იყენებენ. მკურნალობის ამ მეთოდით აღფრთოვანებულმა დემიმ ურმა ავსტრიაში ბევრი რამ ისწავ-

ლა და პირუდოთერაპიით დაინტერესებულ თანამემამულეებს მცირე ექსკურსის ჩატარებას სთავაზობს. „წურბლები კბენის დროს სპეციალურ ენზიმს გამოყოფენ, რომელიც გარკვეული ხნით, სისხლის შედედებას აჩერებს. ამის შედეგად, სისხლის განმენდა ხდება. ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. თავიდან ერთი წურბლით დავიწყეთ, რომელიც მუცელზე დამასვეს. ვხედავდი, თუ როგორ იბერებოდა ჩემი სისხლით. შემდეგ კი გაძლა და თავისით ჩამოვარდა“, — თქვა დემიმ და დასძინა, რომ მალე კვლავ ავსტრიას მიაშურებს და ორგანიზმის განმენდის კიდევ ერთ კურსს ჩაიტარებს. მსახიობი არ მალავს, რომ მისი უზადო გარეგნობა პლასტიკური ქირურგების დამსახურებაა; რომ მან ოპერაციებში 400.000 დოლარი დახარჯა, სამაგიეროდ კი რუჟისორთა შეთავაზებები და ახალგაზრდა ქმრის — ეშტონ კატჩერის საყვარული მიიღო...



უნდა ითქვას, რომ შესანიშნავი გარეგნული ფორმის წყალობით, დემიმ ჟურნალისტთვის — Vanity Fair ნახევრად გამიშვლებულმა გადაიღო სურათები. ახალგაზრდა მოდე-

ლის მშვენიერებით აღფრთოვანებულმა ფოტოგრაფმა მარიო ტესტინომ, მას ჟურნალის 3 ნომრისთვის გადაუღო ფოტოსურათები. მსახიობი გამიშვლებაზე დიდხანს უარს ამბობდა, მაგრამ ბოლოს, გამოცდილი ფოტოგრაფის თხოვნას მაინც დათანხმდა... სხვათა შორის, დემი მური ტესტინოს ერთადერთი სახელოვანი კლიენტი როდია. მაგალითად, პრინცესა დაიანა მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა გადაღებაზე, თუკი ფოტოსესიას თავად მაცსტრო მარიო ატარებდა.

2008 წლის 21 მარტს, მოსკოვში, ნაქირავებ ბინაში, რუსეთის პირველი ტელეარხის კორესპონდენტი — ილიას შურპაევი მოკლეს. მისი გვამი მეხანძრეებმა ცეცხლმოკიდებულ ბინაში მაშინ იპოვეს, როცა ხანძრის ჩაქრობას ცდილობდნენ.



ილიას შურპაევი

ჟურნალისტი რომ მოკლული იყო და არა უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი, მაშინვე გახდა ცნობილი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მის სხეულზე სავარაუდოდ, დანით მიყენებული მრავალი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა დააფიქსირეს. ძალადობა მეხანძრეებმაც შეამჩნიეს. მათი თქმით, მსხვერპლისთვის ხელები გაეკოჭათ, კისერზე ქამარი შემოეჭირათ, ვენები გადაეჭრათ. მკვლელობის ძირითადი იარაღი სწორედ ქამარი აღმოჩნდა. დადგინდა, რომ ჟურნალისტი სასტიკი წამების შემდეგ, მისივე შარვლის ქამრით მოახრჩვეს... ამ საზარელი დანაშაულის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა კვალის ნაშლა გადანყვიტეს და სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

სავარაუდო ეჭვმიტანილების შესახებ გამოძიებამ ინფორმაცია შემთხვევის დღესვე მოიპოვა. დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, შურპაევმა კონსიერჟს დაურეკა და სახლში ორი ახალგაზრდა მამაკაცის შეშვება სთხოვა. კონსიერჟის თქმით, ის ახალგაზრდები მანამდე არასდროს ენახა. საეჭვო უცნობები საცხორებელ კორპუსზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამაც დააფიქსირა. სამართალდამცველებმა მაშინვე თქვეს, რომ გარეგნული მო-

# "მიტინგ" ჟურნალისტის სასტიკი მკვლელობა და გამომძიების ვერსიები

ნაცემების მიხედვით, ახალგაზრდები კავკასიური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ და სამძებრო ღონისძიებებსაც ამის გათვალისწინებით შეუდგნენ.

გამოძიების ერთ-ერთი ძირითადი ვერსია ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. თუმცა, სამართალდამცველები დანაშაულის სხვა მოტივებზეც მუშაობენ, მათ შორის — შურპაევის პირად ურთიერთობებსა და ყაჩაღურ თავდასხმაზე. ყაჩაღობის ვერსიამ წინა პლანზე თავიდანვე წამოიწია, თუმცა ის მოკლულის ახლობლებმა და ნათესავებმა კატეგორიულად გამორიცხეს. ვერსიის თანახმად, შურპაევი ბინაში დიდ თანხას ინახავდა. მოსკოვში ქირით, მე-17 სართულზე, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა და ფულს აგროვებდა, რათა საკუთარი ბინა ეყიდა. სურდა, ოჯახის წევრებიც დედაქალაქში გადაეყვანა საცხოვრებლად. ამის შესახებ, შემთხვევით, მისმა ტაჯიკელმა ნაცნობებმაც შეიტყვეს და მისი დაყაჩაღება განიზრახეს. მოტყუებით ბინაში შეაღწიეს და განზრახვაც სისრულეში მოიყვანეს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ისინი სასწრაფოდ დუშანბეში გაფრინდნენ.

ვერსიის კვალდაკვალ, სამძებრო ჯგუფის წევრები ტაჯიკეთის დედაქალაქში გაემგზავრნენ. 29 მარტს უკვე, სამი ეჭვმიტანილის დაკავების შესახებაც გამოაცხადეს. ისინი მასრუჯონ იათიმოვი და მძენი მუჰიდინოვიები არიან. სამართალდამცველების ცნობით, იათიმოვი ადრე, მოსკოვის გარეუბანში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზეც ჰყავდათ აყვანილი. ეს 2005 წელს მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, მასრუჯონ იათიმოვი 1983 წელს დაბადებულ, მოსკოველ თანამზრახველთან ერთად (მის ვინაობას არ ასახელებენ) მოქალაქეს დაესხა თავს და მას საკმაოდ სოლიდური თანხა წაართვა. დამნაშავეებმა მიმალვა სცადეს, მაგრამ ცხელ კვალზე, ისინი მაინც აიყვანეს. აღნიშნული ყაჩაღობის საქმის გამოძიება თითქმის ერთი წელიწადი გრძელდებოდა. ბოლოს, 2007 წლისთვის, იათიმოვი „თავისუფლებაზე“ აღმოჩნდა. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ მას მოსკოვში, ბოლო დროს მომხდარი ყაჩაღობების მთელ სერიასთან ჰქონდეს კავშირი.

რაც შეეხება ჟურნალისტის მკვლელობას, მნიშვნელოვანია, რომ ჩხრეკისას, იათიმოვის ბინაში მილიციის თანამშრომლებმა შურპაევის მაჯის საათი და მობილური ტელეფონი იპოვეს. „მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არ მჯერა, რომ ყველაფერი ყაჩაღური თავდასხმის გამო მოხდა. ილიასს სახლში ბევრი ფული რომ ჰქონოდა, გაკვრით მაინც მეტყობდა რამეს, რადგან ვახლოობდით და ფაქტობრივად, არაფერს მიმაღავდა. მით უმეტეს, რომ ლაბარაკია 100 ათასიდან მილიონ რუბლამდე თანხაზე. არც მისი ამ საეჭვო ნაცნობების შესახებ ვიცი რამე. ისინი არასდროს უხსენებია. ეჭვს ბადებს ისიც, რომ ბინიდან არც ერთი ძვირფასი ნივთი წაღებული არ იყო და ნოუტ-ბუკიც კი ხელუხლებელი დარჩა. ბინაში ყაჩაღები რომ შესულიყვნენ, ასეთ ნივთებს არ დატოვებდნენ. საინტერესოა, ბინაში როგორ და ვისი დახმარებით აღმოჩნდნენ. ილიასი ზედმინევნით ფრთხილი ადამიანი იყო, გამორიცხულია, მას კარი უცნობებისთვის გაეღო, ან ნაკლებად ნაცნობი ახალგაზრდები შინ შეეშვა“, — აღნიშნავს მოკლულის მეგობარი.

ახლობლები მიიჩნევენ, რომ მკვლელობა შურპაევის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ასევე პერიოდში მომხდარმა კიდევ ერთმა მკვლელობამ. შურპაევამდე რამდენიმე დღით ადრე, მოკვლის დადესტინელი ჟურნალისტი — ჰაჯი აბაშილოვი, რომელიც იმავე რეგიონის გაზეთთან — „ნასტოიაშევე ვრემიასთან“ თანამშრომლობდა, სადაც შურპაევიც პერიოდულად აქვეყნებდა სტატიებს. ბევრმა ეს ორი მკვლელობა ერთმანეთს დაუკავშირა. გაიხსენეს „ნასტოიაშევე ვრემიას“ ფურცლებზე, რედაქტორის სვეტში გაკეთებული მინიშნებაც „შავი სიის“ თაობაზე. ამ სიაში რედაქტორმა — რიზვან რიზვანოვმა იმ თანამშრომელთა გვარები ჩამოთვალა, რომელთა დანახვაც რედაქციაში არ სურდა. რედაქტორის ასეთი დამოკიდებულების გამო, მკვლელობის წინა დღეებში, შურპაევი თურმე ხუმრობით თავს „დისიდენტს“ უწოდებდა. „პოლიტიკაში ღრმად შესვლა არ უყვარდა. თუმცა, დროდადრო ამ სფეროში მუშაობა მაინც უწევდა“, —

აღნიშნავს მოკლულის მეგობარი. ილიას შურპავეი 1975 წელს, დალესტანში დაიბადა. მისი სიუჟეტების უმრავლესობა სწორედ დალესტანში მიმდინარე მოვლენებს ასახავდა. ჟურნალისტი, ასევე, ხშირად აშუქებდა აფხაზეთის თემასაც. პროფესიული კარიერა მან 2000 წლიდან დაიწყო. ჯერ „ენ-ტე-ვეზე“ 2005 წლიდან კი რუსეთის პირველ არხზე სპეციალურ კორესპონდენტად მუშაობდა. ტელევიზიის გარდა, რეგიონის გამოცემებთან თანამშრომლობდა. შურპავეს ცოლი და 5 წლის ქალიშვილი დარჩა. ის მახაჭყალის

ერთ-ერთ მუსლიმანურ სასაფლაოზე დაკრძალეს... აღსანიშნავია, რომ ეჭვმიტანილების ექსტრადიცია რუსეთში არ მოხდებოდა. ამის მიზეზი ტაჯიკეთში მოქმედი კონსტიტუციაა, რომელიც ამა თუ იმ დანაშაულის შემთხვევაში, სხვა რესპუბლიკისთვის ქვეყნის მოქალაქის გადაცემას არ ითვალისწინებს. ამის გამო, მკვლელობის მუხლით აღძრული საქმის გამოძიება ტაჯიკეთში გაგრძელდება. რუსეთის პროკურატურამ გამოძიების მასალები იქაურ სამართალდამცველებს უკვე გადაუგზავნა. ბრა-

ლის დადასტურების შემთხვევაში, ეჭვმიტანილებს, კანონის თანახმად, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ნუხილი და აღშფოთება გამოთქვეს არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციამ — „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ — ბოლო წლების კვლევის შედეგები გამოაქვეყნა და გამოაცხადა, რომ 2000 წლიდან მოყოლებული, რუსეთის ტერიტორიაზე უკვე 21 ჟურნალისტი გამოასალმეს სიცოცხლეს...

# მოკლული ქალის გვამს ეჭვმიტანილი კონტინენტში ინახავდა

ამერიკული პოლიცია სტრიპტიზორი ქალის იდუმალი გარდაცვალების დეტალებს არკვევს. საქმე მკვლელობის მუხლითაა აღძრული, მთავარ ეჭვმიტანლად კი გამოძიება, ან გარდაცვლილის საყვარელს ასახელებს. როგორც ამბობენ, ის ქალის გვამს თვეების მანძილზე მშრალი ყინულის კონტინენტში ინახავდა. 46 წლის სტივენ დევიდ როიდსი (ახალი ზელანდიის მკვიდრი) წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. მისი თავდებით გათავისუფლება მხოლოდ მილიონიანი გირაოს გადახდის შემთხვევაშია შესაძლებელი.



გამიართა, თუმცა საქმეში ადვოკატის ჩართვის შემდეგ, ტრეშმა პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევა მოახერხა.

ნაცნობები და ახლობლები წყვილს საკმაოდ დადებითად ახასიათებენ. იმასაც აღნიშნავენ, რომ უცნაური ქცევებიც სჩვეოდათ, მაგრამ ყოველთვის ხალისიანი და გარშემო მყოფების მიმართ გულისხმიერები იყვნენ. იმავეს ამბობს რესტორან — TAPAS-ის დირექტორი — არტურო ფლორესიცი. „მონიკა ჩვენთან მუშაობდა. ქერათმიანი, ცისფერთვალეა, ძალიან ეფექტური ქალი იყო. როიდსი მას ხშირად აკითხავდა და ზოგჯერ, საათობითაც კი ელოდებოდა. მუშაობის დასრულების შემდეგ ერთად მიდიოდნენ ხოლმე. ძალიან უყვარდათ სმა და „ჩაისაც“ კარგად ტოვებდნენ. უცნაურები კი იყვნენ. მაგალითად, სჩვეოდათ, „ჩაის“ სახით, ფულის ნაცვლად, ლატარიის ბილეთების დატოვება. ვიცი, რომ როიდსი სტრიპტიზის ცეკვას უშლიდა და როცა დათვრებოდა, ეჩხუბებოდა ხოლმე, კატეგორიულად სახოვდა, ამისთვის თავი დაენებებინა. მონიკა არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ამ საქმიანობის შეწყვეტას, სხვადასხვა საბაბით, ყოველთვის სამომავლოდ გადადებდა ხოლმე. როიდსის გაღიზიანებასაც სწორედ ეს იწვევდა. ბოლოს ისინი ნომებერში ვნახე. სასტუმროს გადასახადი ჰქონდათ დარჩენილი. გაისტუმრეს და წავიდნენ“, — ჰყვება არტურო ფლორესიცი. რაც შეეხება ნათესავეებს, ჟურნალისტებმა მხოლოდ გარდაცვლილის ბებიასთან დაკავშირება მოახერხეს. აღმოჩნდა, რომ ბებიას შვილიშვილი ბოლო 20 წელია, თვალნათეს არ უნახავს, მისი გარდაცვალების შესახებ კი ტელევიზიით შეიტყო. ასეთივე ურთიერთობა ჰქონია ოჯახის წევრებთან როიდსსაც. ბრალდებულის მამის — ჯონ როიდსის თქმით, სტივენმა მას 8 წლის წინ დაურეკა, ტელეფონით ცოტა ხანს ესაუბრა, მერე კი უკვალოდ გაქრა...

33 წლის მონიკა ტრეშის გვამი პოლიცამ ნიუპორტის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში იპოვა. გაირკვა, რომ აღნიშნულ ნომერში როიდსი, დღე-ღამეში 400 დოლარს იხდიდა. ამის დადგენა პოლიციამ საქმეში მონაწილე ინფორმატორის წყალობით მოახერხა. როიდსმა ადგილობრივი სამართალდამცველების ყურადღება თავიდან ნარკოტიკების გამო მიიქცია. პოლიცია ეჭვობდა, რომ ის არა მარტო მომხმარებელი, არამედ წამლის საკმაოდ აქტიური გამსაღებელიც გახლდათ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაფერთან ერთად, როიდსი ძებნილიც იყო. მისი საქმიანობის დეტალების თუ ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, სამართალდამცველებმა საქმეში აგენტი ჩართეს. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცემულმა პოლიციელმა როიდსი დაარწმუნა, რომ ნარკომანი იყო და მისგან წამლის შექმნა სურდა. ამასობაში, მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილიც დაადგინა და მისამართი დაუყოვნებლივ თანამშრომლებს აცნობა. იმავე საღამოს, ნომერში, როიდსს სპერანზმელთა მთელი ჯგუფი დაადგა თავს. საშინელებას სწორედ მაშინ — ოთახის ჩხრეკისას წაანყდნენ. სანოლის ქვეშ, მათ კონტინენტში ქალის გვამი აღმოაჩინეს.

„მთელ ოთახში საშობაო საჩუქრების მსგავსად შეფუთული ნარკოტიკები ეყარა, ქალის გვამი კი მშრალი ყინულის კონტინენტში იყო დამალული. როცა ეჭვმიტანილს ვკითხეთ, თურით ახსნიდა ყოველივე ამას? გვიპასუხა — რაც მოხდა, მხოლოდ რელიგიის გამო მოხდაო. დაკონკრეტებისგან მან თავი შერიკავა“, — ამბობს სპეცოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე პოლიციელი. როიდსმა გამოძიებას დეტალური ჩვენება არ მისცა. ელიან, რომ ის სასამართლო პროცესზე მაინც ახსნის მომხდარს. მანამდე კი დეტალების გარკვევას გამოძიება შეეცდება. იმის გამო, რომ სამართალდამცველებს მკვლელობის კუთხით როიდსის მიმართ საკმარისი მტკიცებულებები არ აქვთ, მას შესაბამის მუხლს ვერ უყენებენ. ბრალდება ჯერჯერობით, მხოლოდ კოკაინით ვაჭრობით შემოიფარგლება. აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლით, 2002 წელს ის უკვე გაასამართლეს და პატიმრობაც მიუსაჯეს, მაგრამ მსჯავრდადებულმა რამდენიმე თვეში ციხიდან გაქცევა მოახერხა. გაირკვა, რომ ნარკოტიკების უკანონო შენახვაში ან გარდაცვლილ ქალბატონსაც ადანაშაულებდნენ. 2005 წელს მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესიც

# მსედარმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰვადიმირ სუხოდაევი



დასანწყისი იხ. „გზა“ №44-13

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის შეფასებისას, 1947 წლის 11 აპრილს გამართულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბულგანინი, ვასილევსკი, ანტონოვი და შტემენკო, სტალინმა თქვა: „არ შეიძლება სამხედრო მეცნიერების გაიგივება სამხედრო ხელოვნებასთან. სამხედრო მეცნიერება ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა სამხედრო მეცნიერება მოიცავს აგრეთვე სამხედრო ტექნიკასაც, ის სამხედრო მეცნიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სამხედრო ხელოვნება მოიცავს ტაქტიკას, ოპერატიულ ხელოვნებასა და სტრატეგიას. ანუ სამხედრო ხელოვნება სწავლობს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო მოქმედებებისა და საერთოდ, ომის წარმოებასთან. სამხედრო მეცნიერება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც სამხედრო ხელოვნებაში შედის, იკვლევს აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის საკითხებს, მის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს... მხოლოდ სამხედრო მეცნიერების დასახელებული ყველა დარგის ცოდნისა და სწორად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი, ომში გამარჯვების იმედი ვიქონიოთ... ფაშისტური გერმანიის ყოფილმა ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ სამხედრო მეცნიერება და არ შეეძლოთ ქვეყნის ეკონომიკის მართვა. ეს ხელმძღვანელები, კერძოდ გერინგი, არ ითვალისწინებდნენ ქვეყნის შესაძლებლობებს, მას დაუძლეველ ამოცანებს უსახავდნენ და ეს წარმოადგენდა

ომში გერმანელთა დამარცხების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს“.

მარშალი ჟუკოვი სტალინს „ღირსეულ უმაღლეს მთავარსარდალს“ უწოდებდა. ამ აზრს იზიარებდა ყველა მარშალი და სამხედრო მეთაური, ვისაც კი ოდესმე უშუშავია, შეხვედრია ან უნახავს სტალინი. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც სახელგანთქმული სამხედრო მოღვაწეები იყვნენ, ისინი ბელადის ავტორიტეტს არა მარტო იმიტომ ცნობდნენ, რომ იგი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თავდაცვის სახალხო კომისარი იყო და სათავეში ედგა უმაღლესი მთავარსარდალობის შტაბს, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ხედავდნენ და აფასებდნენ მის რკინის ნებისყოფას და მტკიცე ხასიათს, მაღალ ინტელექტსა და ღრმა სამხედრო განსწავლულობას და ამასთანავე, მის უნარს, სათანადოდ შეეფასებინა მათი მხედარმთავრული ნიჭიც.

სტალინი უშუალოდ, ფრონტების ყველა სარდალთან, ასევე არმიების სარდლებთან მუშაობდა, პირადად იცნობდა ბევრ სამხედრო მეთაურს, კორპუსებისა და დივიზიების მეთაურების ჩათვლით.

მოდით, უფრო დანვრლებით განვიხილოთ სტალინის ურთიერთობები მარშლებთან და მალაღი საფეხურების სამხედრო მეთაურებთან. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი რამ გაურკვეველი რჩება და უამრავი არაგულწრფელი მოსაზრებაცაა გავრცელებული.

ჟუკოვი 1941 წლის თებერვლიდან სტალინი მჭიდროდ თანამშრომლობდა ჟუკოვთან, რომელიც სულ ახალი დანიშნული იყო გენერალური შტაბის უფროსად. მთელი ომის განმავლობაში ჟუკოვი უმაღლესი მთავარსარდალის ერთადერთი მოადგილე იყო. სწორედ უმაღლესი მთავარსარდალი, მისი მოადგილე და გენერალური შტაბის უფროსი წყვეტდნენ ომის მსვლელობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, იხილავდნენ საბჭოთა ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიულ შესაძლებლობებს. ბუნებრივია, ჟუკოვი ხშირად ხვდებოდა სტალინს. ხშირ შემთხვევაში ეს ოფიციალური შეხვედრები იყო, მაგრამ სტალინი მას სადილადაც ეპატივდებოდა და ერთად სეირნობდნენ კიდეც, რა დროსაც ბელადი თავის ბავშვობას, თავისი ცხოვრების სხვადასხვა მომენტს იხსენებდა.

„რაც შეეხება უმაღლესი მთავარსარდალის ურთიერთობებს ჟუკოვთან, — იგონებდა ავიაციის მთავარი მარშალი გოლოვანოვი, — მათ რთული ვუნოდებდი. მაგალითად, ბელადს არაერთხელ მთელი პირდაპირობით გამოუთქვამს პრეტენზიები ჟუკოვის მუშაობის სტილთან დაკავშირე-

ბით. მაგრამ სტალინს არასოდეს ერეოდა ერთმანეთში პირადი და საქმიანი ურთიერთობები. ამას თუნდაც ის ჯილდოები ადასტურებს, რომლებიც ჟუკოვს მიუღია“.

ჟუკოვს არაერთხელ აღუნიშნავს გახაზგასმით, რომ „სტალინს არასოდეს უთქვამს რაიმე ცუდი ჩემ შესახებ“. ან კიდევ — „ვინმეს რომ ეცადა მისი თანდასწრებით ჩემი გალანძღვა — სტალინი ჩემ მაგივრად, მას თავს წააცლიდა და მეც, — რა თქმა უნდა, მდელიერი ვიყავი მისი, ასეთი ობიექტურობისთვის“.

ჟუკოვი მტკიცედ აცხადებდა, რომ „სტალინი კარგად ფლობდა საფრონტო ოპერაციებისა და ფრონტთა ჯგუფების ოპერაციების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს და საფუძვლიან ცოდნაზე დაყრდნობით ხელმძღვანელობდა მათ“. სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდალის ეს უნარი, განსაკუთრებულად კარგად, სტალინგრადის ბრძოლიდან მოყოლებული გამოვლინდა.

გავრცელებულია ვერსია, თითქოს უმაღლესი მთავარსარდალი სიტუაციას გლობუსით ეცნობოდა და რეალობას მონყვეტილი იყო. ეს ვერსია სინამდვილეს არ შეესაბამება. ის მართლაც, არ სარგებლობდა ტაქტიკური დანიშნულების რუკებით და ეს არც სჭირდებოდა. სამაგიეროდ, ბელადი არცთუ ურიგოდ ერკვეოდა ოპერატიულ რუკებში.

„ზოგადად, საბრძოლო ოპერაციების გაძლოლაში სტალინს მისი ბუნებრივი ინტელექტი, პოლიტიკური ხელმძღვანელობის გამოცდილება, მდიდარი ინტუიცია, უდიდესი ინფორმაციის ფლობა უწყობდა ხელს, — წერს მარშალი ჟუკოვი, — ის გამოირჩეოდა უნიკალური ნიჭით, სტრატეგიული მდგომარეობის მთავარი რგოლისთვის მიეგნო და მასზე დაყრდნობით, ამა თუ იმ შეტევით ოპერაციის წარმატებით ჩასატარებლად და მტრის დასამარცხებლად საჭირო გზები დაესახა. უდავოა, ის ღირსეული მთავარსარდალი იყო“.

ჟუკოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ოპერაციების წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფაში, სტრატეგიული რესურსების შექმნის, საბრძოლო ტექნიკისა და საერთოდ, ომისთვის აუცილებელი ყველა სხვა კომპონენტის ჩამოყალიბების ორგანიზებისას სტალინმა თავი გამოიჩინა, როგორც საუცხოო ორგანიზატორმა, ამიტომ უსამართლობა იქნება, თუ საკადრისად არ შეეფასებთ ამას.

ბოლო დრომდე, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50-ე წლისთავი აღინიშნებოდა, ბელადს გამუდმებით უპირისპირებდნენ ჟუკოვს, აღნიშნავდნენ, თითქოს საბჭოთა კავშირმა მხოლოდ ჟუკოვის წყალობით მიაღწია გამარჯვებას, ირწმუნებოდნენ, რომ გამარჯვებას მისი ნებისყოფისა და მხედარმთავრული ნიჭის წყალობით მივალნიეთ. მაგრამ ისტორიული სამართლიანობა გვიკარნახებს, რომ არაფერში გვჭირდება ამ ორი გამოჩენილი პიროვნების ერთმანეთთან დაპირისპირება. სტალინი უდიდესი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელი, საერთაშორისო მოღვაწე გახლდათ, სათავეში ედგა მეომარ სახელმწიფოს; ქვეყანა

ფრონტისა და ზურგის ერთ მთლიანობად გადააქცია, წითელი არმიის სტრატეგიულ და საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა. ჟუკოვი კი გამოჩენილ მხედართმთავრად, სახელგანთქმულ მარშლებს შორის ლიდერად, მოსკოვისთვის ბრძოლით დანაშაული, ბერლინის აღებისთვის განსორციელებული ბრძოლით დამთავრებული, უამრავი უმსხვილესი სტრატეგიული ოპერაციის ერთ-ერთ ორგანიზატორად მოგვევლინა.

ჟუკოვი თვითონვე იყო სტალინთან მისი დამპირისპირების მოწინააღმდეგე. 1945 წლის 5 ივნისს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის ბერლინში გამართულ პრესკონფერენციაზე გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტმა რობერტ პარკერმა ჰკითხა ჟუკოვს:

„— მონაწილეობდა თუ არა მარშალი სტალინი იმ ოპერაციაში, რომლებსაც თქვენ ხელმძღვანელობდით?

ჟუკოვმა ამ შეკითხვას ღირსეულად უპასუხა:

— მარშალი სტალინი აქტიურად და ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ყველა უბანს, მათ შორის იმასაც, რომელზეც მე ვიმყოფებოდი“.

1945 წლის მაისის მეორე ნახევარში ბელადმა მარშალი ჟუკოვი მოსკოვში გამოიძახა და საუბრისას უთხრა:

„— მაშინ, როცა ჩვენ გერმანული არმიის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი განვითარალებულ და სამხედრო ტყვეების ზანაკებში გავამწყვდეთ, ინგლისელები გერმანულ ჯარებს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ინახავენ და მათთან თანამშრომლობენ. გერმანული ჯარების შტაბები, რომლებსაც კვლავაც მათი ყოფილი სარდლები უდგანან სათავეში, დღემდე სრული თავისუფლებით სარგებლობენ და მონტგომერის მითითების შესაბამისად, თავს უყრიან და აწვრიგებენ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას. ვფიქრობ, ინგლისელები იმიტომ ცდილობენ, შეინარჩუნონ გერმანული ჯარები, რომ მოგვიანებით გამოიყენონ კიდევც. ეს კი პირდაპირი დარღვევაა, მთავრობათა მეთაურებს შორის არსებული შეთანხმებისა — გერმანული ჯარების დაუყოვნებლივ დაშლის შესახებ. ახლა, პრეზიდენტ რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, ჩერჩილი სწრაფად გამოახაჯს საერთო ენას ტრუმენთან.

ჟუკოვმა შესთავაზა, უარი გვეთქვა დიდი ბერლინის ზონაში მოკავშირეთა სამხედრო პერსონალის დაშვებისგან მანამდე, სანამ მოკავშირეთა არმიები გერმანიაში საბჭოთა ზონებიდან არ გავიდოდნენ.

— სწორია, — მოიწონა სტალინმა. — ახლა კი გეტყვით, თუ რატომ გამოვიძახეთ. მოკავშირეთა სამხედრო მისიებმა მაცნობეს, რომ ივნისის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის უმაღლეს ხელისუფალთა მიერ გერმანიის მართვის შესახებ დეკლარაციაზე ხელმოსაწერად, ბერლინში ჩავლენ ეიზენჰაუერი, მონტგომერი და ლატრ დე ტასინი. ამასთან დაკავშირებით, გადასანყვეტი იქნება გერმანიის მართვის მაკონტროლებელი საბჭოს დანესების საკითხი, რომელშიც ოთხივე ქვეყნის წარმომადგენლები გაერთიანდებიან. ჩვენ გადა-

ვწყვიტეთ, საბჭოთა კავშირის მხრიდან გერმანიის მართვის მთავარმართებლის როლი თქვენ დაგაკისროთ.

მოადგილედ, სამხედრო ადმინისტრაციის დარგში, ჟუკოვის რჩევით, გენერალი სოკოლოვსკი დაამტკიცეს.

მას შემდეგ, რაც ჟუკოვს გააცნო ყველა ძირითადი საკითხი, რომლის შესწავლაც მაკონტროლებელ საბჭოს მოუწევდა, ბელადმა შენიშნა:

— მაკონტროლებელი საბჭოს ყველა დადგენილება ძალაში შევა საკითხის ერთ-სულთაგანად გადაწყვეტის შემთხვევაში. რასაკვირველია, ზოგიერთ საკითხში თქვენ, სამის წინააღმდეგ მარტოს მოგინებთ მოქმედება. მაგრამ ჩვენ ხომ მარტო ჩნები არ გვაკვირვებს... მაკონტროლებელი საბჭოს უმთავრეს მიზნად, გერმანული ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების სწრაფი მონყობა, ფაშისმის სრული განადგურება და ადგილობრივი მმართველობის მუშაობის ორგანიზება უნდა იქცეს. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზების შემადგენლობისთვის უნდა შეირჩენ ის მშრომელები, რომლებიც

ფაშისმისადმი სიძულელით გამოირჩევიან“.

გამარჯვების შემდეგ, ჟუკოვი საბჭოთა ჯარების იმ ჯგუფის პირველი მთავარსარდალი გახლდათ, რომელიც გერმანიაში იყო განლაგებული. იყო აგრეთვე, საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარსარდალიც; იმავდროულად, სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე. მტრები ცდილობენ, ისე წარმოაჩინონ საქმე, თითქოს სტალინმა ომის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა ჟუკოვი, რადგან როგორც მხედართმთავარი, მასში მეტოქეს ხედავდა. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა. სტალინმა ომის დამთავრების შემდეგ ხელისუფლებას შესთავაზა, ჟუკოვი თავდაცვის სახალხო კომისრად დაენიშნათ. ამის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს სრუშჩოვმა, ბულგანინმა და ზოგიერთმა ცნობილმა სამხედრო მეთაურმა. სწორედ ბელადის წინადადებით, პარტიის XIX ყრილობამ ჟუკოვი ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სომხურში იხილეთ: 2 პოსტარი

4 პერილიდან იყიდება

„დავის ორის“ გოლო ფანან

ფინური შახხანა SAKO TRG-22

ირაკლის რკინის გუზბათი

არკალბაღური იარაღი

ყველაზე კანაბი შარბალი არა მარტო მანაკანაბისთვის

გამოლა შახხანის დამოუკიდებლობისთვის

რამონ დაბა გავრა...

არსენალი

# „ღვთის შეწევნით მიეცა ფრიად ღვაწლსა“...

არაერთი უმაღლესი სულიერების მქონე მამა გვყავდა ქართველებს. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ წმინდა გაბრიელ მცირე, რომლის სსენების დღე 30 მარტს აღინიშნა. მამა გაბრიელი გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა — დავით გარეჯელის ლავრის მასლობლად არსებული, ნათლისმცემლის მონასტრის მონესე ბერი იყო. XVIII საუკუნის გარეჯელ მამათა შესახებ სწორედ გაბრიელ მცირის ჩანაწერების წყალობითაა ცნობილი, ხოლო მისი ცხოვრების თაობაზე ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. სამწუხაროდ, ღირსი მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერაზე არავის უზრუნია... გაბრიელ მცირე გახლდათ მნიგნობარი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი.



## მორენა მერკვილაკე

წმინდა გაბრიელი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მის მიერ აღწერილი „გვირგვინის“ ერთ-ერთ ნუსხას დართული აქვს მეფე გიორგი XII-ის ძის, ბაგრატ ბატონიშვილის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ცნობები გაბრიელ მცირის შესახებ („გვირგვინი“ სწორედ ბაგრატ ბატონიშვილს გადაუწერია). ამ მინაწერის წყალობით ირკვევა, რომ ნეტარი გაბრიელი თბილისში ცხოვრობდა. იგი ხელობით მკერავი ყოფილა. მან „ღვთის სიყვარულისთვის დატოვა სახლი, დედა, ძმები, მეგობრები, მთელი თავისი ქონება და გარეჯის მონასტერში წავიდა. მონაზვნად აღიკვეცა და ისწავლა საღმრთო წერილი და ღვთის შეწევნით მიეცა ფრიად ღვაწლსა და მარხვასა შინა, რომლისაცა სათნობანი არცლა თუ რიცხვთა შესაძლებელ არს აღწერად“...

გარეჯის მონასტერში მისვლისას, გაბრიელ მცირე 20-22 წლისა უნდა ყოფილიყო. იოანე ბატონიშვილის ცნობით, იმხანად მონასტერს წმინდა ექვთიმე (მჭედლიშვილი) წინამძღვრობდა: „ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნობათა ზედა უცხო მოქადაგე“. მას გაბრიელი დაუმონაფებია და მისთვის ქართული მნიგნობრობა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება უსწავლებია.

მეორე სულიერი მამაც ჰყოლია გაბრიელს — გარეჯში მოღვაწე მღვდელმონაზონი დანიელი. მამა გაბრიელი თავის ჩანაწერებში იხსენებს, რომ მღვდელმონაზონი დანიელი ქრისტიანული სათნობებით ყოფილა შემკული და ყველაზე მეტად, გულმონყალებით გამოირჩეოდა — თუკი რამ ებადა, ყველაფერს უპოვართ სწირავდა. მას ძალზე ჰყვარებია წიგნების კითხვაც, განსაკუთრებით — „წმინდა წერილის“. თურმე, სულიერ შვილს ხშირად მოუთხოვდა გარეჯში მოღვაწე მამათა ცხოვრების შესახებ, რაც



გაბრიელ მცირეს დიდად წაადგა, მათი ცხოვრების აღწერისას. მამა დანიელი, როდესაც აღსასრულის მოახლოება უგრძნია, სამი დღე საზრდელს არ გაპკარებია, მხოლოდ სულიერ საზრდოს იღებდა — მამა გაბრიელის მიერ „წმინდა წერილის“ კითხვით. „სახარების“ კითხვისას შეჰვედრა თურმე სული უფალს, მანამდე კი მამა გაბრიელმა მოძღვრისთვის ზეთის კურთხევის საიდუმლო აღასრულა და სულთმობრძავის ღოცვა ნაუკითხა.

რა გასაკვირია, რომ ასეთი სულიერების მქონე მამების მორჩილი სულიერი შვილი, თვითონაც საღმრთო მოშურნეობითა და ქრისტიანული სათნობებით იყო შემკული. გაბრიელ მცირეს საყვარელი საქმე საღმრთო წიგნების გადაწერა გახლდათ და თანაც, მათ გავრცელებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

ღირსმა გაბრიელმა ორიგინალური ნაშრომებიც შექმნა. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია: „მღვდელმთავრისა ლიტურგიისა განმარტება სახისმეტყველებით, ვითარმედ ყოველსავე მღვდელმოქმედებასა მისა საიდუმლოებითი ძალი უპყრიეს“, სადაც განმარტებულია ტაძრისა და მისი ნაწილების მნიშვნელობა, მღვდელმთავრის წირვის არსი, შემოსვისა და სამოსლის მნიშვნელობა. წიგნის შესაქმნელად მას გერმანე კონსტანტინეპოლისისა და სვიმონ თესლონიკელის თხზულებათა თარგმანები გამოუყენებია. ნაშრომი რამდენჯერმე გადაუწერია გასავრცელებლად და ერთი პირი ნინოწმინდელ-რუსთველი ეპისკოპოსისთვის, სტეფანესთვის გადაუწვია. მეუფე სტეფანესთვის ასევე გადაუწერია წმინდა ექვთიმე ათონისეული თარგმანი — „მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის კანონისთვის“, რომლისთვისაც ვრცელი „მარტენებელი“ ანუ საძიებელი და ბოლოსიტყვაობა დაურთავს.

წმინდა გაბრიელ მცირემ წმინდა მამათა თხზულებებიდან რამდენიმე ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული შეადგინა: „სამოთხის ყვავილი“; „ღვთისმშვენიერი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსაც ეწოდების გვირგვინი“; „სუფევა“; „ღვთისმშვენიერი სწავლანი, რომელსაც ეწოდება ოქროს წყარო“; „კლიტე“, რომელიც დაფუძნებულია წმინდა იოანე ოქროპირის კრებულზე — „ასკეტიკონი“; „მანანა“ — ორმოცი შესხანი: ღვთისმშობლის, იესო ტკბილის, ჯუარის, ანგელოზის, ნათლისმცემლის, მოციქულების, მონამეების, მღვდელ-მოძღვართა და ღირსთა მამათა. „მანანა“ ეწოდება ღვთისმშობლის სიყვარულისთვის, ვინაიდან მისგან მივიღეთ ჭმუბარითი პური ცხოვრებისა — იესო ტკბილი“, — წერს მამა გაბრი-



ელი ბოლოსიტყვაობაში.

1801 წელს, გაბრიელ მცირემ თავისი ნაშრომები ერთ წიგნად შეკრა და მას „ჯვარშემოსილი“ („სტავროფირე“) უწოდა. კრებულის უდიდესი ნაწილი შეიცავს თხრობას, გარეგნულ მოღვაწე მამათა ცხოვრებიდან. მასში ასევე შესულია „ღვთის სულიერი თხრობანიც“, რომელიც მამა გაბრიელსა და მის სულიერ შვილს, ბერდიაკონ პორფირეს შორის წარმართული კითხვა-პასუხის ფორმითაა აგებული...

მოგახსენებთ რამდენიმე ამბავს მამა გაბრიელ მცირის მოღვაწეობის პერიოდში: ერთხელ, მამა გაბრიელს წითელი ქარი შეჰყარია. დაუხმარებლად ნაბიჯის გადადგმაც უჭირდა. მონასტრის ძმებს უთქვამთ: გარეგნული წმინდა მოწამენი იოლად განგკურნავენ, ხვალ მღვდელს ვანრივინოთ და შეჭველად გეშველებათ. მამა გაბრიელს მღვდლისთვის წირვის ჩატარება უთხოვია, თვითონ კი ლოცვა აღუვლენია. მეორე დღეს წვალებით ასულა ბორცვზე, სადაც მოწამეთა სამარტვილე იყო. წირვის აღვლენის შემდეგ, უკან განკურნებული დაბრუნებულა...

ერთ წელიწადს გარეგნის მონასტერს საშინელი სენი მოსდებია. ბერები დასნეულებულან. მამა გაბრიელს წმინდა მოწამეთა ორი ნაწილი აუღია, თან ორი ბერი გაუყოლებია და სნეულ ბერებთან მისულა; წმინდა ნაწილების ჯვრის სახედ შეუკრავს, ერთ-ერთ ეკლესიაში დაუსვენებია და პარაკლისი გადაუხდია. შემდეგ, მცირე აიაზმის წესით წყალი უკურთხებია და წმინდა ნაწილები მასში განუბანიათ. თურმე, წყალი სნეულ ბერებს შეასვეს, მერე კი მონასტრის ტერიტორიასაც აპყურეს. წმინდანთა მცოხებით, სნეულნი განკურნებულან და მომკვიდრებელი სენისგან მონასტერიც გათავისუფლებულა...

ღვთის სიყვარულით გულანთებული და ქრისტიანული სათნოებებით შემკული მამა გაბრიელი სიცოცხლის ბოლომდე დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსში მოღვაწეობდა. იგი 1802 წელს, დიდმარხვის პერიოდში აღესრულა. იმხანად გარეჯის მონასტერში თბილისიდან მთავარდიაკონი, იოანე ჩუბინიძე ყოფილა ჩასული, რათა დიდმარხვის დღეები მოღვაწეობაში გაეტარებინა, მაგრამ ეშმაკმა ცოლ-შვილთან დაბრუნების სურვილი აღუძრა, ცდუნებას ვერ გაუძლო, შინ დაბრუნება განიზრახა. მამა გაბრიელიც თან გაიყოლა. ღირს მამას გაყოლა არ უნდოდა, მაგრამ მთავარდიაკონი იოანეს ხვეწნა-მუდარაზე უარი ვერ შეჰკადრა. როდესაც მრავალწყაროს ხეცს მიაღწიეს, ლეკთა მხედრობას გადაეყარნენ. ლეკებმა ორივე წამებით მოკლეს.

გარეგნულმა ბერებმა ღირსი გაბრიელის ნეშტი დიდი პატივით გადაასვენეს მისი აღსრულების ადგილიდან და გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტრის ტერიტორიაზე დაკრძალეს.

# პლიტაჟი სილნალი და შიშხი სილნალეპი

ვინ იცის, რას ფიქრობდა და როგორ ესახებოდა ერეკლე მეფეს ქალაქი, რომელიც ციგვომბორის კალთებს მერცხლის ბუდედავით მიაშენა და რომელსაც კავკასიონის ძირში მოთარეშე მტრებმა სილნალი — ანუ ციხესიმაგრე შეარქვეს, რადგან მისი აღება ვერ მოახერხეს. ისეთს კი, ალბათ, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა პატარა კახი, როგორსაც ახლა უყურებენ სილნალელები და სილნალის სტუმრები — ლამაზს, გაუცხოებულს და მაინც, ძალიან მშობლიურს.



## ანუ „უხომოდ მომთმანი, მაგრაჲ უბატონო ქაყანა“

### მარინა გოგოლაშვილი

ზამთრის სეზონის გამო შეჩერებული სარეაბილიტაციო სამუშაოების განახლებას სილნალელები დღე-დღეზე ელიან. მართალია, ქალაქმა უკვე საფუძვლიანად იცვალა იერი, მაგრამ მშენებლობის დაუსრულებლობა ისეთივე შესამწენვია მნახველისთვის, როგორც განახლებული ფასადები, ახალი შადრევნები და რესტავრირებული ისტორიული შენობები.

სილნალელებს თუ ჰკითხავთ, მათი ქალაქი ქვეყანაში თანამედროვე ტურიზმის განვითარების კლასიკურ მაგალითად გამოდგება.

### ზასილ ნიჟაშვილი:

— სილნალელების სიძე ვარ. ყოველ ზაფხულს აქ ჩამოვდივარ (რუსთავიდან), მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად. მოხარული ვარ, რომ ქალაქი, რომელიც ფაქტობრივად, დაცარიელებული იყო, ახლა შენდება, მშენდება და ზაფხულშიც უამრავი უცხოელი ჩამოდის. მთავრობისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის?!

სილნალელთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალაქის ევროპეიზაცია (და არა რესტავრაცია!) მათთვის არ ხდება.

### მარინა ვიქარიშვილი:

— ხალხისთვის რა კეთდება? ცხოვრების გასაქანი არა გვაქვს. 40 წელი ვიმუშავე, ახლა კი ქუჩაში ვზივარ და მთელი დღე მზესუმზირას ვყიდი, 67 წლის ქალი. ჯანი და ღონე მომდევს, მაგრამ ხალხი ვიმუშაო? ამ ქალაქში მარტო მშენებელი მუშები სჭირდებათ. მთელი ჩემი შემოსავალი — პენსია და ის 7-8 ლარია, რომელიც მზესუმზირის გაყიდვისგან მრჩება... ჩემი ორი ქალიშვილი შორსაა გათხოვილი. ახლოსაც რომ იყვნენ, ახლა ყველას საკუთარი თავი გასჭირვებია. ჰოდა, ნერვიულობაში ვატარებ მთელ ჩემს ცხოვრებას.

### მანია დათუაშვილი:

— უკვე 82 წლის გადაყრუებული დედაცდი ვარ. სილნალში ავი ხდებ, თუ კარგი, არ გამოგება. მე რა? რალა დროს ჩემი გახარება? ახალგაზრდებს უნდა მოსწონდეთ, თუ მოსაწონი რამე ხდება სილნალში.


### მარგო მამულაშვილი მანიაზე ოთხი წლით უფროსია, მაგრამ მისგან განსხვავებით, ძალიან მოსწონს სილნალში მიმდინარე ცვლილებები:

„კარგია, ცუდი რად უნდა იყოს?! უცხო ჩამოდის და მოსწონს, ჩვენ გამოვდივართ და მოგვწონს!“

აი, მისი სენია, მარგო მამულაშვილი კი სხვაგვარად ფიქრობს:

— ხალხს რა ეშველება? ხალხი მშვიერია. პოლიციაში ვმუშაობდი, მაგრამ როგორც კი 65 წლის გახდით, მაშინვე დამითხოვეს. ჩემი ასაკის დამლაგებელიც აღარ უნდათ. ვეღარ გავიგე, დამლაგებელიც 27 წელს ზევით არ მიიღება? კიდევ კარგი, ეს უპოვართა სასაადილო არსებობს. როდემდე იქნება? ან რატომ უნდა მოვდიოდე აქ?..

განსაკუთრებულ სევდას მოუცავს სილნალელთათვის კარგად ცნობილი სახე, პატივისცემი ქალბატონი



ქალაქი, რომელიც ფაქტობრივად, დაცარიელებული იყო, ახლა შენდება

**გიული ოძრუაშვილი:**

— როგორც ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს — დადგა ჟამი აღმშენებლობისა, მაგრამ რასაც ახლა გეტყვით, დაიჯერეთ, სიღნაღელთა უდიდესი ნაწილის სატკივარია ძალიან კარგია, რომ სიღნაღი მოიცვა სარეაბილიტაციო სამუშაოებმა: მიწის ქვეშ ექცევა კომუნიკაციები, მიმდინარეობს ძველი ქუჩებისა და შენობა-ნაგებობების აღდგენა, რათა ქალაქს ძველი იერი დაუბრუნდეს. ეს ყოველივე ძალიან კარგი იქნებოდა და სიღნაღელები მადლობის მეტს არაფერს ვიტყოდით, რომ არა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი გარემოებები. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ ხელისუფლებამ ამისთვის გაიმეტოს აქაური მცხოვრებლები, მაგრამ თუ მოარულ ხმებს დაუფერებთ, არსებობს სიღნაღის რეაბილიტაციის ოცნლანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ძირძველ მოსახლეობას, ქალაქიდან გასახლების სანაცვლოდ, გარკვეულ თანხას შესთავაზებენ, რომლის უარყოფის შემთხვევაში, შეიქმნება ისეთი პირობები, რომ მოსახლეობა იძულებული გახდება, აქაურობა თავისი ნებით დატოვოს. სიღნაღში კი ელიტური საზოგადოება დასახლდება. ამ პრინციპით, ჩვენი ქალაქი გადაიქცევა მაღალი დონის დასახლებულ და გასართობ ადგილად და არა კულტურისა და ტურიზმის ცენტრად. დღეს, ყოველ სიღნაღელს აწვდის კითხვა: ვისთვის სჭირდებათ სიღნაღის რეაბილიტაცია? ქალაქის იერი მხოლოდ შენობა-ნაგებობები ხომ არაა?! სიძველის შეგრძნება სწორედ ქალაქის ძირძველმა მოსახლეობამ უნდა შექმნას, რომელმაც გადაარჩინა ტრადიციები, შემოინახა ადათ-წესები. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ქალაქის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დატოვა თავისი საცხოვრებელი და ლუკმაპურის საზოგადოებად, სხვადასხვა ქვეყანას მიამურა. აქ დარჩენილი მოსახლეობის 98% უმუშევარი და პენსიონერია. ეს ხალხი რაიონის მასშტაბით მატერიალურად ყველაზე გაჭირვებული და სოციალურად დაუცველია. მას არ გააჩნია მიწები, საქონელი. არის მხოლოდ რამდენიმე კერძო მაღაზია, რომელთაგან ნაწილი უკვე დახურეს... გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ქალაქში, რომელიც კულტურის ცენ-



სიღნაღელები აკაკი ბაქრაძესთან ერთად

ტრად უნდა იქცეს, თავიანთი ადგილსამყოფლიდან გამოსახლებულნი არიან და კაცმა არ იცის, ხვალ რა ელის კულტურის ისეთ დანესებულებებს, როგორიცაა: ხელოვნების სკოლა, სახელოვნებო სასწავლებელი, თეატრი, ბიბლიოთეკა. გამონაკლისს წარმოადგენს არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, რომელიც მართალია, თავისი შენობიდან „გამოსახლეს“, მაგრამ რამდენიმე თვეში დააბინავს ყოფილი სახელოვნებო სასწავლებლისა და თეატრის შენობაში, რომლის რეკონსტრუქცია მოხდა. სიღნაღის თეატრმა — რომელსაც საუკუნე-ნახევრის ისტორია აქვს და სახელმწიფო თეატრის სტატუსსაც ატარებდა; რომელსაც ტრიუმფით აქვს მოცილი კანადა, ინგლისი და საფრანგეთი — ყოფილი კინოთეატრის შენობას შეაფარა თავი... ხელოვნების სკოლა განათავსეს ყოვლად შუფერებელ, ყოფილ ვეტლაბორატორიის შენობაში, რომლის ე.წ. საკონცერტო დარბაზში ვაჭა კუდს ვერ მოიქნევს და სადაც მაყურებელთა სავარძლების პირველი რიგი, ლამის, როიალის ქვეშა განთავსებული... თავშესაფარი ჯერ კიდევ არ გააჩნია შენობიდან გამოსახლებულ ცენტრალურ ბიბლიოთეკას, რომლის დიდ ტომრებში მოთავსებულ უმდიდრეს ფონდს საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი ვერ იტევს. საერთოდ, გაურკვეველია, რა ბედი ელის საქართველოს საამყო მომღერლის — ვანო სარაჯიშვილის და ქართული საესტრადო

მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, სანდრო მირიანაშვილის მემორიალურ მუზეუმებს. ყოველივე ეს მაძლევს საფუძვლიანი ეჭვის საბაბს, რომ კულტურის განვითარებას სიღნაღში არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. შემავფოთებელია ისიც, რომ კულტურული ინფორმაციის თანახმად, ქალაქის ძველ უბნებსა და ცენტრში არსებული შენობა-ნაგებობები გაყიდულია. რა განთავსდება მათში და რა ფუნქცია დაეკისრება, არავინ იცის. სიღნაღელებს ისიც გვანუხებს, რომ დანესებულებების დიდი ნაწილი (საავადმყოფო, ნოტარიუსი, არქივი, საპასპორტო და მმართველობის ბიურო) გადაიტანეს წნორში, რამაც განსაკუთრებით გაურთულა ცხოვრება სოფლის მოსახლეობას, რომელსაც ერთი ცნობის ან საბუთის ასაღებად შესაძლოა, სამი ტრანსპორტის გამოცვლაც კი დასჭირდეს. ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ მალე, დარჩენილ ორგანიზაციებსაც წნორში გადაიტანენ და სიღნაღს საერთოდ მოუხსნიან რაიონული ცენტრის სტატუსს. ღმერთმა ნუ ქნას! ეს რომ მოხდეს, სიღნაღელები ერთმანეთს გარდა, ვეღარავის დავინახავთ. ტურისტული სეზონის დასრულებისთანავე, ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდება და სიღნაღი არქეოლოგიური გათხრების მომლოდინე ნაქალაქარს დაემსგავსება. ეჭვს, რომ ეს კულტურული ინფორმაცია შესაძლოა, რეალობას მოკლებული არ იყოს, წნორის რუსული სკოლის შენობაში რაიონული საავადმყოფოს დროებით განთავსების ფაქტი აძლიერებს. დიას, სიღნაღში აღარ არსებობს სტაციონარული სამკურნალო დანესებულება. გვინდა გვეჯეროდეს, რომ ამ პრობლემას ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სასიკეთოდ გადაჭრის. მალე სიღნაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდება, რასაც დაუსაქმებელი სიღნაღელები მოუთმენლად ელიან. თუმცა, ამ მოლოდინს გაურკვეველი სევდაც ახლავს — ქალაქში დარჩენისა და აქ ყოფნა-არყოფნის შიშნარევი სევდა. ერთი რამ დანამდვილებით ვიცო: აქ დავიბადე და აქ უნდა მოვკვდე. აქედან ცოცხალი თავით ვერ გამოიყვანენ. დამერწმუნეთ, ასე ფიქრობს სიღნაღელთა უდიდესი ნაწილიც. არავის დაავინწყდეს, ეს ქიზიყია — უზომოდ მომთმენი, მაგრამ უბატონო ქვეყანა!..

**ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ მალე, დარჩენილ ორგანიზაციებსაც წნორში გადაიტანენ და სიღნაღს საერთოდ მოუხსნიან რაიონული ცენტრის სტატუსს**



# ეს ჩვენი გოლო სარუქარია...

სიკვდილმერსილი ისევ ღიძლიან  
 მენი ნათელი თვალების მქონე,  
 ვაშნყოლის ძიძი და სკვდა,  
 მონაცემების და ლოდინის იქნა,  
 ველამ ხალისობს ყრამ იმეჯანად,  
 დასაბრუნებლის ჩაქადაქა მხეხა,  
 ვესაოთრებთი მენს ყველას ნათეს,  
 ყოველი წამი, ყოველი წუთი...

ჩემო ნელიკო, ორმოცი დღე გავიდა შენი მონატრებით და ლოდინით დაღლილი, ორმოცი დღე აღუნერელი ტკივილით გათანგული, შენს ხელმენახებ ყველა ნივთს შენეული სითბო შერჩენია, ყველა ოთახის ყველა კუთხიდან შენი სურათები იმზირება, შენი სურათებიდან ნათელი თვალებითა და თბილი ღიმილით გვესაუბრები, შენი შვილები და შვილიშვილები იქვე ფუსფუსებენ, სადაც შენი სული ტრიალებს, სახლიდან სასაფლაომდე გადებული გზა ამაოა, იმედდაკარგული, ჩვენ გესაუბრებით, შენ ხმას არ გვცემ, არ გველაპარაკებ.

შენ გაზაფხული გიყვარდა, ყვავილების დღესასწაული, ახლა მხოლოდ შენი საფლავია გადაპენტილი იებით და ყოჩივარდებით, ყოველ შაბათს ახლობლები და მეგობრები შენს საფლავთან იკრიბებიან. განსაკუთრებული სიყვარულით გეფერებიან შენი სვანები, შენ ხომ მათ გვერდით 23 წელი გაატარე, საკუთარი შვილივით შეგისისხლხორცეს მთის ამაყმა შვილებმა, ცნობილი პოეტის, საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ გელაშვილის ღირსეული ასული, აკი ამბობს მესტიამი წამოსული ბ-ნი ვლადიმერი: „დადის კოშკებთან ჩემი ასული“

შესტრფის მესტიას რძალი სვანეთის...“

და ის კოშკებიც, შენი მესტიაც, შენი სვანეთიც ამყობდა შენი რძლობით. შენი რძლობით ამყობდა რაჟდენ ჭელიძისა და ლუბა ჯაფარიძის ოჯახი... სვანეთს ამშვენებდა მთებივით ზვიადი, ქართული სული, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ვაჟკაცის, ივერი ჭელიძის ლამაზი ოჯახი — რომელიც ცოტა ხანში ყველასთვის სამაგალითო ოჯახად იქცა...

ცხოვრება თბილისში გრძელდება... სვანების მომხიბვლელი და სათნო რძალი, წელი გელაშვილი მეცნიერულ მოღვაწეობას თბილისის ეთნოგრაფიულ

მუზეუმში აგრძელებს. რამდენიმე ნაშრომის ავტორმა ისევ შექმნა უნიკალური თემა „სვანური ქორწინების წეს-ჩვეულებანი“, რომლის გამოცემა, სამწუხაროდ, მის სიცოცხლეშივე ვერ მოესწრო.

მყუდრო და ლამაზი ოჯახი — სიყვარულზე და ერთგულებზე დაფუძნებული, დაუნდობელმა წუთისოფელმა დაამსხვრია... ვინ იფიქრებდა, ასე ნაადრევად წაგვართმევდა სიკვდილი შენს თავს. თავზარდამცემია შენი ამქვეყნიდან წასვლა არა მარტო შენი ოჯახისთვის, შენი გელაშვილებისთვის, ჭელიძეებისთვის და ჯაფარიძეებისთვის, შენი ერთადერთი ძმისთვის ვაჟასთვის, შენი მეგობრებისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც კი გიცნობდა.

შენი გარდაცვალებიდან დღემდე არ წყდება ტელეფონის ზარები, რამდენს არ სჯერა შენი სიკვდილი, მათ, ვისაც თავის დროზე ხმა ვერ მივანვადინეთ. შენი უთქმელი გოჩა და მაიკო პატარა ბავშვებივით დაეძებენ სამაგალითო დედას, არანაკლები სიყვარულით გესათუებიან შენი ეკა და ალექო, შენს ანგელოზ შვილიშვილებს ისევ სჯერათ შენი დაბრუნების. შენმა უბედურმა დედამ კი შენს დაკარგვას ვერ გაუძლო: „უფალო, ჯოჯოხეთში არ მინდა მოვხვდე. თავს ნუ მომაკვლევიანებ, ნებით წამიყვანე ნელისთან“ — ასე ეშუადრებოდა ღვთის მოშიში, ლამაზი შვილების აღმზრდელი დედა — ელენე გელაშვილი უფაღს, შეისმინა უფაღმა შვილმკვდარი დედის ვედრება და 29-ე დღეს სამუდამოდ წაიყვანა თავის უსაყვარლეს შვილთან, ნელისთან.

გაზაფხული გიყვარდა, ნელიკო... პოეზია გიყვარდა, თავადაც წერდი ლექსებს, არ ახმოვანებდი...

საავადმყოფოში დიდ პოეტს — ანაკლანდაძეს თითქმის ყოველდღე ხვდებოდი, ალტაცებულმა წარმოთქვი: „რამ ბედნიერი ვარ, ქალბატონო ანა, თქვენთან შეხვედრა რომ მარგუნა უფაღმა“, მშვიდად უსმენდა შენ მიერ წაკითხულ ყველა სტრიქონს მისი შემოქმედებიდან და ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. შენი გარდაცვალება მიუსამძიმრა შენს ოჯახს, სამწუხაროდ, ისიც მალე ეზიარა უფლის ნებას.

ტკივილების ჟამს დაწყებული ურთიერთობა იქ გაგრძელდება, სამუდამო სამკვიდრებელში, სადაც ია და ვარდები გულზე დაყრილი, პოეზიის, სიყვარულის, მონატრებისა და სინანულის მარგალიტებად შერწყმიან გაზაფხულის ნაცრემლად სიზმრებს...

უსაშველო და მძიმე ორმოცი დღე გავიდა შენი ოჯახისთვის, ოჯახური სიმშვიდე შავი თალხით დაიბურა, შენს ტკივილიან მონატრებას ვეღარ უძლე-



ბენ შენი ივერი, შენი გოჩა და მაია... უსაშველო ნაპრალი გაჩნდა, რომელსაც ვერაფერი ამოავსებს. ოჯახის ტვირთი მარტოს შეატოვე შენს ივერის. მთასავით კაცი მხრებჩამოყრილი სახლიდან სასაფლაომდე დაგეძებს, საკუთარი ხელით დაგილაგებს საფლავზე ყვავილებს, სახლში მოსული, თვალცრემლიანი, შენს სურათზე ეფერება...

ორმოცი დღე გავიდა, ნელიკო! მთელი ცხოვრება უფლისმიერ გზაზე მიმავალი. ადამიანების კეთილდღეობაზე ლოცულობდით შენ და შენი დედიკო, უფლის სიყვარულით აღზარდეთ შვილები, ის შვილები, დღეს რომ „მკვდარ“ სურათებთან გაოგნებულნი მიატოვეთ, ხატებთან დანთებული სანთლებით თქვენი სულისთვის მლოცველნი... მე მჯერა თქვენეული სიკეთით დედა-შვილი უფალთან ერთად იქიდან ილოცებთ თქვენი ოჯახის გადარჩენისთვის, რათა გაუძლოს თქვენს მონატრებას თქვენი სიკვდილით გაოგნებულმა ჭირისუფალმა.

ორმოცი დღე გავიდა, ჩემო ნელიკო. ტკივილებითა და მონატრებით დაღლილი და მიუსაფარი, ყველა ეკლესიაში შენს სახელზე ანთებული სანთელი ინვის.

გაზაფხულის ყველა ყვავილი შენს საფლავს ამშვენებს, ალალი და წრფელი ცრემლით დანამული, ისევ გუგუნებს სვანური ზარი, სულს რომ შესძრავდა, სწორედ იმგვარი, ისევ გეფერებთი შენი სიშორით თავზარდაცემული შენი ახლობლები.

„თვალეზგაბრწყინებული ყვავილები მადლიერების გრძობით შეჰყურებენ კრიალა ცას, ამდენი სითბოს გამოგზავნისთვის“ — ეს შენი სიტყვებია, ჩვენ კი შენს სითბოს შენს გულზე დაყრილ ყვავილებს ვატანთ, ეს ჩვენი ბოლო საჩუქარია...

ტკივილიანი მონატრებით

ეთერ ჭელიძე

# ჩახა ჩალაძე ქართულ ეკონომიკაში მასშტაბურ ინვესტიციას დებს

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანმა და იტალიურ „მილანის“ მცველმა, ჩახა ჩალაძემ სამშობლოში კომპანია „კალა კაპიტალი“ დააფუძნა, რომელიც მასშტაბურ ბიზნესპროექტების განხორციელებას აპირებს.

## „ჩალა ჩავიბალი“ მინიქალაქს ააშენებს

### ლაშა თაბაგარი

თავად ფეხბურთელი, „კალა კაპიტალის“ თანადამფუძნებელია. ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ნოლაიძელი ამ კომპანიის თავმჯდომარე იქნება. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი, ალექსი ალექსიშვილი „პროგრეს ბანკს“ (რომელიც ამ ბიზნესპროექტის ერთ-ერთი ნაწილია) უხელმძღვანელებს. გარდა ამისა, იგი „კალა კაპიტალის“ დირექტორთა საბჭოშიც შევა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკურ დარგში, ზვიად ხარებავა „კალა კაპიტალის“ აღმასრულებელი დირექტორი გახლავთ.

კომპანიის პრეზენტაციაზე **კახა კალაძე** თქვა:

— თამაშის დროს ისე არ ვწერვიულობ, როგორც ახლა. საქართველოს ეკონომიკური განვითარება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომაც გადავწყვიტე, ბიზნესი სწორედ აქ წამოვიწყო. „კალა კაპიტალი“ რამდენიმე შეილობილი კომპანიისგან შედგება, ერთ-ერთი მათგანი „პროგრეს ბანკია“. მე იტალიაში, უკრაინასა და ყაზახეთში საკუთარი ბიზნესი მაქვს. მსოფლიოში რამდენიმე ისეთი ადგილია, სადაც ახალი ბიზნესის წამოწყება შეუძლებელია, მაგრამ ჩემთვის საქართველოს კეთილდღეობა ყველაფერზე მნიშვნელოვანია. მსურს, თითოეულ ქართულ ოჯახს სიხარული მივანიჭო და ამ მიზნით, ბიზნესის წამოწყება გადავწყვიტე. ვფიქრობ, ამ სფეროში წარმატებულად ვიღვანებ. გასული, რომელმაც ბიზნესპროექტი უნდა განახორციელოს, უკვე დაკომპლექტებულია. საბანკო მუშაობისთვის ლიცენზია მიღებული გვაქვს. გარდა ამისა, არსენალის მთაზე ახალი ქალაქის მშენებლობას ვიწყებთ. ბი-

ზნესის პარალელურად, კომპანია საქველმოქმედო საქმიანობითაც იქნება დაკავებული. იგნისის შუა რიცხვებში საქველმოქმედო ფონდ „კალას“ პრეზენტაცია შედგება. ის დაეხმარება უპატრონო ბავშვებს და უმწეო მოსულებს. საქველმოქმედო ფონდი, საქართველოს სხვადასხვა რაიონში, საფეხბურთო მოედნებს ააშენებს. აქცენტს ისეთ რეგიონებზე გავაკეთებთ, სადაც ასეთი მოედნის ნაკლებობაა.

ბიზნესგეგმი უცხოური და ქართული კაპიტალით დაფინანსდება და ინვესტიციას სამ სფეროში — ენერჯეტიკაში, უძრავ ქონებასა და საბანკო საქმეში ჩადებს.

„პროგრეს ბანკის“ ამოქმედებას, „კალა კაპიტალი“ სექტემბრისთვის გეგმავს. იგი უნივერსალური ტიპის იქნება და კლიენტებს სრულ, მაღალხარისხიან საბანკო მომსახურებას შესთავაზებს.

კომპანია ენერჯეტიკაში რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს: პესების მშენებლობა, ნავთობპროდუქტებით საქმიანობა, ენერჯის ალტერნატიული წყაროების ათვისება.

„კალა კაპიტალის“ ყველაზე მასშტაბური პროექტია „არსენალი“, რომელიც 10 ნეოლინადში 80 ჰექტარ ფართობზე მინიქალაქის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის განხორციელებისთვის კომპანია 1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიციას მოიზიდავს. სამშენებლო კომპლექსი მოიცავს საცხოვრებელ კომპლექსებს, საკონფერენციო ცენტრებს, ვილებს, „ა“ კლასის ოფისებს, კომერციულ ფართებს, 5-ვარსკვლავიან სასტუმროებსა და გასართობი ტიპის დანესებულებებს.

წინასწარი პროგნოზით, პროექტი „არსენალი“ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-იან ზრდას და 25 ათასამდე სამუშაო ადგილის შექმნას განაპირობებს.

კალაძის თქმით, „კალა კაპიტალის“ ბიზნესპროექტის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ უცხოურ კომპანიებთან (რომელთა შორის ბრიტანელები და ამერიკელები არიან) მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. ასევე, არაა გამორიცხული უკრაინულ კომპანიებთან თანამშრომლობაც. კალაძემ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში ბიზნესსაქმიანობის წამოწყება ქვეყანაში ბოლო პერიოდში შექმნილიმა სტაბილურმა სიტუაციამ გადაწყვიტინა.

„კალა კაპიტალის“ კიდევ ერთი პრეზენტაცია იტალიაში იგეგმება. ■

## სოფო ჭონიძე

— მყავს დედა და მამა. ისინი პროფესიით პედაგოგები არიან, მე კი იურისტი გახლავართ.

— **დაძმა არ გყავს?**  
— მამის მხრიდან ნახევარდა მყავს. მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე ვიზრდებოდით, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და ურთიერთს პატივს ვცემთ.

— **ამბობენ, დედისერთები უცნაური თვისებებით გამოირჩევიან...**  
— მე არც ეგოისტი ვარ და არც — მესაუთრე. „ექსკლუზიური“ დედისერთა გახლავართ.

— **ზარმაცი ხარ?**  
— ზარმაცი ნამდვილად არ ვარ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შრომისმოყვარე, მუყაითი ადამიანი გახლავართ, მაგრამ ძილი მიყვარს, დილით გაღვიძება მიჭირს.

— **ალბათ, ეს იმიტომ ხდება, რომ ღამის ცხოვრებით ცხოვრობ...**  
— (იცინის) ზოგჯერ, მეგობრებთან ერთად, ღამის კლუბში მართლაც მივდივარ. მაგრამ ხანდახან, როცა შინ ადრე ვბრუნდები, გვიანობამდე მინცვერ ვიძინებ — ვმუშაობ, სცენარებს ვწერ და ა.შ.

— **სშირად ბრაზდები? ფიცხი ადამიანი ხარ?**  
— პირიქით, ძალიან განონასწორებული და მშვიდი პიროვნება ვარ. ყველა, ვინც მიცნობს, წყნარ, აუღელვებელ ადამიანად მიმიჩნევენ. შეიძლება, რაღაცამ ძალიან გამაბრაზოს, მაგრამ წონასწორობას არასდროს ვკარგავ.

— **როცა მეგობარი ან ახლობელი ადამიანი განწყონებს, როგორ იქცევი?**  
— მას მშვიდად დაველაპარაკები, მუშტებზე ყურებას ნამდვილად არ დავიწყებ. სხვათა შორის, არც გინება და არც უხეში სიტყვების გამოყენება მიყვია. რაც შეეხება სიფიცხეს, ფიქრობ, ყველა ქართველი მამაკაცი ბუნებით ფიცხია.

— **არასდროს გიჩხუბია?**  
— ბავშვობაში მიჩხუბია, მაგრამ მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე, მსგავსი რამ არ მომხდარა. საერთოდ, კონფლიქტი იშვიათად მომდის.

— **გიორგი, „ვეროპელი“ ხართ თუ „ზიატი“?**  
— არც „ვეროპელი“ ვარ და არც — „ზიატი“. მე ქართველი მამაკაცი ვარ, მაგრამ მეუღლეს შარვლისა და დეკოლტეს ჩაცმას არ ავუყრძალავ და არც იმის სურვილი მაქვს, რომ ჩემი მეორე ნახევარი სულ შინ იჯდეს.

— **ქართული ტრადიციები თუ მოგწონს?**  
— ბევრი რამ მომწონს და ვიცავ კიდევ, მაგრამ არის რაღაც-რაღაცები, რაც სიმართლე გითხრა, ნამდ-



„კალა კაპიტალის“ კიდევ ერთი პრეზენტაცია იტალიაში იგეგმება

# „მესკლუზიუზი“ და დედისებრთა სასიკომო

სულ რაღაც 3 წელია, რაც პაროდისტი ბიორბი ავციიაური ტელეეკრანზე გამოჩნდა და ცნობილი სახე გახდა. მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. არ მოსწონს მორიდებული და მორცხვი გოგონები. შეყვარებული არ ჰყავს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა, მალე მისი გულის დაპყრობა ვიღაცამ შეძლოს და ოჯახის შექმნაზეც დააფიქროს.

„ცოლი მხოლოდ იმიტომ ყი არ უნდა მოვიყვანო, რომ ყერძები მომიმზადოს!..“

ვილად არ მომწონს.

— მაინც, რა არ მოგწონს?

— მაგალითად, არ მომწონს ის, რომ ადამიანის დაკრძალვის დღეს ქელესს მართავენ. საშინელი წესია. თუ პრეტენზია გვაქვს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა განვითარდეს და წინ წავიდეს, მაშინ ქელეხებზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ღრეობად იქცევა ხოლმე, უარი უნდა ვთქვათ. ადამიანის დაკრძალვის დღეს რომ არ ვუჭახუნოთ ერთმანეთს ჭიქები, რა მოხდება?! ქართველებს ხომ ისედაც უამრავი დღესასწაული გვაქვს, ყველაფერს ვზეიმობთ: მანქანის ყიდვას, გაყიდვას და ა.შ.

— შენს დადებით თვისებად რას მიიჩნევ?

— მიზანდასახული, ბრძოლისუნარიანი და ოპტიმისტი ვარ.

— ტყუილის თქმა გეხერხება?

— როგორ არა?! ტყუილი ვის არ უთქვამს?! ზოგჯერ ისე ხდება, რომ ტყუილის თქმა აუცილებელია. მაგალითად, მაშინ, როცა არ გინდა, საყვარელ ადამიანს გული ატკინო.

— მშობლებს თუ ატყუებ?

— მათთან ტყუილის თქმა არ მჭირდება. პატარა ბიჭი ხომ არ ვარ, რაიმე მოვიტყუო?!

— ყველაზე ხშირად მშობლები რაზე გიბრაზდებიან?

— (ფიქრობს) მხოლოდ მაშინ მიბრაზდებიან, როცა ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში, შინ გვიან ვბრუნდები. ხანდახან ისეც ხდება, რომ საყვედურის თქმას ვერ ახერხებენ — მე რომ მივდივარ, მათ უკვე სძინავთ, დილით კი, როცა ვიღვიძებ, ისინი სამსახურში არიან.

— გიორგი, შეყვარებული გყავს?

— ჯერჯერობით, არა. სერიოზულად შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ პატარა-პატარა გატაცებები მქონია!

— ეი. გოგოსთვის სიყვარული არასდროს აგისნა, სომ?

— გრძნობით, არა (იცინის).

— როცა ხვდები, რომ ვიღაცას



მოსწონხარ, როგორი რეაქცია გაქვს?

— ცუდი რეაქცია რატომ უნდა მქონდეს?! პირიქით, სასიამოვნოა, როცა ვიღაცას მოსწონხარ, უყვარხარ და პატივს გცემს.

— როგორი გოგონები მოგწონს?

— ოდნავ განათლებულები (იცინის).

— რას ნიშნავს „ოდნავ განათლებული“?

— უცოდინარი არ უნდა იყოს და რაც მთავარია, იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს.

— აქტიური, თამამი გოგონები მოგწონს თუ პასიური და მორიდებული?

— ძალიან მომწონს კონტაქტური გოგონები, მათთან ურთიერთობა ადვილია. ისე, ადრე მამაკაცებს მორიდებული, მოკრძალებული გოგონები უფრო მოსწონდათ.

— მშობლები არ გეუბნებიან, ცოლი შეირთეო?

— ჯერ არა. მათთვის ისეც ბავშვი ვარ. სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მე ვფიქრობ, მაგრამ ისიც ვიცი,

რომ სიყვარული შეკვეთით არ მოდის (იცინის).

— შენმა მომავალმა მეუღლემ კერძების მომზადება აუცილებლად უნდა იცოდეს?

— ისეთ მეორე ნახევარს ნამდვილად არ ვეძებ, რომელმაც აუცილებლად ხაჭაპურის ცხობა უნდა იცოდეს. მთავარია, ჩემ გვერდით ისეთი ადამიანი იყოს, ვინც გამიგებს და ვისაც გაუგებ. ცოლი მხოლოდ იმიტომ კი არ უნდა მოვიყვანო, რომ კერძები მომიმზადოს!..

— საოჯახო საქმეების კეთება თუ გეხერხება?

— კი, რაღაცები მეხერხება. სხვათა შორის, გემრიელი კერძები გამომდის (ყოველ შემთხვევაში, ისინი თავად ძალიან მომწონს).

— ბევრი თაყვანისმცემელი გყავს?

— საკმაოდ...

— ცოლად ასაკით უფროს ქალს თუ მოიყვანდი?

— გამორიცხული არაფერია. ვნახოთ, მომავალში ვინ შემეყვარდება.

— შეყვარებულთან ქორწინებამდე თანაცხოვრებაზე რას იტყვი? ეს შენთვის მისაღებია?

— სანამ წყვილი ოჯახს შექმნის, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთად უნდა იცხოვროს. ამ შემთხვევაში, ოჯახის დანგრევის ალბათობაც ნაკლები იქნება. არიან ადამიანები, რომლებმაც არ იციან, ცოლი რატომ და რისთვის შეირთეს.

— შენს საცოლეს მზითვეში რა უნდა მოჰყვებოდეს?

— (იცინის) ვერ გამიგია, მზითვეი რატომ უნდა მოიტანოს?! არ სჯობს, რომ საოჯახო ნივთები ერთად შევიძინოთ?!


— გიორგი, შენი მომავალი მეუღლის დედას როგორ მიმართავ?

— „დედას“ დავუძახებ (იცინის). არა, ვისუმრე. ალბათ, სახელით მივმართავ. სხვათა შორის, არც იმის პრეტენზია მექნება, რომ ჩემმა მეუღლემ დედაჩემს „დედა“ დავუძახოს.

— ამ ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, შენი თაყვანისმცემლები მესიჯებს მომწერენ და შენთან შესვედრას მოითხოვენ. რას იტყვი ამაზე?

— სიამოვნებით შევხვდები მათ და ნებისმიერ კითხვაზე ვუპასუხებ.

P.S. გიორგის თაყვანისმცემლებო, იაქტიურეთ! გამოგვიგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(98) 23.09.21 თქვენ გეძლევათ შანსი, პაროდისტი პირადად გაიცნოთ. წარმატებებს გისურვებთ!



## Bentley Boys USA-ს „რეპრო“



ამერიკულმა ტიუნინგ-კომპანიამ — Bentley Boys USA — 1960-იან წლებში გამოშვებული, ინგლისური ლიმუზინის ბაზაზე შექმნილი კონცეპტუალური ავტომობილის — Bentley S3 E Design გამოსახლება წარმოადგინა. მისი შექმნის იდეა ინჟინერ არტურო ალონსოს ეკუთვნის, რომელიც რეტროლიმუზინის სამი ეგზემპლარის აწყობას გეგმავს. მისი თქმით, ეს მანქანები რამდენიმე ქალაქში გაიყიდება: ღუბაში, ნიუ-იორკში და მოსკოვში, „სადაც იმიჯი ყველაფერია“. კონცეპტ-ავტოს საფუძვლად დაგრძელებული ბორბლების ბაზის მქონე სამი ორიგინალური Bentley S3 აიღეს, რომლებიც 1962-1965 წლებში გამოდიოდა. თუმცა, მისი V8 ტიპის, 6,2-ლიტრიანი ძრავა BMW-ს 4,4-ლიტრიანი, 300 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე მტორით შეცვალეს, რომელიც კომპანია ZF-ის მიერ გამოშვებული, 5-საფეხურიანი ავტომატური ტრანსმისიით მუშაობს. აგრეთვე, კონცეპტ-ავტოში დამონტაჟეს ორზონიანი კლიმატკონტროლი, ტყავით განწყობილი სალონი და 20-დუმიანი ბორბლების დისკები, რომლებსაც 275/40 ზომის, Continental Sport-ის მიერ დამზადებული საბურავები უყენია. ამ მანქანის შესახებ სხვა ინფორმაცია არ ვრცელდება. მის შესაქმნელად არტურო ალონსო რვა თვის განმავლობაში ირჯებოდა. Bentley Boys S3-ის სავარაუდო ფასი 150 ათასი ამერიკული დოლარი იქნება. ■



## „ჰიუნდაი“ და „კია“ ერთობლივ მოქმედებას გეგმავენ

სამხრეთკორეული „ჰიუნდაისა“ და „კიას“ მესვეურებმა დაადასტურეს გაცრელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ მიერ ჰიბრიდული ავტომობილების მასობრივი წარმოება მომავალ წელს დაიწყება. პირველად ბაზარზე „ჰიუნდაი“ გავა, რომელიც აირზე მომუშავე ავტომობილს 2009 წლის ზაფხულში წარმოადგენს, ერთი წლის შემდეგ კი ჰიბრიდულ მოდელს „კიაც“ შემოგვთავაზებს. ამასთან, „კიას“ მესვეურები აცხადებენ, რომ ისინი ერთბაშად, ჰიბრიდული ძრავით აღჭურვილ ორ მოდელს ამზადებენ — დიდ არასაგზაოს — Mohave/Borego (რომელიც აშშ-ში გაიყიდება) და საშუალო ზომის სუდანს — Lotze. თავის მხრივ, „ჰიუნდაი“ 2010 წლისთვის საკუთარი ჰიბრიდული სუდანის სერიულ წარმოებაში ჩაშვებას გეგმავს, რომელიც Sonata-ს ზომის იქნება. ხოლო 2012 წელს, სამხრეთკორეული ავტომწარმოებლები ბაზარზე ახალი სერიული მოდელის შეტანას გეგმავენ, რომელიც Honda FCX Clarity-სა და „მერსედეს-ბენცის“ პირველი წყალბადის მანქანას (ბაზარზე მისი გამოჩენა 2010 წლისთვისაა ნავარაუდები) გაუნეცს კონკურენციას. ■



## ჯეიმს ბონდი Ford Ka-თი ივლის

„აგენტ 007“-ის გმირობებზე შექმნილ ახალ კინოფილმში, ჯეიმს ბონდის ერთ-ერთი ავტომობილი კომპაქტური ჰენტკის — Ford Ka — ახალი თაობა იქნება. ეს ფილმი კინოგაქირავებაში შემოდგომიდან გავა. ამის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ახალი ფილმის შესახებ სპეციალური ვიდეორგოლი გადაიღეს, რომლის ერთ-ერთ სცენაში აღნიშნული მოდელის ამოცნობაა შესაძლებელი. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯეიმს ბონდის (რომლის როლსაც ისევ დენიელ კრეიგი

შესარულებს) „მთავარ“ მანქანად 510 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე, ექვსლიტრიანი, 12-ცილინდრიანი ძრავით აღჭურვილი ბრიტანული სუპერკარი — Aston Martin DBS — უნდა ქცეულიყო. ამ მანქანით, ისევე, როგორც Ford Moreno-თი, „აგენტი 007“ ჯერ კიდევ წინამორბედ ფილმში — „კაზინო როიალი“ დადიოდა. აქვე გაცნობებთ, რომ კომპანია Ford, Ford Ka-ს სერიულ წარმოებაში ჩაშვებას მომავალ ზაფხულს აპირებს, ხოლო მანქანის მსოფლიო დებიუტი პარიზის ავტოსალონზე, ოქტომბერში შედგება. ■

# ქროთსკოპი

(3 - 9 აპრილი)

### ცეჩქა:

გაუმჯობესდება თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მოგემატებათ ენერჯია. კარგი პერიოდია ახალი ჩანაფიქრების განსახორციელებლად. შესაძლოა, მიიღოთ ისეთი საჩუქარი, რომელზეც დიდი ხანია, ოცნებობთ.

### კუჩქა:

თავი შეიკავებთ ახალი საქმეების წამოწყებისგან. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდს დასასვენებლად, ენერჯიის აღსადგენად გამოიყენებთ. ფარული სასიყვარულო ურთიერთობა შესაძლოა, სერიოზულ გრძობაში გადაიზარდოს.

### ტყუცა:

ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები დიდხანს შეგახსენებთ თავს. სიყვარულის მოთხოვნილება მთლიანად დაიპყრობს თქვენს გონებას და შესაძლოა, ურთიერთობა იმ ადამიანთანაც კი გააბათ, რომელსაც ადრე ყურადღებასაც არ აქცევდით.

### კიჩქა:

გაზრდილი პატივმოყვარეობა და კარიერაში წინსვლის სურვილი ცოდნის გაღრმავებისკენ გიბიძგებთ. ამ პერიოდში სწრაფად იაზროვნებთ და იშრომებთ, რაც თქვენი ავტორიტეტის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

### დოძა:

კარგი იქნება, თუ ამ პერიოდს მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარებთ. გაიზრდება თქვენი ინტერესი სანინალმდგომ სქესის წარმომადგენლების მიმართ და შესაძლოა, ოჯახის შექმნაც კი გადაწყვიტოთ.

### ქაძქა:

მიგიზიდავთ ყველაფერი უჩვეულო. ამასთან, გაიზრდება თქვენი ემოციური და სექსუალური დაინტერესება. დაიმახსოვრეთ, საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს ნუ ჩაატარებთ, რადგან შედეგები ძალზე სავალალო აღმოჩნდება.

### სახსნოჩა:

საქმეში წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გამოცდილ ადამიანებთან ითანამშრომლებთ. ამ პერიოდში ძალზე ცნობისმოყვარე იქნებით, რაც ახალი ურთიერთობების საწინდარი გახდება.

### ვოჩიფა:

შეეცადეთ, სამუშაო ადგილი მეტად ლამაზი და კომფორტული გახადოთ. კოლეგებთან მეტად გულახდილი იყავით და მათ შექებასაც დაიმსახურებთ. ამ პერიოდში სხვებისთვის უსასყიდლოდ განუული დახმარება თქვენს ავტორიტეტს გაზრდის და საკუთარი თავის რწმენასაც დაგიბრუნებთ.

### ვფვიდღოსახა:

გაიზრდება თქვენი შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი. მეტი დრო გაატარეთ მეგობრებისა და ხელოვანი ადამიანების წრეში. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი გამოამჟღავნოთ და ამით აუდიტორიის გული დაიპყროთ.

### ოხის ჩქა:

საქმეში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა ისიც არ დაკარგოთ, რასაც თავდაუზოგავი შრომით მიაღწიეთ. თქვენი სახლი შესაძლოა, რომანტიკული და ინტელექტუალური შეხვედრების ადგილად იქცეს.


### ფაჩქუფა:

რაც არ უნდა გთხოვონ, სხვის საქმეში ნუ ჩაერევით, რადგან შესაძლოა, უსიამოვნო არჩევანის გაკეთება მოგიხდეთ. ქუჩაში მოძრაობისას ყურადღება დაძაბეთ, რათა დაუღვერობის გამო არ დაშავდეთ. საყვარელ ადამიანთან ერთად გატარებული დრო დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

### თაფჯა:

ამ პერიოდში კარგია უძრავი ქონების შექენა. უამრავი ორიგინალური იდეა გაგიჩნდებათ და თუ მათ, თანამოაზრეებსაც გაუზიარებთ, შესაძლოა, კარგი შემოსავალი მიიღოთ. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

# ბაპოვიდა აპრილის ნომერი



თქვან სოპ გაპოვნაზიანი  
აკითხვალ ბრკანდებით...

**1** მთარგმნელი

**2** ლითონის ძველი ნივთები

**3** გემის უკანა ნაწილი

**4** მოტოველო-სიპელი

**5** საბუნების-მეტყველო მეცნიერება

**6** სასაფლაო ანტიკურ ქავენებში

**7** ცხოველთა მეფე

**8** ებრაელთა წმინდა წიგნი

**9** ძვირ-ფასი ქვებით გასუბილი გვირგვინი

**10** ქართველი პოეტი

**11** პორტის ბუმა

**12** ტროიკული ხილი

**13** ცხენის ჭენება

**14** მსა-ტრული თხრობითი ლიტერატურა

**15** მრცველული კულტურა

**16** კალაქი იტალიაში

**17** გემის ტვირთი

**18** ტბა ატილის შიგნით

**19** დღი, ბანკელაინი ძალი

**20** დროის მანვერებული

**21** ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში

**22** თქმულება

**23** ქართველი თეატრალური რეჟისორი

**24** უმცროსი მედ.მუშაკი

**25** ძლიერი ქარი

**26** სიმინდის გამზარი ღერო და ფოთლები

**27** რუკების კრებული

**28** რისამე საზიზი, სტანდარტი

**29** ამერიკული პისტოლეტი

**30** ერთგვარი კანფეტი

**31** ჭადრაკის ფიგურა

**32** გეომეტრიული სხეული

**33** ისტ. მხარე დასავლეთ საქართველოში

**34** ძველი თბილისის ტრანსპორტი

**35** ხალიჩა

**36** სკან-დინაიური თქმულება

**37** ფინური აზანი

**38** ფარული ღაცინვა

**წინა ნომრის სკანსორდის პასუხები**

1. რენუარი; 2. ბროლინი; 3. ტუგრიკი; 4. კარადა; 5. სიმინდი; 6. არიეტი; 7. ტელეგრაფი; 8. ასთანა; 9. კილიტა; 10. ოლე; 11. ზიდან; 12. ტერმინალი; 13. საკე; 14. ტეფტი; 15. ფარანჯა; 16. ლირიკა 17. ალ; 18. ეიფელი; 19. ფელინი; 20. ირაო; 21. ფლიდი; 22. დოკი; 23. აგარაკი; 24. კატრენი; 25. ნეკი; 26. ბოზა; 27. მარაკანა; 28. მაკარონი; 29. ამანათი; 30. ალლო; 31. რენო; 32. ლადა; 33. დეზაბილიე; 34. ცოლი; 35. ხალა; 36. კალიბრი; 37. კორონაცია; 38. თონე; 39. ირაო; 40. ბრიფინგი.

**სურათებზე:** რენე ზელვეგერი; ჯიმ კერი.



# გამორჩევი თუ არა აღაშინებთან უტიმტობის უნარით?

ეს ტესტი დაგეგმარება იმაში, რომ უცხო თვალთ შებედო საკუთარ თავს და გაარკვიო, რამდენად სიამოვნებთ ირგვლივ მყოფებს შინთან ურთიერთობა.

**ქვემოთ მოყვანილ შეკითხვას უნდა უპასუხო — „დიახ“, „არა“, „არ ვიცი“.**

1. შენ სტუმრად ჩასვდი ქალაქში, სადაც შენი ნათესავები ცხოვრობენ და ერთ-ერთ მათგანთან დაბინავდი. მეგობრებმა იციან შენი ჩასვლის შესახებ და მათთან შეხვედრაც აუცილებელია. ამ საქმეს ბოლო მომენტამდე გადადებ და მათ მხოლოდ წამოსვლის წინ შეხვდები?
2. ხვალინდელ დღეს შეხვედრა გაქვს დათქმული. მართალია, ეს არაა პაემანი შეყვარებულთან, მაგრამ მას ვერც საქმიან შეხვედრას დაარქმევ. შეხვედრის წინ ალელგებულები ხარ, გაბუდმებით ამაზე ფიქრობ და ძილიც გიტყდება?
3. რალაც შეკრებაზე გარკვეული შინაარსის განცხადების გაკეთება გთხოვს. ეს თხოვნა გაგალიზიანებს და უკმაყოფილო დარჩები?

4. ბოლო ხანებში სწავლის საქმეები ცუდად მიგდის, შეყვარებულსაც დაშორდი. ამის თაობაზე, არცთუ ისე ახლობელ ადამიანთან, ნუნუნსა და ქვითინს მოჰყვები?
5. მშობლებთან უთანხმოება ხშირად მიგდის. ამის მიზეზად „მამათა და შვილთა შორის ბრძოლა“ მიიჩნევ და დარწმუნებული ხარ, რომ უფროსი და უმცროსი თაობის წარმომადგენლები ვერასოდეს გაუგებენ ერთმანეთს?
6. ნაცნობი მცირე თანხას გესვსა და მისი დაბრუნება დაავიწყდა. შეახსენებ თუ არა მას ამის თაობაზე?
7. ბუფეტში შესულს, საოცრად გაფიქრებული ბიფეტქსი შეგხვდა, რომლის დაჭრაც ვერაფრით მოახერხე. ატეხავ თუ არა საკანდალს ამის გამო?
8. დღის მატარებლით მგზავრობისას, პირისპირ გიზის ადამიანი, რომელსაც აშკარად, ლაპარაკის საღერლელი აქვს აშლილი. შენ მოკლედ პასუხობ მის შეკითხვებს და მისგან თავის დაძვრენას ცდილობ?
9. მალაზიაში შენთვის აუცილებელი ნივთის საყიდლად შეხვდი და იქ უზარმაზარი რიგი დაგეხდა. ჩადგები თუ არა რიგში?
10. შენმა ორმა მეგობარმა იჩხუბა და

- მერე, მტყუნ-მართლის გარჩევა შენ გთხოვეს. მომრიგებელ-მოსამართლის როლს ძალისძალად, იძულებით მოირგებ?
11. შენ მოგწონს მომღერალი, რომელსაც შენი მეგობარი ვულგარულად მიიჩნევს. მას მოსწონს სპილბერგის ფილმები, შენ კი ფრანგული კომედიების ნახვას ამჯობინებ. არ გაიზიარებ მის მოსაზრებას და მხოლოდ საკუთარ გემოვნებას ენდობი?
  12. დერეფანში მიმავალმა შემთხვევით ყური მოჰკარი, რომ ერთ-ერთი პოპვარსკვლავის თვითმკვლელობაზე ლაპარაკობენ. შენ დანამდვილებით იცი, რომ ეს, ასე არ არის. ჩაერევი თუ არა მათ საუბარში და ეტყვი თუ არა, რომ ისინი ცდებიან?
  13. საოცრად ცუდ ხასიათზე ხარ, ამ დროს კი გიახლოვდება მოხუცი და გთხოვს, გზა მიასწავლო. გალიზიანებული უპასუხებ?
  14. შენი მეგობრის უმცროსი ძმა ალგებრის ამოცანის ამოხსნაში დახმარებას გთხოვს. ეს თხოვნა შენს უკმაყოფილებას ხომ არ გამოიწვევს?

**დაჯამე ქულები ყოველ დადებით პასუხში დაინერე 2 ქულა, უარყოფითში — 1, „არ ვიცი“ — 0.**

## ტესტის შედეგები

**0-9 ქულა:** საკმაოდ კონტაქტური ადამიანი ხარ და უცხო კომპანიაშიც თავს ისე გრძნობ, როგორც თვეში წყალში. საერთო საუბარში თავისუფლად გამოთქვამ საკუთარ აზრს, მაგრამ დისკუსიაში ძალზე იშვიათად მონაწილეობ. ზოგჯერ გაუმართლებლად სარკასტული შენიშვნებით გამოდიხარ, რაც ზოგიერთს აღიზიანებს; კარგი იქნება, თუ ამა თუ იმ ხუმრობის წარმოთქმისას საკუთარ თავს გააკონტროლებ.

**10-20 ქულა:** ადამიანებთან ურთიერთობას მშვენივრად ასერხებ. ნებისმიერ ახალ თანამოსაუბრეს სიამოვნებით უფდებ ყურს. შენს დადებით თვისებად მიიჩნევა ის, რომ კამათისას არასოდეს ცხარობ და მონიარულდევს კუთხეში მიმწყდევას არ ცდილობ. უცხო ადამიანებთან იოლად ამყარებ კონტაქტებს. მართალია, თანამოსაუბრის უხესიტყვაობა, ამაო ფაციფუცი და ექსტრაგაგანტურული გალიზიანებს, მაგრამ თავის შეკავებას ამგვარ შემთხვევებშიც ასერხებ.

**20-28 ქულა:** ირგვლივ მყოფები საკმაოდ რთულად საურთიერთო ადამიანად მიგიჩნევენ. საშუაზაროდ, არც ობიექტურობით, მოთმინებითა და თავშეკავებით გამოირჩევი. მაგრამ გულს ნუ გაიტყვ, თუკი ადამიანი მოინდომებს, ნებისმიერი ნაკლის გამოსწორებას შეძლებს. ასე რომ, იფიქრე ამაზე!

**იაკონური სენსაცია**

**სულოკუ**

**წინა ნომრის სულოკუს პასუხები**

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5
3	8	4	9	7	6	5	1	2
5	6	7	1	3	2	4	9	8
9	1	2	4	5	8	7	6	3
7	3	8	2	4	1	6	5	9
6	4	1	8	9	5	2	3	7
2	5	9	3	6	7	1	8	4
8	7	6	5	2	9	3	4	1
4	9	5	7	1	3	8	2	6
1	2	3	6	8	4	9	7	5
6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

**\* მარტივი**

3		1		2	9
	9	2		4	
	7		3		6
9			2		3
2			1		8
5		9	4		1
3		9		4	
4			2	7	
1	2		3		6

**\*\* საშუალო**

		3		2	
8			2	7	
	7		6		3
9	7		1		
8		5	4		6
	1	6			5
6			8	9	
		8	9		2
4			7		

**\*\*\* რთული**

	6		4		7	
			6			2
	7	5		4		
	9		2		5	
	3		9		7	
4			1	8	2	
	3		6	1		
8			5			
	1		9		3	

გერმანიის ტერიტორიაზე, XIX სუკუნის შემდეგ პირველად აღმოჩენილი ველური დათვის (რომელიც ამ ქვეყანაში მხოლოდ 170 წლის წინ იყო დაფიქსირებული) ფიტული მიუნხენის მუზეუმში გამოიფინა. როგორც გაირკვა, ველური დათვი, რომელსაც ბრუნო შეარქვეს, გერმანიაში იტალიიდან გადავიდა, სადაც მეცნიერები ექსპერიმენტს ატარებდნენ და ალპების ნაკრძალში ამ ჯიშის ცხოველთა პოპულაციის აღდგენას ცდილობდნენ. დათვის გერმანიაში გადასახლებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ხელისუფლებას უამრავმა ფერმერმა საჩივრით მიმართა. ისინი აცხადებდნენ, რომ ცხოველი საქონელს ხოცავდა და სკვებს ანადგურებდა. მატერიალური ზარალის გარდა, ფერმერები შიშობდნენ, რომ მალე, ბრუნო ადამიანებსაც დაესხმოდა თავს. ცხოველთა დამცველების პრო-

## გერმანიაში უანასხელი ველური დათვი მოხლას

ტესტის მიუხედავად, მასზე ნადირობა გამოცხადდა და დათვი მოკლეს. იტალიამ მოკლული ცხოველის გადაცემა მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. გერმანიის საუკეთესო ტაქსიდერმისტმა 1400 საათი იმუშავა და საბოლოოდ, ბრუნოს ფიტულმა მიუნხენის მუზეუმის — „ადამიანი და ბუნება“ — საექსპოზიციო დარბაზი დაამშენა. ბრუნო იმ მომენტშია წარმოდგენილი, როდესაც სკვებს ანადგურებს. „ამით იმის



ჩვენმა გვინდოდა, რომ იგი მხეცი არ არის, მაგრამ არც პლუმის დათუნიაა“, — ამბობენ ექსპოზიციის ავტორები.



## თურქმენ სტაბილუბს წითელი ჰალსტუხების ბარაბა აქრძალათ

ამიერიდან, თურქმენეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს წითელი ფერის ჰალსტუხების ტარება ეკრძალებათ (თუმცა, ოფიციალური წყაროები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ)! „თურქმენეთის ქრონიკის“ რედაქცია ვარაუდობს, რომ ამ აკრძალვის ავტორები „პრეზიდენტ გურბანგულ ბერდიმუხამედოვის ორიგინალური იერის შენარჩუნებას“ ცდილობენ: თურქმენეთის ქალაქებსა და სოფლების შენობებზე გამოფენილ უამრავ პორტრეტზე გამოსახულ პრეზიდენტს სწორედ წითელი ფერის ჰალსტუხი ამშვენებს. არაოფიციალურად გავრცელებული ცნობის თანახმად, ბრძანების დამრღვევ სტუდენტებს უმაღლესი სასწავლებლებიდან გარიცხვით ემუქრებიან. „თურქმენეთის ქრონიკა“ მკითხველს შეახსენებს, რომ ბერდიმუხამედოვის წინამორბედმა — საფარმურატ ნიაზოვმა, რომელიც თურქმენბაშის (თურქმენთა მამა) ტიტულს ატარებდა, მოსწავლეებსა და სტუდენტებს ეროვნული თავსამკაულის — ტახიუს ტარება უბრძანა და დღესაც, ბუტაფორიული ნაწნავებით შემკული ქუდი სასკოლო ფორმის აუცილებელი აქსესუარია.

## ბრიტანეთში 7 მილიონის ხანონიერ მფლობელს ეძებენ

დიდ ბრიტანეთში ვერაფრით პოულობენ იმ ილბლანს, რომელმაც ლატარიაში 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოიგო. მოგებული თანხის მიღების ვადა კი იწურება! 2007 წლის 28 სექტემბერს, ლატარიაში — Euromillions 6,9-მილიონიანი ჯეკპოტი გათამაშდა. ეს თანხა დევონში გაყიდულმა ბილეთის მფლობელმა მოიგო, რომელიც ფულის ასაღებად დღემდე არ გამოცხადებულა. წესების თანახმად, გამარჯვებული, თანხის მისაღებად გათამაშებიდან 180 დღეში უნდა გამოცხადდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგებული ფული და

საბანკო პროცენტები, რომელმაც უკვე 190.000 გირვანქა სტერლინგი შეადგინა, საქველმოქმედო ფონდს გადაეცემა. Euromillions-ის წარმომადგენელმა გათამაშების მონაწილეებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, რომ ბილეთები შეამოწონ! გამარჯვებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ეს თანხა რაოდენობით მეორე ადგილზე (2005 წელს დონკასტერში გაყიდული ბილეთის მფლობელი მისი კუთვნილი 9,4 მილიონი გირვანქა სტერლინგის მისაღებად არ გამოცხადდა) იქნება, რომელმაც კანონიერ მფლობელად ვერ მიაღწია.



## კვირფასო ამბობენ!

ჩვენ კვლავაც ველით თქვენს შეფასებებს, იდეებს, სურვილებს. მოგვწერეთ ელფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com, დაგვიმოუხვეთ ტელ: 8.9917.3527 ან გამოგვიგზავნეთ წერილი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით.

# ეთოტოკუჩიოზები





1 ახალი  
ბეზონი  
1 ახალი  
ფორმა

სიასლე!

1 NOW 1 NESCAFÉ